

ჩვენს მხურობდა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

5 სექტემბერი 2014

№ 18 (226)

თამრი ფხაკაძის პიესა
მანანა ჩიტიშვილის ლირიკა
ინტერვიუ ნელი ბატიაშვილთან
დიალოგი სერგეი ავერინცევთან
ერთი ნოველათაგანი ბარათაშვილისა
არქიმანდრიტი ადამი უმზარ კვიტაიშვილზე
კულტურული ტრავმა ოთარ ჩხეიძის რომანებში
მანონ ბულისკერია გიორგი გუგუშვილზე
ზვიად კვარაცხელიას ჩანაწერები
ნინო ფახანია გიორგი არაბულზე
ლორდ ბაირონის „დონ ჟუანი“
შექსპირის რჩიარდ მესამე
შეიცან თავი შენი



შინაარსი

ფიქრი და განსჯა	2	ზურაბ ხასაია GNOTHI SEAUTON! (შიცან თავი შენი!)
ამსარს-ინტერვიუ	8	ნელი ბატიაშვილი „არც გამარჯვებულია ვინმე და არც დამარცხებული“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
გამოსაზრება	9	შოთა ქურდაძე ერთი თემის სემინარული დამუშავების შესახებ (ანუ ლეგენდის პროტოქართველური საფუძველი)
დრამატურგია	10	თამრი ფხაკაძე მატარებელი არ მოვა
პოეზია	19	მანანა ჩიტიშვილი ნაცვრები და სხვა ლექსები
უსწოთის სწორებიდან	22	სერგეი ავერინცივი ფილოლოგია: მეცნიერება და ისტორიული მისიერება (დიალოგი ნიგნაკიდან „ცდანი თვითგამორკვევისა“)
ფიქრები	28	ზვიად კვარაცხელია შეკრება და გამოკლება
სილუაბი	33	არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე) მაღლობელი ვარ ანუ იქ, სადაც ყინულები ფისვებამდგომულ იას სედავენ (ემზარ კვიციანიშვილი)
დაუნიწყარი სახელები	34	ბიძინა ნანობაშვილი მამულიშვილობას განაცდევინებდა (დიმიტრი გონაშვილის გახსენება)
კრიტიკა	36	ელენე ჩხაიძე „დარღვეული დუმილის ისტორია“ („კულტურული ტრავმა“ ოთარ ჩხეიძის „მატიანე ქართლისაში“)
რეპორაჟი	45	ელისო ბაკურაძე რას მდაროდა სახლი (შეხვედრა მერაბ კოსტავას მუზეუმში)
კრიტიკა	47	ნინო ვახანია ალდი — დაზაღება სიკვდილისათვის (გიორგი არაბულის პოემა-გვერინი)
ხელოვნება	50	მანონ ბულისკერია ფრაგმენტში განცდილი მთლიანობა (გია გუგუშვილი)
ლიბერალური სწორება	51	ნუნუ ბალავაძე ნაცნობი უცნობი გრანელი
ქიზა	52	მაია ცერცვაძე „ქორნილი საპატრუპავლობოდ გვექნება“ — ერთი ნოველათაგანი გარათაშვილისა
ახალი თარგმანები	58	ლორდ ბაირონი ორი თავი „ღონ ჭუანიდან“
ამ მთისა და იმ ბარისა	71	შილიამ შექსპირის რიჩარდ მესამე
პოეზიის ერთი ლექსი	72	თინათინ მღვდლიაშვილი საყდრისს



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 19 სექტემბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი

როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი

ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი

მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი

თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი

კარლო ფაჩულია

დიზაინერი

მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი

ნინო დევანოიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი

თამარ ჩიხლაძე

სარეკლამო მენეჯერი

ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური

ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ქემერი (თურქეთი)

მარინე ჯაბადარის ფოტო

ზურაბ ხასიაი

GNOTHI SEAUTON!

1. ტრადიციული წუთისოფლისა

ქართულმა გენიამ ადამიანის ცხოვრება წუთს შეადარა და ამიტომაც ადამიანის საცხოვრის წუთისოფელი დაარქვა. ამ შემთხვევაში „წუთიერება“, ეჭვს გარეშეა, ნაკლს გამოხატავს. აქაოდ ადამიანის ცხოვრება მეტხანს უნდა გრძელდებოდესო. მაგრამ თუ წუთისოფელი „ცვალებადია“, „გაუტანელია“, „მუხთალია“, როგორც იგივე გენია გვარწმუნებს, მაშინ „წუთიერება“ მის ღირსებად უფრო გამოიყურება. განა არ სჯობს ცოტა ხანს გრძელდებოდეს ის, რაც ცუდია? აკი ცუდის ხანგრძლივობა სასჯელი უფროა, ვიდრე საჩუქარი.

პირადად მე სრულიად პირიქით წარმომიდგენია: წუთიერება ნებისმიერ შემთხვევაში სჯობს მარადისობას. თუ ცხოვრება უსიამოვნება უფროა, ვიდრე სიამოვნება, მაშინ მისი წუთიერება სჯობს მის ხანგრძლივობასა და მითუმეტეს მარადისობას. ხოლო თუ ცხოვრება სიამოვნება უფროა, ვიდრე უსიამოვნება, მაშინაც მისი უხანოა სჯობს. გაჭიანურებული სიამოვნება სრულიადაც არაა სიამოვნებაო, ნიჭიერად უთქვამთ ფრანგებს. ბედნიერება იმიტომაცაა ბედნიერება, რომ გაიღვებს ოდენ. ის რომ გაჭიანურდეს, მალევე გადაგვარდებოდა უბედურებად. თუ ყვავილს დიდხანს დავაკვირდებით, მისი მშვენიერება გაუჩინარდება. მაგრამ თუ მხოლოდ თვალს შევავლებთ, მისი მშვენიერება გაიღვებს და მოგვხიბლავს. მშვენიერი ფიფქი თოვლისა ისაა, რაც წამით გაიღვებს. მაგრამ ვინც ამ ფიფქს გამოაქანდაკებდა, ის მას უმალ მშვენიერებას წარსტაცებდა და სულ სხვა რამ შერჩებოდა ხელში.

წუთისოფელს წუთიერებაზე მეტად სხვა ნაკლოვანებანი სჭირს. ერთხელ „Sturm und drang“-ის ღირსსახსოვარ ხანაში გერმანელმა მწერალმა ქალმა, პოეტესა იოჰანა შოპენჰაუერმა თავისი ვაჟი, ყმანვილი არტური, მომავალი დიდი ფილოსოფოსი, მაშინდელი გერმანიის ლიტერატურულ მექაში, ვაიმარში ჩაიყვანა და მცოვან პოეტს, კრისტოფ ვილანდს წარუდგინა. სახელოვან პოეტს მოეწონა ჭაბუკის განსწავლულობაც და აზროვნებაც, ოღონდ ფილოსოფიით გატაცება უსაყვედურა — წუთუ ცხოვრება ფილოსოფიას, ამ უძნელეს და უმადურ საქმეს უნდა შეაღიოთ. ცხრამეტი წლის ყმანვილმა ცხოვრებაგამოვლილ, დაბრძენებულ კაცივით უპასუხა: „ცხოვრება, ჩემო ბატონო, ერთობ საეჭვო რამ გახლავთ. ამიტომ გადავწყვიტე მივუძღვნა იგი მისსავე შემეცნებას“. დიდი პოეტი აღტაცებაში მოუყვანია ყმანვილის პასუხს და ყველას უყვებოდა თურმე, საოცარი ბიჭი ეზრდებოდა ქალბატონ იოჰანას.

ცხოვრება „საეჭვო“ რომაა, ამას ყველა დიდი მოაზროვნე ამბობს. კაცმა რომ თქვას, ავტორიტეტების მოხმობა არცაა საჭირო, ყველა ჭკუადამჯდარმა კაცმა იცის ეს. მაგრამ ზედმეტი არ იქნება იმისი გამოწველივით გარკვევა, თუ რა ხდის ცხოვრებას „საეჭვოდ“.

ზოგადი, ფილოსოფიური პასუხი ასეთი იქნება: ცხოვრება ჩანს, მაგრამ მისი აზრი — არა. იგულისხმება: ცხოვრების ცალკეულ ნაწყვეტებს აზრი აქვს, მაგრამ მთელი ცხოვრებას ანუ ამ ნაწყვეტების გროვას — არა. მასში არაა ერთიანობა. მეტიც, იგი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოძრაობებისა და მიმართულებებისგან შედგება. ამიტომ არ ჩანს, თუ რატომ, რისთვის უნდა გაგრძელდეს ან შეწყდეს იგი. ერთი სიტყვით,

* შეიცან თავი შენი!

ჩანს რაღაც დომხალი ანუ ცხოვრება, მაგრამ არ ჩანს მისი გამაერთიანებელი, რაღაც სახის მიმნიჭებელი აზრი.

უალრესად გამონაკლის შემთხვევებში ცხოვრებას შეიძლება ჰქონდეს ასეთი მკვეთრად გამოხატული მიზანი. მაგრამ ეს მიზანი იმდენად სუბიექტური ჩანს, რომ შეუძლებელია გონიერ არსებას მასში ეჭვი არ ეპარებოდეს. ამიტომ „მთელი ცხოვრების მიზანი“ გონებიდან არ მომდინარეობს და ვნებას, მანიას უფრო უკავშირდება. ჩვეულებრივ, ადამიანები ცალკეული ქცევის ან ცხოვრების ნაწყვეტების აზრს ხედავენ, მაგრამ მთელი ცხოვრებისას — ვერა.

განცხადება „ცხოვრების აზრი არა ჩანს“ ფილოსოფიურია. ნათელსაყოფად შეიძლება მისი თარგმნა ფსიქოლოგიის ენაზე. მაშინ ეს განცხადება ასეთ სახეს მიიღებს: „ცხოვრებაში უსიამოვნება სჭარბობს სიამოვნებას“. ამის დასტურად არც ავტორიტეტის მოშველიებაა საჭირო და არც ლიტერატურული ან ისტორიული გამოცდილება. სავსებით საკმარისია საკუთარი პირადი გამოცდილება. უსიამოვნებას მეტი ფართობი უკავია ჩვენი ცხოვრების სივრცეში, ვიდრე სიამოვნებას. თან უსიამოვნება ჭიანჭურვით იწელება, სიამოვნება კი სწრაფად გაგეცლება. სიამოვნებას კარგად თუ დააკვირდები, თანდათან უცნაურად შეიცვლის სახეს და ხელში უსიამოვნება შეგარჩება. თითქოს მშვენიერი საგანი ჩვენს თვალწინ გადაკეთდა და დამახინჯდა! მეტიც შეიძლება ითქვას: სიამოვნება თითქოს არც კი არსებობს. ის, უბრალოდ, უსიამოვნების შეწყვეტაა. კაცმა რომ თქვას, არც არაფერია უსიამოვნების შეწყვეტაზე დიდი სიამოვნება.

ზემორე ფსიქოლოგიური განცხადების გასაბათილებლად ხანდახან შენიშნავენ, რომ უსიამოვნებას ხშირად სულელური და წვრილმანი მიზეზები იწვევს. ვეთანხმებით, ასეა. ოღონდ უნდა შევნიშნოთ: ადამიანი წვრილმან საგანთა ტყვეა და სიამოვნებასაც წვრილმანები განაპირობებს. ხოლო თუ უსიამოვნება უფრო გამოიჩინება ამ მხრივ, ეს, პირიქით, ზემორე განცხადების სასარგებლოდ მეტყველებს: უსიამოვნება ისე მკვიდრად ზის ადამიანის ცხოვრებაში, რომ მის გამოსანჯევად უბრალო წვრილმანიც კი საკმარისია. მას ისევე წარმატებით იწვევს რწყილის კბენა, როგორც აფხაზეთის ტრაგედია ან გორის მიწისძვრა.

უნდა დავაზუსტოთ: ხსენებულ მეთაურ განცხადებაში უსიამოვნების თვით ფაქტია მთავარი და არა მისი გამომწვევი მიზეზი. თუ კბილი ყრუდ და განუწყვეტლად გტკივა, მნიშვნელობა აღარა აქვს სამყაროს ღვთაებრიობის დოგმას — უსიამოვნება უსიამოვნებაა! შოტლანდიელმა პოეტმა რობერტ ბერნსმა, ეტყობა, იწვინა ეს ტკივილი და ძალიან პატიოსნად დაასკვნა: ღმერთო, ჩემი სამშობლოს მტრებს კბილის ტკივილით მიუზღვე სამაგიეროო. მხოლოდ ღრმად მიაზროვნე და გულწრფელ პოეტს შეუძლია თავისი, ნაკლებად ჰიგიენური პრობლემის მსგავსი განზოგადება.

უსიამოვნების პირველობა ხშირად არ ჩანს იმის გამო, რომ ჯეროვნად ვერ ვასხვავებთ ბუნებრივ, მკვიდრ გრძნობას ხელოვნურად გამოწვეულისგან. ადამიანი ცდილობს ბუნებრივად, მკვიდრად არსებული, „პირველადი“ უსიამოვნება გადაფაროს ხელოვნურად გამოწვეული, „მეორეული“ სიამოვნებით. გავრცელებულია აზრი სანგვინიკოსთა უდარდებლობის, მათი სასიამოვნო ცხოვრების შესახებ. მაგრამ თვით სანგვინიკოსები თითქმის არასოდეს ეთანხმებიან ამ აზრს. ისინი განმარტავენ: ჩვენი უდარდებლობა უმეტესად ხელოვნურია, გარეგანია, გულში კი დარღია. „რა იციან, რომ ეს გული მკვდარია“ — ამბობს „სანგვინიკოსი“ აკაკი წერეთელი. ხშირად ლოთები ეძალებიან ღვინოს, რათა აღარ ახსოვდეთ გულში დავანებული უსიამოვნებანი. ჭარბი მიდრეკილება სიამოვნებისკენ საეჭვოა — იგი მალავს ღრმა სასოწარკვეთას.

უსიამოვნების სიჭარბე იმდენად ცხადია, ხოლო მისი ხელოვნურად განონასწორების მცდელობა — იმდენად ბუნებრივი და აუცილებელი, რომ პავლე მოციქული გვიჩვენებს: „ამიერიდან მარტო წყალს ნუკი სვამ, არამედ ცოტ-ცოტა ღვინოც იგემე; ეს მოუხდება შენს სტომაქსა და ესოდენ ხშირ სნეულებას“ (1 ტიმოთე, 5. 23). უფრო ადრე ფსალმუნებში კი ნათქვამია: „და ღვინომ გაამხიარულოს გული კაცისა, გააბრწყინოს სახე საცხებელზე მეტად და პურმა შეამტკიცოს გული კაცისა“ (ფსალმუნები, 103. 15).

ცხოვრებაში უსიამოვნების ბატონობა სრული ჭეშმარიტებაა. ამის შემეცნებას ყველაზე მეტად ერთი რამ უშლის ხელს — ამ მდგომარეობის დაკავშირება შემთხვევითობასთან. უსიამოვნება დიახაც ჭარბობს ცხოვრებაში, იტყვიან; მაგრამ ეს შემთხვევით გარემოებათა ბრალიაო. საბუთად გეთავაზობენ ორი ტიპის ცრურწმენას: „ასეა აქ, მაგრამ უკეთესადაა სხვაგან“; „ასეა ახლა, მაგრამ უკეთესად იყო წარსულში და იქნება მომავალში“. ორივე ცრურწმენა ღრმადაა ჩაფხვნიანებული ჩვენს ცნობიერებაში და ძალიან ძლიერია. ჭეშმარიტება კი სრულიად მარტივია: „რაც არის აქ, იგივეა სხვაგანაც“; „რაც არის ახლა, იგივე იყო წარსულში და იქნება მომავალში“.

ეს ღრმადაა ნაგრძნობი და ნათქვამი ბიბლიაში, ეკლესიასტეს მონოლოგებში. ამ დიდ ჭეშმარიტებას ჩვენ ვუპირისპირებთ ჩვენს აკვირებულ და უპასუხისმგებლო ოპტიმიზმს. ამ დროს ვემსგავსებით იმ ხეს, რომელიც ჩრდილისგან გათავისუფლებულაზე ოცნებობს და ამისთვის სხვა სივრცესა ან სხვა დროში გადაადგილებას ითხოვს. მან არ იცის, რომ ყველგან თავის ჩრდილიანად გადავა. ჩრდილის გასაქრობად სხვა რამეა საჭირო: თვითონ უნდა გაქრეს! აი მაშინ ჩრდილიც გაქრება.

ეს ეკლესიასტეს პესიმიზმია, რომელსაც ჩვენს დროში ნერვული დაძაბულობა შეჰმატა ფრიდრიხ ნიცშემ. ვგულისხმობთ მის იდეას „მარადიული დაბრუნების“ შესახებ. ხალხურად და გლეხურად ეს იდეა ასე გამოითქმის: ყოველთვის ის იქნება, რაც აქ და ახლაა! ნუ გვექნება ქვეყნიერების შეცვლის იმედი. გაუძელ ამ აზრს და ზეკაცი იქნები, ბედისწერის რჩეული. მაგრამ ადამიანებს ნუგეში სჭირდებათ და არა სასტიკი სინამდვილე. ისინი ვერ უძლებენ სუსხიან ჭეშმარიტებას და მოკალათებულნი არიან თბილ სიცრუეში.

ადამიანი ცნობიერებით დადალული სიცოცხლეა. ქართულმა გენიამ სიცოცხლე ცეცხლთან დააკავშირა. სიცოცხლე „სიცეცხლეა“, მოუსვენარი, მიწყობი მბორავი, დაუდგრომელი სტიქია ცეცხლის. ერთი და იგივეა იგი ადამიანში, თხუნელასა და გველში. უკიდია ეს ცეცხლი მატერიალს, ერთიანად გამსჭვალავს მას, წვავს და ძალასაც აქედან ხაზავს. ერთ ალავს რომ ამოწვავს და მოინელებს, სხვაგან გადადის; ყნოსავს ცეცხლი ყველაფერს, იხვევს და ნთქავს. სტიქიურ უბედურებასავით გადავარდნილა უსაზღვრო ნკვარამ-

ში და საყოველთაო ტანჯვით ანათებს მას.

რა არის მისი ქვემდებარე ვითარება და მოძრაობა? უპირველესად რითი გრძნობს ცოცხალი თავის სიცოცხლეს? პასუხი ერთია: სურვილით, ანუ წყურვილითა და შიმშილით! წყურვილი და შიმშილი მძვინვარებს ამ უკიდევანო სამყაროში. ტანტალოსის დაურწყული ჟინი ჩაბუდებულია მის გულის-გულში. „მსურს, მაშასადამე, ვარსებობ!“ — აი ცოცხალი არსების, საერთოდ სიცოცხლის პირველი სიტყვა. ყოველი სულიერი სურვილში შეიმეცნება თავის სულობას, სიცოცხლეს.

მაგრამ რაა სურვილი? რა თქმა უნდა, უქონლობა და ნაკლებობაა იგი. რაიმე მსურს, რადგან არ გამაჩნია. აი ამ აზრ-გაგებით, სიცოცხლე „უსიამოვნების აქტიდან“ იწყება. უქონლობა ხომ ნაკლი და უსიამოვნებაა? აქედანვე ირკვევა, რომ სიამოვნება თავის ძირსა და ფესვში უსიამოვნების შეწყვეტაა სწორედ და, მაშასადამე, რაღაც მეორეული. დიახ, სიცოცხლის დასაბამი ესაა — უსიამოვნების პირველობა და სიამოვნების მეორეულობა!

მაგრამ ამით ჯერ კიდევ არაა ამოწურული ტანჯვის მთელი შინაარსი. მართლაც, ხომ შეიძლება გვითხრან, რომ სურვილს შევისრულებთ? ბერძნული მითები კი სხვა რამეს გვეუბნება: ტანტალოსი წყურვილს ვერ იკმაყოფილებს, ხოლო ნერეიდები წყალს ვერ ხაპავენ თავიანთი საცერებით. იგულისხმება, რომ სურვილის დაკმაყოფილება ახალ სურვილებს წარმოშობს და ამით ამრავლებს ტანჯვას. მთავარი უბედურება კი სხვაა: სურვილის დაკმაყოფილება წარმოშობს მოწყენილობას.

საიდანლა გვესტუმრა ეს ახალი ურჩხული? გვესტუმრა იქიდან, რომ სიცოცხლე პრობლემაა და, მაშასადამე, უკანასკნელის გადწყვეტა სიცოცხლის ძირებს ახმობს. აი ამ ხმობის განცდაა მოწყენილობა.

ძველ იაპონურ ტანკაში ნათქვამია: კაცი იშენებს მშვენიერ ქოხს. ოფლად იღვრება და იტანჯება. მთავრდება ეს ჯაფა და დალლა, ქოხი აშენდა. კაცი მოწყენილი ზის მის ჩრდილში. ხომ აიშენე საცხოვრისი, რა გემართება, შე კაი კაცოო, უსაყვედურებს პოეტი. მკითხველი კი გრძნობს: კაცმა ლამისაა დაანგრეოს ქოხი და ხელახლა შეუდგეს მის შენებას.

ასეც შვრებოდა ჩემი ერთი მეზობელი. თემოც ერქვა და ზურაც. ამიტომ თემოზურას ვეძახდი. საქართველო დლითიღვე ინგრეოდა, ის კი დაუსრულებლად აშენებდა და აშენებდა თავის ბინას. მთელი დღის დამამზერალი საღამოს გემრიელად ივანშმებდა თავისი პატიოსნად ნაშოვნი ფულით, ღვინოსაც დააყოლებდა, ცოლს აუხირდებოდა და მის ჯინაზე აშენებულს ისევ მოანგრევდა, რათა მეორე დღეს ახლიდან შედგომოდა თავის დაუსრულებელ საქმეს. მის ბინას ბაბილონის გოდოლი ვუნოდე.

ბერძნულ მითებში ეს ასეა დახატული: მიცურავს ჩვენი ნავი ცხოვრების მდინარეში. მდინარის მარჯვენა ნაპირზე ურჩხული ბინადრობს — სკილა. ვეება ხახა დაუბჩენია. ჩვენ ვუსვამთ ნიჩაბს და მარცხნივ გავუტყვით, მაგრამ იქ თურმე ქარიბდა ბინადრობს. სკილასგან გაქცევა თურმე ქარიბდასთან მიახლოებაა, ქარიბდასგან უკუქცევა კი სკილას ხახისკენ სვლა.

სკილა სურვილებაა, ქარიბდა — მოწყენილობა. პირველი გაჭირვებულებს ნთქავს, მეორე — მდიდრებს და ძალმორჭმულებს. ურჩხული ურჩხულია, მაგრამ ქარიბდა უფრო სასტიკია. იგულისხმება: ისა სჯობს არა გეზადოს რა და მოპოვების იმედი გასულდგმულებდეს, ვიდრე გქონდეს და უიმედოდ დარჩე. როგორც ჩანს, ოცნება და ნატვრა სჯობს ფლობას, გაზაფხულის ყვავილოვანი დაპირება — შემოდგომის გულუხვობას. უდიდეს უბედურებად კაცთა მოდგმისა *taedium vitae* უთქვამთ ლათინებს — ცხოვრების მოყირჭება! ასეთია სიცოცხლე საზოგადოდ. მგლის ხვედრი



სკილის ყბებში ყოფნა, ლომისა კი — ქარიბდას ხახაში. მგელი შიმშილისგან იტანჯება, ლომი — მონყენილობისგან!

ადამიანში სიცოცხლეს ცნობიერება ემატება, რაიც ამრავლებს უსიამოვნებას და ამით ზრდის მის სიჭარბეს სიამოვნებასთან შედარებით. მშვიერი ნადირი და მშვიერი ადამიანი ერთნაირია, მაგრამ მაძლარი ნადირი და მაძლარი ადამიანი — სხვადასხვა. მაძლარი ნადირი კმაყოფილია, ხოლო თუ მოიწყენს, ლომივით ძილს მისცემს თავს. მაძლარი ადამიანი კი მაინც ვერ ისვენებს. მან იცის, რომ ხვალ ისევ მომივდება. ამიტომ ბელელი სავსე უნდა იყოს. მაგრამ სავსე ბელელს მოძმითავენ დაცვა სჭირდება. ნეტავი მას, ვისაც არაფერი აბადილაო, წამოსცდება შიგადაშიგ მდიდარს.

ეს ყოველივე წუთისოფლის „სიცრუის“ ფსიქოლოგიური ახსნაა. ბევრად მოკლე, მაგრამ უფრო ღრმა იქნება წმინდა ფილოსოფიური ახსნა: რაიმეს არსებობა ნიშნავს მის გარკვეულობას, განსაზღვრულობას, ანუ საზღვრებში ყოფნას. ერთი მხრივ, ჩემი საზღვარი ჩემი უარყოფაა. ეს კარგად დანახა და განიცადა ფრანგმა ფილოსოფოსმა ჟან-პოლ სარტრმა, საიდნაც დაასკვნა: „ჯოჯოხეთი — ეს არის სხვები!“ იგულისხმება: სხვები უარყოფენ და საზღვარს მინესებენ, რაც იწვევს დილეგში, ანუ ჯოჯოხეთში ყოფნის განცდას. ამიტომ ადამიანი თავისუფლებას იმკვიდრებს სხვების წინააღმდეგ და მათ ხარჯზე.

რალაც მსგავსს ამბობს რუსი მწერალი მაქსიმ გორკი ლამის ტრამალში ამღერებულ ბოშა ქალის პირით, „მაკარ ჩუდრა“-ში: „მღეროდა მაკარის ასული, მშვენიერი ნონკა. ვიცოდი მისი მოგუდული, მკერდისმიერი ტემბრის ხმა, მუდამ როგორღაც უცნაური, უკმაყოფილო და ჟინიანი. ასეთი იყო მისი ხმა ყოველთვის. სულერთია, მღეროდა თუ გესალმებოდა. მის შავგვრემან, მკრთალ სახეს ზედ დაკვდომოდა დედოფლური გულზვიადობა. ხოლო რალაც იდუმალი ჩრდილით დაბინდულ მუქ ნაბლისფერ თვალებში ელვარებდა საკუთარი უძლეველი სილამაზის შეგნება; აგრეთვე ზიზღი ყოველივე იმის მიმართ, რაც თვითონ არაა, სხვაა“.

დაახლოებით ამავე სულისკვეთებით ამბობს სარტრი, რომ „ჯოჯოხეთი — ეს არის სხვები!“ მაგრამ უფრო ღრმად ჩაიხედეს საქმის არსში დიდმა ფილოსოფოსებმა. ბარუხ სპინოზამ თქვა: „ყოველი განსაზღვრება არის უარყოფა“. ჰეგელმა კი მეტი სპეკულატიური კულტურით განმარტა: „საზღვარი, რაიც მკვეცავს მე, იმდენადვე შინაგანია, რამდენადაც — გარეგანი“. ეს უღრმესი პარადოქსია: მე ვარსებობ, რამდენადაც ჩემსავსე უარყოფას თან ვატარებ. მაშასადამე, ჯოჯოხეთი სხვები კი არაა, არამედ, პირველ რიგში, ჩემი „მე“. ყოველი საგანი არსებობს იმდენად, რამდენადაც წყევლასა და ჯოჯოხეთს ატარებს თან.

ეს კარგადაა ნათქვამი გოეთეს „ფაუსტში“, მეფისტოფელის მიერ: „რაიც შობილა, ღირსი არი, რომ დაიღუპოს, მტვერს და არყოფნას შეურიოს ცოდვილი ძვლები“. ამასვე ლალადებს ბუდას „პირველი ქეშმარიტება“: „ყოველგვარი არსებობა ტანჯვაა!“

2. ჰამლეტის კითხვა

თუ ყველა ზემოხსენებულ ილუზიას მოვიცილებთ და სინამდვილეს გავუფასოვებთ თვალს, სრულიად თავისებური განცდა დაგვეუფლება. ამ განცდას **პლატონმა** დიალოგში „თეეტეტ“, ხოლო **არისტოტელემ** თავის „პირველ ფილოსოფიაში“ **გაკვირება** უწოდეს. ადამიანს გულწრფელად უკვირს: რა საჭირო იყო ასეთი ვითარების შექმნა? ვის დასჭირდა ადამიანის ყოფნა უსიამოვნებისთვის? თუ უსიამოვნება, კერძოდ, მისი ჭარბობა და ბატონობა აუცილებელია არსებობისთვის, ყოფნისთვის, მაშინ განა არ სჯობდა არცა რა ყოფილიყო?

გერმანელ ფილოსოფოსს მარტინ ჰაიდეგერს უპირველეს ფილოსოფიურ კითხვად, რაც საბერძნეთში გაისმა, მიანჩნდა ასეთი კითხვა: „რატომ არის რაიმე და არა არარაობა?“ ამის იქით ადამიანის კითხვა მართლაც ვერ წავა და ეს უნდა ჩაითვალოს კითხვათა კითხვად. მას ადამიანები არ სვამენ და ამიტომაც გაკვირების გარეშე ცხოვრობენ, რადგან მომავლის იმედი აქვთ. მაგრამ საკმარისია ოდნავ მაინც იგრძნონ მომავლის ილუზიურობა, ფიქტიურობა, რომ გულწრფელად გაუკვირდეთ და იკითხონ: არსებობის აზრი არა ჩანს და მამ რალა საჭირო იყო იგი?

სწორედ ესაა ჰაიდეგერის მიერ გამოკვეთილი კითხვა. არცერთი ადამიანი არ იჯერებს, რომ მომავალი ფიქტია. ეს რომ დაიჯერონ, მათ ბაჯალლო ქეშმარიტება ჩაუვარდებოდა ხელში და ვერ გაუძლებენ მას. ადამიანი სუსტი არსებაა და არაა მზად ქეშმარიტებასთან შესახვედრად; იმის ასალიერებლად, რომ ცხოვრებას აზრი არ გააჩნია.

აქ კარგად ჩანს, რომ სინამდვილე მხოლოდ გაკვირვებას როდი იწვევს. ახალი დროის ერთერთი პირველი მესიტყვე რენე დეკარტი ამბობს, რომ სინამდვილე ეჭვს უფრო იწვევს, ვიდრე გაკვირვებას. იგულისხმება: ძნელი ჩანს ამ ყველაფრის აღიარება არსებულად, იმდენად უაზროა იგი. ზმანებას უფრო ჰგავს ყველაფერი ის, რასაც ვხედავთ. ჩვენს მდგომარეობას კი ძილი უფრო ეკუთვნის სახელად, ვიდრე ღვიძილი, სიფხიზლე. ყოველივე ამის მიჩნევას ძილად და ზმანებად გამოლოცებულა აკლია, სხვა არაფერი. დეკარტს წუთისოფელი ორთქლად, ღრუბლებად მოეჩვენა, რაშიც ერთი მყარი წერტილიც კი არა ჩანს. არაფერი არ არსებობსო, ამბობდა იგი, ეჭვებით დაღრღნილი ჩემი გონების გარდაო. მე ვარ და ჩემი ეჭვები, ღრუბლებად დაგრაგნილი! — აი მისი მეთაური სიტყვა.

მასზე ცოტათი უფროსი, მისივე თანამემამულე ბლენ ჰასკალი კი ამ მდგომარეობას **სასონარკვეთილებად** აღიქვამდა. თუკი მყარი წერტილი არ იპოვება, მაშინ არსებობა უფსკრულია. ფეხს ვერსად დაბაიჯებ და მოიკიდებ. ჰასკალმა ეს „უფსკრული“ ისე ცხადად დანახა, რომ ახალგაზრდობაშივე ხაზი გადაუსვა მთელ თავის გენიალურ მოწოდებას და შეწყვიტა აზროვნება. ამიერიდან მხოლოდ თავის ტკივილების მოსაგერიებლად უღრმავდებოდა სფინქსივით დაყურსულ სამყაროს, მის საიდუმლო წერტილებს და თავგანწირულად ცდილობდა წმინდა წერილებს მინდობოდა, ხოლო თავისი ჩვენებანი ეშმაკეულად შეერაცხა. არა, არ ყოფილა ქვეყნად მასზე უბედური, რადგან მოეცა მას გონება ბევრად უფრო ჭარბად, ვიდრე საჭიროა ადამიანისთვის. მილიონობით წლის გამოცდილების მქონე ბუნებას შეცდომა მოუვიდა, რისთვისაც ჰასუსხი ჰასკალს უნდა ეგო.

ადამიანის ეს მდგომარეობა **ჟილიამ შექსპირმა** დახატა ჰამლეტის სახით. გაკვირებულიცაა ის, სასონარკვეთილიც, მაგრამ უფრო მაინც — იჭვნიული. მისი ცხოვრება ელვასავით გადაჰკვეთა შემზარავმა გამოცხადებამ: ქვეყნიერება ზიზღი-პიპილებით მორთული დანაშაულია! „მეტაფიზიკური ვერაგობა!“ — აი რა იხილა მან. ამიტომ ცხოვრება საეჭვო გახდა. უფლისწულის საკადრისი ძალისხმევა „განახვერდა“ — ნიადაგს მოწყდა იგი და ცაში გამოეკიდა. „**To be or not to be — that's the question!**“ — ასე გამოთქვა მან თავისი მდგომარეობა. დანის პრინცი ამოდის თავისი მთავარი გამოცხადებიდან: ქვეყნიერება სიცრუესა და ვერაგობაზეა დამყნობილი.

თანამედროვე მეცნიერება ქვეყნიერების ამგვარ წარმომავლობას არ უარყოფს. ამას მოწმობს „არსებობისთვის ბრძოლის და სახეობათა ბუნებრივი შერჩევის ბიოლოგიური პრინციპი“ და „თავისუფალი კონკურენციის საბაზრო ეკონომიკური კანონი“. ეს სწორედ ისაა, რაც ჰამლეტს ზიზღის ღირსად მოეჩვენა. მაგრამ საქმე სწორედ ამ შეფასებაშია.

ჰამლეტი უარყოფითად აფასებს სინამდვილეს, მას არსებობის ღირსად არ სცნობს. თანამედროვე მეცნიერება კი, როგორც მეცნიერებას შეეფერება, თავს იკავებს შეფასებისგან. ლამისაა თქვას **ჰეგელივით**: რაც არსებობს, გონიერია, ანუ არსებობის ღირსიცაა!

ჰამლეტი წარჩინებული, ფეოდალური მორალის ადამიანია: თუ ქვეყნიერება უზნეობაზეა დაყუდებული, მაშინ ყოფნა ვერაფრით სჯობია არყოფნას. **ჰაიდეგერის** ყაიდაზე რომ ვთქვათ, მას აღარ ესმის: „რატომაა რაიმე და არა არარა?“ ჰამლეტიმ არ იცის, თუ რომელი სჯობს. ის ეჭვობს. ეს გამოხატავს ჰამლეტის არსს. არყოფნა რომ სჯობდეს, ყველაფერი რიგზე იქნებოდა — გამოჩნდებოდა გზა ხსნისა. მაგრამ ჰამლეტს ეჭვი აწამებს — ვაითუ იმქვეყნად უარესობა ელოდება? თუნდაც რომ იგივე ელოდეს, არც ესაა საშველი. აკი ჭირი შეჩვეული სჯობს!

აქ უპრიანია დავუმატოთ, რაც ჰამლეტს არ უთქვამს: არყოფნაში გადასვლა, სხეულთან სულის გაყრა, საშინლად მტკივნეულია. თან ეს არც ისე მყისიერია, როგორც ჰგონიათ. სიკვდილის დადგომა მეტისმეტად ხანმოკლე ეჩვენება გარედან მაყურებელს, მაგრამ ერთობ ხანგრძლივი ჰგონია თვით მომაკვდავს. ეს ორი სხვადასხვა დროა და სხვადასხვა საზომობითაც იზომება. ამ სენსაციურ ვარაუდზეა აგებული ამერიკელი მწერლის, ამბროს **ბირსის** მოთხრობა „შემთხვევა ჭოტისწყლის ხიდზე“.

აი, რა აქარწყლებს „არყოფნის“ უპირატესობას „ყოფნასთან“ შედარებით. მორალურ პესიმიზმს, ვისაც არყოფნა ურჩევნია, **ჰაიდეგერი** ოპტიმიზტად თვლიდა. ნამდვილ პესიმიზმად კი მიიჩნევდა „ყოფნისა“ და „არყოფნის“ ერთგვარ იგივეობას, რაც შენიშნა კიდევ **შექსპირმა** თავის ტრაგედიაში.

ეს ყოველივე იმთავითვე ღრმად ესმოდათ ფილოსოფოსებს. გადმოცემის თანახმად, ერთ ბერძენ ფილოსოფოსს უთქვამს, სიცოცხლე და სიკვდილი ერთი და იგივეაო. მამ თავს რომად არ იკლავს, უკითხავთ მისთვის. სწორედ იმიტომ, რომ ერთი და იგივეაო, უპასუხია ფილოსოფოსს.

ვინც ღრმად ჩაუფიქრებდა ნუთისოფლის ტრამალებზე განფენილ უაზრობას, გაკვირვებული იკითხავს: ნუთუ გამოსავალი არაა?! ის, რაშიც გახვეულია ნუთისოფელი, იმდენად უაზროა, რომ დაუჯერებელი ჩანს თვით ნუთისოფლის არსებობა. ნუთუ სულ ესაა და ამის იქით აღარაფერია? ადამიანს არ ტოვებს ეჭვი, რომ აქ რაღაც შეცდომაა. ჩვეულებრივ კი ადამიანებმა დღემდე ვერაფერი მოიგონეს ამის გასაბათილებლად, იმის გარდა, რომ არ იფიქრონ ამ თემაზე.

არა მგონია ეს ღირსეული, „მოაზროვნე არსების“ შესაფერისი გზა იყოს. ვგულისხმობ ამ პრობლემის მაქსიმ **გორკისეულ** შეფასებას, ბებერი ბოშას, მაკარ ჩუდრას მიერ განმარტებულს. „ციხეში ვმჯდარვარ, გალიჩინაში. — უყვება მაკარი ახალგაზრდა მწერალს. — რისთვის ვცხოვრობ-მეთქი ქვეყანაზე, გამფიქრებია მოწყენილობისგან. მოსაწყენია ციხე, არწივო; ეჰ, ძალიან მოსაწყენი! ნაღველმა შემიპყრო, როცა ჩემი საკნის სარკმლიდან მინდორი დავინახე. სევედა მომანვა გულზე და მარწუხებით მომიჭირა. ვინ იტყვის, რისთვის ცხოვრობს? ვერავინ, არწივო, ვერავინ! არც უნდა ჰკითხოთ ეს თავს, არაა საჭირო. იცხოვრე, მორჩა და გათავდა. იარე და მოიხილე ქვეყნად ყოველი. არასოდეს ნალველი არ გაგეკარება. აი მაშინ კი კინაღამ ქამარი ნავიჭირე ყელში, მამ?“

დაახს, ეს ხალხური გამოცდილებიდან აღებული ბრძნული პასუხია ჰამლეტის კითხვაზე. მაგრამ ეს ბრძნული პასუხი ნარკოტიკის შემოთავაზებასა ჰგავს. მოქმედება აქ ნაფიქრი ერთგვარ ბანგად, რამაც „მოაზროვნე არსება“ აზროვნებას უნდა გადააჩვიოს. ამიტომაც არ მგონია ეს პასუხი მოაზროვნე არსების შესაფერისი და საკადრისი.

3. „შიცან თაჰი შენი!“

თუ მიუხედავად შევხედავთ ადამიანის ცხოვრებას, მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. ბულალტერიის ენაზე თუ ვიტყვი, ის აშკარა ზარალია და ვერ ანაზღაურებს მასზე განეულ ხარჯებს. ის, რასაც ადამიანი აღწევს თავისთვის და სხვებისთვის, ნამდვილად არ ღირს იმ ჭაბანწყევტად და ტანჯვად, რასაც ადამიანის ცხოვრება ჰქვია.

ეს უცნაურ გამოცანასა ჰგავს ეგვიპტურ სფინქსის და მისი გამოხსნის ორი გზა ჩანს. ერთი ისაა, რომ ადამიანის, მთელი კაცთა მოდგმის გაჩენა სამწუხარო შემთხვევად უნდა ჩაითვალოს. ესე იგი, ეს არანაირად არ იყო საჭირო და მეტიც — უფრო მიზანშეწონილი და უმჯობესი იქნებოდა, თუ ეს არ მოხდებოდა. მოხდა ის, რაც ჩვეულებრივ არ ხდება ხოლმე სამყაროში. გარემოებათა უცნაურმა, უნიკალურმა გადახლართვამ გამოიწვია იშვიათი გამონაკლისი, ანომალია — ცნობიერება, რომელიც მერე, საერთო კანონზომიერების თანახმად, შეეცადა დამკვიდრებასა და გაფართოებას. ასე სიმსივნე იფეთქებს ჯანსაღ ორგანიზმში, ვითარცა დაუპატიჟებელი სტუმარი, პარაზიტი, და ცდილობს მეტასტაზებში გადასვლას და ორგანიზმის განადგურებას. ამ თვალსაზრისის თანახმად, ადამიანი ბუნების შეცდომაა.

არსებობს სფინქსის გამოცანის მეორე ამონახსნიც: ადამიანი კანონზომიერად შექმნილი ჯანსაღი მოვლენაა, ღვთის შემოქმედების უმაღლესი მიღწევა, მაგრამ მან არასწორად გაიგო საკუთარი თავი და თავისი ცხოვრების მიზანი. ამიტომ სწორედაც შეცდომაა, ოღონდ არა ბუნებისა, არამედ — თავისი, საკუთარი. ადამიანი, მთელი თავისი საკაცობრიო ისტორიითა და პირადი ცხოვრებით, თავისივე შეცდომის შედეგია.

სწორედ ესაა ნათქვამი ბიბლიაში, კერძოდ — ცოდვით დაცემის მითში. ადამმა შესცოდა და მისი მოდგმის უბედურებანი ამ ცოდვის შედეგია. მითის ენა სწორად უნდა გავიგოთ: პირველი ადამიანის შეცდომიდან ისტორიულად კი არ გამომდინარეობს ადამიანის უბედურებანი, არამედ ადამი დღესაც ცდება ყველა ადამიანში.

„მდაბიო ენაზე“ ასე უნდა ითქვას: ადამიანი მუდამ მიდრეკილია შეცდომისკენ, რადგან შეცდომა ადვილია. ადამიანს იმთავითვე არასწორად ესმის საკუთარი თავი და თავისი ცხოვრების მიზანი. ფრიალ საინტერესოა: ივრითის ენაზე ერთი და იმავე სიტყვით აღინიშნება „ცოდვა“ და „მიზნის დაკარგვა“. ძველ ებრაელს ადამის შეცდომა, ცოდვა ესმოდა ვითარცა მიზნის დაკარგვა. ადამიანს მიზანი არ გააჩნია და ამიტომაც მისი ცხოვრება უაზრო. მიზანი მის ცალკეულ ქცევას აქვს და არა მთელ ცხოვრებას. ამიტომ ცხოვრება დაშლილია ქცევებად, ნაწყვეტებად. მათი მიზნები არ კმარა მთელი ცხოვრებისთვის, ანუ ისინი შინაგანად გაუმართლებელი ჩანს. ჩვენ ვაღწევთ წარმატებებს, მაგრამ არ ვიცით, თუ რისთვის. ცხოვრებას აკლია მძლავრი ღერძი, რის გარშემოც იტრიალებდა და საეჭვო აღარ იქნებოდა. ადამიანი თავს აღარ იგრძნობდა მოტყუებულად და შეურაცხყოფილად.

ნიცშე და ფროიდი, ჩვენი დროის ეს „ავცია დემონები“, ადამიანს სწულ ცხოველად მოიხსენიებენ. სწულს მკურნალს სჭირდება. მკურნალობისთვის კი დიაგნოზის დასმასა საჭირო. ყველაზე მეტად გამართლებული ჩანს ასეთი დიაგნოზი: ადამიანს არასწორად ესმის საკუთარი თავი და თავისი ცხოვრების მიზანი. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ძველ საბერძნეთში, დელფოს სამისნოზე აღბეჭდილ შეგონებას: „Gnosi sauton!“ (შეიცან თავი შენი!). ეს უნდა ჩაითვალოს „რეცეპტად“, ადამიანის უმთავრეს საქმედ, მისი ცხოვრების მიზნად და დანიშნულებად.

ბორბალიც უნდა შეიქმნას და ძრავაც, მფრინავი ხალიჩა და ჯადოსნური სარკეც, ალაღინის ლამპარიც და უჩინ-მაჩინის ქუდიც, მგონი, თვით ბაბილონის გოდოლიც კი, ოღონდ — ერთი წინასწარი პირობით: ადამიანმა უნდა შეიმეცნოს საკუთარი თავი!

შევეცადოთ გავერკვეთ ამ საქმის არსში.

საკუთარი თავის შემეცნება არ ხდება ცარიელ ნიადაგზე. მას აქვს აუცილებელი წინაპირობა — ის, რაც ზემოთ ვილაპარაკეთ. ბუნებრივ-საზოგადოებრივი ცხოვრების უაზრობის, ანუ სანუთროს ამაოების შემეცნება — აი თვითშემეცნების აუცილებელი წინაპირობა. ამიტომ ყველა, ვინც ასე გულუბრყვილოდ და შეგნებულად ებლაუჭება ცხოვრების „აზრს“, სინამდვილეში ხელს უშლის ამ აზრის მოპოვებას, საკუთარი თავის შემეცნებას. ბუნებრივი სიბრძნე, გულუბრყვილო მხარდაჭერა ცხოვრებისა, „ჰო“-ს თქმა ნუთისოფელზე, აგრესია ფილოსოფიური პესიმიზმის მიმართ — ეს ყველაფერი „ცოდვილი ცხოვრების“ ნაწილია და ხელს უშლის ადამიანის გამოფხიზლებას.

ამ საკითხში საინტერესო ადგილი უკავია რელიგიას. ყველა დიდი რელიგია საგანგებოდ აღნიშნავს ნუთისოფლის ამაოებას. აქ გამონაკლისს ტყუილად დავუწყებდით ძებნას. მაგრამ რელიგიის ყველაზე აქტიურ მრევლს სწორედ ყველაზე ცუდად ესმის რელიგია. ნუთისოფლის ამაოებაზე ლაპარაკი მათ ათეიზმად მიჩანიათ. ეს არაა გასაკვირი — ვისაც რელიგია არ ესმის, მას არც ათეიზმი ესმის. ათეიზმი, პირიქით, ნუთისოფელზე ჩამოკიდება და ცხოვრებით ტკბობაა. უღმერთოსთვის ნუთისოფელი ეჭვმიუტანელი ღირებულებაა. ხოლო ნუთისოფლის ამაოების შემეცნება რელიგიური ცხოვრების დასაწყისი და აუცილებელი წინაპირობაა.

ეს სრულიად კანონზომიერია, რადგან ნუთისოფლის ამაოების განცდას „მარადისობის კანონის“ განცდა განაპირობებს. თუ ადამიანმა იგრძნო „მარადისობის კანონი“, მას თანდათან ეუცხოება ნუთისოფელი, უკვირს მისი წარმავლობა, ამოიფხვს, უაზრო ძალისხმევა. მის თვალში „სოფლის ვენებანი“ მნიშვნელობას ჰკარგავს, „სიკეთე და ბოროტება“ სულერთი ხდება; მისი სიცოცხლის ძალა იშრიტება, დამბლავდება და ჩერდება. ის და „სხვები“ გაკვირვებულნი უყურებენ ერთმანეთს. მას ადამიანები ეჩვენება „ძე-შეცდომილებად“, ხოლო ადამიანებს ის — „ეშმაკეულად“. ადამიანთა ხმაურისა და საცხოვრისი მას ეჩვენება „უდაბნოდ“, ხოლო თავისი შეგონებანი — „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“. თავის მხრივ, ადამიანებს იგი ეჩვენებათ ეშმაკან და ეშმაკულ აჩრდილად.

აქედან უნდა დავასკვნათ: თუ ადამიანი გულწრფელად ლაპარაკობს „სოფლის ამაოებაზე“, მან უთუოდ „მარადისობის კანონს“ მოჰკრა თვალი. მას აღარ აინტერესებს ბორბალი, ცეცხლი და მფრინავი ხალიჩა, რადგან არაფერ ამას აზრი არა აქვს. ამიტომ ნაკლებად უნდა ვწუხდეთ ზევსის მიერ პრომეთეს დასჯის გამო. ტიტანმა ცეცხლი წარსტაცა ღმერთს და ადამიანებს ჩამოუტანა, მაგრამ საამისოდ ადამიანები არ მოუშზადებია, არ უსწავლებია მათთვის „ცეცხლის გამოყენება“. ცეცხლი საშიში, ღვთისსწორი სტიქიაა, „ღვთის საიდუმლოებაა“. ის გადაწვავს ნუთისოფელს, თუ ადამიანი არ მოემზადა მის მისაღებად. მთავარი იყო „შინაგანი ცეცხლის“ გაჩაღება ადამიანში. აი, რა იხსნიდა, რა უშველიდა მას. ვინც „მარადისობის კანონს“ მოჰკრა თვალი, მას ამიერიდან იზიდავს ერთადერთი რამ: ნათელჰყოფს იგი საკუთარ თავში და იცხოვროს მისი კარნახით, მის კვალდაკვალ.

ბიბლიის უდიდეს აზრად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მხოლოდ ადამიანია შექმნილი ღვთის ხატად და მსგავსად — მხოლოდ მას აქვს გონება და ნება. ამას წარამარა იმეორებენ, მაგრამ ნაკლებად ფიქრობენ ნათქვამის მნიშვნელობაზე —

რა არის გონებასა და ნებაში ღვთაებრივი? კერძოდ, რა ჰყრია, ერთი მხრივ, ვარსკვლავთმრიცხველობაში და, მეორე მხრივ, კოლუმბის მოგზაურობებში? აკი ვარსკვლავთმრიცხველობამ ანუ გონებამ არივ-დარია ზესკნელ-ქვესკნელი და გაანადგურა შორეული, ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცის ხიბლი; ხოლო კოლუმბის მოგზაურობამ მთელი დედამიწა საშოვარზე გამოსულ, გუდამშიერ ევროპელთა ძარცვის საგნად აქცია. ცოდნამ უბედურება მეტი მოიტანა, ვიდრე სიკეთე. ხოლო კოლუმბისა და მაგელანის გამიშლმა ნებაში, დაუცხრომელმა ენერგიამ ბიზნესის სისასტიკე და გულცივობა დაენერგა. მით უარესი, თუ ეს გულცივობა და სისასტიკე ევროატლანტურ ღმირშია შეფუთული და გახვეული.

რა არის მეთქი გონებისა და ნების ამ საკვირველ თავგადასავალში ღვთაებრივი? ღვთაებრივად განა ნადირთა ზომიერება და სიმშვიდე უფრო არ გამოიყურება? ხოლო ვარსკვლავთმრიცხველთა და კონკისტადორთა შემეცნებანი და საქმენი საგმრონი დემონური უფრო არ ჩანს, ვიდრე ღვთაებრივი?

პასუხი მზესავით ნათელია: ეს ასეა! უბრალოდ, არაა მიღებული, არა გვაქვს წესად ამის თქმა და აღიარება. ესე იგი, ჭეშმარიტება სიმშვიდეს ურღვევს სიცრუეში შეყუჟულ კაცობრიობას. მაგრამ მე ჭეშმარიტება მიჩვენია კაცობრიობის თათქარიძულ სიმშვიდესა და ძილს. დიახ, სძინავს კაცობრიობას. ადამიანები მძინარენი ომობენ და აღწევენ „წარმატებებს“. მათი ყველაზე მოარული და სახელმძღვანელო აზრები მძინარის ბოდვებია: „ევროპული ღირებულება-ნი“ და „დემოკრატიის მშენებლობა“, „თავისუფალი სამყარო“ და „წმინდა ნაწილების გადაბრძანება-გადმობრძანება-ნი“... „ვაი შენდა, ქორაზინა და ვაი შენდა ბეთსაიდა!.. და შენ კაპერნაუმი!“ — ნათქვამია ამის შესახებ მათეს სახარებაში (მათე 11, 21-23).

ბიბლიაში ადამიანის გონებასა და ნებას ღვთაებრივი ეწოდება ერთადერთი პირობით. გონება ღვთაებრივია ღვთის შემეცნების გამო, ხოლო ნება — საამისო ძალისხმევის გამო. თუ გონება ბიზნესგემის შედგენასა და სხვა სტატისტიკურ ხერგილებში ჩარჩა, ის არანაირად არაა ღვთაებრივი. ის ცხოველური გემის, მიხვედრილობის, უნარ-ჩვევების გაგრძელება, მათი ავადმყოფურად გადაჭარბებული, არაბუნებრივი ფორმა უფროა, ვიდრე ღვთაებრივი მადლი. ასეთი უნარის მქონე არსებას კი სახელად ბუნების მახინჯი სახეობა, „ავადმყოფი ცხოველი“ უფრო შეეფერება, ვიდრე — „ღვთის ხატება და მსგავსება“. ზუსტად ასევე: თუ ნება უაზრო და მავნებლური მიზნის აღსასრულებელ ენერგიად იქცა, მას ყველაზე ნაკლებად შეიძლება ეწოდოს ღვთაებრივი. მართლაც, ძლიერი ნება სჭირდება დანაშაულის ჩადენას, მაგრამ ვის მოუბრუნდება ენა ასეთი ნების ღვთაებრივ მადლად გამოცხადებისთვის?

გონება ღვთაებრივია და ამშვენებს ადამიანს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის ღვთის შესამეცნებლად იწრთობა და ვითარდება. მთვარემდე მანძილის შემეცნება, მათემატიკურ განტოლებათა შედგენა და ამოხსნა ასეთი წრთობა და ვარჯიშია გონებისთვის და არა მისი მთავარი საქმე. მიზანი სხვაა: საგანთა შინაგანი, წარუვალი, მარადიული ერთიანობის შემეცნება. ამიტომ შუა საუკუნეებში, ვთქვათ, გელათის აკადემიაში არ ცდებოდნენ, როცა მეცნიერების საბოლოო საზრისად საგანთა არსის შემეცნება მიაჩნდათ. ეს ჩვენი დროება ცდება, როცა „შუა საუკუნეებს“ სალანძღავ სიტყვად, ხოლო საგანთა არსის შემეცნებას ფილოსოფიას ზედმეტ ბარგად აცხადებს. ფილოსოფია ისე მძიმე საგანია, რომ მისი გადაგდების შემდეგ მეტისმეტი სიმჩატი დაისადგურებს. მართლაც, მჩატი ჩვენი დრო — ზედმეტი სიმჩატისგან ვარსკვლავებში ურევს ხელებს. სახარებიდან კი ისევ და

ისევ ისმის: „ვაი შენ, ქორაზინ და ვაი შენდა, ბეთსაიდა, და შენ, კაპერნაუმ!“ ეს სახელები მეტაფორებია. შეიძლება მათში ვაშინგტონი, ლონდონი და მოსკოვი ვიგულისხმობთ.

ნებაც ღვთაებრივია და ამშვიდებს ადამიანს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გონების ძალად გადაიქცევა. ეს არის ძალისხმევა, ავიტანოთ საწუთროსგან განდგომით გამოწვეული ტკივილები და ვიაროთ „დინების საწინააღმდეგოდ“, მხოლოდ გონებით დასახულ მიზნისკენ; ავიტანოთ ბედის დარტყმები და გასისხლიანებულებმა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ „მარადისობის კანონით“; წუთისოფლის მღვრიე და ნავიგანი ზვირთების ამ დაუმიჯნავ ბოროტებაში თვალი არ მოვაცილოთ შუქურ-ვარსკვლავს და მხოლოდ მისკენ ვიაროთ. უნდა გვახსოვდეს: ცხოვრება ბრძოლაა, ხოლო ტკივილი და სიკვდილი — გარდუვალი. საქმე მხოლოდ ერთს ეხება: რომელ ტანჯვასა და რომელ სიკვდილს აირჩევ. დიდი ცხოვრება დიდი ტკივილი და დიდი სიხარულია. პატარა ცხოვრება კი — კნინი ტკივილი და კნინი სიხარული, თითქმის უსიხარულო ცხოვრება.

აი, ამ არემარეში უნდა ვეძებოთ ქვეყნად ადამიანის გაჩენის მთელი საიდუმლოება. ადამიანი ჩნდება არა იმისთვის, რომ მოიხმაროს გარესამყარო, არამედ იმისთვის, რომ მიხედოს თავის დანიშნულებას და მიაგნოს საკუთარ თავს; აქციოს თავისი „ბუნებრივი გონება“ და „ბუნებრივი ნება“ — ღვთაებრივ უნარებად. ამით მიაგნებს თავის თავში ღვთის მიზანსა და ჩანაფიქრს, იქცევა ღვთის ხატებად და მსგავსებად. მანამდე ის მხოლოდ შესაძლებლობა იყო ამისა, ახლა კი იქცა სინამდვილედ. მან შეიმეცნა თავისი თავი და ამით იქცა თავის თავად, ადამიანად. ეს ფაქტობრივად ღვთაებრივი აქტია და სწორედ ამით მთავრდება შემოქმედება.

ამიტომ ადამიანის „ბუნებრივ-საზოგადოებრივი“ ცხოვრება შემოქმედების ჩავარდნად უნდა განვიხილოთ. წუთისოფელში გაჩხერილი ადამიანი კომედიის საგანია, წუთისოფელზე ამალღებულ ადამიანს კი — ტრაგედიის საგანი. „ბუნებრივ-საზოგადოებრივი“ ადამიანის სიცოცხლე და სიკვდილიც ერთნაირად სასაცლოა, პიროვნების სიცოცხლე და სიკვდილი კი პატივისცემას იმსახურებს. „ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა“ და „სამოქალაქო მოვალეობებზე“ ლაპარაკი ადამიანის დამცირება და მისი დემაგოგიური წაქეზებაა ბოროტებისკენ. უმთავრეს უფლებას — უფლებას ადამიანად ყოფნისა ადამიანი თვითონ ანიჭებს საკუთარ თავს. ეს არავის საბოძვარი და საწყალობელი არაა. ხოლო ადამიანად ყოფნის უმთავრეს მოვალეობას ადამიანი თავისი შემეცნებით აგნებს და თავისივე ნებით ინებს. ეს არავისგან ისწავლება და არც არავისგან მიიღება გარედან.

ბუნება ადამიანს აერთიანებს მცენარეებსა და ცხოველებთან. საზოგადოება ადამიანებს აერთიანებს მისსავე მსგავსებთან. გონება კი ადამიანს აერთიანებს „ღმერთთან“ — მთელ ქვეყნიერებასთან, სამყაროს ერთიანობასთან, მის სულობასთან. პირველ შემთხვევაში ადამიანი სხვა ცოცხალ არსებებს ჰგავს, მეორეში — სხვა ადამიანებს, ხოლო მესამე შემთხვევაში — საკუთარ თავს ანუ ღმერთს. პირველ ორ შემთხვევაში ცხოვრება იზომება მისი ხანგრძლივობით და ნივთების ფლობით, მესამე შემთხვევაში კი — სიღრმით და თავისუფლებით. პიროვნებას — პირიქით, ნივთებისა და სხვა ადამიანთაგან ზედმინევიან და მოუკიდებლობა სჭირდება, ხოლო ფლობა — მხოლოდ საკუთარი თავისა. აი ესაა თავისუფლება ვითარცა პიროვნების ცხოვრების წესი და ყველა სხვა თავისუფლება, „გამოხატვის თავისუფლებისა“ და „სექსის თავისუფლების“ ჩათვლით, მხოლოდ მონობის თავისებური ფორმებია.

სადაა პიროვნება თვითშემეცნებამდე, საკუთარი თავის შექმნამდე? ის, ვითარცა შესაძლებლობა, დამარხულია სი-

ნამდვილის, კერძოდ, ადამიანის სიღრმეში; დამარხულია, ვითარცა განძი თვალისმომჭრელი. ამიტომ ყველა ეთნოსისა და კულტურის ისტორიაში იქმნება მითოსური პარადიგმა — დიდი სათავგადასავლო, ავანტიურული მოძრაობა „განძის“ მოსაპოვებლად!

თვითშემეცნების ასეთი მითოსურ-ლიტერატურული ალეგორიაა ლაშქრობა მშვენიერი ელენესთვის, ოქროს სანმისისთვის, გრაალისთვის, ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად. ეს ყველაფერი მხატვრული სახეა თვითშემეცნების უდიდესი აქტისა. პოეტური გენია ალტკინებულისა შორიდან მოციმციმე მშვენიერი განძით. ამით გამოთქმულია ადამიანის ცხოვრების მთავარი იდეა, ადამიანის მთავარი საქმე და საკეთებელი — საკუთარი თავის დანახვა, მიგნება, მოპოვება. უფრო დიდი საქმე არ არსებობს. ყველა სხვა მიზანი მხოლოდ მთვარეულის ილუზიაა, ბოდვიანი ხსენებაა ამ მთავარი საგნისა და სიტყვისა.

ბერძენები დიდი წარმოდგენისა იყვნენ შემეცნებაზე. ამიტომ **სოკრატე** ამბობდა: ვინც სიკეთეს შეიმეცნებს, ის მოიქცევა კიდევ კეთილად. აქ ამოსარჩევი არც არაფერია. ამიტომ სოკრატეს წინაშე არც დამდგარა **არჩევანის** პრობლემა. შეიძლება ითქვას, რომ ანტიკურობა არც იცნობს ამ პრობლემას. სოკრატეს შეეძლო ეთქვა: ადამიანი გონებითა ჰგავს ღმერთს, რადგან თვითონ ღმერთიც გონებაა. მაგრამ **არისტოტელედან** შემეცნების დაცემა იწყება. ის ლოგიკურ დასაბუთებათა მანკიერ წრეში ექცევა. ამიტომ კეთილი ქცევისთვის არისტოტელეს საკმარისად არ მიაჩნდა გონება. შეიძლება ვიცოდეთ კეთილი, მაგრამ ვიქმოდეთ ბოროტსო, იტყოდა იგი აპოსტოლივით. აქ ნების როლი იზრდება და არჩევანის პრობლემა დგება.

ჩვენი დრო არისტოტელეს ტრადიციაზეა დაყუდებული და ნებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ შეიძლება ჩვენი საკითხი ასე დავსვათ: როგორ ეფარდება ერთმანეთს თვითშემეცნების აქტში გონება და ნება? შემეცნება უფროა ის თუ შექმნა, აზროვნება თუ არჩევანი?

ჩვენი პასუხი მარტივია: ვისაც გონება ჭარბად აქვს მომადლებული, მას არჩევანი ნაკლებად უწევს. ხოლო ვინც შედარებით ნაკლებადაა დაჯილდოებული გონებით, მას უფრო მტკივნეული არჩევანი ელოდება. ვინც ნათლად შეიმეცნებს „მარადისობის კანონს“, ის ეკუთვნის კიდევ ამ კანონს მთელი არსებით და ცხოვრობს მის კვალდაკვალ. ნების დაცემა საჭირო არაა.

მაგრამ ბევრად მეტ შემთხვევაში ადამიანი შორიდან, რაღაც მანძილიდან უჭერტს ამ კანონს და შედარებით ბუნდოვნად შეიმეცნებს მას. ამიტომაც საგანგებო ძალისხმევა, შინაგანი ენერჯის დახარჯვა, საკუთარი თავის წინააღმდეგ სვლა სჭირდება, რათა სახელმძღვანელოდ, შუქურ-ვარსკვლავად აღმართოს იგი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ გამორიცხულია ჭეშმარიტების გარანტია და ამით ძალმოცემულ აბრაამის ბიბლიური სიმშვიდე. შავი ლანდებივით აგედევნებიან ამ გზაზე ზემოხსენებული ავყია დემონები და უკან დაბრუნებისკენ მოგინოდებენ. ჭეშმარიტებისთვის შენს ალტკინებს ისინი დასწეულებად და ნევროზებად განმარტავენ. ამიტომ „სიბრძნე“ აღარ კმარა და მძლავრი ენერჯიაა საჭირო საბედისწერო ვაბანკზე წასასვლელად.

არა, ანგელოსების ციური ფრენა და კრიალა მუსიკა აქ არ არსებობს. ბურუსებიდან კი პოეტის სიტყვები ისმის: „გაახელ თვალებს — იქნება გვიან, დახუჭავ, მაინც ცა არ ენთება... იარე, კაცი შენ აღარ გქვიან, შენთვის არასდროს არ გათენდება... იკვილებ მაშინ, მაგრამ არსიდან არ გიპასუხებს უდაბურება; იარე, გზები უშინაარსო ისევ ბურუსით დაიბურება!“

ნელი ბატიაშვილი

„არც გამარჯვებულია ვინმე და არც დამარცხებული“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?

— როცა მას, ვისაც შენი იმედი აქვს, იმედს უცრუებ, თავად ჩიხში მოქცეული.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— მეცხრე საუკუნის ჩინეთში, როცა ჩინეთის ძენ-ბუდიზმში ლინ ძი ბობოქრობდა. მან ძენი რამდენიმე ისეთი „ილეთით“ გაამდიდრა, შოკში რომ აგდებდა გასხვიოსნების მაძიებელს. სწორედ ეს შოკი აყენებდა მათ სწორ გზაზე. 28 მოწაფე მიიყვანა გასხვიოსნებამდე. იქნებ ჩემზეც გადაველო მისი „ილეთების“ ქარიშხალს.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— რა თქმა უნდა, მწუხარე სახის რაინდი, შეყვარებული „უდულსინესეო“ დულსინეაში და მისი უმცროსი ძმა — სირანო.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ჟანა დ'არკი.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“... თუმცა ასეთმა წუთებმა უიმპიათესად იცის სტუმრობა.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ჩინელი მხატვრები, რომელთა პეიზაჟებიც ხატებად არის მიჩნეული.

„მინდა შენი დახატვა“ — უთხრა მხატვარმა ბუდას.

„სჯობს ჩემი ანარეკლი დახატო“ — მიიღო პასუხი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მალერი. თუმცა არის ერთი მოდერნისტი, რომლის სიმამაცემაც სრულიად ამაღლევა. მან შეძლო და სიჩუმეში ამყოფა მსმენელი 4 წუთისა და 33 წამის განმავლობაში, აიძულა, მოესმინა გვერდით მჯდომის სუნთქვისათვის, დარბაზის გაოგნებისათვის, თავისი შინაგანი ჟღერისათვის. ამ ნაწარმოებს სიჩუმის „4, 33“ ჰქვია. მისი გვარია ჯონ კეიჯი. სხვათა შორის, ძენ-ბუდისტი ვახლდათ.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში? ქალში?

— მათ ერთნაირად შეუძლიათ მწვერვალისაკენ მიმართონ სულისკვეთება, ერთნაირად შეუძლიათ გაძლიერდნენ სასონარკვეთითაც კი, ერთნაირად შეუძლიათ დაცემაცა და ნამოდგომაც...

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი?

— გაცემა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— საჩუქრის შერჩევა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— არც იმდენად ვარ შეყვარებული საკუთარ თავში, სხვის ტყავში ყოფნის განცდა არ მსურდეს, მაგალითად, მიუნჰაუზენის ან მოლა ნასრედინის ტყავში ყოფნისა. საინტერესოა, რას დაგვასვავებდი.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— იუმორს.



— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სპონტანურობა.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ისევ და ისევ სპონტანურობა. ბევრჯერ შევურცხვინივარ.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— გაიმარჯვო ფენომენტა თარეშზე.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— სხვის მიერ მიგნებული სიტყვებით ქყიპინი.

— როგორი გინდობათ ყოფილიყავით?

— იუმორით სავსე.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— თეთრი. მშობელი ყველა დანარჩენი ფერისა.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ლოტოსი. ის ყოველთვის მახსენებს მალერის მუსიკასთან დაკავშირებულ სიტყვებს, — „ქუჩაში კი იწყება სიცოცხ-

ლე, მაგრამ უსასრულობაში თავდება“.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— წერო.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— თუ საყვარელი მწერალი ისაა, რომელთანაც სულიერ სიახლოვეს გრძნობ და შენი მსოფლგანცდა მისას ეხმიანება, მძიმე წუთებში მასთან მიდიხარ, ისაა შენი საყრდენი, მაშინ მე მყავს იგი, — ესაა ჰერმან ჰესე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ბარათაშვილსა და ვაჟაზე რომ არაფერი ვთქვა, ძენ-ბუდისტი და სუფისტი მისტიკოსები. რა სჯობს ჯალალედინ რუმს, თუმცა სახელი ქართველთაგან დანწყველილი აქვს.

„ლომი ვართ, მაგრამ დროშის ფრთებზე ვმძლავრობთ და ვმარდობთ, გვიბერავს ქარი და ჩვენც ვმფოთავთ, ესა ვართ მარტო“.

ხელის ერთი მოსმით მიგვიჩინა ადგილი.

და რა თქმა უნდა, იაპონელი ტანკისტები.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— თინათინი, მზესაც რომ სწუნობდა და მაინც, — ჯერ სხვა და მერე მეო...

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— მყავს ასეთი, — დამენია, 2008 წლის ომის აღმატებულება, სხვისთვის განკუთვნილი სიკვდილისათვის საკუთარი სხეულის დახვედრება.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევანი — ქართველთა ტკივილი, რწმენა, სხივმოსილება.

— საყვარელი სახელები?

— დუდანა, — მოალერსე, თბილი.

ლუარსაბი — სახელი მეფეთა. როგორ დაამცრო ილიამ...

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ლოდინს ვერ ვიტანდი. კბილის ექიმსაც კი ვარიდებდი თავს, ვიცოდი, ლოდინი არ ამცდებოდა. ახლა კი ლოდინის გარეშე სურვილის ასრულების სიხარულსაც ვერ ვგრძნობ. ასეა, ყვე-

ლაფერი იცვლება ჩვენს გარშემო და იცვლება ჩვენი დამოკიდებულებაც მათ მიმართ. ამიტომ ვერ ვიტან ავტობიოგრაფიის დაწერასაც. ასე მგონია, სხვაზე ვწერ და ვიტყუებ. და კიდევ, უდიერად რომ მომექცენ, იქნებ ვერც ვუპასუხო, იმდენად ვიბნევი, მაგრამ თუ მოწმე ვაგხვდი სხვისი შეურაცხყოფისა, ვცოფდები.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ყველაფერი შადიმანური.
— საომარი მოქმედება თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— რისკი.
— რეფორმა, რომელსაც განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ბატონ-ყმობის გაუქმება.
— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— მინდა დერვიშივით ვცეკვაავდე.
— როგორი გინდათ გარდაიცვალოთ?

— კარგიც მინახავს და ავიც. უბედურებასაც არაერთხელ ვაგხვდებოვარ და მთელი არსებით მწამს, — არც გამარჯვებული ვინმე და არც დამარცხებული. თავის დროზე სიკვდილსაც მინდა შევხედო სახეში, იმას, ვისაც თავი ყოველთვის გამარჯვებული ჰგონია.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
— მლეღვარე.
— ქმედბანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— არცოდნა არცოდვია.
— თქვენი დევიზი?

— ყველაზე ადრეული — „რა დროს ძილია“. მაშინ მართლაც ცოტა მეძინა. მას „შემთხვევითობის უპირველესობა“ მოჰყვა, მერე „განზრახვის უარყოფა“, შემდეგ „Memento mori“. მის ჟღერას დღესაც აღფრთოვანებაში მოვყავარ. სიმღერაა, მუსიკა. უცებ გაფხიზლებს, როგორც მოსახვევში ჩასაფრებული ქარი ან ნვიმის ცივი ნაკადი. დღეს კი „ახლა და აქ“ „გახსოვდეს სიკვდილის“ უშუალო შთამომავალი.

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ღმერთმა, არა მგონია, ჩემთვის მოიცალოს. ალვით გეჭიროს სამყაროები და მართავენ მათ, ხუმრობა საქმე როდია. ვისურვებდი იმდენად მზადმყოფს გადამელახა სტიქსი, ადრე გადასულთა ნიავქარისა თუ სურნელისათვის შემეგებებინა — „აჰა, მოვედი“.

გალაკტიონს ვერც ამჯერად ავცდი.

შოთა ქურდაძე

ერთი თემის სემინარული დამუშავების შესახებ

(ანუ ლეგენდის პროტოქარტოქელური საფუძველი)

ამ თემის სემინარული დამუშავება შესრულდა გორის უნივერსიტეტის მაგისტრალური სტუდენტების კურსებზე. ამას საფუძველი შეუქმნა, სხვა მასალებთან ერთად, პაატა იაკაშვილის სტატიის გამოქვეყნებამ ასეთი სათაურით „ატლანტისის საიდუმლო, ანუ ევროპის დაბადება“ (ლეგენდის პროტოქარტოქელური საფუძველი) ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე (№13, 2014).

სტატიის დასაწყისში ვკითხულობთ: „ტ. გატეფოესესა და კ. რუსის ბიბლიოგრაფიაში მითითებულია, 1920 წლისათვის 1700 ნაშრომი არსებობდა ამ ლეგენდაზე. სადღეისოდ კი, 6000-ზე მეტი უნდა იყოს და ეს გასაკვირი არ არის“.

ბევრ ევროპელ ცნობილ მეცნიერთან ერთად ამ თემას არაერთი ქართველი მეცნიერი სწავლობს. ამათგან ერთ-ერთი პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ პროფესორი აკაკი ურუშაძე, რომელმაც საყურადღებო ცნობები გამოაქვეყნა პელასგთა და ქართველთა შორეული ურთიერთობის შესახებ: იგი წერს, საგულისხმოა, ერთი მხრივ, აგათიას სქოლასტიკოსის დაკვირვება: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამასობა კოლხთა ძველი სახელით და ზომამზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია, არცთუ ისე უსაფუძვლოდ... მე არ მეგულება სხვა ტომი ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც სიმდიდრის სიუხვით და ქვეშევრდომების სიმრავლით, ისე მინა-წყლის სიკეთით, მოსავლიანობის სიჭარბით და ზნე-ჩვეულებათა სიმწყობრით და დახვეწილობით“ (აკაკი ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თხზულებებში, 1964 წ. გვ. 9). (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩემია).

მეტიც, იგი აღნიშნავს, რომ: „არგონავტების თქმულების გადმოცემებში დაცულია მრავალი ცნობა წინარე ელინური მოსახლეობის — პელასგების და მცირე

აზიული კავკასიური - ქართველთა წინაპარი ტომების მჭიდრო გენეტიკური კავშირების თაობაზე. ამ ცნობებით ირკვევა, რომ მერმინდელი ელადის სხვადასხვა ადგილებში წინაბერძნული ე.ი. კრეტა-მიკენის ადრეული კულტურის შემქმნელი პელასგები ქართველ ტომთა დასავლური გაერთიანებების წარმომადგენელი ტომები იყვნენ“ (იქვე).

საქართველოში ლეგენდის შესწავლის ფართო საფუძველის შექმნა დაკავშირებულია „გეორგიკის“ გამოცემასთან, რომელშიც პროფესორმა სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოთქვა აზრი პელასგებისა და ქართველების ურთიერთობის შესახებ.

ეს მოსაზრება კიდევ უფრო გააღრმავა პროფესორმა რისმაგ გორდენიანმა შრომაში „ქართველური მედიატრანული მიმართებები“. მაგრამ საჭირო იყო შემდეგში ამ მეცნიერული ნიაღვრის სათანადო გაგრძელება. ეს გააკეთა, წერს პაატა იაკაშვილი, გია კვაშალავამ.

სტატიაში ვკითხულობთ: „უდაოა, რომ კრეტის მინოსური სახელმწიფოს კულტურა საფუძვლად დაედო ევროპულ კულტურას. კრეტა პლატონისეული ატლანტისის პროტოტიპია, ამიტომ ეს ცივილიზაციული როლი, რასაც ატლანტელებს ანიჭებდნენ, ნაწილობრივ კრეტულ პელასგებს ეკუთვნით, ნაწილობრივ პროტოქართველებს, ტომებს, რომლებმაც ევროპაში მევენახეობისა და მეღვინეობის, მინათმოქმედებისა და მეღვინეობის განვითარებას შეუწყვეს ხელი“ (გვ. 9).

დაბოლოს, ბევრი საერთო ჩანს პელასგელთა და ქართულ ზეპირსიტყვიერებას შორისაც. ამ მხრივ არაერთი საინტერესო დეტალის მონახვა შეიძლება ცნობილ ზღაპარში „ნიქარა“ და „პელასგურ-მინოსურ“ ხარს შორის და სხვა.

თამრი ფხაკაძე

მატარებელი არ მოვა

მოქმედი პირნი:

- პოეტი
- მენარმე
- ქალი
- მწირი
- გოგო

(იწყება სპექტაკლი. სცენა — მიკარგული ადგილი. მარცხენა კუთხიდან გამოდის ლიანდაგი, რომელიც შუა სცენიდან მის სიღრმეში შეუხვევს და იკარგება სიშორეში. გარემო სიურრეალისტურად უდაბური და მიტოვებულია. ლიანდაგი ბალახმოდებული და ალაგ-ალაგ აყრილია. ყველაფრიდან ჩანს, რომ მატარებელი აქ საუკუნეა, არ გამოუვლია...)

ულერს ოდნავ მისტიკური მუსიკა.

სცენის მარცხენა კუთხიდან ლიანდაგს გამოყოფილი პოეტი შემოდის. თავიდან ის ვერც ამჩნევს სადაა, რადგან ლექსის შეთხზვითაა გართული.)

პოეტი: (არეულად გამოსცქერის ჯერ დარბაზს, მერე ცას ააჩერდება... ფეხქვეშ არც იყურება) — რამხელა ცაა!... რა მარტივად... (ძალზე ემოციურად და პათეტიკურად) შეუცნობელი!! (პაუზა. თმას აიბურღავს. ზურგჩანთას მოიხსნის და დაავდებს ლიანდაგზე, რომელსაც კვლავ ვერ ამჩნევს) რამდენი გზაა! (ერთბაშად დაღონდება, თავს ჩაქინდრავს) შენ მოგიყვანს არცა რომელი... (რელსზე ჩაჯდება. სიგარეტის კოლოფს ამოიძვრენს უბიძგან, მოიმარჯვენებს სანთებულას, სიგარეტს. გარემოს უწინდებურად ვერ ამჩნევს... (ერთბაშად, ძალიან აგრესიულ-ვენებინად) შენი თვალები — ორი შავი გამოქვაბული! (თავისთვის) ვაჰ... კარგია! შენი თვალები — ორი შავი გამოქვაბული... (განისმის უცნაური ფრინველის მოძახილი, ჭოტის კვილივით)

პოეტი: (შეკრთება, ნელა, მძიმედ ნამოდგება და ახლალა მიმოიხედავს. დაბალ ხმაზე აუღრღობს იგივე მისტიკური მუსიკა) სად ვარ? (გარემოს აკვირდება. იხსენებს) ჩვენ მიუყვებოდით ასფალტთან გზას... მე უკან მივყვებოდი იმათ. მოვდიოდით ჩემთვის და ვფიქრობდი თვითმკვლევლობაზე... ანუ — როგორ ჯობს: ტყვიით... თოკით... წყლით... ნამლით... ერეკლე, ნათია და ბოდლერა ოდნავ წინ იყვნენ. ნათიას უკვე ნათქვამი ჰქონდა, რომ ერეკლესთანაა. მერე... ვუყურებდი ცას და ნამოვიდა ლექსი. მერე აღარ მახსოვს. აქ მოვსულვარ, ამ რაღაც მიკარგულ ზონაში... (ისევ გაისმის ჭოტის თუ უცნაური ცხოველის ხმა)

პოეტი: (ფეხქვეშ იყურება) ლიანდაგი... ლიანდაგი... აჰააა! ესე იგი — ანნა კარენინა... კაცია მუნჯაძე... გამოდის რომ (ალმომჩენით) ლ ი ა ნ დ ა გ ი?! ანუ, მატარებლის ქვეშ შევარდნა? გამოდის, რომ ამ მივარდნილ ადგილას, რელსებზე იმიტომ აღმოვჩნდი, რომ ეს... მინიშნებაა??? ეშმაკისგან, რა თქმა უნდა! (კულისებიდან რაღაც ხმაური მოისმის ყრუდ, რკინის გარახუნება თუ ტოტების ლანალუნო... კაცის ხმა: "ტფუ, შენი!..." პოეტს არ ესმის ეს არაფერი)

პოეტი: (პათეტიკურად) უარყოფილი შენგან გულგრილად, (დაღმავალი ინტონაციით) მე შემოიფარა თავად სატანამ... (მოიწყენს. ისევ ჩამოჯდება რელსზე) მან (პროზად აგრძელებს) დამიგო საბან-გობანი რელსებზე და ჩამიურჩულა: „ძილი ნები-სა, იდიოტო“... (პოეტი რელსებზე დაწოლას ცდილობს. ხან ასე განვება, ხან ისე, ხან სიგრძეზე, ხან — სიგანეზე... ცდილობს, ხან ლოგინის მყუდრო პოზა მიიღოს, ხან — თეატრალურად გადაიშხლართება ყელგადავებული. იგრძნობა, რომ თვითმკვლევლობის თემა მისგან შემოთავაზებული ფარსია, თეატრალური თვითირონია და არა რეალობა)

პოეტი: ასე... (თეატრალურად იცვლის პოზას) არა, ასე (ისევ იცვლის პოზას)... არა, ასე უკეთესია... (სცენის მარჯვენა მხრიდან მობილურზე ლაპარაკ-ლაპარაკით გამოდის მენარმე).

მენარმე: (საქმიანად საუბრობს მობილურით, თან გარემოს აქტიურად ათვალთვლებს, თავს აქეთ-იქით ატრიალებს, პოეტსაც შეამჩნევს, რომელიც კარგა ხანს ვერ აღიქვამს მის ხმას და განაგრძობს რელსებზე „მორგებას“) გასაგებია. დაინგარამეთ ყველაფერი ცენტების სიზუსტით. არა. შეიძლება პროცენტზე არ ვთანხმდებით. ექვსი. მეტი არა. და რაც მთავარია, ის მილიონ-ნახევარი... ალო! ჰჰჰ, ჰჰჰჰჰ! ჯანდაბა! კავშირი განწყდა! (თვითონ რეკავს) არ იჭერს აქ... (უფრო ღრმად შემოდის სცენაზე, ათვალთვლებს გარემოს) ეგეთი რა ზონაა... (თავზე ნამოადგება პოეტს, რომელიც ახლალა დაინახავს კაცს)

პოეტი: (უკმაყოფილო) არა რაა, რა დედამინა და რა სტუდენტობის საერთო საცხოვრებელი! ესეც შენი უკაცური ზონა და ეშმაკის შემოთავაზება!

მენარმე: (დამცინავი გაკვირვებით) ბატონო?

პოეტი: ისეთი არაფერი. უფრო სწორად, კი ბატონო, გეტყვით: ამ ერთი შეხედვით უდაბურ ადგილას თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ... (ხელებს შლის, იღიმება) ვაგლახ! როგორც ხედავთ...

მენარმე: ხელი შევიშალე, არა? (თან დაკვირვებით ათვალთვლებს ლიანდაგს, სახეზე დაინტერესება და კმაყოფილება ესახტება. სიხარბეც კი)

პოეტი: (ხელებს შლის) ვერ უარვყოფ.

მენარმე: შენ განაგრძე, განაგრძე. (თან იხრება, ლიანდაგს ათვალთვლებს) ჩემი ნუ მოგერიდება. (საქმიანად) როგორც ვხედავ, გინდა, მატარებელმა გადაგიაროს, არა?

პოეტი: დიას. (ხელებს ბორბლების რკინიგზით დაატრიალებს) დდგ-დდგ-დდგ... კიდევები, კორდები, / ხიდები და ბონდები/, (სასაცილო შესტებით მენარმეს) ბევრჯერ გამახსენდებოდა, ბევრჯერ მომეგონებოდა! (მენარმე შესტყვის დამცინავი სიბრალული, როგორც გიჟს) მიქრის მატარებელი, ჩქარი მატარებელი, ჩქარი მატარებელი, ჩქარი მატარებელი... (მენარმე: (დამცინავად) ჩქარი მატარებელი! ჩქარი მატარებელი!! ესე იგი, ჩქარი მატარებელი გინდა გადაგიარახუნდეს ზედ არა? (პოეტი სასაცილოდ, მძლავრად უკანტურებს თავს) კი ბატონო! (მობილურს კვლავ მოიმარჯვენებს) მიდი, მიდი. მე ხელს არ შევიშლი, ჩემო კარგო. აგერ, სასწრაფოდ დასარეკი მაქვს (საქმიანად კრეფს ნომერს) აქ არ იჭერს (გადაადგილდება) არც აქ... (ისევ გადაადგილდება) არც აქ...

პოეტი: (დარბაზს) ეს, შემთხვევით, თ ვ ი თ ო ნ ხომ არ არის? (მენარმეს) უკაცრავად... დიდი ბოდიში, თქვენ შემთხვევით... ეშმაკი ხომ არ ბრძანდებით?

მენარმე: (აყვება) არა, გენაცვალე, გეშლება. მე მენარმე ვარ. მცირე მენარმე. კონცერნ „ტრანსფორმერის“ გენერალური დირექტორი.

პოეტი: (თავისთვის) უყურე შენ!

მენარმე: და შენ ალბათ... (დემონსტრაციული, დამცინავი მოკრძალებით) შენობით რომ გელაპარაკები, ხომ არ გწყინს? (თან მობილურით დადის, ეძებს კონტაქტს)

პოეტი: (შესაბამისი ტონით) არა, არა, რას ბრძანებთ.

მენარმე: შენ ალბათ... პოეტი, არა?



დაინგარამეთ ყველაფერი ცენტების სიზუსტით. არა. შეიძლება პროცენტზე არ ვთანხმდებით. ექვსი. მეტი არა. და რაც მთავარია, ის მილიონ-ნახევარი... ალო! ჰჰჰ, ჰჰჰჰჰ! ჯანდაბა! კავშირი განწყდა! (თვითონ რეკავს) არ იჭერს აქ... (უფრო ღრმად შემოდის სცენაზე, ათვალთვლებს გარემოს) ეგეთი რა ზონაა... (თავზე ნამოადგება პოეტს, რომელიც ახლალა დაინახავს კაცს)

პოეტი: დიახ. შეუმდგარი.
მენარმე: არ იჭერს! (ისევ ისმის ჭოტის კვილი) მერე რაო, გადაიფიქრე თავის მოკვლა?

პოეტი: არა. როგორ გეკადრებათ. უბრალოდ, ვიდრე მატარებელი გამოჩნდება, ერთ ღერს კიდევ მოვწევ (უკიდებს)

მენარმე: (ჩაიცინებს) ჰმ! ვიდრე მატარებელი გამოჩნდება!... (ლიანდაგზე დადის, ისევ ათვალეურებს) არა, პოეტი კი ხარ, მაგრამ... შეუმდგარიო, ხომ თქვი?!

პოეტი: დიახ. სავსებით შეუმდგარი. ასე პროცენტით!

მენარმე: მერე? მატარებელი აქ არასდროს რომ არ გამოივლის, ვერ ხედავ?! დააკვირდი ლიანდაგს! აჰა! შეხედე! ასე წელი მაინც იქნება, რაც აქ არ გამოუვლია!

პოეტი: ვის?

მენარმე: ვის კი არა, რას! მატარებელს არ გამოუვლია! ნახე, ლიანდაგზე ბალახი როგორაა აბიზინებული. აი აქ, რელსები საერთოდ აყრილია. (პოეტი რელსებს აცქერდება)

მენარმე: ხედავ ახლა?

პოეტი: კი. თქვენი წყალობით დავინახე.

მენარმე: მერე? რა არის, შენი აზრით, რელსებზე ამოსული ბალახი?!

პოეტი: (მხრებს იჩეჩავს) ჩემი აზრით, პოეზიაა.

მენარმე: (გაოგნებულია) პოეზია?! არა, მართლა მოსაკლავი გქონია შენ თავი, ბიჭო. საერთოდ არაფერი გესმის ცხოვრების! მისმინე: (ნელა, დამარცვლით უხსნის) ეს ყველაფერი — ეს ამდენი რელსი და ამდენი შპალი — სარკინიგზოდ უმაქნისი რკინა და ხეა. სამაგიეროდ — ტონობით ჯართია! და ტონობით ხე! პოეზია კი არა — ჯართი!! მიხვდი? და ეს რას ნიშნავს?

პოეტი: რა, ჯართი?

მენარმე: ჰო, ჯართი!

პოეტი: რას. პროზას?

მენარმე: ფულს!!!

პოეტი: (პაუზა) ფუი, რა საშინელებაა! თქვენს საზოგადოებაში თავის მოკვლის სურვილიც კი დაგვკარგე!

მენარმე: (პოეტს დაივინებს და გადაეშვება ფინანსურ გათვლებში. დადის რელსებს აკვირდება) ესე იგი, ესაა... P-50 რელსი. ანუ... ანუ მეტრი 50 კგ. ერთი რელსი სიგრძეში (ნაბიჯებს დგამს) 12 და 5. ანუ 12 და 5 გავამრავლოთ 50-ზე... (კალკულატორს ჩართავს) ანუ, ესეც შენი... ეეეეე... 625კგ! ეს მხოლოდ ერთი რელსი! და რამდენი 12 და 5 შედის კილომეტრში? თანაც, ორივე მხარე გაითვალისწინე! ესე იგი... (ისევ მოიპარჯვებს კალკულატორს) 1000 გავყოთ 12 და 5-ზე... და გავამრავლოთ 2-ზე...

პოეტი: არა, აქ ყოფნას ისევ სიცოცხლე მირჩევნია! (დასტაცებს ხელს ზურგჩანთას და ნასვლას აპირებს. უცებ ბულბული იწყებს გალობას. პოეტი შედგება. უსმენს). არც ეს გესმით, არა?

მენარმე: ესე იგი, 160 გავამრავლოთ 625-ზე...

პოეტი: არა, არ ესმის... (ცოტა ხანს კიდევ უსმენს გალობას და გადის)

(სცენაზე მეორე მხრიდან შემოდის მწერი. ორმოც წელზე მეტი ხნის მამაკაცია. გრძელი, წუჭყიანი, შემორღვეული ლაბადა აცვია. უბადრუკი, დარღვეული ქუდი ახურავს. ფეხსაცმლიდან თითი მოუჩანს. თხელი, მოუვლელი წვერი აქვს. კოჭლობს)

მენარმე: (ანგარიშობს, მწერს აღიქვამს და ოდნავი ზიზღითაც ათვალეურებს, თან თავის საქმეს აგრძელებს) მა-შა-სა-და-მეე... 160 გამრავლებული 625-ზე არის...

მწერი: (ლიანდაგს შენიშნავს. ჩაიმუხლებს. ბალახს მოგლეჯს და დაყნოსავს. მერე ცას ასცქერის. რაღაცას ბუტბუტებს ლოცვასავით) იწვიმებს...

მენარმე: ას სამოცი 625-ზე... (მწერს) ესეც შენი 100 000!

მწერი: ასიათასი რა...

მენარმე: კილოგრამი, რა! კაი ბლომად მძიმეა, არა?!

მწერი: (თავისთვის) ჩემი ცოდვა ბევრად უფრო მძიმეა... (ისევ ბალახით დაკავდება. ხელისგულს უხვამს. ეფერება)

მენარმე: (ალგ ზნეულია და არ ესმის ნათქვამი) და ეს მხოლოდ ერთი კილომეტრის!

მწერი: (თავისთვის) უცნაური ადგილია... უცნაური ძალა აქვს... მიზიდულობა... და რაღაცის მოლოდინი...

მენარმე: (კალკულატორში ჩაღრმავებული) ოლონდ გაფრთხილებ, მატარებელს ნუ დაელოდები. მაინც არ მოვა. (მარჯვენა კუთხიდან პოეტი შემოდის)

პოეტი: (გაოგნებული ათვალეურებს გარემოს) დაიცა, დაიცა... ისევ... ისევ აქ მოვედი?! კი მაგრამ... რამდენი ვიარე... და მაინც ისევ აქ ვარ?... ისევ აქ!... (სარკაზმით) ვერ გავიგე, ნუთუ ესოდენ აუცილებელია მატარებელქვეშ ჩემი შევარდნა?

მწერი: (წყნარად) ეგ მეტისმეტად იოლი გამოსავალია, ძმაო ჩემო. თანაც... მთავარი სულ სხვა რამეა...

მენარმე: (ალგ ზნეული გამოვარდება და შუაში ჩაუდგება ამ ორს) და მაგალითისთვის, ისე, ათი კილომეტრი რომ ავილოთ?!!!

პოეტი: (მწერს) მაინც რა? რა სულ სხვა რამე?..

მწერი: (წყნარად) მთავარი სინანულია. პატიებაზე ოცნება.

პოეტი: სინანული? დაიცა, სანანებელი თუ არ მაქვს არაფერი? რა ვინანო — რომ შემეყვარდა? და... დაიცა, ვერ გავიგე რაღაც... პატიებაზე რატომ ვიოცნებო? და რისთვის, სიყვარულისთვის?

მენარმე: (ციჟური ეიფორიით) და ააააბა, რამდენია ასიათასჯერ ათასი? (პასუხის მოლოდინში ხან ერთს შესციცინებს, ხან მეორეს)

მწერი: (პოეტს, დარცხენით) მაპატიე, თუ დაგაბნეე, ძმაო ჩემო... (თავს ჩაქინდრავს) მე ჩემს ცხოვრებაზე ვამბობ...

მენარმე: რამდენია-მეთქი ასიათასჯერ ათასი???

პოეტი: მე ორჯერ-ორიც აღარ ვიცი, რამდენია, თავი დამანებეთ...

მენარმე: (დიდის ამბით) აააასი მილლლილიონიიიიი!!!! აააასი მილლლილიონი კილოგრამი!!!! (მხარს ნაჰკრავს მწერს) აბა ჰა, რას იტყვი, მაინც შენი ცოდვა უფრო მძიმეა?!

მწერი: (ცას ახედავს, ხელისგულს შეუშვებს) წვიმა იწყება... (შებრუნდება და სცენის მარცხენა მხარეს, ლიანდაგზე ჩამოჯდება)

მენარმე: (მწერს თავზე ნამოადგება) დამავინწყდა თავი გამეცნო შენთვის. მცირე მენარმე. კონცერნ „ტრანსფორმერის“ გენერალური დირექტორი.

მწერი: მშვიდობით გველოს.

მენარმე: მეველოს?! შენ გველოს, თუ კარგია! მე აქედან ნასვლას არ ვაპირებ! და აქვე მინდა გითხრა, პატივცემულო ეეეე... მმმმ... (ექვსს მიმართავს ფორმას) ბატონო საფრთხობელა, უფრო სწორად, მინდა თავიდანვე გაგაფრთხილო: აქ დაყუდება და ეგეთები გულშიც არ გაივლო. იმიტომ, რომ მე — და არავინ სხვამ — პირველმა დავინახე ამ ადგილის სარგებლიანობა! მისი მთელი ეკონომიკური პოტენციალი! არავითარი დაყუდებები აქ და განდევნობები! გასაგებია? (ახლა პოეტს მიუტრიალებს) ეს შენც გეხება, სვიათა შორის! არავითარი ლიტერატურული საღამოები და ლიტერატურული კავებები აქ! სხვაგან იტყლიტე ტვინი შენს ლექსებზე და სხვაგან იკითხე გამოთქმით! ეს ტერიტორია (დააბიჯებს დიდი, ხაზგასმული ნაბიჯებით) ჩ ე მ ი ა და აქაურობით დიდ ფულს ვიშოვი. დიდს! (წვიმის წვეთების ხმა. ყრუ ქუხილი. ბაცი გაეღვება. ჭოტის კვილი... მენარმე ოდნავ შეშფოთებული იხედება აქეთ-იქით. მერე საყელოს ნამოინვეს, მობილურს ჯიბეში იდებს და იქვე, ჩამოვრეულ ფანჩატურს შეეფარება, ჩამოლენილ ძელსკამზე ჩამოჯდება)

მენარმე: ერთადერთი, რაც შემიძლია შემოგთავაზოთ, ჩემო ახალგამოჩენილ ნაცნობებო, ეს დასაქმებაა.

(მწერი გვერდულად ზის, მკლავებში თავჩარგული. პოეტი სცენის მარჯვენა მხარეს ჩამომჯდარა რელსზე. გაღვლილი. წვიმას შეშვერილი. არცერთი არ რეაგირებს „შემოთავაზებაზე“)

მენარმე: (ფანჩატურიდან ცნობისმოყვარედ გამოხედავს მწერს) ეი, შენ, ბატონო საფრთხობელა! დასაქმება არ გაინტერესებს, არა? (დამცინავად) ტანსაცმელი შენ არ გჭირდება და ფეხსაცმელი — ბოლო მოდის გაცვია! კუჭი კიდევ, სავსე გექნება მწვადებით და ნაირნაირით... ფული — ჯიბიდან გიცვივა!

მწერი: (წყნარად, მაგრამ ვარკვევით) მე დასაქმება არ მჭირდება. დასაქმებული ვარ.

მეწარმე: ეუჰ! მართლა?! თუ საიდუმლო არაა, რით?

მწერი: სინანულით.

მეწარმე: სინანულით. (სიტყვას აკვირდება) ჰოო. სინანული სერიოზული ბიზნესია. კარგად გიხდებიან?

მწერი: თუ ოდესმე პატიების გროშებს მაინც გადამიხდებიან, ჩემზე ბედნიერი და ჩემზე მდიდარი ამქვეყნად არავინ იქნება...

მეწარმე: (პოეტს. თავს გადაუქნევს მწირისკენ) შენთან, ხო იცი! პოეტი, მგონი, ესეც, ოლონდ, ეს მთლად შემდგარია, მგონი. (თითხ იტრიალებს საფეთქელთან. წამოდგება. პოეტისკენ მიდის, თავს წამოადგება საყვლოანული ორივე ხელით) შენ? შენც დასაქმებული ხარ? თუ დაგასაქმო აქ...

პოეტი: თავი დამანებეთ! არც თქვენი ბიზნესი და ფული მაინტერესებს, არც თქვენი დასაქმება. გაიგეთ — ახლა არაფერი მაინტერესებს!!! (წვიმას სახეს უფრო მიუშვებს) ძალიან კარგი იქნება, ფილტვები თუ ამენთება! ან ტვინი! (უფრო გაიღვავს მკერდს) ჭლექი მთლად დამხატავდა! (ფეხზე დგება, ლექსს იწყებს, ველარავის ამჩნევს) ჩემს სიყვარულს, რომელმაც მომკლა, გამოვეთხოვე!! / და სველ რელსებზე ვუსმენ გრივალს, როგორც ბეთჰოვენიენს!!!! (შეშლილ ჰგავს)

მეწარმე: (ფანჯარის უბრუნდება) რა ძვირფას ხალხში ვარ, მოკლედ... (პოეტს) დაააა... ის თუ იცი, შენ, უიღბლო თვითმკვლელი, რამდენია ასი მილიონი გამრავლებული ათ თეთრზე?!

პოეტი: უიღბლო თვითმკვლელი... აი, ეგ კარგად თქვით! გამიკვირდა კიდეც, ისე კარგად თქვით... არ მოველოდი.

მეწარმე: ათი მილიონი! ათთთი მილლიონიიიიიიიი!!!! ათი მილიონი ლარი, შე გალაკტიონის ბიძაშვილი!!!

(ძლიერი ელვა, ძლიერი თქემის ხმა, ძლიერი ქუხილი, ქარიშხალი და თავგანწირული ღრიალი სამ ხმაში)

პოეტი: დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვეეეეეე, აქა ვარ ჩემის თავისააააა!!!! ნა-თი-აააააა!!!!

მწერი: (თანდათან უნებს ხმას) უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემინყალე მე ცოდვილი!!!! (ტირის მოთქმით)

მეწარმე: (ფანჯარისკენ) ათი მილიონი ლა-რიიიიიიიი-იიი!!!! (ეს სიციფე გრძელდება. ღრიალებენ რამდენჯერმე. შთამბეჭდავი სცენაა. ნელ-ნელა ჩაცხრებიან. წვიმა იკლებს. სცენის სიღრმეში, ჭერზე ცისარტყელა ისახება. ოდნავ დარცხვენილებივთ არიან. ქარის ხმა კლებულობს)

მეწარმე: (ფანჯარისკენ) ხელს გამოყოფს) გადაიღო. ან რას დაილუმპეთ! შემოფარებულიყავით აქ. (გამოდის) მოკლედ, ერთხელაც გავიმეორებ. მე აქ ვარ. და აქაურობა ჩემია. არავითარი კონკურენცია. ეს არის მიტოვებული რკინიგზა. (დადის. ფეხქვეშ ლიანდაგს ათვალთქვებს) ხედავთ საკუთარი თვალით: რელსები ამოყრილი, შპალები — დამპალი. ბალახი ბიბინებს. მატარებელს აქ საუკუნეა არ გამოუვლია. და აღარც გამოვიღის აღარასდროს. ეს მკვდარი ზონაა, რომელსაც მე — ჩემთვის — გავაცოცხლებ და ვაქცევ რად? (გადახედვს ორივეს სათითაოდ, მაგრამ ისინი თავისი საქმით არიან გართულნი: ბერი ნაწილ-ნაწილ წურავს ლაბადის კალთებს და ქუდს, და დროდადრო ბუტბუტებს: „შემინყალე მე ცოდვილი...“ ხოლო პოეტი სივრცეს ისე გასცქერის, რომ აშკარაა, აქ არ არის. მეწარმე ხელს ჩაიქნევს) ფულად! ბევრ ფულად ვაქცევ!

მწერი: (წამოდგება. ამწარმეს დაკვირვებით შეხედავს) და... ძმაო ჩემო, რად გინდა ამდენი ფული... რას იზამ მაგ ფულით...?

მეწარმე: ჯერ ერთი — გავმსხვილები!

პოეტი: (სივრცეში ცქერით) გავსუქდება! (ეცინება)

მეწარმე: კი არ გავსუქდები, უბედურო, გავ-მსხვილ-დები! ანუ წვრილი მეწარმეობიდან მსხვილ ბიზნესზე გადავალ. და ისე, თუ მომიხდება, გავსუქდები კიდეც, რა პრობლემაა... (მწირს შეათვალთქვებს) ასე ჩონჩხი არ ვიქნები მე არასდროს! (გაკვირვებულ-აღშოთხებული) ჰ! ფულით რას იზამო... მაგარი კითხვა დამისვა, ხო იცი! ფული (მწირს წინ გამოეჭიმება) იცი რა არის??! ყველაფერი! „მინდაც“ და „არ მინდაც“! ორივე შე-

ნია, ფული თუ გაქვს! მე, ბატონო საფრთხობელა, შენსავით წმინდანობას არ ვაწვები. კაი სახლიც მინდა, კაი ვილაც ზღვაზე, კაი იახტაც, კაი ლამაზი ქალიც! და ლამაზ ქალს რა უნდა?? (ორ თითს აცმაცუნებს) ფული!!!

პოეტი: (დარბაზს მიმართავს ნელა, მოწყენილად) ასიათასი მომცით ოქრო... /ასიათასი მიბოძეთ დრაჰმა... /ასიათასი პესო, დინარი, / მანეთი... რუბლი... დოლარი... ლირა!... /

მეწარმე: ეს თავისას ერეკება...

პოეტი: (ხელს ჩამოყრის) ბოლოსკენ მაინც დავრჩები მარტო. / ბოლოსკენ მაინც ვიქნები ლირი...

მწერი: (პოეტს უღიბის) კარგია... (აბგას იღებს) მშვიდობით მენახეთ, ძმანო... (წასასვლელად ეშვადება)

პოეტი: დაიცა... დაიცა, აქ რა მინდა, მეგობარო! მეც შენთან ერთად წამოვალ. (თეატრალურად) მატარებელქვეშ შევარდნის ვარიანტი გამორიცხულია. აქ მატარებელი არასდროს ჩამოვიღის. წამო... (ბერს გვერდით ამოუდგება) იქნებ (სასაცილო, თეატრალური ტრაგიკობით) მდინარეში გადავხტე, თუ დამშრალი არაა. ან იქნებ სადმე ხანძარი იყოს და ვინმეს გადარჩენას შევეწირო... (ეცინება) ან იქნებ... რა იცი, იქნებ შხამიან გველს ვაკბენინო... (მეწარმეს მოუტრიალდება) კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო დირექტორო. (ხაზგასმულად) ასიათასი „კარგად მენახეთ“ და ათი მილიონი „მშვიდობით“! ალორძინდით აქ!

(მწერი და პოეტი გადიან მარჯვენა მხრიდან და იმავდროულად, მარცხენა მხრიდან ქალების საუბარი მოისმის. შემოდიან ორნი: ერთი, დაახლოებით, 40 წლის ქალია, ლამაზი, მაგრამ ვაუბედურებული: თმაგადახორცილი, კაცურად. აცვია უშნოდ, დიდი ზომის კაცური ტანსაცმელი, აშკარად ეტყობა, რომ ციხიდან ახლახან გამოშვებული პატიმარია. მანერებიც მოუხეშავი აქვს, ხმაც და ლაპარაკიც. მეორე — ახალგაზრდა, თმაკულულა და ნაზი გოგოა. კონტრასტი შთამბეჭდავია).

ქალი: ესე იგი, გზა აგებნა?

გოგო: (შეშინებული და ნამტირალევი) დიას...

ქალი: თუ ეგრეა, დამიჯერე, ჩემი თავი ღმერთმა გამოგიჩინა. მე, გოგონი, ისეთი ადგილიდან გამოვედი, აქედან გასვლა თავლი და მურაბაა! (უხეშად იცინის) ვაჰ, ლიანდაგია, ნახე?! ლიანდაგი, ეგ უკვე კარგია, გოგო! ზნაჩიტ, გზას ადგახარ. ლიანდაგი ხო, ასიანი სადმე მიდის, სადმე ადგილას. ან კარგში, ან ცუდში, მარა ხო მაინც სადმე მიდის, მაგის დედაც, ჰა?! (ლიანდაგს აკვირდება) არა, დედანატირები ლიანდაგი კია, მაგრამ სადმე ხომ მიდის?! შენ რა იყო, არ მისხნე?

გოგო: (ნერვიულად) იცით, რა ხდება? რო არ ვნახო ერთი ადამიანი, ნამდვილად გავგიჟდები. სადღაც აქეთ დაგვშორდა და... ყველაფერი ჩემი ბრალია! ჩემი ბრალია ყველაფერი!... (ტირის)

ქალი: ეხლა დაიცა. ეხლა იცი რას გეტყვი? ეხლა ისტერიკა არ დამანახო. იმდენი ისტერიკა მაქვს ზონაზე ნანახი, რო, გამიგე, უკვე აქ არ მეკარება (საჩვენებელ თითს ვულზე იდებს). წესიერად, დალაგებულად, ნივალ-კივილის გარეშე, გასაგებია? არ დაგავიწყდეს, ვისთან გაქვს ეხლა საქმე: უნერვო ვილაცა რალაცასთან, გამიგე? (უცრემლო, უგულო, უსიყვარულო, უყველაფრო ქალთან, გამიგე? (ერთბაშად დაწყნარდება, გარემოს შეათვალთქვებს და ხედავს მეწარმეს, ფანჯარაში ჩამოგდარს) აუფფ! ეს ვინ ყოფილა აქ! მოდი აქ, ჯიგარო, მე ნუ მომიყვან! (მეწარმე წამოდგება და მოუახლოვდება.)

ქალი: შენ ვინა ხარ, ტო, პრავდნიკი?

მეწარმე: მცირე მეწარმე, კონცერნი „ტრანსფორმერის“ გენერალური დირექტი...

ქალი: (ხელს აწევს, შეაწყვეტინებს) მაიცა! უკვე არ მომწონს. არ მევასებიან არანაირი დირექტორები. სიგარეტი გაქვს?

მეწარმე: (რალაცნაირად, ექვემდებარება ქალის ტონს) კი, მაქვს.

ქალი: დააძრე (მეწარმე სიგარეტის კოლოფს ამოიღებს და გაუწვდის. ქალი ღერს ამოიღებს, პირში ჩაიდებს) რას უდგახარ, ვერ გავიგე, ცეცხლი! (მეწარმე დაფაცურდება, სანთებელას დააძრებს, აანთებს და დაიხრება) სიფათი იქით გაწიე ოლონდ!

(მენარმე განზე გადაიხრება და ისე მოუკიდებს) ეგრე. კარგია. შეგვევი ეხლა. დაახვიე აქედან. სალაპარაკო გვაქვს ქალებს.

მენარმე: მარტო ერთი რამე მინდოდა მეთქვა.

ქალი: მერე იტყვი. ან საერთოდ არ იტყვი, გამიგე?

მენარმე: უბრალოდ... (სხაპასხუბით) მოკლედ, აქაურობა ჩემია.

ქალი: (ნამოიზღაზნება) მე რა გითხარი, ვერ გაიგე შენ?

მენარმე: (შეშინებული უკან იხევს) არა, თქვენ ისაუბრეთ, რაზეა ლაპარაკი. ოღონდ... მატარებელს ტყუილად ნუ დაელოდებით. (ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, და თან სცენის მარცხენა კუთხისკენ იხევს) იმიტომ, რომ... ეს მიტოვებული რკინიგზაა... აყრილია ზოგან... დამპალია... და... მატარებელი აქ... ვერ გამოვივლის. და თანაც ისა... ჩემია.

ქალი: (მენარმის წელსქვევით დაშვებული ხელით ერთბაშად გამოსხნის „კნობიან“ დანას და მიაბჯენს) შენია, შენი, აი ეს, ნაბიჭვარო! და თუ თავს არ დაგვანებებ, აღარც ეგ გექნება, გამიგე?

მენარმე: (უკან გადაქანდება, ნაფორხილდება და ასე უკუსვლით გადის) და... ისე, სხვათა შორის, როცა ქალს... (ისევ წაიფორხილებს, კინალამ დაეცემა) აი, ასე... ასე უხდება გადახოტრილი თავი... ის... ის... უღამაზესი ქალია... სხვათა შორის. (გადის უკუსვლით)

ქალი: (დანას დაეცევა. ჯიბეში ჩაიდებს. თავისთვის ჩაიციუნებს) ჰ! უღამაზესი... უყურე ერთი, ნაბიჭვარს!... (გოგოსთან ბრუნდება) მიდი. გისმენ.

გოგო: (თავის საფიქრალშია ჩაძირული, არც გაუგია არაფერი) უბრალოდ... მინდოდა ეეტყვიანა. მინდოდა, უფრო მეტად შევყვარებოდი. და... (ეტყობა, მაგრამ ხელებით ინიავებს) არა, არ ვტირი. უბრალოდ... ის ისეთი ემოციურია... ის... ის... პოეტი!

ქალი: პოეტი...

გოგო: (თავს უქნევს) პოეტი, დიას. იცით, ისეთი... ისეთი... მოულოდნელი სინაზებები აქვს ხანდახან ლექსებში... ისეთი სიფაქიზებები... ისე გაგიკვირდება ხანდახან, რომ კითხულობ და...

ქალი: (ანწყვეტინებს) ზეპირად იცი?

გოგო: რა...

ქალი: ლექსი, რა! რამე. რამე მაგ შენი პოეტის, იცი ზეპირად?...

გოგო: დიას... ერთხელ... ბაზალეთის ტბაზე წამიყვანა. მაისი იყო. ყაყჩოები. და უცებ თქვა. უცებ... (შეყოყმანდება, დაირცხვენს) მომიძღვნა... ეგრე გამოდის.

ქალი: მიდი. გისმენ (თავჩაღუნული ენევა სივარეტს)

გოგო: დაბადებამდე შენ მჭირდი უკვე... / მჭირდა ლექსების წერა და ხევა... / ვიყავი უკვე შენი ადამი, / იყავი უკვე შენ ჩემი ევა... (ჩუმდება)

ქალი: (კარგა ხანს ჩუმდება, თავჩაღუნული. მერე დგება, სახეს არიდებს გოგოს. მაჯით, უხეშად და სასწრაფოდ იმშრალებს ცრემლს. გაბზარული ხმით) უყურე შენ... „ დაბადებამდე შენ მჭირდი უკვე“ ... (სცენის სიღრმიდან მენარმე შემოიღალება და ფანჩატურს უკან მოყურდება. ქალები ვერ ამჩნევენ)

გოგო: (გახარებულია) თქვენ კი... უცრემლო ქალი ვარო... უგულო და უყველაფერო...

ქალი: (მკვეთრად შემოტრიალდება) ვარ კიდევ! იცი, რა ვარ, გოგონი? (აქეთ-იქით იხედება, თითქოს უნდა რაღაც ისეთი იპოვოს, რასაც თავს შეადარებს) აი, ეს ლანდავი ვარ! მიტოვებული, აყრილ-დაყრილი, დამპალი! მატარებელი აღარასდროს გამოვივლის ზედ! მორჩა! უფარგისია! (ფანჩატურს ამოფარებული მენარმე გაფაციცებული უსმენს)

გოგო: არა, არა... ასე ნუ ლაპარაკობთ... მე არ ვიცი, რა შეგემთხვათ, რატომ იყავით იქ... მაგრამ...

ქალი: გეტყვი! კაცი დავეჭერი პურის დანით, გამიგე? (ხაზგასმულად იშიშვლებს სულს და რაც შეიძლება მკვეთრად უარყოფითად იხასიათებს თავს) აი, ავიდე და ვატაკე პირდაპირ ბარძაყში, გამიგე? ბარძაყის არტერიისში გავარტყე პირდაპირ, თურმე. ეგდო. სისხლში ცურავდა. რომ მოვიდნენ, გამიგე, რომ დამადეს ამ ხელებზე ბორკილები, ეგრე ეგდო ისევ...

კედლიდან კიდევ, ფოტოდან, ჩემი ქმარი იყურებოდა და ილიმებოდა, გამიგე? ეგ იყო... რაც გითხარი, ეგ იყო. ზონაც ამისთვის იყო. ამისთვის იყო ეს წლები...

გოგო: (შეძრწუნებულია) მოკვდა?

ქალი: არა. (გამოცრის) გადარჩა.

გოგო: და... ღმერთო ჩემო... ღმერთო... რისთვის... რისთვის მოექცით ასე?

ქალი: (ერთბაშად მოტყდება. კარგა ხანს ჩუმდება. სახეზე სხვადასხვაგვარი განცდა ეხატება. გოგო დაძაბულად შესცქერის და სულაც ვერ ამჩნევს ფანჩატურის კუთხიდან მოცქირალ მენარმეს, რომელიც ასევე დაძაბულად ელის ქალის პასუხს. ქალი ნელა უბრუნდება იმ ადგილს, სადაც იჯდა. ჩამოჯდება. თავჩაღუნული დასცქერის საკუთარ ხელებს. მერე თავზე გადაიხვამს ხელს... ნელა, ნაღვლიანად ლაპარაკობს) გგონია, ყოველთვის ასეთი ვიყავი?... ასეთი ნადირო... ასეთი... ხე! არა... ქალი ვიყავი. ლამაზი გოგო ვიყავი. ყვაილები მიყვარდა. ნაზი სიტყვები. ლექსებიც... სტუდენტი ვიყავი, ლექციებზე დავდიოდი. მერე, როგორც ხდება, ბიჭი შემიყვარდა. სტუდენტი ისიც. იმასაც შევუყვარდი. ჯვარი დავინერეთ და... მეორე დღეს ომი დაიწყო.

გოგო: ომი?

ქალი: ომი. ნამდვილი ომი.

გოგო: ომში წავიდა?

ქალი: კი. იმავე დღეს. და მეც გავყევი.

გოგო: ომში...

ქალი: ომში. (პაუზა) როცა გიყვარს, ყველგან გაყვები... (მენარმე უფრო დაუფარავად გამოჩნდება. უსმენს)

გოგო: მერე რა მოხდა...

ქალი: რა მოხდებოდა, გოგონი, ომი, სისხლი, სიკვდილი. გმირობა. ლალატი. წინ გავარდნა. უკან დახევა. ყველაფერი. (პაუზა) ის... ის ნაბიჭვარი... ჩემი ქმრის... (პაუზა) იცი, რა არის? — შეუცნაურება, რაღაცნაირად, ქმარს რომ ვამბო. ვერ მოასწრო ქმრობა... არ დამცალდა ცოლობა... ლუკას ვიტყვი უბრალოდ, გამიგე? უფრო სითბოა ასე. უცხოთავეთა ეს სიტყვა, ეს „ქმარი“. „მეუღლე“ ხო, მთლად იმისავით იქნება... „დირექტორივით“ ... (მენარმე აღელვებულად შეიხსნის საკინძეს)

გოგო: ლუკა თქვით...

ქალი: ჰო. ლუკას ვიტყვი. (პაუზა) ჰოდა... ის-მეთქი, ლუკას მეგობარი იყო. ისიც ომობდა. სამივე ერთად ვიყავით. გვერდიგვერდ. ერთი სიცოცხლე. ერთი სიკვდილი. გამიგე? (გოგო თავს უქნევს) და ერთხელაც... საღამო ხანია. სინაზა ჩამოვარდნილი. (პაუზა) ომში სინაზის ჩამოვარდნა რა არის, იცი? (გოგო თავს გააქნევს) ან მკვდრებს ითვლიან... ან პირიქით, დასათვლელების დასახოცად ემზადებიან... ჰოდა, ვითვლით. ბიჭები ყრიან ზოგი გულალმა, ზოგი პირქვე... ვინც ვართ, ადამიანებში აღარ ვწერივართ. პატარა სოფელია. ჩვენ სამნი ერთ ეზოში შევედივართ... წყალი გვწყურია. სული გვაქვს გამშრალი, გამიგე? ყელი კი არა — სული! შუშაბანდიანი სახლია. ჭაა ეზოში. მივიდა ჭასთან. ლუკა კი არა — ის. და უცებ შუშის ჩატეხვის ხმა და მეორე სართულიდან — ლულა! იმაზე მიშვერილი. ჰოდა... მეგობრები იყვენენ-მეთქი, გითხარი. მეგობრობა რა არი? შენ საკუთარ სიკვდილზე გაბრმავებს. იმისას ხედავ, შენსას — ვერა. ლუკამ ერთი დაიღრიალა და იმისკენ მიანყდა. ხელი უნდოდა ეკრა, გადაფარებოდა უნდოდა, რას გაიგებ... ერთი ტყვიით დაცვივდნენ. ჯერ ლუკას გაუარა გულში და მერე იმას — მხარში. (სინაზა)

გოგო: ღმერთო ჩემო...

(მენარმე შეძრწუნებული ჩანს. იერი შეცვლია თითქოს)

ქალი: მერე... ბევრი აღარაფერი მახსოვს. ომიც დამთავრდა, თუ დამთავრება ერქვა. მშვიდობაც დაიწყო, თუ მშვიდობა ერქვა... მერე ისევ ომი, ისევ მშვიდობა, ისევ ომი... ისევ ვითომ-მშვიდობა... ერთი მთავრობა, მეორე მთავრობა... ის მოკლეს... ის გადაადგეს... ის გადადგა... ჩემთვის კი ყველაფერი სულერთი იყო, გამიგე? დიდი სიცარილე. მეტი არაფერი. ლუკას სუ-

რათი მარტო, კედელზე. ილიმება მოჭუტული თვალებით და მორჩა. გეგონება, დედამინაც აღარ ბრუნავს. გაჩერებულია. და ისე გადის წლები, გამიგე? ვითომ სხვისი ცხოვრებაა, შენ არც ხარ... (სიჩუმე. სადღაც ქოტი კივის) ეს კიდე, მოდის ხანდახან. ძმაკაცობა ხო იცი? ყურადღების მიქცევა, რამე. კაცობა. მოვა უხერხულად, წავა. არ ერგება იმის სიკვდილის ფასად ნაჩუქარი ცხოვრება, გამიგე? წვალაობს. ერთი წელი იწვალა. ორი... სამი... სმა დაიწყო. გალოთდა. მერე გადაიკარგა სადღაც დიდხანს... ამასობაში ნაჩუქარ სიცოცხლესაც შეეჩვია. შეივსოვით. ფული ნახა. დიდი ფული, გამიგე? (მენარმე ჰალსტუხს შეიშვებს, თითქოს სუნთქვა უჭირს, მოიხსნის, განზე მიადგებს) ფული კიდე, როგორი რამეა, ლექსი კი არაა, „დაბადებამდე შენ მჭირდი უკვე“ და რამე... ფული ისეთია, თანდათან გბერავს ბუშტივით, გამიგე? დაჩუტული ხო მინაზე ადინხარ. გაბერილი კიდე, ბუშტივით, მაღლა იწვევ, გამიგე? ფრენ! ეგეთი გაბერილი, გაფუყული და ფრენ! შემოდან ყურებას ერევი და გგონია რო, მივალ და ძმაკაცის ცოლიც ჩემია! ფული მაქვს ოხრად!

გოგო: ნუთუ...
ქალი: ერთ საღამოს, თორმეტი წელი იყო უკვე გასული, მოვიდა. მოიტანა რაღაცები, როგორც ადრე. პური. ყველი, შაქარი. ფქვილი... ზრუნავს, გამიგე? ყურადღებას მაქცევს. მაგრამ რაღაც გადაპრანჭული შოკოლადიც დადო. ბრჭყვიალა ყუთით შოკოლადი და ბრჭყვიალი კიდევ როგორი რამეა, იცი? დარდს და ეგეთ ამბავს არ უხდება. გლოვას. ასი წლის მერეც არ მოუხდება. ბოზურია უკვე ცოტა და ფეხებზე დაკიდება უკვე, გამიგე? არ მესიამოვნა.

გოგო: მესმის...
ქალი: ჰოდა, პურს ვჭრი სამზარეულოში და ეგ ჩემს ზურგსუკან ლაპარაკობს. კონცერნი მაქვს. წლიური ბრუნვა. ბიუჯეტი. სავალუტო ფონდი. დოლარის კურსი. მერსედესი. თეთრი კარკასი. ხედი ზღვაზე... და უცებ სიჩუმე, გამიგე? ცუდი სიჩუმე. ომის სიჩუმე ხომ გითხარი, რა არის. ეგეთი სიჩუმე კიდევ, რაღაცნაირი, ბინძური სიჩუმეა, გამიგე? ბინძური სიჩუმე. ზურგიდან რო ისეთი ტყვია გელის, ბინძური. მოვტრიალდი უცბად და ხელში პურის დანა მიკავია. პურს ვჭრიდი-მეთქი. და ბინძური სახე ადევს. თვალებში — ზეთი და ხელისგულზე რაღაც ბრჭყვიალა: ოქრო, ბრილიანტი, რა ვიცი, და თან ამბობს, რომ დროო, ყველაფრის მკურნალია და გეყოფა უკვეო. და მოდის. კედლიდან კიდე, ლუკა იყურება და ჯერ იმას შეგხედე, ლუკას, და მომეჩვენა თუ რა იყო, აღარ ილიმებოდა. და მერე ამას შეგხედე და ვხედავ, ახლოა უკვე სახე, მიყვარხარო, ტუჩები ინძრევა მობრეცილად, რაღაცნაირად და ვატაკე. ბოლომდე... (პაუზა) ჩემით დავრეკე მერე... (პაუზა) ეგდო. სისხლში ცურავდა და არ შემცოდებია. ლუკას ვუყურებდი და ის მეცოდებოდა, გამიგე? ეს იყო. (მენარმე თავს ვეღარ იკავებს და გამოდის ფანჯარისკენ. უახლოვდება ქალებს. მონუსხულივით შესტკერის ქალს, რომელიც მას წამით გულგრილად შეავლებს თვალს და ისევ საკუთარ ხელებს დააცქერდება)

მენარმე: (ღელავს) მე... უკან მოვბრუნდი და...
ქალი: (გულგრილად) რატომ მერე?
მენარმე: ჯერ ერთი რომ, კი, წავედი და ვიარე, მაგრამ... აქედან ვერ გახვალ. ისევ აქ ბრუნდები. ზონაა ეგეთი. სხვა ზონაა.
ქალი: (ნაღვლიანად ჩაიტინებს) აქაც ზონაა?...
მენარმე: და მეორე ის, რომ... ისევ მომინდა შენი ნახვა.
ქალი: (ნარბებს აწვეს) რატომ შენობით?
მენარმე: თქვენი ნახვა.

ქალი: (გულგრილი ირონიით) ჰ, უყურე შენ? გენერალურ დირექტორს ისევ მოუწინა ჩემი გადახობრილი თავის ნახვა... და დანის მიბჯენა ერთ ადგილას.
მენარმე: მე... უფრო სწორად, თქვენ... ესე იგი... მე... (ერთბაშად გაბედავს) მე ყველაფერი მოვისმინე.
ქალი: (ისევ გულგრილი ირონიით) მერე რა გაიგე, შე უბედურო?

მენარმე: (პათეტიკურად იწყებს) მე... უფრო სწორად, ნებისმიერი მამაკაცი... უფრო სწორად, მე... (ერთბაშად დასვედინდება) მე ამ წუთსვე ვინატრებდი სიკვდილს, თუკი ასეთ ქალს... თუ თქვენნაირ ქალს... ან უბრალოდ, ნებისმიერ ქალს... ასე ვეყვარებოდი...

ქალი: (თვალბოჭუტული, დამცინავად აკვირდება) ტყუი.
მენარმე: (შეურაცხყოფილივით) რატომ ვტყუი?
ქალი: (დარწმუნებით) ტყუი-მეთქი. (ეცინება) ფულისთვის უფრო მოკვდები, ვიდრე ქალისთვის. ეგრე არ არის?
მენარმე: იცი... თ, რა?... (სიტყვებს ეძებს) ქალებს ვერაფერს გაგიგებთ კაცი! ფული მაქვს? უფულო და გაღლეტილი შეგიყვარდებათ. უფულო და გაღლეტილი ხარ? ფულიანზე გადაირევი! (ხელს ჩაიქნევს, ფანჯარისკენ უბრუნდება)
გოგო: (ქალს) მხოლოდ... ერთი რამე მინდა გკითხოთ...
ქალი: მიდი.

გოგო: იმას... დანა იმიტომ ხომ არ ჩაარტყით, რომ... ძველი ბოლმა გქონდათ დაგროვებული? ესე იგი... ის რომ გადარჩა და თქვენი ქმარი... ლუკა... (სათქმელს თავს ვერ აშამს) ნამდვილად ცუდად გიყურებდათ თუ... საბაბს ეძებდით?
ქალი: (კარგა ხანს ჩუმად) აზრიანი კითხვაა... (მტკიცედ) კი. ცუდად მიყურებდა.

გოგო: და... ახლა, ამდენი ხნის მერე... აპატიეთ?
ქალი: (კარგა ხანს დუმს) არა. არ ვაპატიე.
გოგო: ამდენი ხნის მერე... (მენარმე კვლავ გამოდის ფანჯარისკენ და ქალს გააფაცივებით შესტკერის პასუხის მოლოდინში)
ქალი: ჰო. ამდენი ხნის მერე კიდე უფრო არ ვაპატიე. ახლა რაც ვარ, ცხოველი, არაადამიანი, არაქალი... (ლიანდავს დახედავს) აი ეს! — მიტოვებული ლიანდაგი! — უფრო მეტად არ ვაპატიე, გასაგებია? (პაუზა. თავისთვის) სიხარული ისევე აღარ მოვა ჩემს ცხოვრებაში, როგორც აქ — მატარებელი! აი, რატომ არ ვაპატიე...

გოგო: და... სადმე რომ შეგხვდეთ? შემთხვევით.
ქალი: (თვალბოჭუტავს, მხერას გაყინავს) შემხვდება. სად წავა. (ისე ერთბაშად, ისე მკვეთრად წამოდგება, რომ მენარმე წამით უკანაც კი დაიხვეს შემინებული) მორჩა! წავედი. (გოგოს) მოდიხარ თუ აქ რჩები?
გოგო: (მენარმეს) მე... იცით, ერთ ადამიანს ვეძებ. იქნებ თქვენ ნახოთ და... მაინც, იცოდეთ. რომ არ ვნახო, შეიძლება, გავგიჟდე. იმიტომ, რომ ყველაფერი ჩემი ბრალია... თუ შეგხვდებით, შემთხვევით თუ ნახავთ...
მენარმე: (არ უსმენს, ქალს ადევნებს თვალს გაღუნებული) მე თუ მკითხავთ, არაქალი კი არა, უღამაზესი ქალი ხარ... თ...
გოგო: მაღალია. ოდნავ გრძელი თმა აქვს. თავლისფერი თვალები... პოეტია.

მენარმე: (პოეტი? (რაღაცას იხსენებს თითქოს) კი, პოეტი იყო აქ. მეორეც იყო. ბატონი საფრთხობელა... იმ მეორემ თქვა, ჩემი ცოდვა ამ რელსებზე მძიმეაო... (ქალს ადევნებს თვალს თან) ას მილიონ კილოგრამზე მძიმეაო... ნუ წახვალ... თ. არ ნახვიდეთ!
გოგო: (მენარმეს) და საით წავიდა? საით წავიდა, გემუდარებით, მითხარით!
მენარმე: (ხელს იშვერს სცენის მარჯვენა მხარისკენ ისე, რომ ქალს თვალს არ ამორებს) იქით წავიდა. ორივე ერთად წავიდა.
გოგო: (ქალს) წავედი, გთხოვთ!
ქალი: (მენარმეს, დამცინავად) აჰა, გაიხარე, დირექტორო! შენია აქაურობა.
მენარმე: რა აქაურობა... მეც მოვდივარ!
ქალი: ეგ შენ გგონია, რომ მოდიხარ... (ხელს ჩაიქნევს და გადიან)

მენარმე: (თითქოს გაყოლას აპირებს, მაგრამ რაღაც აკავებს. კულინებამდე მისული უკან მოიხედავს. „ჯართის იდეა“ არ უშვებს, აშკარაა, აკავებს. უკან ბრუნდება. ლიანდავს ათვალთვრებს. ჩაიტინებს. ფეხსაცმლით ეფერება რელსს) სწორი თქვა, რას ერჩი?... არ გამიშვი, არა? (რელსს ფეხსაცმლის წვერს მი-

არტყამს ძლიერად შენნიიი!!! (ნიხლს ჩააზელს) შენი დედა!!!

(სცენის მარცხენა მხრიდან პოეტი და მწერი შემოდის და ამ სცენის მოწმენი ხდებიან)

პოეტი: ჰეეე, რა ხდება?! რა მოგივიდათ, სერ? დოლარის კურსი დაეცა? თუ ლარის?

მწერი: ჩემი კურსი დაეცა! (პაუზა. რელსებს ათვალერებს. იგრძნობს, როგორ გაუვლის თანდათან რომანტიზმის შემოტევა და როგორ უბრუნდება თავის რეალობას) მაგრამ ეგ არაფერი, გამივლის. კურსი ისევ აინვეს. (პალტუხს დასწვდება, იკეთებს, ტანსაცმელს შეისწორებს, მონესრიგდება, მობილურს ამოიღებს, გააპრიალებს, ამონებს, იჭერს თუ არა) არა, არ იჭერს... (კვლავ გაახსენდება წელანდელი, კვლავ მარჯვენა კულისებს შეაცქერდება არეულად) (მწერი აბგას დადებს. რელსზე ჩაჯდება, თავს ჩაღუნავს, გაირინდება)

პოეტი: (მწერს გარს უვლის, აკვირდება) არ ვიცი, აქ რა მოხდა ჩვენ არყოფნაში, მაგრამ... ისეთი ნამდვილად აღარ ხართ, როგორც დაგტოვეთ. რა იყო, მატარებელმა ხომ არ ჩამოიარა და რელსების ბიზნესი ხომ არ ჩავარდა?

მწერი: (თავისთვის) არა, არა, მატარებელი არაფერ შუაშია მანდ...

პოეტი: (მწერს) აბა რა მოხდა? მოჩვენება ხომ არ ნახეთ? (გარემოს ათვალერებს) არა, ადგილი ნამდვილად ისეთია... მისტიკურივით. პირდაპირ, მოითხოვს მოჩვენებებს! ლაბირინთივითაა, რალაც. (მწერს ავიწყდება და ოდნავ შეშინებულივით, დაძაბულად დაიარება სცენაზე, გზადავს ტრიალებს, ირგვლივ იხედება) უკვე... ისეთი განცდა მაქვს, რომ აქედან ველარასდროს გავაღწევთ. ისიც... ისიც კი ვიფიქრე, უკვე ხომ არ მოვკვდი და რალაც ზებუნებრივ ზონაში ხომ არ მოვხვდი-მეთქი...

მწერი: (წამით გამოფხიზლდება) ზონა აღარ მიხსენო!... არ მიხსენო ეგ სიტყვა! (მარჯვენა კულისებს შესცქერის ისევ)

პოეტი: არადა, აშკარად ზონაა... და ჩვენ აქაურობის პატიმრები ვართ...

მწერი: არც პატიმარი... (საკმაოდ უცნაურად გამოიყურება)

პოეტი: გარე სამყაროს მოწყვეტილნი ვართ. ხედავ, ორჯერ დავაპირე აქედან გასვლა და ორჯერვე აქ დავბრუნდი... აქედან ვერ გავდივარ! აქედან ვერ გავდივარ!...

მწერი: ჰოდა, ესე იგი ისიც მოვა...

პოეტი: (ფხიზლად) ვინ?

მწერი: (ჩაცუცქდება. რელსს ათვალერებს) კარგია, რომ არ გამიშვი. მოვა, სად წავა.

პოეტი: (თეატრალურად) ესოდენ გარდაუვალი რა მოვა? სიკვდილი? (მწერს არ პასუხობს) მოვა, აბა რას იზამს. იმას, ბატონო მცირე მწერს, სულ ფეხებზე ჰკიდია ჩემი ლექსებიც და თქვენი ბიზნესიც... (მწერს) რალაც დიდი ამბავი მომხდარა აქ ჩვენს არყოფნაში. შეცვლილია ადამიანი.

მწერი: ასე ხდება ხოლმე.

მწერი: (ფანჩატურში შედის, ძელსკამზე ჩამოჯდება. ფეხებს წინ გაჭიმავს. მოდუნდება) მოცლილი ხალხი ხართ, რა...

პოეტი: (ისევ ათვალერებს გარემოს) რა იყო? სულაც არაა გამორიცხული, რომ აქაურობამ შეგცვალოს... უცნაური ადგილია. უგამოსავლო ადგილია თითქოს. მაგრამ... გამოსავალი მაინც იქნება. გამოსავალი ყოველთვის არის... თუნდაც სიკვდილი. რა, ცუდი გამოსავალია?



მხატვარი მზია დედანაშვილი

მწერი: რალაცნაირად მჯერა, რომ აქ ტყუილად არ მოვხვდით... იცი, რა? აქ... ირგვლივ... მინიშნებებია, რომლებსაც უბრალოდ, ვერ ვხედავთ... ან ვერ ვხვდებით...

პოეტი: რამეს იწინასწარმეტყველებდი, მწერო?

მწერი: მე წინასწარმეტყველი არ ვარ. ხომ გითხარი, ცოდვილი არაობა ვარ, მაგრამ...

პოეტი: მაგრამ რა?

მწერი: არ ვიცი... ვერ ვხვდები... მაპატიე. ყოველთვის ვერ მოინახება სიტყვები იმის გადმოსაცემად, რასაც ვგრძნობთ. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვპოულობ. შენთვის უფრო იოლია ალბათ... პოეტი ხარ. პოეტები ენითუთქმელის თქმას ახერხებენ ხოლმე...

პოეტი: (მწერს უახლოვდება, გვერდით ჩამოუჯდება) პოეზია გიყვარს?

მწერი: არა.

პოეტი: არა?

მწერი: არა.

პოეტი: და აბა, ენითუთქმელის თქმას ახერხებენო და რალაც? ნათქვამი ენითუთქმელი — მაგარი არაა?

მწერი: ვერნათქვამი უფრო მაგარია...

პოეტი: (იღიმება) უცნაური ადამიანი ხარ... არ გინდა, გამეხსნა?

მწერი: როგორ...

პოეტი: როგორც ჩაკეტილი ყულაბა... როგორც თავდაგლესილი ქვევრი... როგორც დახურული ნიგნი...

მწერი: ყულაბაში ფულია, ქვევრში — ღვინო, ნიგნი — სიბრძნე... მე რომ გაგეხსნა, — მყრალი, საშინელი ცოდვა... რად გინდა...

პოეტი: მე არ მინდა. შენ გინდა.

მწერი: (ჩუმადაა კარგა ხანს) მართალი ხარ. მინდა.

პოეტი: (უკმადაა მოწყობა) მიდი. ტკააც!

მწერი: რა?

პოეტი: გაიხსენი! მიდი. დაიწყე სულიერი სტრიპტიზი! (იღიმება)

(მწერი კარგა ხანს ჩუმადაა და დასცქერის საკუთარ ხელს. მერე წამოდგება მძიმედ. ნელა გაიხდის ლაბადას, დაძონძილი შარვალი და დაძონძილი შავი მაისური აცვია. მაისურს იხდის ნელა)

პოეტი: ჰეე-ჰეეეე! ძმო ჩემო, მე სულიერი სტრიპტიზი გითხარი, ფიზიკური კი არა! (მწერი მაისურს გადაიძობს და მხარს მოიშვილებს. მხარზე ჭრილობა გამოუჩნდება)

პოეტი: (დაბნეული) ეს რა არის?

მწერი: ჭრილობა.

პოეტი: და...საიდან?.. დაგჭრეს? გესროლეს?

მწერი: მესროლეს.

პოეტი: სად?

მწერი: ომში.

პოეტი: შენ... ომში იყავი?

მწერი: ჩვენ ყველა ვიყავით ომში...

პოეტი: (ჩაფიქრებული ანალიზებს ფრაზას) ჩვენ ყველა (საჩვენებელ თითს დირიჟორის ჯოხით არხევს, თითქოს ფრაზაში მუსიკას ეძებს) ჩვენ ყველა... ვიყავით ომში... მაგარია. რა-ღაც ისეთია, იცი? პოეტური დასაწყისი, რომელსაც ათასი ენითუთქმელი მოჰყვება... (მწირი ჩუმად)

პოეტი: მაპატიე, მაგრამ... მერე რა? ომში ბევრი დაჭრილა. გასაოცარი არაფერია. ომებში კაცები იჭრებიან ხოლმე. მე-ომრები ანუ. კვდებიან კიდევ.

მწირი: ჰოდა, ის მოკვდა.

პოეტი: ვინ...

მწირი: ლუკა.

პოეტი: ლუკა?

მწირი: მეგობრები ვიყავით. (სიჩუმე) მეგობრობა მშვიდობაში სხვაა. მეგობრობა ომში — სხვა. ჩვენ ორივე გვქონდა. ომის მეგობრობაში უფრო გვეძვირფასა ერთმანეთი. ომში სხვანაირად ხედავ ყველაფერს. (სიჩუმე)

(უკანა პლანზე მწარმე გამოცოცხლები)

მწირი: ისიც ომში იყო. ცოლთან ერთად. თუმცა რა ცოლქმრობა მოასწრეს? ჯვარი წინა დღეს დაინერეს. დიდი სიყვარული ჰქონდათ. ყველამ ვიცოდით. ყველამ იცოდა. მთელმა ფაკულტეტმა. მთელმა უნივერსიტეტმა. ჯვარი დაინერეს და მეორე დღეს ომი დაიწყო. ლუკა, ომში წამსვლელები რომ არიან, უფიქრელად წამსვლელები, ეგრევე წამსვლელები — ეგეთი იყო და ნავიდა. ისიც გაჰყვა... ომში. სიყვარული იყო-მეთქი. დიდი სიყვარული. (პოეტი მთელი არსებით უსმენს მწირს. ვერ ამჩნევს სხვას ვერაფერს)

პოეტი: და... ის... ლუკა... მოკვდა? მოკვლეს?

მწირი: (ძნელად იწყებს თხრობას) ერთხელაც... საღამო ხანია. სიჩუმეა ჩამოვარდნილი. ომში სიჩუმის ჩამოვარდნა რა არის, იცი? (პოეტი თავს გააქნევს) ან მკვდრებს ითვლიან... ან პირიქით, დასათვლელების დასაბრუნებლად ემზადებიან... ჰოდა, ვითვლი. ბიჭები ყრიან ზოგი გულაღმა, ზოგი პირქვე... ვინც ვართ, ადამიანებში აღარ ვწერივართ. პატარა სოფელია. ჩვენ სამნი ერთ ეზოში შევიღვივართ... წყალი გვწყურია. სული გვაქვს გამშრალი, გამიგე? ყელი კი არა — სული! შუშაბანდიანი სახლია. ჭაა ეზოში. მივედი ჭასთან. ლუკა იქით დგას. და ისიც... და უცებ შუშის ჩატეხვის ხმა და მეორე სართულიდან — ლულა, ჩემკენ დამიზნებული. ჰოდა... მეგობრები ვიყავით-მეთქი, გითხარი. მეგობრობა რა არის? შენ საკუთარ სიკვდილზე გაბრძნავებს. იმისას — ხედავ. შენსას — ვერა. ლუკამ ერთი დიღირილა და ჩემკენ მოაწყდა. ხელი უნდოდა ეკრა, გადამფარებოდა უნდოდა, რას გაიგებ... ერთი ტყვიით დავცვივდი. ჯერ იმას გაუარა გულში და მერე მე — მხარში. ის კიდევ... იქვე იყო. მის წინ მოხდა. (სიჩუმე. პოეტი შეძრწუნებულია)

პოეტი: გამოდის, რომ...

მწირი: (ჩაქინდრულ თავს იქნევს რამდენჯერმე) ჩემ მაგივრად მოკვდა.

პოეტი: (სულს მოითქვამს) უჰჰჰ... რა მძიმე საჩუქარია ასეთი სიცოცხლე...

მწირი: მერე ომი ვითომ დამთავრდა. ვითომმშვიდობა... ისევ ომი... ისევ ვითომმშვიდობა... იქაც ვიყავი... იქაც. ომი არ გამომიტოვებია. არ მომკლეს. ვეძებდი და ვერ ვიპოვე სიკვდილი. (პაუზა) მიმძიმდა ის სიცოცხლე. მტანჯავდა. შერცხვენილი დავდიოდი. ყოველი დღის გათენება მრცხვენოდა. სიცოცხლე არ მერგებოდა. ყელში მქონდა გაჩხერილი... სმა დავინწყე... (პაუზა. საიდნლაც უცნაური ხმები მოისმის. თითქოს ქალის ტირილივით...)

პოეტი: იმას... იმ ქალს... ნახულობდი?

მწირი: მივდიოდი ხანდახან. ყურადღება მინდოდა გამომეჩინა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ვძულდი, რომ ჩემი დანახვა ტანჯავდა... (პაუზა) მაინც მივდიოდი. პატარა ბინაში ცხოვრობდა, ძველ უბანში. სამზარეულოში ვისხედით ხოლმე. ოთახში გასვლა მერიდებოდა. ერთი ოთახი იყო... კედელზე ლუკას სურათი ეკიდა. თვალებმოჭუტული ილიმებოდა, როგორც იცოდა.

მწარმე: (ხელს ხელზე შემოჰკრავს და თავისთვის შესძახებს) ეს ნაბიჭვარი არ ყოფილა ის ნაბიჭვარი?! ეს საფრთხობელა! (მწირი და პოეტი ისე არიან ჩაძირულები ემოციებში, ვერ ამჩნევენ)

მწირი: ის... ისე ლამაზად დარდობდა... ისე ჩუმად და საცოდავად გლოვობდა... ისე თანაბრად... უცვლელად... (პაუზა) აი, რა არის ენითუთქმელი. ენითუთქმელად გლოვობდა ისე, რომ ლუკას სიკვდილი შემშურდა. ის ქალი ისე შემიყვარდა, კარგა ხანს ვერც კი მივხვდი.

პოეტი: უჰჰჰ...

მწირი: როცა მივხვდი, ბარგი ჩავალაგე და საზღვარგარეთ წავიდი. ახალი, სულ სხვა ცხოვრების დაწყება გადავწყვიტე.

პოეტი: ძლიერი ადამიანი ხარ. მე უკვე სამჯერ მოვიკლავდი თავს...

მწირი: შენ არასდროს მოიკლავ თავს, ძმაო ჩემო. დამიჯერე. ეგ მხოლოდ პოეტური პათეტიკაა, თეატრალური განცდა.

პოეტი: (ამბავში აბრუნებს) საზღვარგარეთ წავიდიო...

მწირი: ჰო. წავიდი. ექვსი წელი გავატარე იქ. თანდათან დამავიწყდა თავი. ვინ ვარ. რა ვარ. ფეხზე დავდექი. ცხოვრება შევირგე ცოტა. ისეთ წრეში მოვხვდი, რომ საქმე წამოვინწყე, დიდი ფული ვიშოვე. თავში ამივარდა. სხვა გავხდი ვი-ღაც. მინდოდა კიდევ, სხვა რომ გავმხდარიყავი და გავხდი. წარსული გადამერეცხა ცოტა. მსუბუქად დავუნწყე გახსენება, რო მერე რა, ყველაფერი ხდება ცხოვრებაში, ვიღაც კვდება, ვიღაც რჩება, ჩემი რა ბრალია.

მწარმე: (გამოხედავს) უ, შენი... (ჩაფიქრდება, ჩაუკვირდება გაგონილს) არადა, სადღაც სწორია ისე, რას ერჩი.

პოეტი: (ცოტა მშრალად) მერე.

მწირი: ქალები წამოვიდა. იახტებით სრიალი ნაირნაირ ზღვებზე. მანქანებით — ნაირნაირ გზებზე... (პაუზა) ხელახლა ვარ დაბადებული, ახალი ადამიანი ვარ. არც ცოდვა, არც დარდი, არც სინდისის ქენჯნა. ამნეზიასავით მაქვს რალაც. ამნეზია მოვინწყე.

პოეტი: სევდიანი ლიანდაგი თიხის შენი მატარებელი, მეგობარო... ვგრძნობ...

მწირი: საზღვარგარეთაც მომბეზრდა და დავბრუნდი. (პაუზა) რატომ გიყვები ამ ყველაფერს?...

პოეტი: დაგავიწყდა? — შენ თვითონ გინდა.

მწირი: ჰო, თვითონ მინდა...

პოეტი: გამეხსენი შენ. ყულაბა. ქვევრი. წიგნი... თან ეს აქაურობა... (მიმოიხედავს) კაცმა არ იცის, გავალთ აქედან თუ არა... ადგილია ეგეთი. აღსარებაზე გავდებ.

მწირი: (ხელებს დასცქერის) მერე ჩამოვედი. ჩამომყვა იქაური ჩემი თავი. აქ რალაც უფრო გაბრაზებულად ვგულობ. ჯიბრზე, რალაცნაირად. გამომწვევდა. ფულს ვაჩხრიალებ, ვიმხოზ თავზე რესტორნებს, ფული ფულზე ვამატებ, მოდის, არ მეღვევა. და ერთხელაც... ერთი ხომ, რაც ძველი ცხოვრებიდან მახსოვს, ეს ქალია... ერთხელაც, მივდივარ.

პოეტი: არ მომწონს ეგ ნასვლა... (მწარმე ფეხზე დგება, დაძაბულად უსმენს)

მწირი: ამჯერად მარტო პური, ყველი, ფქვილი, შაქარი და ეგეთები არ მიმიტანია. ფრანგული მოკოლადი მოვაცოლე, დიდი, ბრჭყვიალა ყუთით. ჯიბეში კი — რომში ნაყიდი ბრილიანტის ბეჭედი მიდევს. დიდ გულზე ვარ, წინააღმდეგობებს ვერ ვხედავ, ჩემი მგონია ყველა ციხესიმაგრე. ფული მაქვს ბევრი. (უკვე ამჩნევს, რა დიდი გულისყურით უსმენს მწარმე. მწარმე) შენ რომ ანგარიშობ ხან მეტრებში, ხან კილომეტრებში, ხან კილოგრამებში... ეგ მაქვს ბევრი! არ ვითვლი! არ ვანგარიშობ!

მწარმე: (მონყენილად) რა, მერე? გამოგადგა?

მწირი: (ყურადღებას არ აქცევს) მივედი. (პაუზა) ის... ისევ ისეთია. სადა და ნამდვილი. უცვლელი. კედლიდან ლუკა იყურება ისევ. თვალბმოჭუტული ილიმება. ერთბაშად ძველი დრო დადგა. ერთბაშად თითქოს რალაცამ ჩაყლაპა ეს წლები, ეს ჩემი ახალი ცხოვრება და ძველში დავბრუნდი. ისევ იქ ვარ. და ამას, პურს ხომ ჭრის და ზურგიით ხომ დგას ჩემკენ, კეფა ისევ ისეთი

ნაზი და რაღაცნაირი, გაგიკვირდეთ შეიძლება, მაგრამ, სინდისზე შემგდები აქვს... სინდისზე შემგდები კეფა არ გაგიგათ, ხომ? აი, რომ უყურებ და ისეთი ნაზია, ისეთი სუფთაა, ისეთი უმწეო თან, რომ გრცხვენია... გრცხვენია ყველა შენი შავბნელი ფიქრის და საქმის... და კეფა რომ ესაა, — თვალეები??? თვალეები რაღა იქნება??? (პაუზა. უჭირს თხრობის გაგრძელება)

პოეტი: თქვი. თქვი ბარემ.

მენარმე: თქვი და მოგეშვება ცოტა.

მწერი: სადღა ჩემი ფული, ძალა, თავშიავარდნილობა!

მენარმე: (თავს იქნევს, თითქოს მისთვის ძალიან ნაცნობ მდგომარეობაზე საუბარი) კურსის ვარდნა, არა?

მწერი: ნავხდი.

მენარმე: ვაჰ, როგორ ერთნაირად ემართება ყველას, როცა ემართება, გაგიჟდები კაცი!

პოეტი: (აჩუმებს ყესტიო. მწერს) ნახდი...

მწერი: ნავხდი. და თან ძველი სიყვარული ძველ ჭრილობასავით ამტკივდა... ვხვდები, რომ მაგიჟებს ეს კეფა, ეს სადად აკრული თმა, ეს დაუცველი, ნაზი მხრები... ეს იგივე, ი-გი-ვე გლოვა — შეუცვლელი, ერთგული! მაგიჟებს ეს მისი წყნარი სევდა... (უცერად აფეთქდება) მაგრამ ერთბაშად გავლიზიანდი. ერთბაშად მომინდა, ლუკას სურათი ჩამომელო და ფანჯრიდან მესროლა! ეჭვიანობამ კინალამ გამაგულა. თან... თან მომინდა უცებ, რომ ორივე გავაშწარო! ორივე დავამცირო, დავტკეპნო, გადავუარო ორივეს! იმისთვის, რომ ასეთი საცოდავი, სამარცხვინო სიცოცხლე მაჩუქეს! იმისთვის, რომ არსად, დედამინის არცერთ კედელზე, არცერთ ქალს არ უკიდია ასე ხატვიით ჩემი ფოტოსურათი და რომ მოვკვდე, არც მაშინ ეკიდება! იმისთვის, რომ გულში დიდ კითხვის ნიშნად მიდევს ამ ქალის სიყვარული, დიდ, სამარცხვინო კითხვად მიდევს და პასუხი... პასუხი არასდროს ეღიროება! იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ... (სახეს ხელებში ჩარგავს)

პოეტი: წყნარად... წყნარად... (პაუზა)

მწერი: სამაგიეროს გადახდა მომინდა ორივესთვის. ნამიერად ისევ ის გავხდი. უცხო. ვილაც. ამ ყველაფრისგან შორი... და ვიდრე ის პურს ჭრიდა, იმ ნაზი და სინდისზე შემგდები კეფიდან მზერა ქვევით ჩამოვაცურე. თეძოები შეგუთვალაიერე. ის, რაც არც კი შემიმჩნევია მისთვის არასდროს, რადგან კეფაზე აკრულ თმას, თეთრ კისერს და დაუცველ მხრებს ვხედავდი... შურისძიებით ატანილმა განზრახვამ, განზრახვამ ავიმღვრიე სუფთა სიყვარული, ჯიბიდან ის ბრილიანტის ბეჭედი ამოვადვრინე, რომლის გამოჩენისა კი არა, ჯიბეში დებისაც კი შემრცხვა ცოტა ხნის წინ... წამოვდექი და წინ დავიძარი... მისკენ...

მენარმე: (შუბლში იტყვის ხელისგულს) ვაჰ, რა არის ეს ცხოვრება, ვაააჰ!

მწერი: ორმაგი იყო ყველაფერი, გესმით? სიყვარული და სიძულელი, სირცხვილი და უსირცხვილობა... გვერდივერდ იყო! ჩემი საკუთარი თავი ერთდროულად მეზიზღებოდა და აღმაფრთოვანებდა კიდევ! ქალი თან მიყვარდა, თან მძულდა... ლუკას ფოტოსურათი თან მანათებდა — როგორც პროექტორი ქურდ ბნელ ღამეში — თან სადღაც გამქრალიყო, წყვიდადში... და ამ დროს... ის... მოტრიალდა!

მენარმე: დანით ხელში!

მწერი: დანა არ იყო მთავარი. მთავარი მისი თვალეები იყო. მისი მზერა. ყველაზე ალესილ დანაზე მჭრელი და ბასრი!...

პოეტი: რა საზარლად პოეტურია!

მწერი: მზერა კი არა — განაჩენი იყო...

მენარმე: (მოუთმენლად) და რა ქნა, რაა?!!

მწერი: მე არ შეეჩერდი... თუმცა რა „მე“? ის მე არ ვიყავი. ის იყო, ის სხვა, ნილაბივით ძალით მორგებული. მე — ნილაბს უკან ვიყავი... როგორ აგიხსნათ? იმ საზიზღარ ნილაბს ამოფარებული, თან შერცხვნილი, თან გაბოროტებული... ხომ გეუბნებით, ყველაფერი ორმაგი იყო ჩემში: სახეც, გულიც, სულიც, განცდებიც...

მენარმე: (მღელვარედ) დაგარტყა დანა, ხომ? გაგირჭო ბარძაყში, ხომ?

მწერი: (არ უკვირს მენარმის ნათქვამი, რადგან არც გაუაზრებია) ჰო. ბარძაყის ვენაში მომხვდა. სისხლმა შადრევანივით

ამოასხა... ნავიქეცი... (პაუზა) სისხლი არ მიკვირს. ომებში შევეჩვიე სისხლს. მაგრამ... არ ვიცი, ამდენი მღელვარების ბრალი იყო თუ რის, გრძნობა დავკარგე. ბოლო, რაც დავინახე, ის სკამზე იჯდა და...

მენარმე: ტელეფონით რეკავდა, პოლიციაში!

მწერი: სწორია... ტელეფონით რეკავდა პოლიციაში... (ოდნავი გაკვირვებით შეხედავს მენარმეს) საიდან იცი?

მენარმე: (ჩაფიქრდება) რა ცოდნა უნდა. სხვას რას იზამდა ეგეთი ქალი. ეგეთი დიდებული მანდილოსანი. (სიჩუმე)

პოეტი: ის ციხეში ნავიდა...

მწერი: ის ციხეში ნავიდა... რამდენჯერმე მივედი. ნახვა ვცადე. უარი თქვა. არ შემხვდა. ვცადე, დამეხსნა. არც ეგ გამომივიდა. არ მიიღო ჩემგან თავისუფლება... (პაუზა) კომერციული აგენტის საშუალებით, მთელი ჩემი ქონება გავყიდე... ისე გავყიდე, მე არ გამოვჩინილვარ...

მენარმე: დაიცა... კონცერნი „ტრანსფორმერი“ ისე ვიყიდე, მფლობელის გვარ-სახელი არ გამიგია...

მწერი: ჩემი იყო ეგეც...

მენარმე: ვაააჰ! რა ამბები ყოფილა იმის უკან... და (ცნობისმოყვარედ) ყველაფერი რომ გაყიდე, ის ფული რაში ჩადე?

მწერი: სინანულში ჩავდე... წარსულში. წარსულში ჩავდე... და ისევ ახალი ცხოვრება დავიწყე...

მენარმე: მერამდენედ, კაცო!...

მწერი: ადამიანს ბევრი სიცოცხლე აქვს. უბრალოდ, ხან იყენებს მათ, ხან — არა...

პოეტი: (ჩაფიქრებული უღრმავდება) ბევრი სიცოცხლე...

მწერი: საბედნიეროდ, კი. შეგიძლია ერთი დახურო და მეორე წამოიწყოს. ამაშია ხსნა. აი, რატომ არაა თვითმკვლელობა საჭირო. მხოლოდ ის ადამიანი თუ მოიკლავს თავს, რომელსაც ჰგონია, რომ მხოლოდ ერთი სიცოცხლე აბადია...

მენარმე: (გაფაციცებული, სმენაგამახვილებული) ჩუ! მეჩვენება თუ ქალის ხმა იყო?

პოეტი: (წამით ყურს მიუგდებს) გეჩვენებათ. (პაუზა) და... როგორ ფიქრობ, მეგობარო... იმ ქალმა ბოლობოლო გააპატია?

მწერი: არ ვიცი... არ ვიცი. პატიება იმხელა სიტყვაა...

მენარმე: (მოიწყენს) მე ლამაზად ლაპარაკი არ ვიცი... (პაუზა) მე ვიცი თვლა (უფრო მოიწყენს) რომ დავთვალე, ორმოცდაექვსი წელი მიცოცხლია და სულ ერთი სიცოცხლით. არაფერი ბევრი სიცოცხლე თვალთ არ მინახავს. და მოსაგონარიც არაფერი მაქვს... არაფერი არ მაქვს ისეთი, რომ ახალი ცხოვრების დაწყება დაჭირდეს. თვლა, თვლა, თვლა!!! ხუთასიათასის რვა პროცენტი! ასიათასის ცხრა პროცენტი! ახლაც, აი! (მტრულად გადახედავს ლიანდაგს) 12 და 5 გამრავლებული ათასზე, და გამრავლებული ათ თეთრზე!!!!

პოეტი: (მწერს) რა ჭირს...

მწერი: ახალი სიცოცხლის საზღვართან დგას...

მენარმე: (თავისთვის. მწარედ) ყველა თავისას ყვება აქ ყველას გადაეხსნა მოგონების ძარღვი... ყველას თავს ქარიშხალია გადავლილი. ყველას თავს ერთი სქელი წიგნია! მარტო მე ვარ შემოსავალ-გასავლის დავთარი... მეტი არაფერი... რისთვის მერე?! თუ შეუყვარდი ვინმეს ამ ორმოცდაექვსი წლის მერე... მიდი და გაიგე, შენ უყვარხარ თუ (თანდათან ჩაიფრდება) შენი ფული უყვარს... ვედარ გაიგებ... (პაუზა) მივედივარ... მორჩა. (მენარმე სტიქიურად და არეულად იწყებს ნასახვლელად მზადებას, პიჯაკს იხდის, ფურთხავს, ისევ იცვამს, პალატუხს ისწორებს, შარვალს იფერთხავს. ჯიბიდან ცხვირსახიცს ააოიღებს და დიპლომატს აპრიალებს, ხსნის, დასცვენს)

მენარმე: (წამით გაირიწყება ასე, დიპლომატით ხელში) არადა... ვუყვარდი ერთხელ ქალს. (სიზმარულივით ლაპარაკობს) ვუყვარდი. ისე. არაფრისთვის... (რელსზე ჩამოჯდება და თავისთვისვე შეუმჩნეველად გადადის ამბის თხრობაზე) დედაქალაქში სოფლიდან ჩამოსული ერთი უგრომო ბიჭი ვიყავი. სტუდენტი. ისიც სტუდენტი იყო. ისიც სოფლიდან ჩამოსული. (უღიმიის მოგონებებში დანახულ ლანდებს) ერთ სახლში ვცხოვრობდით. ჩვენ, სამ ბიჭს გვქონდა ნაქირავები ერთი სორო. იმათაც — ორ გოგოს — ერთი პატარა, ჩვენსაზე ოდნავ უკეთესი ოთახი.

(პაუზა) მაღალი გოგო იყო. თხელი. ზამთარში თხელი ფეხსაცმლით დადოდა. გალუული პალტოთი. შემცივებული სულმუდამ. აკანკალებული... რომ ჩავიცივდი, მინდვრის ყვავილების სუნს ტოვებდა. ეს მიკვირდა სულ. საიდან, როგორ... სულ ყვავილის სუნნი... (პაუზა) მეტს მე იმას ვერაფერს ვამჩნევდი: დიასახლისის გოგოს ვუჭვრიტინებდი შორიდან, იმასთან საქმის გაბმაზე ვოცნებობდი... (ჩაიცივებს) ვფიქრობდი, აგერ სახლია, კარია. დედისერთა გოგოა. მერე რა, გრძელი ცხვირი თუ აქვს. სამაგიეროდ, ეზოა ათასხუთასი კვადრატული, ორსართულიანი სახლი, რვა-რვა ოთახი ორივეზე, ჩავესიძები, ავაგორებ საქმეს... მინდოდა ახლა მე ჩემსავით გაღლეტილი გოგო? იმისი ყვავილების სუნი მიშველიდა ცხოვრებაში? (მწირს) რათ, რამდენი ცხოვრებააო?

მწირი: ბევრი.
მეწარმე: ჰ! ბევრი!

პოეტი: (ოდნავ თეატრალურად ჯდება რელსზე. ხაზგასმული დახვეწილობით) გისმენთ, განაგრძეთ, გეთაყვა.

მეწარმე: ბიჭებმა მითხრეს, რალაცნაირად გიყურებსო. (თავისთვის) თვალები კი ჰქონდა, იცოცხლე! ნაშიმშილარი, დიდი თვალები. გიყურებსო, — მეუბნებიან. თან სულ წინ გხვდებო, შემთხვევით არ ხდება ეგო. უყვარხარ, ბიჭოო. მიმუჯლუგუნებდნენ გავლა-გამოვლაზე.

პოეტი: (შეფერხებულია ფრაზაზე) ნაშიმშილარი, დიდი თვალები... (მეწარმეს, ნიშნისმოკებით) არ ვიცი ლამაზად ლაპარაკო? აბა ეს რა იყო?

მეწარმე: (ყურადღებას არ აქცევს) დავაკვირდი, მომეწონა. მაგრამ, არ მჭირდება ეგეთი! ზედა სართულს ვუმიზნებ! ათასი კვადრატული ეზო მინდა! ჩამომაქვს სოფლიდან თხილი და კაკალი, ამაქვს ზევით თასებით. ღამლაობით საღ ნათურებს ვსხნი და გადამწვარს ვკიდებ. მერე ისევ იმ ჩამოსხნილებს ვკიდებ და ფულს არ ვართმევ: „როგორ გეკადრებათ, ქალბატონო!“ უკაცო ოჯახია და ვაბითურებ, ვეტმასნები. თავს ვაჩვენებ...

პოეტი: (ხითხითებს) მაგარი გიჩაღიჩიათ... თუ შეაბით, კი-მინც, ის გრძელცხვირა გოგო?

მეწარმე: ვერა. საზღვარგარეთ წავიდა და იქ გათხოვდა. (გალიზიანებულად) სხვა ამბავს ვყვები!

(პოეტი ტუჩებზე ხელს ბოქლომივით იფარებს)

მეწარმე: საინტერესო რა იყო, თუ იცით... ის გოგო, მდგმური, ჩემთვის იყო ძალიან კარგი.

პოეტი: ვერ გავიგე?

მეწარმე: ის რომ შემომხვდებოდა გზაზე, რა გამოცდაზე უნდა წავსულიყავი, რა ჩათვლაზე, რა სხვა საქმეზე, ყველაფერი უმადლეს დონეზე გამომდიოდა. ჩემი ანგელოზი იყო პირდაპირ! საქმე ისე დადგა, რომ ერთხელ, სტუდენტობისთვის გადაღებული ფოტოებიდან ერთი ჩუმად ჩამოვუჭერი და პასპორტში ჩავიდე. სულმუდამ თან დავატარებდი. კარგი იყო-მეთქი ჩემთვის!

მწირი: (წამოდგება. ცას ახედავს) ბინდდება...

პოეტი: (თეატრალურად. მეწარმეს) დროა დავბრუნდეთ. მზე ჩავიდა და ქალაქიც ბნელმა მოიცვა. რა საოცარი სინყნარეა! რატომ სდუმხარ, მარცელუს ჩემო? მგონი, ფიქრებმა გაგიტაცა. განაგრძე თხოობა. ვგრძნობ, რომ გწყურია რალაცის თქმა, გისმენ, განაგრძე!

მეწარმე: ერთხელ, ახალწელს, ისე მოხდა, რომ ყველა გაიკრიფა — ჩემი ძმაკაცებიც და იმ გოგოს ოთახელებიც... წავიდ-წამოვიდნენ სოფლებში. მარტონი დავრჩით. ზევით, დიასახლისის სუფრაზე მე არავინ მიმიპატიუებდა. ყურებჩამოყრილი ჯდობაც არ მინდოდა. დავალაგე თევზზე თხილი და კაკალი, ამოვიჩარე ილიაში ერთი ბოთლი ჭაჭა და მივეუკაცუნე... (პაუზა) ჭაჭა ხომ იცით, რა არის? თან ახალი წლის ღამე. თან გოგო, რომელსაც უყვარხარ. პატარა ოთახი, სადაც სამი თავისუფალი სანოლი დგას მიჯრით... (პაუზა) არ მომიტყუებია. მართლა მიყვარდა იმ ღამეს. მეორე დღესაც მიყვარდა... მესამე დღესაც, მაგრამ ველარსად ვნახე. თავისი ქირის ფული მაგიდაზე დაეტოვებინა და უკვალოდ გამქრალიყო.

პოეტი: მოგეძებნათ მერე! სად გაქრებოდა?
მეწარმე: (ჩაფიქრდება) იცი რა? აზრი არ ქონდა. უცბად ჩაიარა ჩვენმა მატარებელმა და ეგ იყო, აღარასდროს აღარ ჩამოვივლიდა ანი, ვიცოდი. როგორც აქ. ხედავ? მოვა აქ მატარებელი? არ მოვა. ეძებე და ელოდე, რამდენიც გინდა. ჩაიარა! გაქრა! მოთავდა! (პაუზა) არადა... აი... (დიპლომატს ხსნის და მცირე ფათურის შემდეგ პატარა ფოტოსურათს ამოაძვრენს) აი, ისევ თან დამაქვს. კარგია ჩემთვის და იმიტომ. თილისმასავითაა. აგერ აი, მელო და აქაურობა ვნახე. ახალი ბიზნესი! (პოეტი ფოტოს ართმევს, დახედავს, სახე შეეშლება)

პოეტი: დაიცა... ასეთი ფოტო ხომ... მეც მაქვს! (უბიდან პატარა საფულეს ამოიღებს, გადახსნის, ფოტოს ამოიღებს) ეს... ეს დედაჩემია!! (ორ ფოტოს ერთმანეთს ადარებს. შოკშია. ისტერიკაშია) ერთი და იგივე ფოტოა!

მეწარმე: (ფოტოებს გამოვლევს და ერთმანეთს ადარებს. ხან პოეტს უყურებს, ხან ისევ ფოტოებს) და შენ... მისი შვილი ხარ? რამდენი წლის ხარ? ოცის? ცხრამეტის? თქვი!!

პოეტი: ოცის!
მეწარმე: (ანგარიშობს თითებზე, საშინლად ღელავს) სწორია! ოცი გამოდის! და სადაა... თვითონ სადაა, გათხოვდა?

პოეტი: (წყნარად) დედაჩემი მშობიარობას გადაყვა. ჩემზე მშობიარობას (მეწარმეს ათვალაღიერებს ახალი თვალთ. თავს აკანტურებს) ყველაფერი გასაგებია. მიკიბ-მოკიბვის გარეშე — ფაქტია. მამაჩემი ხარ... თ.

მწირი: (ცას ასცქერის. ხელისგულს უშვერს ჰაერს) ჟინულავს... და კვამლის სუნი მცემს... სოფელი თუა სადმე ახლოს... ცეცხლი დააანთეს...

მეწარმე: მე... მამა ვარ??
პოეტი: (თავს უკანტურებს რამდენჯერმე) მე კი — ძე! მხოლოდმობილი! მხოლოდმობილი ნაბიჭვარი. მე მკვიდრე. შვილი!

მეწარმე: შვილი... (დიპლომატჩახუტებული ჩაჯდება რელსზე) (სცენის მარცხენა მხრიდან ხმები მოისმის. ჯერ ნათია შემოდის, უკან-უკან ცქერით და ლაპარაკით)

ნათია: სულ ტყუილად ვიარეთ ამდენი... ისევ იქ მოვედით! (ხედავს პოეტს. გაოგნებულია) შენ?!!

პოეტი: (ხელებს შლის, თავს იმართლებს თითქოს) მე.
ნათია: (დაეჭვებით) კარგად ხარ?

პოეტი: (თეატრალურად) ო, კარგად ვარ, სატრფოვ ჩემო, სავესებით კარგად... (მეწარმეს გადახედავს) მე... ეს ესაა, გადავანყდი აქ მამას მშობელ...

მეწარმე: (ისე შესცქერის პოეტს, თითქოს პირველად ხედავს) ჩემი შვილი...

პოეტი: (ნათიას) აი! (ხელებს შლის) ხომ ხედავ!

ქალი: (კულისებიდან გამოდის, გზადაგზა ბალახბულახს იშორებს ტანსაცმლიდან და თიმიდან) სად ხარ, გოგონი! დაიცა... წინ ნუ გარბიხარ... (ლიანდავს ხედავს) ჰ! ისევ ეს ლიანდაგი! ისევ ეს... (თავს აწვეს და მწირს ხედავს. გრძელი, მრავლისდამტევი პაუზა) შენ?...

მწირი: (წელა მოიხდის თავიდან ქუდს, ხელში მომუჭავს და ხელებს შლის, თითქოს თავს იმართლებს) მე.

(სცენა შემდება. ყველა უძრავ, მაგრამ ემოციურ მდგომარეობაშია.)

ჯერ წყნარად, მერე კი სულ უფრო ხმამაღლა ჟღერს გორან ბრეკოვიჩის რომელიმე ცნობილი ინსტრუმენტული კომპოზიცია. მუსიკის ფონზე მოისმის შორეული გუგუნი, თანაბარი დაგადუგი, რომელიც სულ უფრო ახლოვდება და ძლიერდება. სცენის სიღრმიდან დარბაზის მიმართულებით მოანათებს პროჟექტორი, რომელიც თანდათან წინ მოიწვეს, დიდდება, სულ უფრო თვალისმომჭრელ შუქს ჰფენს დარბაზს, აბრმავებს მაყურებელს, სცენაზე მდგომებს კი შავ სილუეტებად აქცევს... პროჟექტორის შუქს ემატება ორთქლი, რომელიც თანდათან გააქრობს კონკრეტულობადაკარგულ, განზოგადებულ ფიგურებად ქცეულ გმირებს. ისმის მატარებლის კივილი, ბორბლების დაგადუგი, მუსიკა. ყველაფერი ერთ ხმაურთან, ძლიერ და ბუნდოვან მთლიანობად იქცევა და თავის ნაწილად აქცევს მაყურებელსაც.)

ფ ა რ დ ა



მანანა ჩიტიშვილი

კვლავ შვილისადმი

უნდა გაუძლო სუსხსა და აღმურს,
თორემ ხომ ხედავ, ქარი აბეზრობს,
არ დაადინო ცრემლები მამულს,
წუნუნით თავი არ მოაბეზრო.

იარებს მისას არც როს უფრთხოდე,
შენია, შენად უნდა იგულოვო,
ქრისტეს კრავივით მშვიდს და უცოდველს
არ შემოსწყრე და არ ედიდგულო.

არ ეძმო მისი სიავის მდომელს,
ხმა არ შეგიკრთოს ავმა დარებმა,
მხოლოდ მამულის საზომით ზომე
ყველა ტკივილი და მწუხარება.

არ მოგჭრას თვალი ვერცხლის სინათლემ,
ბრძენის სარქმელი ბრეყვს არ დაჰხურო,
არ გათავწვერდე, დიდი სიმართლე
ხელის ბიჭივით არ იმსახურო.

მინა — ათასგზის ჩამოტორილი,
ძველ ციხეებში ქარი არაკობს,
არ ესაუბრო მამულს ტოლივით,
არც ენის ჩლექით ელაპარაკო.

უნდა გაუძლო სუსხსა და აღმურს,
თორემ ხომ ხედავ, ქარი აბეზრობს,
არ დაადინო ცრემლები მამულს,
წუნუნით თავი არ მოაბეზრო.

რუბიკონი

დრო მაქვს გულზე მობჯენილი,
როგორც კარაბინის ლულა,
მტერი კარზე მომდგომია,
მეგობარი მიმალულა,
სუყველანი აქ არიან,
ვინც ოდესმე მქოლა, მკრულა,
ჩემი ყველა სიქველენი
რა ამაოდ დაკარგულან.

ავ საქმეზე მეძახიან,
მე ვერ წავალ ჩემის ნებით,
ერთ დღეს თუ მზე გამიბრწყინდა,
ათ დღეს კუნაპეტში ვქრები,
პირს ილღიან მედროვენი
უნიჭოთა ხოტბა-ქებით,

ეს ავი დრო თუ არ მომკლავს,
მახვილს თვითონ ავეგები.

ვინც შევმოსე, დავაპურე,
სამკედრო-სასიცოცხლოდ მემტრო,
სულ სხვის ტკივილებზე ვტირი,
თუმცა ჩემი ბევრად მეტობს,
დავიღალე, ალბათ დროა
გულის კარი გამოვკეტო,
მე არ ძალმიძს, ძმა-მოყვასი
სიავისთვის გავიმეტო.

ღმერთმა ცუდი აგვაშოროს,
ისეც ბევრი გვინახია,
გულმა სიმწრის ჩუმი ცრემლი
დარდის გორგლად მიახვია,
თუმცა ჟამმა არ დამინდო
ლაფანივით მწენა, მხია,
ვფიქრობ, ჩემი რუბიკონი
ჯერ არ გადამიღახია.

* * *

ძველი ყავარი
წვიმას არ იჭერს,
ქარი მიმოდის
სხვენში ინახად,
ჩემი სიზმრების
ლურჯი კარიბჭე
შენ ერთხელაც არ
გადმოგიღახავს.

ჭალიდან მოქრის
ნიავი გრილი,
ესათუთება
ვარდებს აზიზად,
არაფრად მიღირს
ისეთი ძილი,
თუ შენი თავი
არ დამასიზმრა.

მაინც შენ უნდა მიტირო

შევემუდარე ვარსკვლავეთს —
მათთან ცის თაღზე მიმკირონ,
გინდა — არ გინდა, ნაგივალ,
ვერც რას დამიჭერ, ქვიტკირო,
ვისაც არ უნდა მოვუკვდე,
მაინც შენ უნდა მიტირო.

გაზაფხულის წვია

ასნია ზეცამ
ნისლების რიდე,
უხდება მინას
ვარდთა შლილობა,
შენ სხვა რამ დარდი
განუხებს კიდევ,
თორემ არც ისე
ღრმაა ჭრილობა.

ქარი აურევს
დანმენდილ მორევს,
მთვარის შუქზე რომ

ათასფრად ბრწყინავს,
შენ სიყვარული
გატირებს, თორემ
არც იმნაირი
არ მოდის წვიმა.

ამ მთაზე

სხვის მალნარებმა
ვერაფრით მიყმეს,
ჩემს სუნთქვას
შენი ზეცა განაგებს,
და თოფისნამლით
დატენილ სიტყვებს
კვლავ ტყვიებივით
ლექსში ვალაგებ.

უნდა დავბრუნდე
ამ მთებში ისევ,
გაცხადდეს ღვთის და
მამულის ნება
და ქსანი გდია
რიყზე ისე,
თითქოს ფრანგული
შეიხსნეს მთებმა.

* * *

სუყველა სიტყვა,
რაც შენთვის კმარა,
მცირეა ჩემთვის —
უჟამო ბინდი,
მე სიყვარულის
არ გწერდი ბარათს,
ქალაქზე ცეცხლს და
ნაღვერდალს ვყრიდი.

და ნაღვლიანი,
უმწეო მზერით,
მოგდედა თვალი
ცისფერ ეზომდი,
შენ სიყვარულის
არ მწერდი წერილს,
თოვლის გათოშილ
გუნდებს მესროდი.

მისამე

ტოტზე ზის თოვლი მტრედევით მშვიდი,
მოჩანს ბელურა — ბუმბულის გუნდა,
ჩემი სიცოცხლე უშენოდ მიდის,
შენი სიცოცხლეც — რალა თქმა უნდა.

სალამო, თოვლის ნათებით მკრთალი,
ფიფქები მთვარის შუქზე კვესავენ...
რალაც უცნაურ განგების ძალით
ჩვენს შორის მუდამ იდგა მისამე.

ეს ღამეები ნელ-ნელა მკლავენ,
ქარი ჩაჰბერავს ბუკს და ნალარას,
ბებერი ტყემლის ხორკლიან მკლავებს
თოვლის ყვავილმა გამოაყარა.

რა მიუვალი კოშკი აიგე,
შემოუგრაგნავთ თითქოს დრაკონებს,
შენ ჩემს სიჩუმეს როგორ გაიგებ,
ერთი ლექსიც რომ ვერ გაგაგონე.

გზები ჩვენს შორის ჟამმა დანისლა,
ქარი თარეშობს ნაცნობ ბოგიორთან,
მე მოვალ ერთხელ, შუალამისას
და მთვარის ყვირთელ ვარდებს მოგიტან.

მოვა აპრილიც, მინდვრების კაბას
იები როცა ლურჯად კემსავენ...
ჩვენ სამთა შორის, რა გითხრა აბა,
იქნებ მე ვიყავ სულაც მესამე.

შენ სიხარულზე მიაგმა

გამომიქრება კოცონი,
რჩება ფერფლი და ნაცარი,
ალარც ყაყაჩო შემხვდება
კისკისით, გულის ფანცქალით.
სერზე მიდიან ნისლეები,
დამთვრალნი, ბანცალ-ბანცალით,
შენ სიხარულზე მიაგმა,
დარდი მეც ვიცი რაც არი.

განთიადი იყალთოს გორაზე

წუხელ ქუჩები წვიმით გალაქეს,
ახლა კი ქარი დარაბებს ანჯღრევს,
ნელა იღვიძებს ჩემი ქალაქი
და თვალელებით ახილებს ფანჯრებს.

მოეჭარბება ფერები ლილის
ამ ზღაპრულ ცას და თბილისურ არეს,
გაახელს ფანჯრებს ქალაქი დილით
და აიწვევა წარბივით მთვარე.

ნ ა მ ც ვ რ ე ვ ი

ვეფხვთან შემბმელი
პირშიშველი
რომც იყოს მოყმე,
არისლა დედა,
მოკლულ ვეფხვს რომ
უჭირისუფლებს?!

იაზროვნე,
როგორც პოეტმა,
მაგრამ პოეტივით
ნუ იცხოვრებ —
მისეული ძილით და სიზმრებით.

ბებერი ბლის ფუტურო ტოტზე
ჭრელი კოდალა შემომჯდარა
და მთელი ბალის გასაგონად,
წარმოუდგენელი ჟინითა და სითამამით,
გრძელი ნისკარტით
სამიჯნურო ბარათებსა მწერს.
უარის თქმისთვის
ენა როგორ მომიბრუნდება...

დამბადებელმა
სამყაროს შექმნა რომ დაამთავრა,
ალბათ იმ განცდას ემსგავსებოდა
„ვეფხისტყაოსნის“ დასრულება.
მე ის უფრო მაინტერესებს,
იმან რა იგრძნო,
იმ ქართველმა,
ვინც პირველმა ის წაიკითხა.

ეს ობობა
ჩემს დარდას ქსელავს,
კუთხით კუთხემდე
ულამაზეს გვირისტით ქარგავს,
იქნებ როგორმე
სინარული გამოიმწყვდიოს.

შეცდომები,
რასაც პოეტები
ცხოვრებაში ვუშვებთ,
შემდეგ
ლექსებად იქცევა ხოლმე.

სიყვარულიც სენია,
ოლონდ ისეთი,
მორჩენა რომ არავის უნდა.

„მე ახლა ტყეში გამოკიდულ რადიოს ვგავარ“
გვითხრა ერთხელ ოთარ ჩხეიძემ,
როცა შენიშნა,
ლექციაზე რომ არ ვუსმენდით.
ეს ფრაზა ალბათ მთელი ჩემი შემოქმედების
სათაურად გამოდგებოდა.

რა გულმოდგინედ ცდილობენ, რომ
არ დამინახონ,
თანაც იმგვარად,
რომ ვერც სხვებმა
შემავლონ მზერა.

ვისთვისაც ვამბობ, —
ის არც კი მისმენს,
ვისთვისაც ვწერ, —
ის არც კითხულობს,
მაინც არ ვნანობ —
გასროლილი ბასრი ისრებიდან
ოდესმე ალბათ
ერთი მაინც მიაღწევს მიზანს.

მე რომ მოვკვდები,
ჩემი შვილის გულში
ერთი ცრემლი გაიყინება.

რადგან ყვავილი
პეპელასთან არასდროს მიდის,
ეს როდი ნიშნავს,
რომ მას ნაკლებ უყვარს მიჯნური,

ჩვენ ხომ არ ვიცით,
იქნება სწორედ
გაუსაძლისმა სიყვარულმა
შეუკრა ფეხი.

ჩემი სიცილის უკან სულ ცრემლი იდგა,
ლიმილში — სევდა,
სითამამეში — უმწეობა,
შემგრძობელი და დამნახავი
კი არსად იყო...

სიცოცხლე ისეთი ხანმოკლეა,
სიძულვილზე ფიქრი არა ღირს,
წერა - მით უფრო.

გვირილების ერთი ციდა,
თეთრი ქოლგები
ამ დიდ მინდვრებში
ვის უჩრდილებენ?!

„ჩემი ბავშვობის სახლში მიყვარხარ“
თმაშვერცხლილი მამაკაცი ქალს ეუბნება
და გამტკნარებულ სახეს არიდებს.
მღელვარებისგან ჰაერიც კი თრთის...

კარგა ხანია, რაც შენ ნახვედი...
ეს ყვავილებიც
იმ დღის შემდეგ გაუფერულდა.

ჩემი ლექსები —
მარადისობისთვის გადაყრილი
ნამცეცები.

სადაც პირველად
ფეხს დააბიჯებ,
ის ნატერფალი
შენს გულშიაც აღიბეჭდება,
თან — სამუდამოდ!

მშვენიერი ხარ, სიყვარულო,
თუ ამ ქვეყნად რაიმე დამრჩა,
ყველაზე მეტად მეძვირფასები,
მაგრამ ვატყობ, რომ
რაც ხანი მიდის,
სხვაზე მეტად შენ გისაკლისებ,
წლებს და წლებს შუა
ქვიშასავით მიიპარები.

გაფრინდი, შაშვო
და ქსნის ხეობას
ჩემს მაგიერ შენ უგალობე,
არ დაიზარო, დიდხანს
ტკბილად ელაპარაკე,
ისე უმღერე,
საქართველო არ დაავინყო!

სერგეი ავერინცევი

ფილოლოგია: მეცნიერება და ისტორიული მეხსიერება

(დილოგი ნიხაიკიდან „ცდანი თვითმარკვევისა“)

— სერგეი სერგეევიჩ! სტატიაში „ფილოლოგია“ თქვენ წერდით: „ადამიანის უმთავრეს ამოცანათაგანია, გამოხატოს არა საკუთარი ემოციები, არამედ გაუგოს მეორე ადამიანს, არ გადააქციოს ისეთ რამედ, რაც არ ექვემდებარება „გამოთვლას“. ეს როგორც ცალკეული ადამიანის, ასევე ეპოქების, მთელი კაცობრიობის წინაშე მდგარი ამოცანაა. ფილოლოგია სწორედ ამ გაგებინებისთვის მსახურდება, მაგრამ ამოცანის ასეთი გაგებისას სწავლულის ხატება ჩვეული „პროფესიული ჩარჩოებიდან“ გადის. ამიტომ მოდით, ვისაუბროთ არა იმაზე, როგორი უნდა იყოს ფილოლოგი, არამედ — როგორიცაა. რა შედის მის პროფესიულ ცხოვრებაში და მისი არაპროფესიული ცხოვრება როგორ გადაიკვეთება ბიოგრაფიულ ცხოვრებასთან. თანდათან როგორ ჩამოყალიბდა თქვენი ინტერესები, ვინ მოახდინა მასზე ზემოქმედება?

— აქ უნდა ვთქვათ ორი რამის შესახებ. ერთი შეეხება ოჯახურ განცდებს, მეორე — პირიქით. ჩემმა ცხოვრებულმა მამამ, ბიოლოგმა სერგეი ვასილიევიჩ ავერინცევიჩმა, თავის დროზე დაამთავრა კლასიკური გიმნაზია, ღრმად გრძნობდა ლათინური ლექსის მუსიკას და მიკითხავდა ჰორაციუსს ორიგინალში, როცა ბავშვი ვიყავი, 12 წლისა, არცერთი სიტყვა არ მესმოდა, მაგრამ ძალიან მსიამოვნებდა. ეს სიხარული მომეძღვნა ჩემი ოჯახიდან ისე, როგორც ჩუქნიან ბავშვებს საჩუქრებს. მამაჩემი დაიბადა 1875 წელს, რილკესა და ალბერტ შვაიცერის დაბადების წელს, ბლოკზე ხუთი წლით ადრე, ასე რომ, შეიძლება მისი შვილიშვილი ვყოფილიყავი, მაგრამ მისი შვილი ვარ. ეს სულ სხვა საქმეა, სულ სხვა სიახლოვე, დამოკიდებულების სხვა ტემპრი. მამა არასდროსაა მოხუცი, როგორც პაპა, მამა მამაა. ვფიქრობ, ბავშვურმა დამოკიდებულებამ მამასთან როგორღაც ძალიან მიმიყვანა ისტორიული დროისადმი არცთუ ჩვეულებრივ დამოკიდებულებამდე. გარდასული საუკუნე არ ყოფილა მოჭრილი მონაკვეთი — „ეს იყო დიდი ხნის წინათ და არ არის მართალი“ — როგორც ჩემს დროს ამბობდნენ მონაფეები და მამაჩემის თანამედროვენიც. ძველი რუსეთი, მე-19 ს-ის, განიცდებოდა ვითარცა მამაჩემის სამყარო — „მამეული“, ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით. თქვენ გესმით, მამაჩემი როდის დაიბადა, ტიუტჩევი სულ რაღაც ორი წლის გარდაცვლილი გახლდათ, დოსტოვესკი და ტურგენევი კი — ცოცხლები (დედაჩემს კი, რომელიც მამაჩემზე ბევრად ახალგაზრდა იყო, ბავშვობაში ნანახი ჰყავდა ტოლსტოი, როდესაც იგი ტროიციკში საავადმყოფოს ეწვია). მახსენდება ბევრი წვრილმანი, მაგალითად, მივდივარ მამასთან ერთად ქუჩაში, იგი მუშუბნება, „როდესაც მოსკოვში ჩამომიყვანეს, აქ იყო კატკოვის რედაქცია...“

ასე რომ, 100 წლის წარსული (დღევანდელი დღიდან და არა ჩემი ბავშვობიდან), რუსული ჟურნალებისა და ლიტერატურის სამყარო, სულაც არ ყოფილა ასე შორეული.

— **მამისეული** — ეს მთელი ცხოვრებაა, ეს ყოველთვის ნორმაა, ოდითგანვე მოცემული სახე „სწორისა“. რაღაც მკაცრი, რასაც, გინდა-არ გინდა, ითვალისწინებ, ამავდროულად საშინაო, „თავისი“, საყრდენი და დაცვა. ძეგბრი დამო-

კიდებულებით მამეულისმიერისადმი (ისევე, როგორც წარსულისადმი) — გვასწავლიდა პუშკინი — უზრუნველყოფილია „ადამიანის თვითმკვიდრობა“.

ლათინური, რომელსაც მამაჩემი სკანდირებდა, ანტიკური ღორიული არქიტექტურა სამხრეთ იტალიაში, რომლის შესახებაც მამაჩემი ბავშვობაში საკუთარ მთაბეჭდილებებს (იგი ახალგაზრდობაში მუშაობდა ნეაპოლის მახლობლად ბიოლოგიურ სადგურში, ცოტა ხნის წინათ ვიყავი იტალიაში და დავინტერესდი, არსებობდა თუ არა ეს სადგური, აღმოჩნდა, რომ დღესაც მოქმედებს), ესეც მამეული იყო, მამულისებრი, სამუდამო.

არსებობს საგნები, ძალზე რეალური, მაგრამ პირწმინდად „ატმოსფერული“. მათზე საუბარი არ არის იოლი. ჩვენ არც ისე დამჯერი გოგო-ბიჭები ვართ, მაგრამ ვფიქრობ, ყველაზე უკეთ მშობელთა გამოუთქმელი ნება შეისმინება მამინ, როცა საჭირო ხდება დედისა და მამის მაგივრად რამის კეთება, რაზეც მათ ცხოვრებამ უთხრა უარი, ან დიდი გულისტკივილით თვითვე თქვეს უარი — განახორციელო განუხორციელი ოცნება მათი სულისა („ასე გუნდი გარდაცვლილთა შენში აზროვნებს და გალობს“ — ნათქვამია ვიანჩესლავ ივანოვთან, შეიძლება ზედმეტად ლამაზადაც, მაგრამ ძალიან სწორად, არსებითად). მამაჩემს ჰქონდა ცხოველი ინტერესი ჰუმანიტარული საგნებისა, რუსული და ევროპული ისტორიისა, ძალიან უყვარდა ღორიული არქიტექტურა, სურსათის ბელეტი მისკოვში, ვასილ პეტროვიჩ სტასოვის მიერ აშენებული. როგორც ხედავთ, მისი არქიტექტურული იდეალი იყო ძალზე მკაცრი. იონიურ ორდერს, რომ აღარაფერი ვთქვათ კორინთულზე, ვერ იტანდა დეკორატიულობის, არსებითობის უკმარისობისა გამო. უყვარდა ჰორაციუსის ოდეები, ესეც სიტყვათა ერთგვარი არქიტექტურა, აფასებდა ტიუტჩევის სიტყვებს, მაგრამ ეს სიყვარული, როგორც ვითხარით, მგზნებარე იყო, გახელებამდე სამარცხვინო. ცხოვრების საქმედ აირჩია ბიოლოგია, ესთეტიკურ დილეტანტიზმს კი ვერ იტანდა. ამას გარდა, ჩემი აზრით, მასში ცხოვრობდა „რაზნორინციის“ მგრძობელობა. მამამისი, პაპაჩემი ვასილი ვასილიევიჩი, ჩემს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე გარდაცვლილი, 1861 წლამდე იყო ყმა, შემდეგ კი ჯახირობდა, როგორც შეფერებოდა რკინიგზის უილბლო მუშაკს. მამაჩემის ყრმობა სულაც არ ყოფილა იოლი, განათლების მისაღებად ადრიდანვე შრომა სჭირდებოდა და ამან ჩამოუყალიბა ხასიათი (როდესაც ახლა ვკითხულობ ცვეტაევასთან მამამისის



შესახებ, შევიცნობ იმავე ტიპს „ძლიერი სულისას, ძლიერი მკერდით“ — როგორც მასთანაა ნათქვამი). მამაჩემს მდუმარე სიყვარული შეეძლო, მაგრამ ტკბობა მისთვის იყო ფუჭი საქმიანობა. მისი შეგრძნებით, „არ შეეფერებოდა რანგის მიხედვით“ ხელოვნების, ლექსებისა და სიძველეთა შესახებ საუბარი. არ შეიძლებოდა და მორჩა. მე მისი შვილი ვარ და ჩემთვის ეს შეიძლება.

გამიგეთ, მას არასოდეს, არცერთი სიტყვით არ მიუნიშნებია ჩემთვის, რომ ეამებოდა ჩემში ჰუმანიტარი დაენახა (ვერც მნახა, ვერ მოასწრო), არც მე მომდიოდა თავში, რომ ჩემს არჩევანში იყო რაღაც მისი გამოუთქმელი ნების ვაგება. ამას მისი გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ მივხვდი, ნაწილობრივ დედაჩემისაგან გაკვრით ნათქვამი ფრაზის ზემოქმედებით: მან იცოდა.

პირველი ეს იყო, მეორე — აი რა. ჩემს ყრმობასა და ადრეულ სიტუაციებში ე. ი. 50-იან წლებში ჩემი თანატოლნი თანხმდებოდნენ, პატივი ეცათ მხოლოდ ტექნიკისა და მისი მსახურ მეცნიერებათათვის. ტექნიკით გატაცება ეიფორიას აღწევდა. ეს ყველაფერი ახლა შეიცვალა. ტექნიკური თუ ბიოლოგიური განათლების მქონენი ჰუმანიტარობას ესწრაფიან, ან აგრძელებენ ჰუმანიტარულ წიგნებს. ჰუმანიტარობა გახდა „პრესტიჟული“, მაშინ კი ასე სულაც არ იყო. ანტიკურობის კვლევას მაშინდელი ახალგაზრდები სალოსობის დონეზე აყენებდნენ. მაგრამ როცა ყველაფერი ნავის ერთ მხარეს მოგროვდა და აღმოჩნდა, რომ ნავი დაინთქმებოდა, ვინც ეს დაინახა, იძულებული გახდა მეორე მხარეს გადასულიყო.

მომწონდა, როცა მალიზიანებდნენ: რაც შენ გიყვარს, პატარა ციხეა, რომლის დაცვაც აღმატებული ძალებისგან საზიზღრობა და სასაცილოაო, — მაგრამ ადამიანს ხომ აქვს რაღაცისთვის ბოძებული შეუპოვრობა! (ფეიქრობ, საკმაოდ მშვიდი ადამიანი ვარ, მონაფეობის დროსაც კი არ ვჩხუბობდი, როცა სხვები ჩხუბობდნენ, თავი მხრებში მქონდა ჩარგული. ახლაც, როცა კამათობენ, მაინც მხრებში მაქვს თავი ჩარგული და ეს დაუთანხმებლობის ერთგვარი მზაობის გარეშე, რაც ცხოვრობს ჩემში, ვერ წარმომიდგენია: „დალათუ ყოველნი დაბრკოლდნენ, არამედ მე არასადა დავპბრკოლდე“ (მარკ. 14, 29). თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რა დაემართა იმას, ვინც ეს თქვა).

— უნივერსიტეტის მასწავლებელთაგან მაინც ვის უნდა უამბოდოდოთ საკუთარ „ფილოლოგობას“ (ამ სიტყვის ეთიკური საწყისი). ვისი ზნეობრივი იდეალი აღიბეჭდა თქვენში ყველაზე უკეთ?

— ყველას რა ჩამოთვლის. ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელთაგან გამოვყოფდი სულ ორ სახელს. ამას პირველ რიგში იმიტომ ვაკეთებ, რომ ისინი უმაღლესი სინმინდის ადამიანები იყვნენ. იოლია მოქებნი კაშკაშა და სახელგანთქმულნი, ძნელია, იპოვო ასეთივე წმინდანი; მეორე — ეს სახელები თითქმის უცნობია. ცხადია, მოსკოვის უნივერსიტეტის პედაგოგის სახელი შეუძლებელია იყოს სრულიად უცნობი, ბუნების კანონთა თანახმად, აქ საუბარია რაღაც მიახლოებაზე უცნობობასთან. თუკი ჩვენ, მცნობნი ამ ადამიანებისა, მათ შესახებ არ ვისაუბრებთ, რომლებთანაც ვსწავლობდით, მათ სრულიად დაივიწყებენ. გამოქვეყნებული წიგნები (ვითარც სოკრატეს, ისიც ხომ არაფერს წერდა) მათ ცოტა აქვთ. ისინი არ ესწრაფოდნენ „საკუთარი სიტყვა“ ეთქვათ მეცნიერებაში — უბრალოდ ასწავლიდნენ და მასში დებდნენ მთელ სულსა და გულს. სწავლება — ეს იყო მათი ნაწილი. რასაც ისინი გვაწავლიდნენ, მთელი ცხოვრება გამომყვა.

კიდევ, ისინი უბრალოდ ი ყ ვ ე ნ, ანათებდნენ თვალისთვის, რომელთაც მათი დანახვა შეეძლოთ სილამაზით, მთელი ადამიანური ბრწყინვალეობით.

ალექსანდრ ნიკოლაევიჩ პოპოვი ახალგაზრდობაში რომელიღაც გიმნაზიურ სასწავლებელში მასწავლებლობდა,

რაც მოკრძალებული, მაგრამ გარკვეული აზრით უპირატესია, ვიდრე „უნივერსიტეტის მასწავლებელი“ — ის ამაღდარჩა კუბოს კარამდის. იყო არცთუ მაღალი, ძალიან მკვირცხლი კაცი, ცოცხალთვალეა, ქოლერიკის ცეცხლოვანი შთაგონებით მოელვარე. ასეთი ადამიანები ხანდაზმულობისასაც კი აგრძელებენ კიბეზე სირბილს და ყოველ ასეთ ქმედებას გულისტკივილით ანაზღაურებენ. საუბრობენ ცოცხლად, ცეცხლოვნად, ასე რომ, ჭაბუკის სიტყვა მათ სიტყვასთან შედარებით გახუნებულია. აუღლებდა რა ჩვენთან, პირველკურსელებთან ერთად, ბერძნულ ზმნებს, იგი ინარჩუნებდა მუდმივ მზაობაში ყოფნის ტემპს და სკოლის საჩვენებელ ჯოხს დირიჟორის ჯოხით ხმარობდა. ის, ვისკენაც იყო მიმართული საჩვენებელი ჯოხი, მყისიერად ასახელებდა საჭირო გრამატიკულ ფორმას და მყისიერადვე იღებდა ქებას ან კიცხვას, რასაც მოსდევდა საჩვენებელი ჯოხის კვლავ აქნევა. ამაში იყო რაღაც ძალიან კარგი, განმასხვავებელი მუსიკა. ჰერმან ჰესეს თავისი რომანის — „თამაში როიში მარგალიტებით“ — შავ პირში იოზეფ კნეხტის ცხოვრების აღწერისას გმირის ზიარება კულტურულ საიდუმლო ტრადიციასთან ხორციელდება იმით, რომ მას უმხელენ მსცოვანი მასწავლებლის რიტმს, რაც გამოიხატება მხოლოდ და მხოლოდ ბატის ფრთის ნამახვილებებაში, მაგრამ ეს საქმე ქცეულია ერთგვარ რიტუალად. და აი, ალექსანდრ ნიკოლაევიჩის საჩვენებელი ჯოხი ჩვენ ერთგვარ ღვთისმსახურებად დაგვამახსოვრდა (უპ, როგორ გვეშინოდა მისი!).

ალექსანდრ ნიკოლაევიჩ პოპოვი, როგორც მისი ყადის სხვა ადამიანები, იყო მრისხანე, მაგრამ ბრაზი მალე გაუვლიდა ხოლმე, იყო ამასთანავე დიდსულოვანიც. ძალიან უყვარდა ჟუკოვსკი და თვითონაც თითქოს მისი რომელიღაც წყნარი არზამასული ლექსიდან იყო მოსული. ძალიან მოსწონდა: „დაკითხვაზე შეიკრიბნენ სამსჯავროში მინოსისა...“ ეს იყო მისი რიტმი და იუმორის მისი ტიპი, მასში ბუნებრივად არსებული.

მეორე იყო ჟიუსტინა სევერინოვნა პოკროვსკაია, ლათინური ენის ცნობილი ისტორიკოსის მ. პოკროვსკის ქვრივი. მთელ მის გარეგნობაში, ყოველ ჟესტსა და ქმედებაში ცხოვრობდა უბინოებამდე მისული კეთილშობილება. ძალიან კარგია, რომ ლესკოვმა დაწერა თავისი მოთხრობები მართალთა და უბინოთა შესახებ, მაგრამ გაცილებით უკეთესია, როცა ასეთი ადამიანები არსებობენ სინამდვილეში. გარემომცველთაგან მათ არ ელოდებთ არათუ სინიძმურ, უბრალოდ რაიმე წყენაც კი. შეუძლებელი იყო არ გვეყვარებოდა: კარგი თავი, ნათელი, ყველა საკითხზე უიშვითესად ჯანსაღი, ღირსეული, ძველმოდური მიმოხვრა და მხოლოდ ერთგვარი მცირეოდენი უცნაურობანი, როგორც დიკენსის პერსონაჟებს, რაც კიდევ უფრო ჰმატებდა ხიბლს. ჟიუსტინა პოკროვსკაია ხანდაზმულობაშიც ლამაზი იყო, სწორედ ლამაზი და ამიტომ შესაქებ არსებით სახელთაგან მას შეეფერება სიტყვა „კეთილშობილება“, რის შინაარსშიც სიკეთე და სილამაზეა შეერთებული და ეთიკური განუყოფელია ესთეტიკურისაგან. მაგალითად, ვთქვათ, საჭირო ხდება სიკეთის აქტის აღსრულება, სიმამაცეს რომ ითხოვს, ირგვლივ კი არავინ ცდილობს ამას იგი, ვინც ბოლოს და ბოლოს ამას გააკეთებს, იქნება კარგი ადამიანი, წესიერი კაცი. კეთილშობილიც ამასვე გააკეთებს, მაგრამ ისე, სრულიად ბუნებრივად, თითქოს სხვაგვარად მოქცევა შეუძლებელიც კი იყოს და სიმხდალე არც არსებობდეს საერთოდ.

მასთან ერთად მახსოვს მისი დაც, პირდაპირი ნონა სევერინოვნა, თუმცა იგი მთელი სიცოცხლე იყო მუზეუმის მუშაკი და უნივერსიტეტის მასწავლებელთა სიუჟეტთან კავშირი არა აქვს.

— მასწავლებელთა გარდა სტუდენტობისას კიდევ ვინ ახდენდა თქვენზე გავლენას?

— ცხადია, მასწავლებელთა გარდა მყავდნენ ამხანაგები, რომლებთან საუბრებმაც სტუდენტობის წლებში ბევრი რამ

მასწავლა. მე ვეკუთვნი იმ ადამიანებს, რომლებიც გვიან მნიფდებიან, მათ კი საკუთარ გონებრივ სიმნიფეს უჩვეულოდ ადრე მიაღწიეს, ამიტომ მათთან ერთგვარად მონაფეობრივი დამოკიდებულება მქონდა, თუმცა ეს ჩემი ორივე „მთავარი“ მეგობარი ჩემთან ერთად იყო სტუდენტი: ერთი ჩემზე ორწლიანხვევით უფროსი იყო, მეორე კი ჩემზე უმცროსი — ერთი წლით. უფროსი ჩემი კოლეგა მიხეილ ლეონოვიჩ გასპაროვია, მეორე კი — გერმანისტი ალექსანდრ ვიქტოროვიჩ მიხაილოვი. მადლობა ღმერთს, ორივე ცოცხალია და მათზე საუბარი ერთგვარად უხერხულიც კია. მხოლოდ დავამონებ, რომ სხვადასხვა შეფერილობის იშვიათი სიმწყობრე აზრისა — ლოგიკური გასპაროვის და მუსიკალური ლეონოვის — მაშინვე ახსიათებდათ. და კიდევ, საკუთარი საქმისადმი მათ მკაცრი დამოკიდებულება ჰქონდათ.

— თქვენ ახლა შეეხეთ სამეცნიერო სიმკაცრის პრობლემას, ამასთან დაკავშირებით მომეცით უფლება გკითხოთ. საზოგადოდ მიჩნეულია, რომ სამეცნიერო სტილი უნდა იყოს მკაცრი, მაგრამ სიმკაცრეში უფრო გულისხმობენ სიმშრალეს. მკვლევარის ინდივიდუალური სტილის უქონლობას, ერთგვარ სიცივესაც კი. თქვენი სამეცნიერო ნაშრომების სტილი აქ არ თავსდება. ასეთ განსაზღვრებაში ის ესეის სტილს უახლოვდება. მაგრამ ესეი ლიტერატურაა, თქვენი წიგნები და სტატიები კი — მეცნიერება. რა არის ის ამოცანა, რაც წინდაწინ განსაზღვრავს „არასამეცნიერო“ სტილს?

— აბა რა გიპასუხობთ ამაზე? ვნერ ისე, როგორც ვნერ, მაგრამ არა იმიტომ, რომ წინასწარ დავისახე მიზნად ასე წერა, არამედ — სხვანაირად წერა მე არ ვიცი, არ შემიძლია, მე არ ამირჩევიან ჩემი სტილი, ისევე როგორც არ ამირჩევიან ჩემი სიმალლე და ცხვირის ფორმა. ასე კი არ ვნერ მხოლოდ, ასეც ვფიქრობ. სხვებისა, მაგალითად, განსვენებული ა. დოვატურის სტილი მომწონს, სრული არქონა „მხატვრობისა“, აზრის სილამაზე ლამაზი სიტყვების გარეშე. არის ამაში რაღაც სინამდისებრი. მაგრამ რა ვქნა, სხვანაირად ვფიქრობ და, აქედან გამომდინარე, ვნერ კიდევ სხვანაირად. როდესაც ერთ სტატიაში ვმსჯელობდი რიტმის შესახებ“, რომელსაც მოსდევს აზრი, თუ როგორ მიჰყავს ჯარისკაცი მარშირების რიტმს გრძელ მანძილზე“ — ეს ახლოს იყო ჩემს საკუთარ გამოცდილებასთან. რიტმის დაკარგვისას ვკარგავ მისწრაფებასაც, რომლითაც მოძრაობს ჩემი აზრი. მაგრამ თუკი ვისაუბრებთ ამოცანაზე, მაშინ მე ის მესმის როგორც საგნის ინტელექტუალური სახის ძერწვა, ან სიტყვებით მოზაიკური განლაგება სახისა, რომელიც აგებულია სქემის კარკასზე და რომელიც ვერაფერს იძლევა, რისი მოცემაც სქემას არ შეუძლია.

— როგორია ადრესატის, თანამოსაუბრის როლი სამეცნიერო შრომის აგებაში?

— ჩემს საქმეში — ძალზე დიდი. მე არ შემიძლია არც წერა და არც ლაპარაკი ცარიელ სივრცეში. მეხმარება ის, რომ საგანს ვხედავ არა მხოლოდ ჩემი თვალებით, არამედ ჩემს მკითხველთა და მსმენელთა თვალებითაც. ერთისა და მეორის შეჯახებისას მოდიან აზრები, რომელნიც შინაგან მოსაუბრესთან იზოლაციისას არ დამებადებოდნენ. მე ვიცი, რამდენად ვარ დამოკიდებული ჩემს თაობაზე, მათ გამოცდილებაზე, ცხადია, აზროვნების აქტში ვცდილობ გავთავისუფლდე ასეთი დამოკიდებულებისგან, თანაც იმდენად, რამდენადაც ვცდილობ ამ დროს საკუთარი თავისგან გათავისუფლებასაც, — წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი არ იქნება აზრი.

— ყველასთვის ცნობილია, რომ „ფილოლოგია“ თარგმანში ნიშნავს სიტყვის სიყვარულს, მაგრამ ამ მეცნიერების „ველდებულებაში“ ე.ი. სიყვარულში, რომელსაც თქვენ ემსახურებით, შედის თუ არა სიყვარული იმისა, რაც სიტყვის მიღმა დგას? ანუ ადამიანთა სამყაროსა და ადამიანური ურთიერთობისა?

— არ ვიცი, შეიძლება კი ამის შესახებ ლაპარაკი? სიყვარული ადამიანებისადმი ყოფით თუ ინტელექტუალურ სიტუაციებში არ შეიძლება იყოს განსჯის საგანი, ეს უნდა იყოს საქმე. მე რასაც ვფიქრობ ფილოლოგიის, ადამიანებთან მისი მიმართების შესახებ, არაერთხელ ვთქვი უკვე და აღარ გავიმეორებ, მხოლოდ ორი შენიშვნა მაქვს. პირველი, ყოველი აბსოლუტიზაცია კულტურული, გონებრივი და სხვა ფასეულობებისა, ადამიანისა და ადამიანურის მიღმა დგას. ნებისმიერი დანაკარგი სიმშვიდისა და იუმორისა თვითვე მიუზღავს საკუთარ თავს. შემქმნელი თავგანსაცემი ობიექტისა დაკარგავს იმასაც, რისგანაც ის შექმნა (და რასაც სწირავდა, თუნდაც აზრობრივად, ადამიანურ მსხვერპლს). ამიტომაც ვიხრები იმისკენ, რომ გავუფრთხილდე მეცნიერებას, რომელსაც დიდი, მთავრული ასოთი იწყებენ. სწორედ ამიტომ პატივს ვცემ ჯანსაღ, ადამიანურ განსჯას, რომელიც ხსნის კონკრეტულ ამოცანას, როგორც ამქვეყნად ერთ საუკეთესო საგანთაგანს. მეცნიერების კულტი ანგრევს სამეცნიერო აზრს და არც ლიტერატურის წინაშე მუხლმოდრეკილი ადამიანები არიან დიდი მწერლები. მეორე, ადამიანებისადმი სიყვარული გულისხმობს სინამდისა და ტაქტს, ერთგვარ დისტანციის გრძობას, თანდათანობით დასაძლევს, რაც არ ექვემდებარება მყისიერ მოხსნას. ღმერთმა ნუ ქნას, აეურიოთ ეს დეჰუმანიზებული აზრი ხელოვნურ სიცივეში.

— შეძლებდით (დაე ეს იყოს სუბიექტური აზრი) დაგესახელებინათ ნაშრომი, რომელიც ბოლო ხანებში გამოქვეყნდა და რომელშიც „დისტანციის გრძობა“ წარმატებით შეერთდა, ადამიანური დამოკიდებულების გზით, კულტურო-ისტორიულ მასალასთან?

— აქ ერთგვარი მოანდევებით თუ შევარჩევთ რაიმეს. ცხადია, როცა აქებ ამას თუ იმას, მზად უნდა იყო, უპასუხო. ამ პასუხისმგებლობისაგან არავინ და ვერავინ გაგათავისუფლებს და აი, რატომ აქებ ამას და არა სხვას? რატომ არის მაინცდამაინც ის თბილი სიტყვების ღირსი და არა სხვა? ამაზე, საეჭვოა, რამის თქმა შეიძლებოდას.

არ მინდა მეცნიერული კეთილსინდვიერების მაგალითად მოვიყვანო ისინი, რომლებთანაც საქმით ან ადამიანურად ვარ დაკავშირებული... იმაშიც კი არის რაღაც უღირსებო, როცა „შენიანს“ მგზნებარედ აქებ. ამიტომაც უფროსი თაობის ორ სწავლულს დავასახელებ. ერთი უკვე აღარ არის ჩვენ შორის, მეორესთან კი, პატივი არ მქონია, ვინმეს წარვუდგინე.

შრომები გასულ წელს გარდაცვლილ ვინჩინგრადელი ფილოლოგის არისტიდე ივანოვიჩ დოვატურისა (ის უკვე ვახსენე) ჩემთვის მკაფიოებისა და აზრის სიციხადის ნიმუშია. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად წონის დასკვნებს, რომლებიც გამოწვლილვითი განხილვის გზით ხდებიან ცხადი და თვალსაჩინო. როგორც აღვნიშნე, მის მეტყველებას ვერ უწოდებ სურათოვანს, ეს „ორთოდოქსული“ სამეცნიერო პროზაა, რომელშიც სიტყვათა სუგესტიურობას არ შეუძლია შიშველი აზრისაგან განგდრიკოს, მაგრამ მისი საბოლოო მიზანი არის ის, რომ ჩვენ შეგვიძლია დ ა ნ ა ხ ვ ა. ეს შეიძლება არცთუ დიდი სტატიის სივრცეშიც. „პლატონის არისტოტელეს შესახებ“ — ეკონომიური სათაურია და მცირე მოცულობის სტატია (იხ. Вопросы античной литературы и классической филологии М., „Наука“ 1966). მასში ბუნებრივი, სულ მცირე მეთოდოლოგიური ძალდატანებისა და თამაშის გარეშეა დანახული ისტორიულ-კულტურული პერსპექტივა და ცოცხალი ადამიანური ტიპები. სურნელიც არ იგრძნობა სილამაზის, მაგრამ სტატია ლამაზია. ჰუმანიტარულ დისტციპლინებში ხშირად ვნახავთ მოსაზრებებს, რომლებიც შეიძლება ბრწყინავდნენ გამჭრიახობითა და მოულოდნელობებით (თუმცა შეუძლიათ საპირისპიროც, ჰუმანობიერებდნენ მოსაწყენი, მაგრამ უსაფრთხო ჩვეულებრიობით), მაგრამ ძალზე სწრაფად ფერმკრთალდებიან, როგორც კი ღრმავაზ-

როვანი აბსტრაქციების ადგილას დავაყენებთ შესაძლო პირებს, შესაძლო გარემოებებს და შევეცდებით კონკრეტულად წარმოვსახოთ. არისტიდე ივანოვიჩის დასკვნებს ეს არ ემართებათ, ვინაიდან მათ უკან დგას არა მხოლოდ ტექსტების ცოდნა, არამედ ტექსტთა ცოდნისაგან განუყოფელი ადამიანებისა და ცხოვრების ცოდნაც.

ეს თვისება უმაღლესი ხარისხით ახასიათებს ყოველივე იმას, რასაც აკეთებს ლენინგრადელი ისტორიკოსი მარია ეფიმოვნა სერგეენკო (ახლა, სამხუხაროდ, ისიც წასულია ჩვენგან): „ძველი იტალიის უბრალო ადამიანები“ (M. Л. „Наука“, 1964). მართლაც, ეს არის ნიგნი ადამიანთა შესახებ, ცოცხლად დანახული, ადამიანის ძალზე ცოცხალი თვალეზით. ეს ეხება მის დიდსა თუ მცირე ზომის ნაშრომს სპეციალური სტატიების ჩათვლით „в Вестнике древней истории“. წარსულის ადამიანები, რომლებთან დამოკიდებულებაშიც ისტორიკოსს აწევს ზნეობრივი ვალდებულება, იყოს სამართლიანი, ეს ადამიანური უფლებებია, რომლებიც შეუძლებელია ათასობით ნელმა გააუქმოს და რომელთაც ვერც სქემად აქცევ, ვერც მოდურ სურათად, — ეს მისი ნაწილია და გადაეცემა მკითხველს.

შარშანდინ გამოვიდა პლინიუს უმცროსის მეორე, გადაამუშავებული გამოცემა (სერიაში „Литературные памятники“), მომზადებული მ. სერგეენკოსა და ა. დოვატურის მიერ. ის, თუ როგორ გადაამუშავეს მათ, ფრიად საპატიო ასაკში მყოფებმა, თავიანთი ძველი ნაშრომი, თანაც ასეთ პირობებში, როცა დამშვიდებული სინდისით შეეძლოთ უბრალოდ გამოეცათ ხელახლა, არსებით ცვლილებათა გარეშე, აზრადაც კი არავის მოუვიდოდა მათი გამტყუნება — ეს ჩვენთვის, ყველასთვის, სამეცნიერო სინდისის მაგალითია.

— **თქვენს ნათქვამს დავამატებდი, რომ მ. სერგეენკო (როგორც გვიამბობს „ბლოკადის ნიგნი“ ა. ადამოვიჩისა და დ. გრანინისა) სხვა ლენინგრადელ ისტორიკოსებთან ერთად ბლოკადურ ზამთარში განუწყვეტლივ მონაწილეობდა „სამეცნიერო მოხსენებებში“, რომლებიც იმართებოდა მეცნიერებათა აკადემიის არქივის სარდაფში. მისი მოხსენება, როგორც „ბლოკადის ნიგნის“ ავტორთა ერთი მოსაუბრე იგონებს, ეძღვნებოდა ვენახების გაშენებას მე-5 ს-ის რომში. რამდენად შთამბეჭდავი, ადამიანურად მნიშვნელოვანი და „ზნეობრივად გაძლიერებული“ უნდა ყოფილიყო მკვლევარის დამოკიდებულება წარსულის კერძო საკითხთან, რომ მისი გამოსვლა მშვიდ და გათოშილ ქალაქში ათწლეულთა განმავლობაში გხსოვდებოდა? აქ, თქვენი სიტყვებით თუ ვისარგებლებთ, საჭიროა „ქეპური“ დამოკიდებულება წარსულთან. ხომ არ იქცევა კულტურა ასეთ შემთხვევაში დანტეს „ჯოჯოხეთის“ ცოდვილად, რომელიც წინ მიდის უკან მობრუნებული სახით?**

— ყველაფერი შესაძლოა, ყველაფერი შესაძლებელია, თუკი ჩვენ ნაშრომს დავაკლებთ ძალისხმევას, ეს არ იყოს. ყოველი სათნო საგანი შეიძლება ვაქციოთ კერპად, წინააღობად, ცხოვრებისა და მისი მოთხოვნილებებიდან გასვლად, „წარსულთან ქეპური დამოკიდებულება“ კი. თუკი სირაქლემას სურს ქვიშაში თავი ჩარგოს, ქვიშა მოიძებნება. ქვიშა აღმოჩნდება ყველაფერი, რაც გნებავთ: წარსული თუ მომავალი, ძეობის აღიარება თუ მასზე უარი. სხვათა შორის, ვაკვირდები რა თანამედროვეთ, ვერ ვხედავ, რომ წარსულისადმი ნოსტალგიური სევდის საფრთხე მასობრივი იყოს. ფუტუროლოგიური მომავლის ან განადგურებული ანმეოს ილუზიები, განსხვავებული ფრაზებით შეჯამებული, უფრო გადამდებია, ვიდრე წინაპართა კულტის ილუზიები. მაგრამ არჩევანი, არსებითი არჩევანი — ეს წარსულსა და მომავალს შორის არჩევანი როდია, არამედ არჩევანი — წარსულის, ანმეოსა და მომავლის ილუზიებს შორის. მამასადამე, წარსულისა, რომელიც არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, ანმეო,

რომელიც არის „არანამდვილი“, და მომავალი, რომელიც ვერ იქნება რეალობა ა ცი. აი ესაა წინააღმდეგობა: რეალობა მკაცრია, მისი პოვნა არ არის იოლი, კიდევ უფრო ძნელია მასთან თანაცხოვრება, მაგრამ ცხოვრება მხოლოდ მასთან შეიძლება, მისით შეიძლება, დანარჩენი კი იმისთვისაა, რომ ვერ იცხოვრო. როგორია წინააღმდეგობა მეხსიერებასა და მომავალს შორის? აი, თუკი მე სრულასაკოვანი კაცი ვარ, ეს ნიშნავს, რომ მე მოვედი ბავშვობიდან, ყრმობიდან, რომ ამ საფეხურთა მთელი ცხოვრებისეული გამოცდილება ჩემშია. არაფერი სხვა, თუ არა გამოცდილება და ხსოვნა ამ გამოცდილების შესახებ მაქცევს მე ზრდასრულ ადამიანად. ყველაზე ინფანტილური ზრდასრულნი ისინი კი არ არიან, რომელთაც ძლიერი კონტაქტი აქვთ საკუთარ ბავშვურ, ყრმულ და ყმანვილურ წარსულთან, არამედ სწორედ ისინი, რომელთაც ეს კონტაქტი ძალიან სუსტი აქვთ, რომელთა გონებაშიც არ ცოცხლობს განვლილი და არ გადაამუშავდება აზრად, „მწყობრ სიცხადედ“, ისტორიულ მეხსიერებასთანაც ასე დგას ეს საკითხი.

— **ასეთ შემთხვევაში წარსული მოსალმე კეთილგანწყობიდან ასევე გადაიქცევა რთულ რეალობად. რალაცას უნდა მივხმარო, რალაცას უნდა ებრძოლო. წარსულის კულტიდან რა არის თქვენთვის ნამდვილად ახლობელი, რას არ ღებულობთ და რატომ?**

— სრულებით არ მესმის როგორ გიპასუხოთ ასეთ კითხვაზე სხვაგვარად, ვიდრე მთელი სერიოზულობით იმისა, რაც დავწერე, რასაც ვწერ და რასაც დავწერ. იმიტომ, რომ თქვენ ითხოვთ ჩემგან, როგორც ჩანს, ასეთ საერთომორალურ ადგილებს, მაგალითად, ამგვარს: წარსულის კულტურაში არის ზემალაღი სიმართლის დადებითი მოვლენები და არის მორალური, სულიერი, გონებრივი სიცრუის ნარევიც და არ გვაქვს საფუძველი სიმართლეს ნაკლები პატივისცემით მოვეპყროთ, ხოლო სიცრუეს — კეთილად მხოლოდ იმის გამო, რომ ერთისა და მეორისგანაც გვაშორებს საუკუნენი. ეს ხომ ნათელია, რალაზე ვისაუბრო?

საუბარი შეიძლება სხვა რამეზე. ისტორიკოსი არის ისტორიკოსი, ე. ი. სწავლული და ამიტომ მან არ უნდა დაიდოს ქედზე უგრძობელობის ჯაჭვი, არ აიძულოს საკუთარი თავი სულერთიან პოზა ეკავოს სიკეთისა და ბოროტების წინაშე, მაგრამ არც ზედმეტად უნდა მიეცეს თ ა ვ ი ს სიმპათიებითა და ანტიპათიებით გატაცებას, თ ა ვ ი ს შეფასებით მოსაზრებებს. მისი საქმეა, მოუსმინოს ფაქტების უხმო მეტყველებას და ის სხვათათვისაც ყურადსაღები გახადოს.

— **თქვენი პირველი ნიგნი პლუტარქეს ეძღვნებოდა, შემთხვევით მოხდა მისი შერჩევა?**

— არა, შემთხვევით არა! პირველ რიგში ძალიან მომწონდა, რომ მისი სახელით ჩვენამდე ბევრმა ტექსტმა მოაღწია. ასე რომ, შეიძლება მათში დიდხანს ჩაიძირო მშვიდი იმედით, რომ საქმე გაქვს ტექსტებთან და არა დაკარგულ თხზულებათა შესახებ ვარაუდებთან. ჩვენ ხომ, „ანტიკოსები“ (მამაპატიოთ ეს ულამაზო გამოთქმა, მაგრამ მიმოქცევაში არსებული სიტყვაცაა), ამ მხრივ განებივრებული არ ვართ: ამდენი ავტორია ფრაგმენტებით ცნობილი, თვით ესქილესა და სოფოკლესგან შვიდ-შვიდი ტრაგედია შემოგვრჩა; მეორე, ჩემთვის იყო რალაც მნიშვნელოვანი იმაში, რომ პლუტარქეს მოგვიანებით ბევრს კითხულობდნენ, რომ მისი სახელი ევროპული ტრადიციის ერთ მნიშვნელოვან სახელთაგანია; მესამე, რბილი ადამიანია, დამყოლი, კეთილი ზნის, ასე რომ, მასთან მიახლოება არ იყო საშიში.

— **თქვენს ერთ არცთუ დიდი ხნის წინანდელ სტატიას ჰქვია „რიტორიკა-სინამდვილის განზოგადების მეთოდი“, საუბრნალო ვარიანტში „მცირე ჟანრის დიდი ბედისწერა“ („Вопросы литературы“, 1981, 4). მასში საუბრობთ ანტიკურ და თანამედროვე კულტურებში სიტყვისა და მე-**

თოდის ინდივიდუალურ საწყისის განსხვავებულ გაგებაზე, ახსენებთ ნილოს სქოლასტიკოსსა და იოანე გეომეტრს... აი, პირადად თქვენ, არა როგორც მკვლევარს, არამედ როგორც მკითხველს (ახალთა), მოგწონთ მათი რიტორიკული ცდები ლექსებად?

— აი, ეს კი სასკოლო თემას ჰგავს: რითია, თქვენთვის ახლობელი და ძვირფასი... სხვათა შორის, მაქვს რაღაც მკითხველისებრი კეთილგანწყობა გონითი მუსიკისადმი ლექსებში, ძველ ლექსებში, მაგრამ ეს ჩემი პირადი საქმეა. აი, თუკი ვხედავ, რომ ეს იყო კულტურის ისტორიის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის გაგებაც ჩვენთვის ბლოკირებულია რომანტიზმის ზემოქმედებით — ეს უკვე აღარ არის პირადი საქმე და უნდა ვთქვა ამის შესახებ, იმის მიუხედავად, მოსწონს თუ არა ეს ჩემს პიროვნებას. ლეოპოლდ რანკემ, XIX საუკუნის ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა, თქვა, რომ სწავლულს უნდა აინტერესებდეს „როგორ იყო სახელდობრ ეს“. ეს მარტივი სიტყვები იქცა გამყოფ ფორმად, შტამპად და შტამპის ხარისხში განიცადეს კრიტიკა სხვადასხვა პოზიციებიდან. მაგრამ გაკრიტიკების შემდეგ შეიძლება მათი დაცვა. ამათუმი ავტორისა თუ ძეგლისადმი სიყვარულის გარდა ხომ არსებობს სიყვარული იმისადმი, „ზუსტად რაც და როგორც იყო“.

— ბოლო ხანებში ხშირად მიმართავთ ვერგილიუსის შემოქმედებას. ეს გასაგებია, როგორც მ. გასპაროვი წერდა ვერგილიუსის ერთტომეულის შესავალში (M., „Художественная литература“ 1974, 5): „ხოლო ხუთი ათწლეული ევროპაში იყო ვერგილიუსის ნამდვილი აღორძინება, მისმა ტალღებმა ჩვენამდეც მოაღწია. ეს სასიხარულოა: ვერგილიუსის პოეზია მომავლის პოეზიაა და ახლობელია ყოველი კულტურისა, რომელსაც მომავლისა არ ეშინია“.

— პირველი, უარი თქვეს ვერგილიუსი ჰომეროსის საზომით გაეზომათ. ნინა საუკუნეში „ენეადას“ ამუნათებდნენ იმის გამო, რომ ენეასს, ჰომეროსის გმირთა დარად, არ ჰქონდა მთლიანობა. რომაელ პოეტს სწორედ იმიტომ ვაფასებთ, რომ მან მთელი სიძლიერით დაგვანახა გმირი, რომელიც თავისი ბედისწერის ისტორიაში თავისივე ადგილის იგივეობრივი კი არაა, არამედ ამ ადგილს იკავებს ტანჯვითა და ძალისხმევით. აქილევსს არ აქვს კითხვები. ასეთია, მორჩა და გათავდა. ენეასისთვის ყველაფერი კითხვაა. ვერგილიუსი ეპიკურ კაცს შესატყვისი ძალით უპირისპირებს ისტორიულ კაცს; მეორე, ვერგილიუსის პოეზია ღიაა ისტორიული პროცესებისთვის დამახასიათებელი უბედურებებისა და კატასტროფებისთვის. საკმარისია გავისხსნოთ ტროას დაღუპვა, ვილაც, მაგრამ ვერგილიუსი არ გაურბოდა ისტორიულ რეალობას და მაინც ეს ზემოქმედობარე პოეზიაა, ტკივილის პოეზია ცოცხლობს იმედით და ამ ტკივილს სძლევს ესთეტიკური ნესრიგით, ჰარმონიით, რთული წონასწორობით; მესამე, როგორ არ უნდა გიყვარდეს ვერგილიუსი თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ იგი იმედს აძლევს არა გამარჯვებულს, არამედ დამარცხებულს. მის მიერ დახატული სიყვარული, უბედური სიყვარული — გაძევებული ქალის სიყვარულია, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, „უბედურებით მიღებული გამოცდილება ასწავლის დაეხმაროს უბედურთ“, მის მსგავს გაძევებულთ; სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი დელიკატურობის გამო.

— სტატიაში „ორი ათასი წელი ვერგილიუსთან ერთად“ („Иностранная литература“, 1982, 8), თქვენ აღნიშნეთ, რომ მის პოეტურ მემკვიდრედ, „ძედ“ აღიქვამდა თავს შარლ პეგი, რაზეა დაფუძნებული ეს გვერდით დაყენება?

— არ შეიძლება ამაზე ვთქვა სხვაგვარად, ვიდრე ვთქვი სტატიაში: ვერგილიუსსა და შარლ პეგის ანათესავებს რწმენა იმისა, რომ ღირსება და იმედი ბედნიერებაზე მთავარია, და რომ ძალზე მნიშვნელოვანია „ფორუმი და მოქალაქეობა, საოჯახო კერის ღმერთები, თვით ეს კერია არამეტაფორულად და კერის ცეცხლი, სიმბოლო იმ ერთგულებისა და

რწმენისა, რომელთა გულისთვისაც ღირს ენამო, ღირს მოკვდე“; მაპატიეთ თავისუფალი ციტირება.

— თქვენი ინტერესი ვერგილიუსისა და შარლ პეგისადმი სავსებით გასაგებია, „ძებრი“ პოეტები არიან, რომლებმაც მამულის ფასი იცოდნენ და მათი მემკვიდრენი იყვნენ. მაგრამ აი, ჰერმან ჰესე რომ ავიღოთ, რომლის შესახებაც თქვენ არაერთხელ წერდით, ის, როგორც მწერალი (და კაცი) — მუდმივად მამათა მემკვიდრეობის უარყოფელი და მტკივნეულად მასში დამბრუნებელი, რითიღა თქვენთვის საინტერესო?

— ჰერმან ჰესესთან სულაც არ მაქვს მარტივი ურთიერთობა. სტუდენტობის წლების დასრულებისას იგი ბობოქარი სიყვარულით მიყვარდა და მისი სიკვდილი 1962 წელს პირად დანაკარგად განვიცადე, მაშინ მას ჩვენში თითქმის არავინ იცნობდა (როცა მოგვიანებით მისი „თამაში რიოში მარგალიტებით“ გამოიცემოდა, „в Художественной литературе“ სერიოზულად გამოთქვამდნენ შიშს, რომ წიგნს არ წაიკითხავდნენ), ეს ალაგზნებს ჭაბუკურ აღფრთოვანებას და იქვეა პროტესტიც; როგორ ბედავთ და არ მოგწონთ ჩემი პოეტი? და ეჭვიანი კმაყოფილება: ჩემი და მხოლოდ ჩემი და არავის დაგითმობთ... შემდეგ დადგა კამათის დროც, კავშირის განცვეტისაც. მე მტკივნეულად განვიცადე ჰესეს ეგოცენტრიზმი, მისი ბევრი ეთიკური დებულების ორაზროვნება, რამდენჯერმე უიშვიათესი უგემოვნობაც.

მაგრამ კამათი — არათავისუფალი დამოკიდებულება — მოგვიანებით შევიგრძენი, როდესაც მომეჩვენა, რომ ჰესესთან შემეძლო სამართლიანი ვყოფილიყავი, კეთილშობილებისგან არ გადამხვია და არც ცუდზე დამეხუჭა თვალი. თავს არ ვიტყუებ, სწორედ ამ განწყობით დავწერე ცოცხალი წინათ ბოლოთქმა ჰესეს ლექსებისა და პროზის გერმანული გამოცემისთვის, რომელიც „პროგრესმა“ გამოსცა... ვფიქრობ, მასშია თქვენთვის პასუხი. ჰესე მეამბოხე შვილია, თვითრწული, ხანდახან, უბრალოდ, ჭირვეულიც, მაგრამ იგი ძეა — ძეობრივი მასში ნამდვილია, მაინცდამაინც არა ბარბაროსი, თუმცა „ტრამალის მგლის“ მკითხველებმა იციან, ხანდახან თუ რად ყოფნაც სურდა მას. რაც შეეხება ძეობრიობას, გახსოვთ ადგილი რომანიდან „თამაში რიოში მარგალიტებით“, როდესაც ყმანული კნეხტს უჩვენებენ, როგორ იგება ფუგა?

— სერგეი სერგევიჩი! თქვენ მხოლოდ მკვლევარი კი არ ხართ თქვენი საყვარელი მწერლებისა, არამედ მათი მთარგმნელიც: პლუტარქე, სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, ბიზანტიის ანონიმური ლირიკა, პოლდერლინი, ჰესე... ამას თუ „იობის წიგნსაც“ მივუმატებთ, რომელიც „მსოფლიო ლიტერატურის“ სერიისთვის თარგმნეთ, სია შთამბეჭდავი გამოვა. თქვენთვის ფილოლოგია და მხატვრული თარგმანი შემოქმედების სხვადასხვა ფორმებია თუ აქვთ რაღაც საერთო? თუ აქვთ მაინც რაღაც საერთო, რა არის ეს საერთო მეცნიერებას (ფილოლოგიას) და ხელოვნებას (თარგმანს) შორის?

— „რაღაც საერთო“? ძნელი სათქმელია. ჩემთვის ეს ორი ხელია. როდესაც ტექსტის თარგმანს ვუჯდები, ხელთ უნდა მქონდეს ფილოლოგის კომპეტენტური კვლევა და ჩემი, როგორც ფილოლოგის, სინდისი სულ უნდა ამონებდეს ჩემს, როგორც მთარგმნელის, შრომას. იცით, ლიტერატურული შრომისგან ცხოველდება წარმოსახვა, უამისოდ შეუძლებელია, მაგრამ ის სადავით უნდა გეჭიროს, თუ არადა, უღვთოდ მოჩმახავ. მეორე მხრივ, როდესაც რაიმეს თარგმნი, ანუ ხელახლა ქმნი, რუსული ენის შესაძლებლობებით რეკონსტრუირებ, ეს გაიძულე მასალასთან ისეთ კონკრეტულ ურთიერთობებს, როდესაც იძულებული ხარ ყოველი სიტყვა ხელისგულზე აწონო, და ეს გხდის უფრო ყურადღებიანს, ანუ გეხმარება სამეცნიერო საქმეში.

— ჩამოყალიბდა მთარგმნელთა ორ ტიპად დაყოფა: მთარგმნელ-პოეტები, რომელთათვისაც მთავარია, მ. კო-

კომპიუტერის აზრით, თარგმანი ისე უღერდეს, თითქოს ავტორმა რუსულად დაილაპარაკა, და მთარგმნელ-სწავლულები, რომლებსთვისაც ტექსტი მხოლოდ ავტორის ხმის მატარებელი კი არა, უბრალოდ ტექსტია, მისთვის ნიშანდობლივი სტრუქტურული ორგანიზაციით, სტილისტური იერიითა და რიტმული არაერთგვაროვანებით. შეგიძლიათ თავი რომელიმე ამ ტიპთაგანს მიაკუთვნოთ თუ თქვენი მთარგმნელობითი პრინციპები განსხვავდება დასახელებულთაგან? საუბარია არა იმაზე, ეს უკეთესია თუ ის, არამედ თქვენს მთარგმნელობით პოზიციასზე.

— არ შემიძლია გიპასუხოთ. თუ ლექსი ნამდვილია, მაშინ „სტრუქტურული ორგანიზაცია“, „სტილისტური იერი“, „რიტმული არაერთგვაროვანება“ — სწორედ ავტორის ხმაა, ხმის ხორცშესხმა, მისი კონკრეტულობა. ცხადია, ხმა ყველაფერს აღემატება. როდესაც თავის დროზე ჰესეს ლექსებს ვთარგმნიდი რომანისათვის „თამაში რიოში მარგალიტებით“, დამჭირდა მწერლის ბიოგრაფიაში ჩახედვა, რათა გამეგო, ეს კაცი როგორ იცინოდა, როგორი მიმოხვრა ჰქონდა, თავი როგორ ეჭირა, როგორ მოძრაობდნენ მისი ხელები — ყველაფერი უნდა შესულიყო ლექსში. სწორედ ამისთვის და არა სხვა რამისთვისაა საჭირო ტექსტის ზემოთ ჩამოთვლილი ნიუანსები. მთავარია, ხმა დარჩეს სიტყვად და აკუსტიკაში არ გადავიდეს უბრალო ტალღურ მიმოქცევად — ან მეორე მხრივ, ვინმეს ხმის თავისუფალ შთაბეჭდილებად.

— იქნებ გაიხსენოთ რომელიმე ეპიზოდი თქვენი მთარგმნელობითი საქმიანობიდან, მოგვითხროთ იმ შრომაზე, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდა?

— თუ უფლებას მომცემთ, გაიმბობთ ერთ უცნაურ რაიონს. 60-იან წლების ბოლოს, როცა მომიხდა ჰოლდერლინის თარგმნა, მივადექი იმ პერიოდის ნაწერებს, როდესაც იგი უკვე უგონთმყოფობას უახლოვდებოდა, ეს იყო შიგადაშიგ აზრობრივად ძალზე ძნელი ჩანაწერები, თანაც ფრაგმენტული, შინაგანი რღვევებითა და ტექსტობრივი ხარვეზებით, მაგრამ მე რომ გადამეთარგმნა, ხომ უნდა გამეკვირა, თუ რას ნიშნავდა თითოეული სიტყვა პოეტისათვის, და უნდა გავწოლილიყავი მისი სიტყვების ჩანაფიქრთან და დავრჩენილიყავი ცარიელი! განსაკუთრებით ვეჯახებოდა ფრაგმენტს, რომლის სახელწოდებაცაა „ტიტანები“. სასონარკვეთილმა დახმარებისათვის მივმართე ჩემს ძველ მეგობარს, გერმანისტს, რომლის შესახებაც ზემოთ გესაუბრეთ — ალექსანდრ ვიქტოროვიჩ მიხაილოვს ცრემლიანი თხვონით, განემარტა „ტიტანები“. იგი მომიახლოვდა, დაჯდა მაგიდასთან და მთხოვა ნიგნი, აუჩქარებლად გადაშალა საჭირო ადგილას და მშვიდად ნაიკითხა ფრაგმენტი, განცდის გარეშე, ანუ არა ისე, როგორც მსახიობები კითხულობენ, არცთუ მკაცრად, ძალიან გულდასმით. მისი ხმა სრულებით ემორჩილებოდა ლექსის შინაგან მუსიკას და მსმენელსაც გულისყურის მოკრებას აიძულებდა. ამის შემდეგ მკითხა, ისე გაუგებარი იყო თუ არა ლექსი. დიდი გაკვირვებით, მაგრამ უნდა მეღიარებინა, რომ მზად ვიყავი თარგმნისათვის.

— მთარგმნელი, ისევე როგორც ფილოლოგი, ატარებს თანადროული კულტურის შემეცნებას და ამავე დროს უშუალო მონაწილეა გარდასულ საუკუნეთა კულტურებთან დიალოგისა. არის ამაში რაიმე წინააღმდეგობა თუ ის მხოლოდ მოჩვენებითია?

— ჯერ ერთი, წინააღმდეგობა, ცხადია, არის, მეორე, ღმერთს მადლი, რომ ეს არსებობს, ვინაიდან მხატვრული თარგმანი და ფილოლოგიური ინტერპრეტაცია მხოლოდ მისით სულდგმულობს. ბორხესთან სურს მანიაკს, ხელახლა დაწეროს „დონ კიხოტი“ ესპანურად — რომელიც სავსებით იქნება იგივეობრივი სერვანტესის ქმნილებისა. მაგრამ „დონ კიხოტი“ რუსულად — ეს წინააღმდეგობაა, არ არის იგივეობრივი საკუთარი თავისა და არც უნდა იყოს იგივეობა საკუ-

თარი თავისა. თარგმანი ვერ შეძლებს გაიმეოროს თავის თავთან იგივეობრივი წარსულის კულტურის მოვლენა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია და სრულიად ზედმეტიც. წარსულის კულტურა უკვე არის ყოფიერების შემადგენლობაში თავის ადგილზე, არ შეიძლება მისი გაორება. ამავე დროს ის ვერ შეძლებს იყოს თავისი თავის ტოლი თანამედროვე კულტურის ფაქტის რანგში — ეს იგივე იქნებოდა, რომ თანამედროვე სახლში ფანჯრების მაგივრად სარკეები ჩაგვესვა. ნ. გინზბერგის ნიჭიერ თარგმანებში მკითხველი ნახულობს არა ვაგანტებს, არამედ საკუთარ თავს; მაგრამ საკუთარი თავი მას ისედაც ხომ ჰყავს? ჭეშმარიტ თარგმანში არის ფანჯრიდან დანახვის მაგია, როდესაც ჩვენ, ოთახში მყოფნი, ვხედავთ ქუჩას და ვხედავთ ისე, როგორადაც ვერ დავინახავდით ვერასდროს მას ქუჩაში ყოფნისას, — ოთახი კი ძველებურად ჩვენ ირგვლივია. ნაყოფიერ შინაგან წინააღმდეგობათა მეშვეობით წარმოქმნილი ვითარებანი მთარგმნელსა თუ ინტერპრეტატორში საუკუნეებსა და ეპოქებს შორის ჩვენთან შესახვედრად ხსნიან იმას, რაც თვით განსაზღვრვებითაც არის ს ხ ვ ა ჩვენთვის.

— დაბოლოს, უკანასკნელი კითხვა მთარგმნელისა და ფილოლოგის გამოცდილებიდან გამომდინარე — „ანტიკოსის“, მედიევისტის და გერმანისტისა, — როგორ ფიქრობთ, თანამედროვე კულტურას და თანამედროვე ადამიანს წარსულთან ურთიერთობისას რა სარგებელი გამოაქვს?

— დღეს და ყოველთვისაც ურთიერთობა განსაზღვრული ეპოქის თავებთან უძვირფასესი შანსია, ასცდე ხიფათს, რომელსაც ერთმა გონებამახვილმა კაცმა „ქრონოლოგიური პროვინციალიზმი“ უწოდა, ანუ თვისება — ამწუთიერი მივიტოვო მარადიულად, მოდა — პროგრესად, ცრურწმენა — აქსიომად. „ძველები“ ჩვენზე ჭკვიანნი კი არ იყვნენ, მათი გონება, უგუნურება, მათი შესაძლებლობანი და საზღვრები იყო სხვა, შედარებისას კი ჩვენ დავინახავთ საკუთარ შესაძლებლობებსა და საზღვრებს და, ბედი თუ გაგვიღიმებს, საკუთარ თავსაც შევხედავთ სხვაგვარად, და ის, რაც ჩვენი მზერის არეში მოხვდება, ყოველთვის არ იქნება საამო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იქნება მოულოდნელად და ჩვენდა სასარგებლოდ.

მაგრამ ამისთვის საჭიროა ეს ურთიერთობა იყოს ნამდვილი, როდესაც თანამოსაუბრეს არ იგონებენ და ძალა ჰყოფენით დაინახონ ისეთი, როგორიც არის — არ შექმნან მისგან კერპი, მაგრამ ჩაულრმავდნენ მის გამოცდილებას. არც ნოსტალგიური სევდა გარდასულისადმი, არც ზიზღი მისადმი ჭკუას ვერ შეგვმატებს. ის, რასაც ძველებთან ამაოდ ვეძებთ, მშვიდი თავშესაფარია, სადაც ვერ დავემალებით პრობლემებს, რომელნიც სწორედ ახლა უნდა გადაიჭრას. წარსული ხომ — ეს ჩ ვ ე ნ ი წარსულია, ადამიანთა წარსული, კაცობრიობის წარსული, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით და, მამასადავ, ჩვენი პრობლემები უკვე დამალულია მასში.

ვფიქრობ, ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც მიმდინარეობს ადამიანის შესაძლებლობათა მკვეთრი პოლარიზება, სხვათა შორის, წარსულთან მიმართებაშიც.

ის, ვინც ახლა მეხსიერების დაკარგვას აირჩევს, მიიღებს ამას ისეთი სისავსით, როგორც აქამდე შეუძლებელი იყო; ის, ვინც აირჩევს წარსულის ესთეტიკურ სტილიზებას, თავის მარაგში ამის გასაკეთებლად აქვს ნაირნაირი ხერხები — ნებისმიერი გემოვნებისთვის; შერევა შეუთავსებელი სახეებისა უკვე გახდა ნებადართული. ხოლო ის, ვინც აირჩევს ფიზიკურ, მარტივ და თავის სიმარტივეში თითქმის წარმოუდგენელ ჭეშმარიტებას, დაინახავს მას ისეთი სიტყვადით, ისეთი მკაფიოობით, რომლებიც ადრე არავის მოლანდებია. ისტორიული ცოდნა ეს-ეს არის უახლოვდება თავისი სრულწლოვანების ხანს.

რუსულიდან თარგმნეს
ქაიოვან ჯარპალიძემ და ნინო პატრიაშვილმა

ზვიად კვარაცხელია

ფიქრები და გამოკლება

ნიჩივო

ამ სიტყვას ალბათ ვერასოდეს ვუღალატებთ, ვერასდროს შეველევი, ისე მკვიდრადაა ჩაშენებული ჩვენს სამეტყველო აპარატში. დრომ გამოსცადა, სამსაუკუნოვან ცვალებადობას გაუძლო და დღესაც ისეთივე შთამბეჭდავია, როგორც ადრე. შეიძლება უფრო მეტადაც, რადგან ჩვენი ყოველდღიური არსებობა უიმისოდ ვერ წარმოგვიდგენია.

ის ვერ დააშინა ევროპული ენებისა და სამოქალაქო ინსტიტუტების მოძალებამ, რუსული წარწერების ჩანაცვლებამ საგზაო ტრაფარეტებზე, სუპერმარკეტებსა და რესტორნებში, სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლებაში ინგლისური ენის დანიშნულებამ, საბჭოთა კავშირის დაშლამ. ამიტომაც დღეს, ერთმანეთთან უეცარი შეხვედრის ან სატელეფონო ზარის შემთხვევაში, პირველი სიტყვა, რაც მოკითხვას — „როგორ ხარ?“ — მოსდევს, არის ის ერთადერთი, სანუკვარი და შეუცვლელი: — ნიჩივო.

შეუცვლელი, რადგან ბევრის აზრით, სხვა ვერაფერი იქნება უფრო სხარტი, ლაკონიური, ნეიტრალური. თითქოს მის იქით გასაიდუმლოებული სამყაროა, რომელსაც საგულდაგულოდ ვმალავთ და ახლობელთანაც არ გამოვჩინებთ ხოლმე.

სანუკვარი იმიტომ, რომ ერთი სული გვაქვს, როდის ამოვთქვამთ, როდის ამოვიძახებთ ყელში გაჩხერილ სიტყვას, უაზრო და არაფრისმომცემ საუბარს როდის წამოვიწყებთ, შიგადაშიგ კი ლობიოზე მისაყოლებელი მწვანელივით ჩაფურთავთ ზოგან მოკლედ, ზოგან წაგრძელებით — „ნიჩივოოო“...

ამასწინათ ჩემს მეგობარს და ნათლიმამას, პოეტ სოსო მეშველიანს დავურეკე. ახალი ჩამოსული იყო ბილბოდან. უცებ, არ მახსოვს, რატომ ჩავუსაფრდი, მაგრამ დიდი ინტერესით კი დაველოდე, რას მეტყოდა ჩემს მოკითხვაზე — „როგორ ხარ, ძმაო?“

— კარგად, მუხზე, — თქვა თუ არა, გული ამიძგერდა სიხარულისგან.

რა ცოტა სჭირდება ადამიანს, შვებით რომ ამოისუნთქოს ამ გაუგონარ გადარბენაში, წუთებითა და წამებით გათვლილი ცხოვრების სიმჭიდროვეში. და მაინც, ყველაზე მეტად ეს ალბათ თანაგრძნობის სიტყვაა, ის სიტყვა, რომელსაც ელოდება სხვებისგან — თავისთვის, მშობლიური სიტყვა, ნეიტრალური და მნიშვნელობისგან დაცლილი კი არა, გრძნობით ნაჭედი და ნამდვილი.

ამიტომაც კარგად მესმის აკაკი წერეთლის მამის საქციელი. როსტომ წერეთელი კოლორიტული, ჭკვიანი, გონებაშახვილი და ენამოსწრებული კაცი იყო. აკაკი დანანებით ამბობს, „იმას (მამაჩემს) რომ სწავლა მიელო და ცხოვრებაში გავნითარება ჰქონოდა, შესანიშნავი რამე იქმნებოდა“-ო.

„ჩემს თავგადასავალში“ ისიცაა ნათქვამი, რომ... მოკლედ, თქვენი ნებართვით, მეტი შთამბეჭდაობისა და კიდევ იმისთვის, რომ პერიფრაზირების უმადურ და წამგებიან საქმეს ავცდე, მთლიანად მოვიყვან ერთ ბრწყინვალე ფრაგმენტს აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული წიგნიდან:

„მამაჩემი თავის დროზე განთქმული მოჭადრაკე იყო, ვერავინ უგებდა. განსაკუთრებით ლენერლის შტაბის აფიცრები იყვნენ მონდომებული, რომ როგორმე მოეგოთ, მაგრამ ვერას აწყობდნენ. ერთხელ ლენერალ-გუბერნატორს, გ. ერისთავს, შემოეთვალა თბილისიდან: „ერთი შესანიშნავი მოჭადრაკე პოლკოვნიკი გვეწვია, შენთან თამაში სურს და, თუ დრო გექვს, მოდი, ჩემთან

არისო. აბა, შენ იცი, თუ შენებურად გვასახელებ ქართველებსო!“ მამაჩემიც წავიდა და გაიმართა თამაშობა.

პოლკოვნიკმა დაინახა, რომ მოთამაშე ახირებულად ეთამაშებოდა და ჰკითხა: თქვენ, როგორც პირველსავე გამოსვლაზე გეტყობათ, თეორია არ უნდა იცოდეთო: კუთხის პაიკი რა ხელმოსაკიდებელი იყო?

— თეორია რა არის? — ეკითხება მამაჩემი.

— სხვადასხვა სათამაშო კანონები.

— ჩვენ, ქართველებმა,

ერთი კანონის მეტი არ ვიცით: ისე უნდა ეთამაშო, რომ მოპირდაპირეს მოუგო.

— ეგ მართალია, მაგრამ უთეოროდ არ შეიძლება.

— არ ამიხსნით მაინც, რა არის თეორია?

— სხვადასხვა გამოჩენილ მოჭადრაკეთა ნათამაშევი, რომელიც სხვებისთვის სამაგალითო კანონად დარჩენილა.

— ჰო, ისეც კარგი დაგემართოს! ისინიც ხომ ჩემისთანა მინიშვილები იქნებოდნენ, ციდან ხომ ვერ ჩამოფრინდებოდნენ? ახლა ჩემ თამაშსაც უგდეთ ყური და, თუ მოგეწონოთ, ჩანერეთ და თეორია იქნებაო.

პოლკოვნიკმა დაიწყო თამაში და არ გაუვლია დიდხანს, რომ კიდევ წააგო. შეწუხდა და თქვა: „ამიბკაო“. ითამაშეს მეორე, კიდევ წააგო და სთქვა: „ამიბკაო“; მესამე, მეოთხე, მეხუთე... გაცხარებული პოლკოვნიკი აგებს და თან იძახის: „ამიბკა, ამიბკაო“. მამაჩემი გაეცინა და უთხრა: „პოლკოვნიკო, ტყუილად ნუ ფიქრობ, რომ მოიგო! სანამ ეგ ვილაც „ამიბკა“ გადაგკიდებია, მაგას თავიდან არ მოიშორებო!“

დიდი თუ წვრილმანი „ამიბკები“ რომ აგვეკიდა, ამას ვინ ჩივის, უფრო სწორად, ვინ ანგარიშობს — ჩვენთან ხომ არც ტრაგიკული გამოცდილება არსებობს. ყველა ომს, გადატრიალებას, გადატრიალების მცდელობას შეგვიძლია ის ერთი, სასწაულმოქმედი ნიჩივო დავუპირისპიროთ.

ნიჩივო, არაუშავს. ნიჩივო, გაივლის. ნიჩივო, მოგვარდება.

ნიჩივო ქართული სიტყვაა და ნიშნავს გულგრილობას — მკვლელობებზე, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევაზე, დუმის — შიმშილით დაღუპულ ბავშვებზე!.. დიახ, დუმის — მაშინ, როცა მთელი ერი ლამისაა გადაყვეთ ორი პოლიტიკური ძალის კოალიტაციაზე მსჯელობას, რომ ისინი კარგად მოკალათდნენ პარლამენტში და ჩვენი სახელით ილაპარაკონ... მერე კი პოლიტიკური დაპირისპირებებისგან დამაშვრალმა დეპუტატებმა ერთად მიირთვან კატლეტი, პიურე და კომპოტი პარლამენტის ბუფეტში და ამ დროს ბავშვები შიმშილით (!) იხოცებოდნენ რეანიმაციაში.

და ჩვენ, მთელი საზოგადოება, მწუხარე და ნაღვლიანი სახით, გაუთავებლად ვიმეორებდეთ ერთსა და იმავეს:

ნიჩივო, არაუშავს. ნიჩივო, გაივლის. ნიჩივო, მოგვარდება.

დეზინოზის ანბანი

ჩემი თაობის საკმაოდ დიდი ნაწილი შვიდი წლისა შეიყვანეს სკოლაში. ეს მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო: ქვეყანაში სწავლა-განათლებისთვის არავის ეცალა, სასწავლო პროცესი შეწყდა და პოლიტიკურ-კრიმინალური დაპირისპირებების გამო რამდენიმე თვე გაგვიცდა. ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენს ქალაქს დევნილთა დიდი ტალღა მოაწყდა. თითქმის ყველა ოჯახში დევნილი იყო.



— ახალი კლასელი შემოგვემატა, — იტყოდა მასწავლებელი და უკვე ვიცოდით, რომ მერხიდან წამოდგარი გოგო თუ ბიჭი, დარცხვენილი და დაბნეული, დევნილი იყო. რაღა დაგიმალოთ, მის მიმართ უპირატესობის გრძნობაც გვიჩნდებოდა, დაახლოებით ისეთი, დედაქალაქელს რომ აქვს ჩამოსულის, ან სამსახურში ადრე გამოცხადებულ თანამშრომელს — დაგვიანებულის, ან კიდევ სტაჟიან და სასულიერო პირებთან გაშინაურებულ ზოგიერთ მორწმუნეს — ეკლესიური წესრიგის უმცარი ადამიანის მიმართ. ერთი ხანობა იმ დაუნერეული კანონის ამოქმედებაც ვცადეთ, რომელიც უფროსკლასელებისგან გადმოგვეცა და ცოტა მიმზიდველიც ჩანდა იმ დროს: ყველა ახალშემომატებული ბიჭი უნდა გაგველახა. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისე ხდებოდა, რომ გაცნობისთანავე ვუმეგობრდებოდით, ვიზიარებდით მათ გაჭირვებას და ჩხუბამდე საქმე არ მისულა.

ერთი ჩემი კლასელი გოგო რვა წლისა იყო, პირველი კლასის მეორე სემესტრში რომ შემოგვემატა. სიმაღლეში ხომ ყველას გვეჯობდა და რასაც ის ომზე, გაჭირვებაზე, შიმშილსა და სიცოცხლეზე ჰყვებოდა, ჯერ გაგაოცებდა, შეგაძრწუნებდა და შემდეგ შეიძლება ტირილამდე და უიმედობამდეც მიყვანდა. თვითონ ეტყობა ლაპარაკით კლავდა, თრგუნავდა განცდილს (მგონი ბევრ რამეს იგონებდა კიდევც), ამით თითქოს ამარცხებდა ეშმაკს, მტერს, ბოროტ სულს. მის სახელს კი არა მალავდა, ყოველ წუთას ახსენებდა, მოდი, შენი კი არ მეშინია, რასაც მინდა იმას გიშვრები, ყველა ბრუნვაში გატრიალებ და არამარტო მე, ჩემმა ყველა კლასელმა იცის, რა საცოდავიც ხარო.

ერთხელ რაღაც აქცია გამოცხადდა: მთელ ქალაქს მაკულატურა უნდა შეეგროვებინა. ქალაქის უფროსოვლიც (ასე ეძახდა მასწავლებელი) გვეწვინა სკოლაში, — თუ გვინდა ჩვენს შვილებს სანერი ქალაქი ჰქონდეთ, უვარგისი წიგნები და ჟურნალები ჩაგვაბარეთო. ჩემმა მეგობარმა, რომლის ოჯახიც საერთო საცხოვრებელში იყო შეხიზნული (დროებითო, მაშინ ასე უთხრეს, მაგრამ როგორც ვიცი, დღემდე არაფერი შეცვლილა), შეწუხებულმა მითხრა, მამაჩემის ბიბლიოთეკა იმ სახლში დარჩა, რომელიც ომის დროს დაწვეს და რა უნდა ვქნა, წიგნები საიდან მოვიტანოო. თუ არ ვცდები, 5-5 კილო მაკულატურა გვექონდა ჩასაბარებელი. ჩემი წილი რომ ავწონე, მერე ისევ შევიპარე ბებიაჩემის ბიბლიოთეკაში და გულში ჩახუტებულმა ფეხაკრფვით გამოვზიდე ი. ბ. სტალინის თხზულებათა მრავალტომეული — თითქმის ისე, წვრილად დაჭრილი შეშა რომ გამოქონდა საკუჭნაოდან.

მერე ჩვენს სკოლაში ნაგროვები წიგნები, ზოგი სქელ პარკებსა და ჩანთებში ჩაწყობილი, ზოგიც ძუითა და მავთულით შეკრული, გაზ-53-ის ძარაზე ატვირთეს და სად წაიღეს, ვინ იცის.

გაზ-53, ოღონდ სხვა ფერის, სხვა ნომრითა და უფრო ჩასუქებული მძღოლით, შემოხრივინდა ბაბუაჩემთან, დიდ ეზოში. შაბათ-კვირას სოფელში ვატარებდით ხოლმე. მეზობლის ბავშვებთან ფეხბურთს ვთამაშობდით, როცა ჭიშკარი გაიღო და მძიმედ დატვირთული მანქანა შემოვიდა. უფროსები დატრიალდნენ — ავდრისგან ცელოფენითა და შალით საგულდაგულოდ დაცული ავეჯი ჩამოცალეს, სხვადასხვა ოთახში გაანაწილეს და მერე ნელ-ნელა ააწყვეს ლოგინები და კარადები.

ღმერთო, როგორ მიხაროდა! ხელით ვსინჯავდი და თვალს არ ვაშორებდი, როგორ ავსებდა ცარიელ კუთხეს მოხდენილი ავეჯი და ყველას რაღაცნაირად კმაყოფილი და თან სევდიანი სახე ჰქონდა.

მთელი ბავშვობა და შაბათ-კვირა ამ ლოგინებისა და კარადის (სადაც ნაკითხული წიგნებს ვაწყობდი, ნაუკითხავებისგან რომ განმეხსვავებინა) დიდი ტრფიალი ვიყავი. დაუკითხავად ავრბოდი და ჩამოვრბოდი ზევით-ქვევით, დამქონდა რაგინდარა, ამოჩემებული ნივთები.

ერთ დღესაც, სოფელში მისულს ეს ავეჯი არ დამხვდა. გაცეხულმა და გაფითრებულმა მიზეზი რომ ვიკითხე, ბაბუაჩემმა მითხრა, ჩვენი ნათესავის იყო ეს ლოგინებიცა და კარადებიც, ამასწინათ მოვიდნენ და გალში წაიღესო.

„ერთი მაინც არ დატოვეს?“ — გულში ვფიქრობდი გაბრაზებული და ვერ წარმომდგინა ბაბუაჩემის სახლი, სადაც კრემისფერი ლოგინი და ნაკითხული წიგნებისგან გამოტენილი კარადა არ იქნებოდა.

„იქნებ დარჩათ რამე?“ — ოთახიდან ოთახში დავდიოდი. და ახლა მინდა გავიხსენო, საერთოდ რა დარჩა ჩემი ბავშვობიდან — აფხაზეთიდან დევნილი კლასელებისგან, მეგობრებისგან, ნათესავებისგან...

ბევრი რამ დარჩა და დაიღუპა — მძიმე, ტრაგიკული, თითქოს დაწყებული და შუაგზაზე შეყოვნებული, მოუგარებელი. დევნილობაში გაზრდილი თაობა და პოლიტიკოსების თაიგული, რომელიც დროდადრო, წინასაარჩევნოდ ცდილობს რაც შეიძლება თბილად, ენის მოჩლეკით ახსენოს „ლტოლვილი“, „დევნილი“ და „იძულებით გადაადგილებული პირი“, რომ ხმათა მნიშვნელოვანი რაოდენობა დაიბევოს.

დარჩა ამ სიმწრის თათარები ჩურჩხელასავით ამოვლებული იუმორი, უფრო სწორად, რამდენიმე მინიმალისტური ლექსი: „გათავდა და მორჩა სოხუმი და სოჩა“, „ოჩამჩირა, ოჩამჩირა სამი ლუწმი გოროდ მირა“ და კიდევ ნატვრა, სურვილი, ან უბრალოდ ინტერესი, ნახო ის, რაც შლაგბაუმს მიღმა.

საკუთარი თვალებით ნახო.

ფიქრიანი ირონია წყალში...

დილაადრიან ჩამოგდა სოფლის ავტობუსი, საუზმის შემდეგ ყველანი ჩავსხედით და გზას დავადექით. წინა დღის ნაწვიმარი და ცოტა მოჟამული დღე იყო. ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენი მარშრუტის პირველი პუნქტი სასაფლაო აღმოჩნდა, სადაც რამდენიმე ქართულწარწერიანი საფლავის ქვაც ვნახეთ.

სასაფლაოდან მეჩეთისკენ დავეპირეთ. თბილად დაგვგვდნენ იქაურები — ჩაი, ტკბილეული, ანონილ-დანონილი საუბარი ქართულ-სპარსულ ურთიერთობებზე. ცოდვა გამხელილი სჯობს და, ერთადერთი, რასაც ვერ შევეწყვეთ, ფეხმორთხმით ჯდომა იყო. ადამიანური და სავსებით გასაგები ამბავია: სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო, მაგრამ ისეც ხდება ხოლმე, რომ ბოლომდე არ გემორჩილება ეს ქუდი, შეჩვევა გიჭირს, სხეული არ მოგყვება.

საინტერესო აზრთა გაცვლა-გამოცვლა ორი საათი გაგრძელდა, რაც გაცილებით მძაფრი და მტკივნეული იყო შედარებით პასიურ მდგომარეობაში მყოფებისთვის. ბოლოს ბელა შალვაშვილმა — ფირდოუსის „შაჰნამეს“ მთარგმნელმა — გვიხსნა. თითქოს ყველა ჩვენგანის სევდა ამოაყოლო, უბრალოდ და უაქცენტოდ თქვა:

— ეეჰ, ჯანსულოოო!

შემდეგი გაჩერება, თუ არ ვცდები, კულტურის ცენტრი იყო. საერთოდ, ირანში ყოფნისას ძალზე ხშირად გვიხდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში სტუმრობა, რაც გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო — მწერლებისა და გამომცემლების დელეგაცია უმთავრესად ასეთ ადგილებში უნდა ხვდებოდეს მასპინძელ მხარეს, მაგრამ ამ დისკუსიებმა თანდათან ისეთი მასშტაბური და ყოველდღიური სახე მიიღო, რომ ერთ დიდ მოწყენილობად იქცა.

სამაგიეროდ, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე ქართულ ოჯახში გატარებული დაუწინდარი წუთები ყოველი ჩვენგანისთვის დარჩება წარუშლელ მოგონებად. იქ გაცნობილი ადამიანები, მეგობრული, გულახდილი, მონატრებული საუბრები ალბათ ბევრ რამეს გადაწონის, რაც მანამდე გვიანხავს და გვსმენია.

და კიდევ ერთი — სკოლის ამბავი.

დაწყებით სკოლაში მისვლა თავიდან კულტურის ცენტრში სტუმრობას ჰგავდა. საპატიო შეხვედრა, ცალკე ოთახში მოწყობილი, და ჩამოსვლის დღიდანვე ადევნებული მეთვალყურეები („მზირები“ — სულხან-საბას ენაზე), რომელთა პატივისცემის, თანაღმობისა და ყურადღების ჯეროვნად დაფასება, მეექვსეა, რომ ოდესმე შევძლოთ.

გამომავლები არ ცხრებოდნენ, ხაზს უსვამდნენ და ზომიერად, განსაზღვრული ემოციის ფარგლებში აღნიშნავდნენ ქართველების კავშირსა და დამოკიდებულებას ფერეიდანთან. უცებ, მოულოდნელად ვილაყამ მიჩურჩულა: „დიდად ვერ ვამბობთ: გაუმარჯოს საქართველოს!“ და მაშინ მივხვდი, რომ ეს შეხვედრა სხვებივით ჩვეულებრივად არ ჩაივლიდა.

დერეფანში რომ გავედით, ღია კარებიდან შევნიშნე კიბის გასწვრივ, რამდენიმე რიგად ჩამსკრივებული ბავშვები. სასკოლო ფორმაში გამოწყობილები ხმაგაკმენდილი უსმენდნენ ნომადი ბართაიას, რომელიც საადი შირაზელის უკვდავ ლექსს კითხულობდა სპარსულად და ქართულად:

**ადამის მოდგმა ერთმანეთის არის ნაწილი,
ქმნილება ყველა ერთი არის მაღალი ღმერთის,
დაეკარგება მოსვენება უთუოდ ყველას,
თუკი სანუთრომ გაიმეტა იმათგან ერთიც.**

ეს სტრიქონები გაეროს შტაბბინის შესასვლელს ამშვენებს ნიუ-იორკში, და უკეთესად ალბათ შეუძლებელია იმის გადმოცემა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისთვის მის გვერდით, მის მეზობლად თუ ათასობით კილომეტრის მოშორებით მცხოვრები ადამიანი, მისგან რჯულით, ეროვნებით, კანის ფერითა და შეხედულებებით განსხვავებული.

...ლექსი ჩამთავრდა თუ არა, იხუფლეს ბავშვებმა, სტუმრებს შემოეხვივნენ, ხელს ართმევდნენ, ეფერებოდნენ, ეხუტებოდნენ, სალაპარაკოდ ინვედნენ: „ქართველი ხარ? მე ქართველი ვარ!“ „მე ქართველი ვარ!“ ერთმანეთსაც აგულიანებდნენ, ეჯობებოდნენ, ეცილებოდნენ თავიანთი შორეული ნათესავის, თვისტომის მისალმებაში...

ბავშვების წრეში ვიდექი, მაგრამ კარგად შევნიშნე, როგორ აუნყლიანდა თვალები კახმეე კუდავას და როგორ დაიბნა თემურ ჩალაბაშვილი — სხვებიც ამ დღეში ვიყავით, მოზღვავებული ემოციებითა და მოულოდნელი სიხარულით დატყვევებული.

და მაშინ, ბავშვების ჟივილ-ხივილსა და მათ დასაშოშინებლად შემართული მეთვალყურეების ხმამაღალ უკმაყოფილებაში, მახსოვს, კიდევ ერთხელ, ვილაყამ რომ მიჩურჩულა:

— ფერეიდანი ერბოა წყალში, არ შაერევის!..

რევაზ სირაძის, გულითაღოვით

მისი სახელი მოულოდნელად გავიგე — მეგობარს ადევნებული სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი ნესტან ფიფიასთან, ქალაქში კარგად ცნობილ ფილოლოგთან. მაგიდას ჩემიძოლა გოგო-ბიჭები უსხდნენ და ისე უბრალოდ და ჩვეულებრივად მიმივლი ახალმოსული, რომ ცოტა გამიკვირდა კიდევ. გაოცება მერე გენახათ, როცა მათმა ქართულის მასწავლებელმა პირადად ჩემთვის იმდენი უცნობი გვარ-სახელი ახსენა მეცადინეობის დროს, რომ ერთიხანობა ვიფიქრე, ავდგები და წავალ, სანამ თავი მომეჭრება საბოლოოდ, ეს რა ხალხში მოვხვდი-მეთქი.

მეორე დღესვე ბიბლიოთეკიდან გამოვიწერე რევაზ სირაძის „სახისმეტყველება“ და კარგახანს ვკითხულობდი, ნელ-ნელა, დადინჯვებით, სვენებ-სვენებით. შეიძლება ითქვას, ეს სულსწრაფი და მაძიებელი მეცხრეკლასელის იძულებითი დაინჯება იყო, რომელსაც დახვეწილი და უზადო ოსტატობით დაწერილი წიგნი იმდენად აღზიანებს, რომ მისი თავიდან ბოლომდე წაკითხვა გადაუწყვეტია, თუნდაც სხვების ჯიბრზე.

სიღრმე და სისადავე — ალბათ ეს ეპითეტები ყველაზე უკეთ შეეფერება რევაზ სირაძის შემოქმედებით მემკვიდრეობას: სამეცნიერო მონოგრაფიებს, წერილებს, ესეებს, თარგმანებს. მისი აზროვნების მასშტაბი კი არ გთრგუნავს (როგორც ეს ხდება ზოგიერთი მკვლევარის ოპუსთა გაცნობის შემდეგ), არამედ ძალას გაძლევს, მეტი იფიქრო და ბოლომდე გაეხსნა სამყაროს — ღმერთის, ადამიანისა და ტექსტის იდუმალებას.

აქ კი, ისევე როგორც ყველა სხვა ნამდვილი მწერლის შემთხვევაში, არსად ჩანს ავტორი, ყოველ შემთხვევაში, აშკარად აღარ გხვდება თვალში, არ გალიზიანებს, პირიქით, ჩრდილში ყოფნით უფრო მეტადაც კი ამბობს თავის სათქმელს.

რევაზ სირაძეც ჩრდილში იდგა. თუკი პედაგოგიურ საქმიანობას არ ჩავთვლით, იგი ძალზე იშვიათად ჩნდებოდა ტრიბუნაზე, თუმცა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ღონისძიებებზე ხშირად მინახავს.

პირველად ამ რამდენიმე წლის წინათ, საგურამოში, ილიას სახლ-მუზეუმში, ივანე ამირხანაშვილმა მაჩვენა ოდნავ მოშორებით მდგომი, ნოემბრის ქარში თბილად ჩაცმული კაცი. მერე ახლოს მივედით და, რეზო სირაძეაო, რომ თქვა, სიხარულისა და მღელვარებისგან ისე დავიბენი, გვიან შევნიშნე ჩემკენ გამონვდილი ხელი. დიდხანს არ გაეჩერებულვართ, არც ბევრი გვისაუბრია. თანდათან სხვებიც შემოგვიერთდნენ, ესალმებოდნენ ერთმანეთს, ბატონ რეზოსაც, ის კი ყველას თავს უკრავდა, ხელს ართმევდა და სათითაოდ ამხნევებდა: „იცოცხლე!“

„იცოცხლე!“ — იმ დღისგან ეს ერთადერთი სიტყვა დამამახსოვრდა და ახლა რომ ვუკვირდები, რევაზ სირაძე ჩემთვის ეს სიტყვაა.

გრიგოლ რობაქიძეს თუ დავესესხებით, „ცეცხლი“ და „სიცოცხლე“ ერთი ფუძიდან მომდინარეობს, და რარიც გაიხარება ჰერაკლიტე ეფესელი, ეს რომ სცოდნოდა: სიცოცხლე ხომ უსასრულო წვააო.

თუმცა მანამდე, სიცოცხლის საბედისწერო დაფერფვლამდე თითოეული ჩვენგანი ცხოვრობდა რევაზ სირაძის ყოველდღიურობაში, მის გვერდით. ისმენდა მის ღრმა, გულშიჩამწვდომ, სიბრძნითა და დიდი გამოცდილებით დაპურებულ საუბრებს, ცხოვრებისეულ ამბებს.

— 1990 წელს რუსთველოლოგიის განყოფილებას ვხელმძღვანელობდი ლიტერატურის ინსტიტუტში. წლიური თემები უნდა დაგვემტკიცებინა და თანამშრომლებმა გამოიმცხადეს, ქვეყანას ცეცხლი უკიდია, ჩვენგან შეველა უნდა და ამ დროს რა გული გაგვიძლებს სამეცნიერო ნაშრომების საწერადო. რას ვეტყობი... მაგრამ საქმე თავისას მოითხოვდა: თემები უნდა დამტკიცებინა მეცნიერებათა აკადემიას და წლის ბოლოს მოხსენებებიც უნდა ყოფილიყო... საგონებელში და სადარდებელში ვარ ჩავარდნილი და ამ დროს ილება კარი და შემოდის ზვიადი, მოაქვს გამზადებული ყველაფერი! ისე გამიხარდა, გულზე მომეშვა, ჩამოვუარე ყველას, — აგერ, ეს კაცი, დღედაღამ იქ ტრიალებს, თქვენ რა დაგემართათ-მეთქი...

ეს ამბავი ზვიად გამსახურდიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე გაიხსენა. და მას შემდეგ რამდენჯერმე ვთხოვე, „ჩანაწერების“ სერიისთვის ამ მოგონებასთან ერთად დაენერა დიდი ხნის წინათ პეტრონონის მონასტერში ყოფნის შთაბეჭდილებანი. „ყველაფერი გონებაში მაქვს, გუშინდელივით მახსოვს, ცოტა დრო მჭირდება და მივხვდავო“, — მამშვიდებდა.

...ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ ზედიზედ ორი წიგნი დაიბედა ბინა. მთარგმნელმა და კრიტიკოსმა ოქტაია ქაზუმოვმა წერილებისა და ესეების კრებული მიუძღვნა წარწერით — „რეზო სირაძის ნათელ ხსოვნას“, ხოლო ირაკლი კაკაბაძემ, ისქანდერ ბალთაზარ ქირმიზის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წიგნი „თურქული სიმღერების გზამკვლევი“, პროფესორი რეზა სარაქოლლუ თავისი სტუდენტობის ბნელი და უფერული წლების ბედნიერ გამონათებად მოიხსენია:

„იმის მიუხედავად, რომ სტუდენტთა უმრავლესობას დიქციონისა და ხმის დაბალი ტემპის გამო საერთოდაც არაფერი არ ესმოდა მისი... პროფესორ სარაქოლლუს ცქერასა და მოსმენას მაინც არაფერი სჯობდა“.

და იქვე ორიგინალური და ზუსტი შეფასება: „მისი წიგნები პოეზია უფროა, ვიდრე სამეცნიერო ლიტერატურა, გეგონება სამეცნიერო პრობლემები ჰაიკუებისა და ტანკების ტექნიკით აქვს დაწერილი“.

ვისაც რევაზ სირაძისგან საჩუქრად წიგნი მიუღია, მაშინვე თვალში ეცემა მისთვის დამახასიათებელი სადა, ღრმა და

ლაკონიური ნარწენა. ხშირად გამჩენია სურვილი, მისი სიტყვებით დამეწერა ის მიძღვნა, რომლითაც ძვირფას და პატივსაცემ ადამიანს წიგნს ვუსახსოვრებდი. ამ წერილის სათაურზეც დიდხანს ვფიქრობდი, ვიდრე 2011 წელს გამოცემული „ესსეები და თარგმანები“ არ გადმოვიღე თაროდან. ნარწენაში მხოლოდ ადრესატი შევცვალე: „რევაზ სირაძეს, გულითადობით“.

მურიკალა ღრრ

ახლაც თვალწინ მიდგას: ზაფხულის მცხუნვარე დღეს, ნასადილევს, ყველანი რომ მოსასვენებლად გავიკრიფებოდით ჩვენ-ჩვენს ოთახებში, დედაჩემი ჩანიშნულ ადგილას გადაშლიდა წიგნს, საიდანაც ახალი, უცნობი და მომწუსხველი სამყარო უნდა გაცოცხლებულიყო ჩვენ თვალწინ.

მე და ჩემი ძმა ამ წუთს გაფაციცებით ველოდით. საუცხოო განცდა — გარეთ მზე აჭერს, პაპანაქებაა, შენ კი კაკლის ქვეშ ნამონოლილი ისმენ უჩვეულო და თავბრუსმომხვევ ამბებს. მაშინ მიკვირდა, რამდენ ხანს შეეძლო დედას ეკითხა ჩვენთვის ზღაპრების წიგნი ისე, რომ არ დაღლილიყო და მოწყენაც არ შეპარვოდა. არ მახსოვს, თვითონ შეეწყვიტოს ან ვინმე უხეშად შემოჭრილიყოს, ვიდრე ჩვენ თვითონ არ გამოვეთიშებოდით — დაგვეძინებოდა.

ზღაპრის პერსონაჟები ძილშიც განაგრძობდნენ ცხოვრებას, სიზმარშიც მოგვევებოდნენ. ერთი ასეთი მშობლიური მურიკელა ღრრ იყო და ამ გადმოსახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს ზავშობას სწორედ მისი ღრენა და ყველა გასდევს, ვიდრე ავტომატების კაკანის, დაბომბვისა და სასონარკვეთილი ადამიანების ხმა შემოაღწევდა.

ჯერ მარტო სახელები იყო დაუფინყარი: მურიკელას დედას ავმეფარი ერქვა, მის მეტოქე და მეგობარ კნუტებს ფისუნია ფი და პი, იმათ დედას კი ქალბატონი ფიჭვისო. ერთ დღესაც პატარა ლეკვი მურიკელა მანქანაში ჩასვეს და სოფლიდან თბილისში წაიყვანეს.

აქედან იწყება ყველაფერი — აქედან იძაბებოდა ჩვენი ცნობისმოყვარეობა. სულმოუთქმელად ველოდით, რას იზამდა დიდ ქალაქში მოხვედრილი ლეკვი, რომელსაც გზაშივე გამოუცვალეს სახელი — მიკი შეარქვეს, მაგრამ მურიკელა ახალ სახელს შეეჩვია, ახალ ყოფას კი — ვერა. კორპუსების სივინროვეში მოხვედრილს საბედისწერო ამბები გადახდა — ჯერ იყო და, ბავშვს უკბინა, მერე ათი დღე მოუწია ცხოველთა სამკურნალო პოლიკლინიკაში ყოფნა, იქიდან გამონერილი ვილაც მძღოლს გაატანეს სოფლისკენ, იმან კი შუა ქალაქში ჩამოსვა და „ეზოს ძალი“ თავზეხველადებულ მანანალა „თანამომძებს“ პირისპირ შეატოვა.

მეც და ჩემს ძმასაც ერთი ქუჩის ძალი მოგვინოდა ძალიან — ბუტუზო (იგივე ყურშა), იქაურობის წინამძღოლი, რომელსაც ცალი თვალი ლომმა დასთხარა. ერთხელ ზოპარკში, ლუკმაპურის საშოვნელად გასულს ლომის გალიაში შეეყო თათი, რათა ხორცისთვის ჩაეველო კლანჭები, გალიის კიდესთან მიეჩოჩებინა და დაეთრია. ლომმა თავი მოიძინარა თურმე და როგორც კი ბუტუზო ხორცს ნაეპოტინა, წამოვარდა, ტორი ჩასცხო და ცალი თვალი დაუბუშტა.

თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგა, მურიკელამ სახელოვან ბუტუზოსაც შეუღრინა.

თვითონ ეს სიტყვა — ღრრ — უცნაური მშობლიურობით ხვდებოდა გულს და არამარტო იმიტომ, მშობლისგან ნაკითხული რომ გვესმოდა, არამედ იმიტომაც, რომ დაუმორჩილებითა და შეუგუებლობით, მკაცრ ცხოვრებაში გაძლებითა და გარემო პირობებთან გამკლავებით იყო ნაკარნახევი. ყველას და ყველაფერს უღრენდა მურიკელა — კატის კნუტებს, გაფხორილ ინდაურს, მანანალა ძაღლებს, ქუჩას და ზღვასაც, მაგრამ ღრენა მისი ახირება კი არა, უფრო თვითგადარჩენისა და საკუთარი თავის დამკვიდრების ინსტინქტი იყო, ინსტინქტი, რომელმაც დიდი ქალაქი-

დან თავისი სოფლისკენ მიმავალ გზას გაუყენა და მთელი წელი სიცხე-სიცივესა და ხიფათ-ფათერაკში გამოვლის ძალა მისცა.

...მაშინ არ დაგვირგვინებია, მაგრამ წლების შემდეგ რომ დავხედე ჩემი საყვარელი ზღაპრის გარეკანს, მისი ავტორის — ნოდარ წულუისკირის — შესახებაც მომინდა რაღაცების შეტყობა. მერე სადღაც წავიკითხე, რომ სხვა ბევრი წიგნიც დაუნერია, უზენაესი საბჭოს დეპუტატიც ყოფილა და იმ ტრაგიკული ამბების შემდეგ მარნეულში წასულა, სოფელ წერაქვის სკოლის დირექტორად და ქართულ ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ეს ის დროა, როცა ავტომატების კაკანი მურიკელას ყვეფასა და ღრენაზე მეტად ისმის ჩვენს ზავშობაში. მურიკელა კი ჩუმად არის, სადღაც მიმალულა, თითქოს თავის დროს ელოდება, რომ ღამის დამთრგუნველ სიჩუმეში გამკრთალ ლანდებს გამოენთოს და გააგონოს თავისი საბედისწერო და მშობლიური ღრრ...

„მივიპო კუპო ზჰკადი!“

ჩვენს კლასში ერთი ბიჭი სწავლობდა, ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული. მგონი, არც თვითონ უცდია ოდესმე ყურადღების მიქცევა და იმის საბაბიც არ მიუცია ვინმესთვის, მისით დაინტერესებულყვენ. არ აცდენდა, არ იგვიანებდა, საშინაო დავალებაც ყოველთვის მზად ჰქონდა და გაკვეთილების დამთავრებისთანავე მიდიოდა შინ.

დიდი ხნის უნახავი კლასელები შეგხვდით ამასწინათ, სკოლა გავიხსენეთ, სკოლის პერსონაჟებს ჩამოვუარეთ სათითაოდ და, როგორც ყოველთვის, ლექსოზე ვერავინ ვერაფერი თქვა. ეტყობა, წესიერება და ზრდილობა ის თვისებები არ არის, რითაც ადამიანი უნდა დაგამახსოვრდეს სამუდამოდ, სხვაც სჭირდება ალბათ: ერთი კვიმატი სხივი, თუნდაც ფეხის ერთი გადაცდენა.

იმათ არ იცოდნენ, მაგრამ მე კი მახსოვდა ლექსოს ისეთი საქციელი, რომელმაც ჩემს თვალში მთლიანად შეცვალა ნარმოდგენები მის შესახებ, უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ზოგადად ნარმოდგენების (რაც კი გამაჩნდა!) დასამსხვრევედ შემამზადა.

ჩვენმა სკოლელებმა სხვა სკოლის ბიჭებთან იჩხუბეს, და როგორც ხდებოდა ხოლმე, მთელი უფროსკლასელობა წავიდა ამბის გასარკვევად. ამ შემთხვევაში შეურაცხყოფაც საერთოა, სიხარულივით, ამიტომ მასზე პასუხისგება ყველას სათითაოდ გვიწევდა. მეც ჩემი „პაპკა“ გადავკეცე, ქაშართან ჩავიმარე და კუბოკრული პერანგი გადავაფარე — არ უნდა შემტყობოდა, სწავლას მონყურებულნი რომ ვიყავი, თორემ (ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე გვწამდა) შეიძლებოდა ვინმე დაეჭვებულიყო ჩვენს ბრძოლისუნარიანობაში.

ყველაზე უცნაური ამ ამბავში ლექსოს გამოჩენა იყო — მისი ინტერესის საგანს ხომ სცილდებოდა ყოველგვარი „კლასგარეშე“. ასე მგონია, კლასგარეშე ლიტერატურის ის სიაც არასდროს ჩაუწერია, რომელსაც ზაფხულის არდადეგების წინ გულმოდგინედ გვკარნახობდა ქართულის მასწავლებელი.

— შენ აქ რა გინდა? — ვკითხე გაოცებულმა. გაჩერდა.
— რა იყო, არ შეიძლება?! — კითხვა შემომიბრუნა, სერიოზული და შემართული ჩანდა.

რამდენიმე წამი ვიფიქრე, რა უნდა მეთქვა, რომ მისი საჩხუბრად წამოსვლის წამდელი მიზეზი გამეგო, რაღაცაზე უნდა წამომეგო. ბოლოს ჩავანკვეთე:

— მერე რომ გცემონ? — ეს ვთქვი თუ არა, შევატყვე, როგორ გამეგესო გული სიბრაზით საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, იმ წუთას ცნობისმოყვარეობა რომ თრგუნავდა სინდისს.

— მცემონ, მერე რა.
— გცემონ და არაფერი? — გაკვირვებისგან პირი დავაღე. გაეღიმა, მოტრიალდა და აჩქარებული ნაბიჯით გაეკიდა წინ წასულ ბიჭებს. არ დავანებე:
— მოიცა, მოიცა, გცემონ, გჟეჟონ, ცხვირ-პირი დავისისხლიანონ და...
— მერე რა?

— არ გეშინია?
მაშინ იყო, რომ გაჩერდა, შემობრუნდა, ქვემოდან ამომხედა და მკაცრად თქვა:
— შიშში კუბო ბჭკადი!

ვერ სიცილი წამსკდა, ვხარხარებდი. ფეხზე მდგომარემ რომ ვერ დავიოკე, ჩავიკაშე, ცრემლს ვიხოცავდი და სულს ვერ ვითქვამდი. მერე როგორც იქნა წამოვდექი. არავინ ჩანდა, ლექსოც სადღაც გამქრალიყო. არ გამოვდევენებივარ, არავინ მიძებნია, შინისკენ დავაღერე თავი.

გზაში სულ ლექსოს სიტყვებზე მეფიქრებოდა. ისიც წარმოვიდგინე, თუ როგორ გამოქვდავდა ხელში ჩაქურ და შალა-შინმომარჯვებული ლექსო კუბოს შიშისათვის, დიდს, უზარმაზარს, შიშის სამყოფს, სადაც ყველაფერი ჩაეტეოდა, რასაც ჩვენი დაშინება და გაბითურება შეეძლო — აურაცხელი ყოფითი მიზეზები, პირადი ურთიერთობები, ძალაუფლების წინაშე თავმოთნობა... და კიდევ ათასი მოძალადე შეკითხვა: რომ მოვიდეს, რომ წავიდეს, რომ წამართვას, რომ მცემოს, რომ... რომ... ეს კუბო ყველა შიშს დაიტევდა, ყველას შთანთქავდა.

...ახლაც ვფიქრობ, ახლაც მტანჯავს და მაკვირვებს ლექსოს გამბედაობა. მეცინება კიდევ. სასაცილოცაა ალბათ ადამიანისგან აბუჩად ადგებულის, მეტიც — ადამიანის ხელით კუბოში ჩასვენებული შიში, რომლის რისხვაც კვალდაკვალ მოყვება კაცობრიობის ისტორიას. ხანდახან დავეჭვდები: იქნებ წამოსცდა ან მე მომეყურა? რატომ თქვა საერთოდ? წყევლა იყო თუ თავის გამხნეება? ისევ შიშმა ათქმევინა თუ ვაჟკაცობამ? მაგრამ შიში ხომ ერთნაირად ჩასდის გულში მხდალსაც და ვაჟკაცსაც — წვეთ-წვეთად ჩაიწურება ხოლმე.

მოძალადე კითხვებს მოიყოლებს-მეთქი და მოყვა კიდევ. მერე რა, რომ ჩვენ ამ ყველაფერს „სიფრთხილედ“, „წინდახედულებად“, „თავის შენახვად“ მოვიხსენიებთ, უთქმელადაც ვიცით, რომ თუკი რალაცის (ამ აბსტრაქტული სიტყვის ადგილას შევიძლიათ ჩასვათ ნებისმიერი არსებითი სახელი) შიშით შენს თავს, პრინციპებსა და ფასეულობებს ღალატობ, „სიფრთხილედ“ უმადლ „ლაჩრობად“ იქცევა, „წინდახედულება“ — „მონურ შემგუებლობად“, „თავის შენახვა“ — „თავზე ლაფის დასხმად“.

— შიშში კუბო ბჭკადი! — სადღაც შორიდან მესმის ლექსოს ხმა. ალბათ ისევ ის ჩვეულებრივი ბიჭია, სხვებს რომ არაფრით გამოორჩეული ჰგონიათ. თვითონაც დიდად არ ანაღვლებს, რას იტყვიან, როგორ შეაფასებენ სხვები — მან ხომ ეს შიშშიც მოაშთო, უფრო სწორად, ამ შიშსაც გამოუტყდა განსასვენებელი.

სიმშვიდისაკენ და სინათლისაკენ

— ვისია ეს მინა, ქართველების თუ აფხაზების? — ჰკითხეს ტაძრის ეზოში შეცვენილმა მეომრებმა მოძღვარს.
— ეს უფლის მინაა.

კომანში მოწამებრივად დაღუპული მამა ანდრია ყურაშვილის ამ სიტყვებში არა მხოლოდ რწმენისთვის, არამედ სამშობლოსთვისაც თავდადალებული ადამიანი ჩანს. მისთვის მინა გაცილებით მეტია, ვიდრე ტერიტორია, რადგან მინა, ტერიტორიისგან განსხვავებით, ასე იოლად არ იკარგება, მას ვერც პოლიტიკოსები გააჩუქებენ და ვერც სამხედრო ძალა მისაკუთრებს. მინის ხსოვნა და ამ ხსოვნის ძალა წლებით არ იზომება, არც მხოლოდ საერთაშორისო მოლაპარაკებებში მიღწეული შეთანხმებებით, — ეს იდეალური, საუკუნეების წინათ ჩათქმული და გადაწყვეტილი აბზავია.

— ნუ, ბლავასლავი, სვიატი ატეც, — ეს კი მანამდე უთხრეს, გამარჯვებულბმა, და სანამ ტაძრის აღმდგენელს, იპოდიაკონ გიორგი ანუას გაიყვანდნენ კონდახების ცემით, მისმა ქალიშვილმა მანანამ სწორედ ეს სიტყვა — „გამარჯვებულები“ — და მათი იმწუთიერი ფსიქოლოგიური განწყობა — „გამარჯვების ეიფორიაში მყოფები“ — დაიმახსოვრა ზუსტად და მკაფიოდ.

რამდენიმე წლის წინათ, როდესაც მანანა ანუას მონოლოგს ვკითხულობდი ნიგნში „ნუ გეშინი, რამეთუ მე მიძლი-

ვებს სოფელსა“, გამიჩნდა აზრი, ჩემს მშობლიურ ქალაქში გამემართა ამ ბრწყინვალე წიგნის წარდგინება. მთელი კრებულის მამა ანდრია ყურაშვილის თანამედროვეთა მოგონებებზეა აგებული, დალაგებულია მისი ოჯახის წევრების, ნათესავების, საერო და სასულიერო პირების მიერ მოყოლილი ამბები და სულმოუთქმელადაც იკითხება.

მოძღვრები დიდად არ იჩენდნენ ინტერესს ჩვენ მიერ ჩატარებული ლიტერატურული საღამოებისადმი — ერთი-ორი თუ გვესტუმრობოდა ხოლმე დროდადრო და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ძნელია, უამრავი ყოფითი და სამსახურებრივი პრობლემისგან გადაღლილი კაცი წიგნით „შემოიტყუო“ ამ სრულიად არასანახაობრივი და, ცოტა არ იყოს, მოსაწყენი საგნით. შესაძლოა, ზოგჯერ მათთვის მისაღები და თემატურად საინტერესო რამეც ხდებოდა, სტუმრებიც მეტ-ნაკლებად საპატიოები და ანგარიშგასაწევები იყვნენ, მაგრამ...

— კორცხელში ავიდეთ, მეუფეს ავუტანოთ წიგნი და მოსანვევები, — მითხრა ჩემმა მეგობარმა ჯაბა გერსამიამ და ვიდრე გაკვირვებული რამეს ვიტყვოდი, უკვე მიტროპოლიტი გერასიმე გველაპარაკებოდა და გვპირდებოდა, მეც მოვალ და ვისაც ხმას მივანვდენ, ყველას მოვიწვევო.

დაუჯერებელი ჩანდა და მაშინ ვიფიქრე, რამხელა ძალა აქვს მსხვერპლსა და თავდადებას, რწმენისა და სამშობლოსადმი თავგანწირვას, ზნეობრივ შეუდრეკლობასა და სულიერ სიმტკიცეს; ძალა, რომელმაც შეიძლება უბრალო ადამიანი, გნებავთ, სასულიერო პირი, თანამედროვეობისა და შთამომავლობისთვის სამაგალითო გახადოს.

როგორც მახსოვს, ცირა ყურაშვილს, პოეტს და მამა ანდრია ყურაშვილის სახელობის მკითხველთა მოძრაი კლუბის დამფუძნებელს, იმ დღეს თავისი საუკეთესო ლექსი არ წაუკითხავს. კლუბის წევრები, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები კითხულობდნენ ფრაგმენტებს მღვდელმონაზონ ანდრეასადმი მიძღვნილი წიგნიდან, მე კი სულ ის სტრიქონები მიტრიალებდა გონებაში:

**მეტად აღარ დამიძახო რაბი
ეს გვირაბი არ მთავრდება რაბი
ეს სიზმარიც არ მთავრდება რაბი
ეს ეკლებიც არ მთავრდება რაბი...**

დანიშნულ დროს უამრავი ხალხი მოვიდა, ამდენს ალბათ ვერც წარმოვიდგენდით, არტგალერეის დარბაზი გადაიჭედა, ცხელოდა და ბევრმა შემოსასვლელთან არჩია დგომა. მეუფე გერასიმეს მოსვლამდე ეპარქიის თითქმის ყველა მღვდელი დარბაზში იყო. უცებ ჯაბა ამომიდგა გვერდით: „მზად ხარ?“ — მერე თავალი მოავლო დარბაზს და მეუბნება: „ბიჭო, წიგნის პრეზენტაციაა თუ სინოდის კრება?“ ვილაცას საგალობლები ჩაერთო და კუთხეში მიდგმული მაგნიტოფონიდან ისმოდა. მე კი, გონებაში, ისევ და ისევ:

**ჩემი სახე შეიდი მშვიდი გველით
ჩემს სარკეში ჩახატული გროტესკით
შვიდი გველი აძრულია რაბი
ერთმანეთზე უფრო უბოროტესი...**

წანყვეტ-წანყვეტ ვმარცვლავდი სტრიქონებს და ბოლომდე არ მჯეროდა, უფრო სწორად, ადამიანური თვალთ, ურწმუნო ადამიანის გონებით ბოლომდე ვერ გამეცნობიერებინა, რომ ოცდაშვიდი წლის კაცს, ბერს, შეეძლო თავისი მოღვაწეობითა და ტრაგიკული აღსასრულით უფრო მეტი ეჩვენებინა და ეს-ნაწლებინა ჩვენთვის, ვიდრე ერთად აღებულ ყველა „მოღვაწეს“, რომლებიც ერისკაცისა და ერის გადამრჩენლის სახელით ეცნობოდნენ ხალხს და ოთხ წელიწადში ერთხელ უყოყმანოდ ცვლიდნენ პარტიას პარტიაზე, წამდაუნუმ უარყოფდნენ თავიანთ მრწამსსა და შეხედულებებს. ზოგიერთი იმდენად ჭკვიანი იყო, რომ არც სასულიერო პირებთან დახალოება გასჭირვებია, მათთან გაშინაურება და წყალობათა მოხვეჭა, მაგრამ ცოტას თუ ესმოდა ქრისტეს ეკლიანი გზა მამა ანდრეასაკით:

მე მეგონა დაგიუნჯე რაბი
მე მეგონა მტრედებად დაგიუნჯე
მე მეგონა ჩემი იყო რაბი
ნეკნებს შორის დარჩენილი სილურჯე...

ლი იმ რთული და სახიფათო მდგომარეობიდან, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება ამჟამად. გამოსავალი ერთმანეთის მოსმენა და შეყვარებაა, შეცდომების საკუთარ თავში ძიება და სინანულისა და ღვთის სიყვარულის მხურვალე განცდა, დაახლოებით ასეთი:

სულ ციცაბოს სულ ქარაფზე მდგარი
სულ მძრწოლვარე
სულ დევნილი ძაბუნი
მე არა ვარ შენი ღირსი რაბი
მეტად აღარ დამიძახო რაბუნო.

ამიტომაც მეგონია, მეგონია კი არა, მნამს, რომ ვიდრე მამა ანდრია ყურაშვილის მონამებრივი სახე გვიდგას თვალწინ, „სიმშვიდისაკენ და სინათლისკენ“ მიმავალ მის ნაბიჯებს შევეყურებთ, არც ძალადობის ნაქეზება შეიძლება და არც სასულიერო პირების ჩამორჩენილ, ბნელ ძალად გამოცხადება — ეს არ არის გამოსავალი.

ველაპტრის ალითა და ორი-სამი რამპის ჩირაღდნით განათებულ სცენაზე ემზარ კვიტაიშვილი იდგა და ლექსებს კითხულობდა. ამგვარ სურათს ვერც წარმოიდგენ და, რაც არ ყოფილა, აბა, ის როგორ გაგახსენდება და მოგაგონდება...

პოეზიის დიდოსტატს ამდენი დუმილისა და თვალისდახუჭვის შემდეგ შემოქმედებითი საღამო თამარ მეფის უნივერსიტეტში გაუმართეს. ეს იყო მართლაც სიყვარულითა და ლექსით დაყურსული საღამო. რამ და ვინ დაითანხმა ემზარ კვიტაიშვილი, ეს საჩუქარი რომ მიგველო, ამაზეც ბევრი ითქვა იმ დღეს და იმაზეც, რომ „მისი ცხოვრება პოეტის საგანგებოდ დაწერილი ბიოგრაფიის ხორც-შესხმაა ამ სოფელში, ამიტომაც — დაყურსული ტანჯვითა და სიყვარულით; რომ მისი ენა მადლიანი ქართულის ჯერაც ხელშეუხებია ნიალისყურის სიმდიდრეების აღმოჩენითა და სამშეოზე გამოტანით საზრდოობს, ცოცხლობს და ალგავართოვანებს; რომ მისი ლექსები სხვადასხვა დროისა და კულტურული სივრცის ანთოლოგიებს დაამშვენებდა; რომ მისი სამოღვაწეო სივრცე პროფესიულობის ნიშნითაა აღბეჭდილი: მხოლოდ იშვიათ გამოცემებში თუ შეხვდება პოეზიის მოყვარული ემზარ კვიტაიშვილის გამოქვეყნებულ ნაწერებს; რომ მას არ უყვარს საჯარო გამოსვლები, საკუთარი ნაწარმოებების ხმამაღლა კითხვა, ინტერნეტ-სივრცის ექსპლუატაცია პოპულარიზაციის მიზნით, პოეზიის საღამოების, იუბილეების გამართვა და ურჩევნია, კაცად დარჩეს; რომ მისი ხმა ისმის იქ, სადაც პოეტობა უზენაესი (სიტყვის), მამულია და დედა ენის თავდადებულ მსახურებად — მსხვერპლშენივად აღიქმება...“

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს შურმან ჯბუპურიამ, თეიმურაზ დოიაშვილმა, ლევან ბრეგვალიამ, მანანა ტუსკიამ, ზაინარ არსენიშვილმა. პოეტის ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა: ვახტანგ ახალაქიაშვილი და მამა შალვაშვილი, უნივერსიტეტის სტუდენტებმა: ელენე ხოსიტაშვილი, ანა ბაჩიანი, ნინო დოიაშვილი, თათია ბიჩინიანი, ირაკლი ჭიჭინაძე. ისმოდა სიმღერები და საგალობლები „ალილო“, იონა ღვთისმშობლის ტაძრის მგალობლისა (რეგენტი ნათია ბაღვაშიანი) და ქართველიშვილთა საოჯახო ტრიოს შესრულებით. შეხვედრამ მასპინძლებსაც გამოხატეს სათქმელი. გთავაზობთ საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის უნივერსიტეტის რექტორის მამა ალექსანდრე სიტყვას.

არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაქიაშვილი)

მადლობელი ვარ

ანუ
იქ, სადაც ყინულში
ფისვებგადგმულ იას ხედავენ

ამ ცხოვრების ყინული თავისგადადებით გაგლიჯა ემზარ კვიტაიშვილმა, ლექსებით, უპირველეს ყოვლისა. ამ ლექსებშია მისი ეკლიანი ცხოვრება, ზეცასთან და მიწასთანაც გამინაშურება, გამწარებული სიცოცხლეც, შეუბღალავი კაცობაც, არნივივით ხედვის ნიჭიც, სიქართველით სავსე სულიცა და გულიც...

ჩვენ დავაპორეს — ხრიოკი რუხი
და თეთრი ლეღე, გაგლეჯილ გულის
ამოვარდნამდე ნარბენი ქვებზე...
მაკლიხარ, როგორც ჩაკეტილ უჯრას
ნათელი დილის, ყრუ კედელს — კარი,
ბერნ ხეს — ნაყოფი, ბუდეს — ფრინველი
ან ზვარაკს — დანა, აღარ მოგელი
და ვერც გიხილავ, სად გაგონილა
ყინულში ფისვებგადგმული ია.

ასეა: როდესაც ემზარ კვიტაიშვილის ლექსებს კითხულობ, სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მოგზაუროვით, გინდ მონადირესავით როდის რას გადაეყრები, არ იცი: პარადოქსების ტყეა.

რატომ პარადოქსები?
მითხარით ერთი, ის, რომ ჩვენი მამული არ უნდა შეკრთეს, ამას კიდევ შეძახილი უნდა?! მას ხომ ისედაც ნაკლებად ესმის ჩვენი „ძვლების ლანანი“ ან, უბრალოდ, არ

ესმის! თქვენ — შვილებმა, რაც გინდათ, ის ჰქენით! თქვენ — შვილებმა და ჩვენც — შვილებმა...

უფრო მეტად მილიტინებს გურული ენაკვიმატობა ფეხისგულელებზე: ნიგნს ნერვიულად ვფურცლავ და ვკითხულობ: უმდიდრესისა სამეფო ძილის, უმდიდრესი და უნეტარესი... ყოვლისშემძლე სამეფო ძილის... უძლეველი სამეფო ძილის... ანუ და, აღბათ, უძილობისო, უნდოდა ეთქვა... აკი სხვაგან ასე აქვს დაწერილი: სად ვათევ ღამეს — თვითონაც არ ვიცი.. არც ის, რომელ კედელთან დამაღამდება... მიბრწყინავს ძილმორეული თვალები. აბა, ერთი იმაზეც მიპასუხეთ, ძილმა და მოსვენებამ თუ იცის ახლა რომ წაგიკითხავთ, იმისთანა სტრიქონების დაბადება:

ორმოცი დღე მუხლებით რომ ვიხობო წვეტიან ქვებზე —
რეტდასხმულმა, დამწვარმა, დახოკილმა... კედელს მივაგლისო
ტვინი,
შენს ერთ გაუმხელელ ტკივილსაც ვერ მოვავროვებ,
რას მეტყვის, რას ამოიტანს უკიდვანო, გამლხვავი ტუნდრა —
სიმწვანეზე ნამარხულევი ყინულის გახეხილი ჯავშანი.

კარგით, პარადოქსებისა იქით იყოს. მე თავად პოეტზე მინდოდა მეთქვა ორი ღერი სიტყვა. მერე კი ვიფიქრე, უკეთესი იქნებოდა, მხატვარი რომ გყოფილიყავი — მეთქი, დავხატავდი მის პორტრეტს... და ჰოი, საოცრებაც, თქვენს თვალწინ ვხატავთ კიდევ ემზარ კვიტაიშვილის პორტრეტს მე და რომელიმე საკმაოდ ცნობილი მხატვარი, მაგალითად, რენე მაგრიტი: ქანდაკებასავით ქსოვილგადაფარებულს სანახევროდ, ღრუბლებში არა — ჰაერში მოსიარულეს, თხემიდან თვალების მოულოდნელი შემოფეთებით, გულმკერდში ბრონეულზე შემომჯდარი აგალობებული ჩიტებით, დედამიწისა და ზეცის ძარღვებთან შეერთებული არტერიებით, თითებში მოქცეული ქალადის ფურცლებიდან აალებული ცეცხლით, ტირის სამიზნედ ქცეული, ნლიურგოლებიანი შუბლით ან საფეთქლით (გაანჩია, თავს როგორ მოვარუხებინებთ) და იმის ქვემოთ თვალებიდან გამოსული სიყვარულისა და სიკეთის სხივებით... მაგრამ რომ არსად ჩანს ეს მაგრიტიც?! ისე კი პეპელაც მოუხდებოდა ემზარის პორტრეტს. როგორ ამბობს?



ემზარ კვიციანიშვილი

რამ გამახსენა ამდამ — პეპელავ, გძინავს კვერცხადო, ნიფლის ნაჭდევი, ნაფოტში, ჭრელო სიზმარო, ვერცხადო... ფრთხილებ, უფრთხი ქარიშხალს, ეკალსაც — ფრთების დამწენავს, ეგებ არც ღირდეს შეკრთობად შენი სიცოცხლე, ნამცეცა...

ისე კი ამდენ ლაპარაკს ის არ ჯობდა, რომ ასე 21-წუთიანი ფილმი გამეკეთებინა, ან სულაც 13-წუთიანი და ყოველი წუთი მოუყვებოდა ჩემს შვილს პოეტის ცხოვრების თითო გაკვეთილს და ერთ პარაგრაფში მოქცეული ბრძოლების ფარდობითობასა და ენერჯის ულევლობას, თვით ამ ბრძოლებს ტვინის დამბრეცი თეორიისა და სულის მამებელი პრაქტიკის წინააღმდეგ, მათ ღვთაებრივ სიდიადესა და თავსმოხვეულ სილატაკეს. როდესაც არ დამიჯერებდნენ, ლექსს მოვიშველებდი, თუნდაც ამას, და კადრს-მიღმა ხმა წაგიკითხავდათ: „მოიგდო კორდმა ყვითელი ღუჟი — სალბი — ველური ყვავილი სათნო, ყოველ გუბეში და ყოველ რუში მზემ გაბზარული ყინული აღნო...“

ემზარ კვიციანიშვილი გამორჩეული ფილოსოფოსია! სიკვდილზე მაფიქრალი და მისი დამმარცხებელი! ნახეთ პოეტის რეკვიემები, სამგლოვიარო მარშები, დატირებები, გარდაცვლილთა გახსენებები და თავად დარწმუნდებით: „ელავს, ილევა მაყვალი, ყოლო... რას შეეცხალო ხილთა საქებად?! სხვარივად მიყვარს ოქტომბრის ბოლო — ტანში მზის ჩაღვრა, ჩაბადაგება. დაგუბდა ჟამი, სავალს რომ კეტავს, ცოტაც და... წერა ჩემი მომტანს — ერთი მანაღვლეზე ყველაზე მეტად — თავდება მწკრივი შემოდგომათა. რაც ყველაფერზე უმთავრესია, იგი პოეტია, პ ო ე ტ ი!“ („ფოთლებს სიყვითლე შეეპარა“).

ჩემთვის კი მამაა, მამათა და შვილთა ბრძოლაში მშობლად მოვლენილი — ოლონდ ჩვენ, შვილებს, ეს ბრძოლა — ღმერთია მოწამე — არც დაგინყია და არც გვდომებია, თავს მოგვახვიეს... მამათა მასობრივი გამცემლობისა და შვილთა გამეტების ხანაში (და პირიქითაც!) — გამძვინვარებული ცხოვრების ზღვაში სამაშველო რგოლს არც დაფიქრდება, ისე მოიხსნის და შვილს შეგაბამს...

ამიტომაც ჩემთვის, შენ რომ სიყვარულს გიხსნი, ემზარ კვიციანიშვილო, ეს მამაჩემისთვის სიყვარულის ახსნასავით ტკბილია და მშობლიური!

ამიტომაც, და უბრალოდ იმიტომაც რომ ბედნიერებაა თქვენთან ერთად ერთ დროსა და სივრცეში ყოფიერება, სუნთქვა, სიტყვის ამოთქმა, ცხოვრების გაძლება, წვიმაში დასველება, ღუმელ-უთქმელობა, ქარში სეირნობა, ღვინის დაჭაშნიკება, დაღამება და გათენება...

ასეთი ყოფა არც მინატრია, გიმზერ დიდოსტატს და ერთნაირად მიყვარს შენს ლექსში ნუშიც და ძეძვიც, რადგან ორთავე შენ ერთი ნიჭით აღმოაცენე და გაახარე. მადლობელი ვარ, ასე რომ არის, მადლობას გწირავ, თუ რამეს მივხვდი.

მადლობელი ვარ!

ბიძინა ნანობაშვილი

მამულიშვილობას განგაცდევინებდა

(დიმიტრი გონაშვილის გახსენება)

1974 წლის 21 აგვისტოს გავიცანი ანაგაში, ზარია-ულზე ბატონი დიმიტრი გონაშვილი. ეს დარბაისელი ადამიანი დანახვისთანავე უდიდესი სიმპათიით განგანყობდა. როცა ვუთხარი, ჰამლეტს უმცროს მეგობრად მივაჩნივარ-მეთქი, ესიამოვნა, მერე კი მრავალჭირ-გადახდილ ჩვენს მხარეზე დამიწყო ლაპარაკი. აღნიშნა, ბევრი რამ ჯერ კიდევ საიდუმლოებითაა მოცული და გასარკვევიაო. იმ დროისათვის 75 წელს მიტანებული იყო, პედაგოგიური მოღვაწეობის მრავალი წელი აწვა მხრებზე და მინც ჭაბუკური ხალისით მესაუბრებოდა ტოპონიმებზე, ადგილის დედაზე, მიტოვებულ სალოცავებზე. პირველად „მერუბანი“ ახსენა და თქვა: „მერ“ სომხურად მკედარს ნიშნავს და ამიტომაც ქართულად „მკედრის უბანი“ უნდა ერქვასო. ადრე ასეც ეძახდნენ ქართველები, რაკი ცოდვიან ადგილად იყო მიჩნეული. ჩვენი ხალხი იქ ცხოვრებას ერიდებოდა, პირველად მხოლოდ სომხები დასახლებულანო.

როგორ გგონია, „უბანი“ სადაური სიტყვაა? „ბურჯი“ სადაურია? რას ნიშნავს? — იქვე რიტორიკულად მკითხა და ჭკვიანი თვალები შემომანათა.

უპირველესად ხორნაბუჯის ციხეზე გაამახვილა ყურადღება. ხმამალა ერთმანეთის მიყვანებით წარმოთქვა: **ხორნაბუჯი ? ხორნაბუჯი ? ხორანთა ? ხორანთა ? ყარაბუჯი = შავი მთა.** შემდეგ ამოიღო კალამი, გამომართვა რვეული და ზუსტად ასე ჩამიწერა, თანაც დამაჯერებლად დააყოლა: „შავი მთა“ — ასე ეძახიან ქვემო ქედის მცხოვრებნი ერთ მთას. იქ არის ნანგრევები, ნასახლარები. საფიქრებელია, რომ პირველი სახელი ციხისა იყო „შავციხე“ „შავბურჯი“ და ირანელებმა შეარქვეს „ყარ“ „ყორაბურჯი“. ეს ციხე მოხსენებულია 1625 წელს. იგი ფეიქარ ხანის რეზიდენცია ყოფილა, რასაც გივი ჯამბურისა 1964 წელს გამოცემული წიგნიც ადასტურებს. ციხე აიღეს გეორგი სააკაძემ და ზურაბ ერისთავმა. ოლონდ მოგვიანებით იქნა დანგრეულიო.

ვუსმენდი ქართველი ხალხის გმირული ისტორიის მოტრფიალე კაცს, რომელმაც იმ ერთ დღეში იმგვარად მომწუსხა, რომ შეუძლებელი იყო მისი ყველა ნათქვამი არ მერწმუნა. საქართველოს სხვა კუთხეებიც შეესწავლა, მნახველი და მონაწილეც ჩანდა ყოველივე კარგი საქმისა, თითოეული ბუჩქი თუ გზა-ბილიკიც იცოდა ჩვენი მხრისა. ღირსშესანიშნაობებზე — სახიზრებზე, ქვაბულებზე, ციხე-სიმაგრეებზე რომ ლაპარაკობდა, თითქოს წინაპართა აჩრდილებს ვგრძნობდი. დაასახელა ციხე-ბურჯები ანაგაში, სიღნაღის აღმოსავლეთ კალთებზე, ზემო მანხანაში, ტიბანაში, ჭოეთის, ყარაღაჯის, ქოროღლის ქვაბულები...

ბატონი დიმიტრის აღმოჩენა-გამოკვლევებს პრესაც გამოხმაურებია. ბევრი ეთნოგრაფიული მასალა ადგილობრივთა დახმარებითაც მოუპოვებია.

ხალხშიც გამოიჩინებინა სიძველეებით დაინტერესებულები. მაგალითად, კაბალზე სოფელ ეშმაკის ყურში მიუგნიათ დიდი ძველი საყდრისათვის. სოფელში ახლა ოსები ცხოვრობენ. ანაგაში, აფთიაქის ზემოთ, გამოქვა-

ბულის მიგნებაში დარჩანთ კოლას ბიჭები დამეხმარნენო. ალაზნის პირას ქვევრები ნახა და შემეტყობინა ჩვენივე სოფლის მკვიდრმა მხერხავმა გვრიტო მირიანაშვილ-მაო. იქვე ახლოს არხის ქვემოთ დამიდასტურეს ადგილთა სახელები: მყრალკოდა (ჭყანტობია), შოროქენები, გორიელი, მამიაქოჩი, ორმუხები, გრძელი მინები, ვარაზან-ნიანთ კოდები (ვაქირს ეკუთვნის), თელა (კარდანახის საზღვარზე, ერთი ც ვაქირი-სა)... ფეხით მაქვს მოვლილი დიდი ნაბერლები,* ქვაბები, სადაც ნითლიდან წავედი. გზა მიდის ელიაზე. კლდეში იყო გამოკვეთილი კარები. მეორე ქვაბები ივრის გამოლ-მაა. იქ კი გზა მიდის ტარიბანაზე ნითლიდან. ადრე იქ ბერებს უცხოვრით თურმე.

დილიჩის თავზე დგას ერთი აკაკის ხე. იმ ადგილას დაუსვენია გიორგი სააკაძეს და ამიტომაც სააკაძის გორას ეძახიან. ქლიავის გადმოყრა, ერეკლეს გარდა, სააკაძეზეც მითხრეს მწყემსებმა. საინტერესოდ მომიყვნენ „კვინინის სახტომზე“. კვინინა კაცი ყო-ფილა. დაჭერილი ჰყოლებიან და ამ ადგილას გადამხტარა: „კოლოთოს ხეზე შეჰყვები თუ არა, მარცხენა მხარეს, სადაც ადრე ტყე ყოფილა, არის ფართო, ოთხკუთხი გუდრონ-გადასხმულივით მოლიპული, სწორი ადგილი, რომელიც სიგრიძე გახეთქილია. დაბლი-დან ამოდის ხვილას ხმაური. შიგ ქუდი ჩამიგდეს და ქარმა შ ადღზე მალლა ამოაგდო ისევო“, ამას ამბობს ხალხი, — მიპასუხა და თან დაამატა: ალბათ ქვეშ წყალი გადისო.

მესაუბრა აგრეთვე სამგორის სამ ძველთაძველ სამარხ ყორღანზე, ამონათხარ ნაშთებზე, ნაპოვნ სამკაულებზე, გორამინაზე, დაზვიინზე მინაზე. დაწვრილებით მესაუბრა ტოპონიმებზე და აღნიშნა, რომ ფეხით ჰქონდა მოვლილი საანაგლო, სავა-ქირო, სანუკრიანო, იორგალმა მდებარე ჯერანჩო, ჩობანდახი, საიდანაც იწყება გა-მოქვაბულები რუსთავამდე. ბოლოს შემომხედა და განდობილივით მითხრა:

— სამუხს რომ მიადგები, იქვეა პანტიშარი ხევი, კასრისწყალი. შირაქის ბოლოს სულ ღვიო და სალსალაჯია. აქ მაგარი, გამომშრალ-დახეთქილი ადგილებია, სადაც იცოდა სატაცური, ღანძილი... ხალხი ამწნილებდა კიდევ და იგრეც ხარმავდნენ, ნივ-რით ანელებდნენ ჭინჭარზე, ბოლოკზე, ბალბაზე (არანაკლებ გემრიელი არისო). ყა-ირათიანი ხალხი იმას არ დააოხრებდა, დაუკრეფავს არ დატოვებდაო.

— ივრის გაღმა ადგილები გინახავთ? — დავინტერესდი.

— ივრის გაღმა აზერბაიჯანია. ბოლოში — მინგეჩაურის ტბა. იქაც ნამყოფი ვარ და ცივი-გომბორის მთაც სულ მომივლია, შირაქის იქით რომ მთავრდება, — მიპასუხა, თან დაამატა: ამ მხარეში გარეული ღორი ბინადრობს, მაგრამ აზერბაიჯანელები არ ეკარებინან, ხომ გაგონია ანდაზა: ატრახეთული თათარი ღორის თავს მედავებოდაო.

ბავშვობიდან შემინიშნავს, რომ ღორის თავი ჩვენს სუფრაზე საპატიოდ ითვლება. ღორთან დაკავშირებულ მრავალსიტყვიანობასაც დავეკვირვებოვარ: ბურვაკი, გოჭი, ტახი, ნეზვი, დედალი, მამალი, დედა ღორი, გაღორება, მუცელი მოაღორა, დაღორდა, თავღორი ცხენი, ღორა ქლიავი, ძალღმა და ღორმა წაიღო, მთელი დღე და ღამე იღორ-ლოცა, ღორდაღორ, ღორისქადა, ქორქედანა, გაძალღღორება... ღორს ვუძახით: „ტახ-ტახ“, „ტუხ-ტუხ“. ესე იგი ტახს ვუძახით. ტახი = ტუხუნია. აქედან შავტუხა, აატუხტუ-ხა. სიმღერაში „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ ნათქვამია: „იქ მოეკლათ თეთრი ტახი“. ეს ჭალაში ხდება. მერე ადიან მთაში: „ესროლა ბერმა პაპამა, ჯიხვი რქით გადმოეკი-და“. ღორი და მეღორე საფლავის ქვაზეც კი ყოფილა გამოსახული.

ეკლესიისათვის ღორის შეწირვაზე კი ბატონმა დიმიტრმა მიპასუხა: ნეკრესში არა-ერთხელ შევსწრებოვარ. საჯუგაანოში, თევდორეს მუხასთან კი გოჭს სწირავდნენო. — თანაც გულშემატკივრულად დააყოლა: ჩვენს მხარეს გულმოდგინე შესწავლა სჭირდება. აქ მეტად ძვირფასი კულტურაა მინაში ჩამარხული, რაც არქეოლოგების კომპეტენციაა. ალაზნამა, იორმა, ჭიაურის ტყეში მუხებმა ლაპარაკი რომ იცოდნენ, იცი, რამდენ საიდუმლოებას აქედებოდა ფარდა? რატომ არსდება უდანბოები ძირი-თადად კახეთში, მის ყველაზე უძლიერეს ნაწილში — ქიზიყში? წმინდა ნინოც აქეთ მოდის. ბოდბე ბოდბე შეადარე ხორანთა ხორნაბუჯს. ქვემო ნუკრიანის კალოების მინ-დორში... ანაგის ტერიტორიაზე წინათ სხვებს უცხოვრით. ციხეები, ეკლესიები, ნაცი-ხარი ცეცხლითაა დამწვარი, განგებ დანგრეულია. ძველანაგელებს ეს მინა ვითომ ვა-ქირმა და კარდანახმა გამოუყო? სიღნაღი უსათუოდ ამენებულია ძველ ნაციხარზე. ძველი კედლები აღმოჩენილია ახალი შენობის საძირკვლის გაჭრისას. სიღნაღები ტა-რიბანის გასწვრივაცაა, სანგლები კასრის წყალზე, ნაზარლები, კორუმები. თეფები — შანშანთ თეფა, ცისკარანთ თეფა, გოქ თეფა, მახოს თეფა მალაროს მინდორში, აწინ-დელ კელმეჩურზე, თეფები სამაჩხაანოზე, ალაზანზე; ქვაბები ზემო მაჩხაანის კალ-თებზე, თელა-წყალზე — ბურდო მთასთან, ძველი სასაფლაოები სოფელ აფენთან.

ბინდებოდა. თითქოს შეუმჩნევლად ილეოდა დღე. ბედნიერი ვიყავი, რომ მშობ-ლიური მიწის შესახებ ასეთ მოსაუბრეს შევხვდი. სუნთქვაშეკრული ვუსმენდი.

მე მაინც ყველაზე უფრო ქვაბულებით, მალაზანებით და ქოლაგირებით დავინ-ტერესდი.

— პატარაობიდანვე მოჯადოებული ვიყავი, კლდეში გამოკვეთის ხელოვნება ასეთ მაღალ საფეხურზე რომ მდგარა ჩვენში. იარაღებიც სათანადო ჰქონიათ — წერაქვი,



დიმიტრი გონაშვილი

ცული, საფხეკი (თიხაში), თარაზო, თუმცა ხანდისან ჩემს თავს ვეკამათე-ბი: ფორმა ეროვნულია თუ შემოტანი-ლი? მალაზანა, ისტორიული სახელი უნდა იყოს, ხატოვნად რომ ვთქვა, ჩემი სულის დე ხორცის ნაწილია. განსხვავე-ბა ისაა, რომ მღვიმეები ქვემო მალაზა-ნაში ბევრია, ხოლო ზემო მალაზანა ვა-რაუდით „მოხატული“ უნდა იყოს. რაც შეეხება „ნაბერლებს“, იქიდან დაიწყო ჩემი განსაკუთრებული ინტერესი სიძ-ველეებისადმი. ქვემო ქედის აღმოსავ-ლეთით, ხევის მალა დაბლა კლდეში-ცაა ქვაბულები. სულ 4 ქვაბულია. შე-სასვლელი დიდ სიმაღლეზე. ჩამონაშა-ლი მიწით იყო დაფარული, როცა შიგ ჩავძვრით. შიგნით ვინრო იყო, შებო-ლილი, დამურებით სავსე. გადმოცე-მით, წყალი ამოჰქონდათ ხევიდან. იქ ჭა ყოფილა. თეფებზე კი თქმულების ორი ვარიანტია შემონახული. პირველი: თა-მარ მეფის ჯარი შორეული ლაშქრობი-დან ბრუნდებოდა. თავსებმა წვიმების გამო ფეხოსან ჯარისკაცებს გაუჭირ-დათ ალაზნის ველზე გავლა; ნებოვანი ტალახი ეკვრებოდათ და ისედაც არა-ქათგამოცლილები მუხლებში წყდე-ბოდნენ. ისინი ადგილ-ადგილ ჩერდე-ბოდნენ და ტალახს იყრევიებდნენ. თეფები და გორიელები მათი ფეხსაცმ-ლის ნაფხეკიყო. მეორე ვარიანტის მი-ხედვით, მინაყრილი ბორცვები ომში დაღუპულ ჯარისკაცთა საფლავებია.

პირველი ვარიანტი ბატონ დიმიტ-რის გაგონილი ჰქონდა ანაგის მკვიდრ ვანო კაცელაშვილისაგან, ხოლო მეორე საქობოულ თომა ყარაბულაშვილისაგან.

რახან ინტერესიც შემინიშნა ბატონ-მა დიმიტრმა, მიჩნია აღმენერა რო-დის, როგორ და რა მიზნით სრულდე-ბოდა „კაპუნა“. დამისახელა მირზაან-ში მცხოვრები გიგო გონაშვილი (ლა-

* დიდი ნაბერლები არის ალაზანგალმა. ახლა აზერბაიჯანის ტერიტორიაა.

ზოანთი), რომელიც ჩამანერინებდა საინტერესო მასალებს. მირჩია აგრეთვე მომეძებნა პირი, რომელიც ამ რიტუალს ასრულებდა, ჩაცმულობისთვისაც მიმეძებნა ყურადღება. კაპუნობა ყველიერში სრულდებოდა, პირველ რიგში იმით იყო აღსანიშნავი, რომ კაცს წამოსხმული ჰქონდა თხის ტყავი, ფეხებზე ცხენის ფლოკეებივით იმაგრებდა რალაცას. სახეს მუყაოს ნილბით იფარავდა.

კაპუნას როლის შესრულება ჩემს სოფელში დავალბული ჰქონდა სიკო ქემაშვილს. ნილაბი კი ჩვენს ყოფაში უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს. აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი წერს, რომ: „ნილბებს ატარებდნენ ჯერ კიდევ შუმერულ ხანაში. გილგამეშის ეპოსის სიუჟეტებს ასრულებდნენ ქურუმები მისტერიის სახით; ცხოველების ნილბებს ხმარობდნენ ეგვიპტეში რელიგიურ პროცესებში“.

კაპუნობა იმ შორეულ საუკუნეებზე უნდა მიგვითითებდეს, როცა ცხოველთა კულტი არსებობდა. მართებულად შენიშნავს ცნობილი რუსი ეთნოგრაფი ნ. ხარუზინი: „იმისათვის, რომ პირველყოფილი ადამიანი თავის ტოტემს მიემსგავსებოდა, უნდა ჩაცვა იმ ტოტემის ტყავი, რომლის მიმსგავსებაც სურდა და გაეკეთებინა მისივე ტყავისაგან შეკერილი ნილაბი“.

კაპუნას წეროს ნისკარტი და თხის ტყავი ქართველთა შორეული წინაპრების ტოტემისტურ რწმენაზე უნდა მიგვითითებდეს.

ადგილობრივებმა კი ამისხნეს: „ყბები გაკეთებული იგრე ჰქონდათ, რო თასში გაშვები დროე აინეოდა, ჩამოშვები დროე კი ჩამაინეოდა და კაპ-კაპი გააქონდა. ესლაც რო ეტყვიან ადამიანს: შენ კბილები სხვანაირად გიკანკანებსო“.

მერე ძველებურ თამაშობებზე ჩამოვარდა ლაპარაკი. მოხუცებმა ახსენეს „ჩარფუზანა“, რაც მე სკოლაში მისვლის დღიდან ხშირად მესმოდა მასწავლებლებისაგან: რა ჩარფუზანა ჩავიბიათო. ან: გუშინ რალასა თამაშობდით, მთელ ნადაანებს რო ურბენამდით, სულ ჩარფუზანა რო გქონდათ. ვინ ზევიდან, ვინ ქვევიდან, თავდაყირა რომ გადადიოდითო?

— ჩარფუზანა ეგეთი იყო, შვილო, — მითხრეს მოხუცებმა, — კაცები ერთმანეთს მხრებზე შადგებოდნენ. ერთი შუაში თამაშობდა. სიტყვას თვლიდა და სხვები ბანს აძლევდნენ, ან ჩანგურს უკრავდნენ:

**ვარხალალო, ვარხალალო, შამაურყო,
ამყრელასა, ჯამყრელასა
ძირსა ჩამოჯყო.
ჩამო, თორე ჩამოგადგებ,
ძირსა ჩამოჯყო,
ჰყო, ჰყო, ძირსა ჩამოჯყო!**

ესე იცოდნენ ლხინის დროსა!..“

ბატონი დიმიტრი სოფლის გულშემატკივარ, მამულზე უზომოდ შეყვარებულ კაცად შევიცანი. სარწყავ არხებზეც კი თავისი შეხედულება ჰქონდა: უფრო ხშირად უნდა გაინმინდოს, ადგილვენახები არ უნდა დაჭაობდეს, საგუბრების გაჩენამ მალარიის კოლოები არ უნდა დაგვავინყოს, წყალი რაციონალურად უნდა იქნეს გამოყენებული, თვითნებურად მორწყვა არ შეიძლება, საუბნო და ვენახების გზებს მოვლა აკლიათ და ა.შ.

ადგილობრივ ტრადიციებზეც ჩამოვარდა ლაპარაკი: ხალხს რაც დაუნესებია, ყველაფერი საჭიროა: ქორნილიც, ძეობაც, ნათლობაც, ქელეხიც... თუმცა მეტი ზომიერებაა საჭიროო.

...სხვა დროსაც შევხვედრივარ ბატონ დიმიტრის. ის იყო თავისი მხარის ნამდვილი ჭირისუფალი, ბრძენი კაცი, ჭკუა რომ მოეკითხებოდა და სოფელ-კუთხეც უალრეს პატივს სცემდა. იგი უანგაროდ უნერგავდა მონაფეებს ყოველივეს, რაც მათ სულიერებას გადაარჩენდა და მამულიშვილობას განაცდევინებდა.

ღმერთმაც თითქოს გამოარჩია. ოჯახიც სანიმუშო ჰყავდა. მისი ვაჟით, ჰამლეტ გონაშვილით, ხომ საქართველო ხარობდა. ასეთი ადამიანები კეთილ კვალს ტოვებენ. ჩემთვის ამ სიჭარბაგეში, როცა ყოფა მეტწილად სულის შემხუთავია, მის მსგავს ადამიანთა მოგონება მითბობს გულს. განა სხვა რალაა უკეთესი ამ ნუთისოფელში.

ორიოდე სიტყვა წინასწარ

აქ წარმოდგენილი გამოკვლევის ავტორი ელენე ჩხაიძე გერმანიაში მოღვაწე სლავისტთა ახალთაობას ეკუთვნის. მისი ცხოვრების ქარგამ თითქოს აირეკლა ორი საუკუნის მიჯნის მშფოთვარე დრო — გეოგრაფიული გადანაცვლებებითაც და პროფესიული ძიებებითაც: იგი რუსეთში დაიბადა, აქვე დაამთავრა სკოლა და ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში (მას როგორც ფილოლოგის, ასევე ეკონომისტის დიპლომიც აქვს), მაგრამ, როგორც ამბობს — ნამდვილ ფილოლოგად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა. აქვე, უნივერსიტეტში დაიცვა 2005 წელს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „პოსტმოდერნიზმი და რუსული კლასიკური ლიტერატურა“.

იმავე წელს ელენე ოჯახთან ერთად, გერმანიაში გადადის საცხოვრებლად. აქ თავდაპირველად რამდენიმე წელი რედაქტორი და ტელენამყვანი გახლდათ დორტმუნდის რუსული საზოგადოებრივი ტელეარხისა, მაგრამ საბოლოოდ ლიტერატურულმა ინტერესებმა იმძლავრა: 2008 წლიდან იგი უბრუნდება ჯერ კიდევ თბილისში დაწყებულ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას და რურის უნივერსიტეტის (ქ. ბოჰუმი) სლავისტიკის კათედრის პედაგოგად და რუსული ლიტერატურის მკვლევარად იწყებს მუშაობას.

ელენე ჩხაიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის სრულიად მინავლებული ტრადიცია მან ბოჰუმის უნივერსიტეტში აალორძინა და ერთმანეთთან დააკავშირა გერმანელი და ქართველი მეცნიერები. ამჟამად ზემოაღნიშნული კათედრის ასოცირებული პროფესორია და ძალზე სერიოზულ სამეცნიერო მუშაობას ეწევა.

მისი ბოლოდროინდელი ინტერესები პოლიტიკისა და ლიტერატურის გადაკვეთაზეა კონცენტრირებული და გასაკვირი არაა, რომ სწორედ მან დაისახა მიზნად რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ხელახალი შესწავლა. აქ, ვფიქრობ, მისმა წარმომავლობამაც „იმუშავა“, მისმა გათვითცნობიერებამაც ბოლოდროინდელ ქართულ ლიტერატურაშიც (თუმცა თვითონ ძირითადად რუსულენოვანი ავტორია) და, რაც მთავარია, მისმა პროფესიულმა ალლომ — ზღვა მასალაში ყველაზე აქტუალური და ჯერაც პასუხგაუცემელი პრობლემის მიგნებისა.

საბოლოო ჯამში, მისი და მის მიერ „წამონთებული“ კოლეგების მეცადინეობით, გამოიკვეთა რურისა და თბილისის უნივერსიტეტების ერთობლივი სამეცნიერო პროექტი: „პოლიტიკა და ლიტერატურული ტრადიცია: რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი „პერესტროიკის“ შემდეგ“.

ჩვენს გაცნობას სწორედ ამ პროექტს უნდა ვუმაღლოდეთ. განსაკუთრებით დაგვამეგობრა შარშანდელმა ნოემბერმა, როდესაც ბოჰუმის უნივერსიტეტში ვიყავი მიწვეული. ამგვარ წინათქმაში შესაძლოა ზედმეტიცაა აღინიშნოს, რომ მთელი ამ ერთი თვის განმავლობაში ერთი დღეც არ ყოფილა ისეთი, რომ ამ მეგრძნოს ელენეს დელიკატური ყურადღება, მაგრამ როგორ არ უნდა ითქვას, რომ ეს „ფაქიზი ყურადღებანიობა“ მისი ხასიათის გამორჩეული თვისებაა, რაც (მისადმი კოლეგებისა და სტუდენტების განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულებით თუ ვიმსჯელებთ) არც ისე ხშირია და მითუფრო ფასობს რაციონალურ ევროპაში.

ასე მგონია, ელენე ჩხაიძის ეს თვისება — „ფაქიზი ყურადღებისა“ ლიტერატურაზეც ვრცელდება: „ფაქიზი ყურადღება“ თუ „ფაქიზი ჩაკვირება“ სწორედ ის სიტყვებია, რომლებითაც შემეძლო გამომეხატა ჩემი შთაბეჭდილება ესოდენ აქტუალურ კონცეპტზე აგებული წერილის რუსული ორიგინალის კითხვისას (აქვე აღინიშნავ, რომ ტატა კოტრიკაძის ჩინებულ თარგმანში ყველა შინაარსობრივი თუ სტილისტური ნიუანსია შენარჩუნებული). დაბოლოს, ამავე გამოკვლევაში თვალსაჩინოდ გამოვლანდა, ელენე ჩხაიძის კიდევ ერთი თვისება, რომელზეც მოგახსენებდით კიდევ: ალლო — ლიტერატურაში ყველაზე მტკიანი პრობლემების მიგნებისა, რამაც შორეული ბოჰუმიდან XX-XXI სს. მიჯნის ქართული ლიტერატურის პანორამაზე დაკვირვებისას უცთომლად გამოარჩევინა ოთარ ჩხეიძის რომანები.

ზაზა აზვინიძე

ელენე ჩხაიძე

„დარღვეული დუმილის ისტორია“

(„კულტურული ტრავმა“
ოთარ ჩხაიძის „მატიანე ქართლისაჲ“)

„კულტურული ტრავმის“ მოვლენის კვლევა XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის ანთროპოლოგიაში, ფილოსოფიაში, ისტორიასა და ფილოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ პროცესად იქცა. ეს თეორია ჰოლოკოსტის შედეგების ანალიზის პროცესში ჩაისახა.

ოთარ ჩხაიძის იმ ნაწარმოებთა კვლევისას, სადაც პოსტსაბჭოთა საქართველოში მომხდარი მოვლენები (სამოქალაქო, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომები) აისახა, აქამდე არასოდეს ყოფილა გამოყენებული „კულტურული ტრავმის“ თეორია. აქ წარმოდგენილ წერილში შევეცდებით სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილოთ XX საუკუნის ქართული მწერლობის კლასიკოსის რომანთა ციკლი „მატიანე ქართლისაჲ“.

პოსტსაბჭოთა ხანის საქართველოში მომხდარი მოვლენები ვერც სტატისტიკურად და ვერც მკვლევართა სისასტიკით შეედრება ჰოლოკოსტს, მაგრამ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში იმ ადამიანთა ტრავმა აისახა, ვინც პოლიტიკური მოვლენების გამო ახლობლები თუ მშობლიური სახლი დაკარგა. ჩვენი დანიტერესება „მატიანე ქართლისაჲში“ შესული ოთხი რომანით („არტისტული გადარჩევა“ — 1993, „თეთრი დათვი“ — 1996, „ბერმუდის სამკუთხედი“ — 2000, „2001 წელი“ — 2002) იმითაა გამოწვეული, რომ ეს ნაწარმოებები საშუალებას გაძლევს გარკვეული დროის შემდეგ გავცეთ პასუხი კითხვებს: რა მოხდა? ვინაა „მსხვერპლი“? ვინაა „დამნაშავე“?

„კულტურული ტრავმის“ კონცეფციის შემუშავებისას ჯ. ალექსანდრემა აღნიშნა, რომ ეს კონცეფცია კოლექტიურ განცდებსა და მოვლენებს აღწერს და კოლექტიურ იდენტობასა და ზნეობრივ პასუხისმგებლობას უკავშირდება და მთელი ჯგუფების ტრავმულ გამოცდილებასთან მუშაობს. ეს გამოცდილება მსხვერპლს დიდი ხნით უტოვებს შემზარავ მოგონებას, ტრავმირებული ჯგუფის კოლექტიური ცნობიერებაში კი სამუდამო კვალს ტოვებს და მომავალ იდენტობაზეც ახდენს გავლენას.¹ პ. შტომპკა ნებისმიერ ტრავმას კულტურულ ფენომენად მიიჩნევს, მას იმიტომაც ეწოდება „კულტურული“, რომ ის საზოგადოებრივ კულტურულ ქსოვილზე ახდენს გავლენას.² ამგვარი სახის ტრავმა უძლიერესი ინერციით გამოირჩევა, რადგანაც ყველა სხვა ტრავმაზე უფრო დროგამძლეა და „ზოგჯერ რამდენიმე თაობის კოლექტიურ მემორიაში ან კოლექტიურ ქვეცნობიერშიც კი რჩება...“³ კულტურული ტრავმა მაშინაც იჩენს თავს, როცა ვითარება გარეგნულად უკვე სტაბილურია. „(ტრავმას) ძალუძს დაანგრის სოციალურ ურთიერთობათა მანამდე გავალული სადინრები, სოციალური სისტემები, იერარქია.“⁴ სოციოლოგი გამოჰყოფს ტრავმული თანმიმდევრობის 6 ეტაპს: 1) სტრუქტურული და კულტურული წარსული — ტრავმის გაჩენისათვის ხელსაყრელი გარემო, 2) ტრავმული მოვლენები (დროებითი, რადიკალური, ეგზოგენური, მოულოდნელი), 3) მოვლენათა ინტერპრეტაციისა და გამოხატვის საგანგებო სა-

შუალეხანი, 4) ტრავმული სიმპტომები, ანუ ქცევისა და წარმოდგენების გარკვეული სისტემები, 5) პოსტტრავმული ადაპტაცია, 6) ტრავმის დაძლევა.⁵ კულტურული ტრავმა უშუალო დარტყმას აყენებს კულტურის საფუძვლებს, ანუ „ებრძვის არსებით ფასეულობებს, იდენტობის საფუძვლებს (ომში დამარცხება, იმპერიის დაცემა, დეფოლტი, რელიგიის დევნა); როდესაც ადამიანები „ახალი კულტურის ძალაუფლების ქვეშ ექცევიან“;⁶ როდესაც ადამიანის ცხოვრების წესი ეკონომიკის, ახალი ტექნიკების, ახალი პოლიტიკური ვითარებისა თუ სხვა გარემოებათა წყალობით იცვლება.



ჩვენი აზრით, XX საუკუნის დასასრულს საქართველოში კულტურულ ტრავმას ხელსაყრელი ნიადაგი მოუმზადა (ტრავმული თანმიმდევრობის პირველ ეტაპად იქცა) XIX საუკუნეში კავკასიის მოსახლეობის დაპირისპირებამ იმპერიის ძალაუფლებასთან. ამის მიზეზად იქცა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დარღვევა. ქართულ საზოგადოებაში ჩაისახა დაქვემდებარება რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ერთობის ძალის მიმართ. თუკი დავით გურამიშვილის (1705-1792) ტექსტებში სლავეური (რუსულ-უკრაინული) სამყარო არა მხოლოდ გეოგრაფიულ მოცემულობად, არამედ კულტურულ, პოლიტიკურ ორიენტირად⁷ არის მოაზრებული, უფრო გვიანდელი ხანის ქართველ მწერალთა ტექსტებში აისახა რუსეთის იმპერიის მხრიდან საქართველოზე ზეწოლის, ძალდატანების განცდა (ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“).⁸ თავის „წერილებში“ „მგზავრი“ ცდილობს დაიკოს იდენტობის დაკარგვით, უცხო, თავსმოხვეული კულტურისა და ფასეულობათა ზეწოლით გამოწვეული გულისტკივილი. ტრავმის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს გარკვეულ ეტაპზე გაჩენილი „უენობა“, სატკივარის ამოთქმის შეუძლებლობა. გამოუთქმელობა, როგორც ტრავმის ძირითადი ნიშანი, ამ შემთხვევაში იმპერიისადმი მორჩილების ჟამს თვითგადარჩენის საგანგებოდ არჩეულ სტრატეგიად გვევლინება. კ. კარუტის თქმით, „ტრავმა დუმილის ისტორიაა“.

საკუთარი სახის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და ერის თვითიდენტობის შენარჩუნების ზნეობრივი პასუხისმგებლობა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის გამჭოლი გახდა. ალექსანდრე ყაზბეგი მოთხრობაში „ელბერდი“⁹ აღწერს ტრავიკულ ამბავს, რაც სინამდვილეში მის მეგობარს, ქისტ გლეხს შეემთხვა. ეს ადამიანი საჯაროდ ჩამოახრჩეს ვლადიკავკაზის ბაზარში იმიტომ, რომ საკუთარი ცოლი რუსი ოფიცრის ძალადობისაგან დაიცვა. რუსული კლასიკისაგან განსხვავებით, ალექსანდრე ყაზბეგს ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძეს, მთელი გლეხები ველურებად კი არა, მშრომელ და პატიოსან ხალხად გამოჰყავს, ხოლო რუსი ოფიცრები, პირიქით, ლოთებად და მუქთახორებად, რომლებიც გლეხებს ძარცვავენ.

ტრავმული თანმიმდევრობის მეორე ეტაპი (პ. შტომპკას მიხედვით), ჩვენი აზრით, თბილისში 1989 წლის 9 აპრილს უკავშირდება. დემონსტრანტთა დარბევა იქცა საქართველოში ანტირუსული განწყობის კატალიზატორად და იმ მომენტად, როდესაც დაიშვა ქართველ და რუს „ხალხთა მეგობრობის“ საბჭოური მითი. ურთიერთობათა გადასინჯვისაკენ ქართველ საზოგადოებას დაღუპული ახალგაზრდების რაოდენობამ და იმ სისასტიკემ უზიძვა, რითაც ჯარმა დაშალა დემონსტრაცია „სასანგრე ნიჩბების ღამეს“. ტრავმის თემამ ერი გააერთიანა. თბილისის მოვლენებმა შეცვალა ქართველთა თვითშეგნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთმართების კონტექსტში, მერე კი სსრკ-ს დაშლის შედეგად დაირღვა ცხოვრების ჩვეული წესი. თბილისში, აფხაზეთსა და შიდა ქართ-

ლში გათამაშებული სისხლიანი სასაკლავო პოლიტიკური წყობის შეცვლასთან ერთად, გახლდათ ბიძგი რუსეთთან (როგორც იმპერიული, ისე საბჭოური) „თანაცხოვრების“ მთელი ისტორიული პერიოდის მანძილზე განცდილ-გადატანის ხელახლა გასააზრებლად.

ტრაგიკული დანაკარგი არარსებული „მთლიანის“ გადაფასების მიზეზად იქცა. პ. შტომპკას თეორიის მიხედვით, ტრავმული თანმიმდევრობის ჩვენს მიერ გამოყოფილ ეტაპთა შესაბამისად განვიხილავთ ლიტერატურულ მასალას. „ტრავმის“ თემა, თუმცა აქამდე ამ სახელით არ მოიხსენიებოდა, ქართული ლიტერატურისათვის გამჭოლი აღმოჩნდა. ამ თემის გავრცობისას ოთარ ჩხეიძე ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ყაზბეგის უშუალო მემკვიდრედ მოგვევლინა.

თავის ტექსტებში ოთარ ჩხეიძე აღბეჭდავს ტრავმული გამოცდილების ადგილსა და მნიშვნელობას მოვლენათა გადაფასებისა და ინტერპრეტაციის ხარჯზე (ამოვდივარ პ. შტომპკას „კულტურული ტრავმის“ თეორიის ტრავმული გამოცდილების მესამე ეტაპიდან). ფსიქოლოგიური სტრესი ფსიქოლოგიური დანაკარგის შედეგად მოხდა¹⁰ (ზ. ფროიდ). საქართველოს ფართო მოსახლეობისათვის ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც იმპერია, მართლაც აკონტროლებდა „ეროვნულ“ ინტერესთა გამოხატვის ნებადართულობის დონეს, ხოლო „ცენტრის“ გეგმებისაგან ნებისმიერი აცდენა მკაცრად ისჯებოდა. ფსიქოლოგიურ სტრესს, ფსიქოლოგიურ „დანაკარგს“, იმპერიული და საბჭოური პერიოდების ძველ შიშებს (მშობლიური ენისა და დამწერლობის, ეროვნული თვითიდენტობის „დაკარგვის“ შიშს) დაემატა იმ ტერიტორიების დაკარგვის შიშიც, რომლებიც მანამდე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას ეკუთვნოდა, ლაპარაკია სამაჩაბლოსა და აფხაზეთზე. „ხალხთა მეგობრობის“ ფარგლებში მომხდარმა უსამართლობამ ქართველ ერს ტრავმა მიაყენა. საბჭოთა ხანაში რუსეთის დადებითი როლი და საქართველოს კულტურის, ლიტერატურის, ინფრასტრუქტურისა და ფინანსური კეთილდღეობის განვითარებაში მის მიერ შეტანილი წვლილი ამიერიდან აღარ დომინანტობდა; „კოლექტიურ/ეროვნულ მეხსიერებაში“ წინა პლანზე წამოინია 1956, 1978, 1989 წლების დრამატულმა მოვლენებმა, მოგვიანებით კი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლებმა.

გადატანის გამოცდილება და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ინტერპრეტაციაში შიშობრივი „ტკივილი“

ოთარ ჩხეიძე ყველა რომანში იმ ემოციებსა და ისტორიებს გადმოგვცემს, რომელიც საერთო დანაკარგის მქონე საზოგადოებას უკავშირდება; ტრავმების შესახებ თხრობის როგორც ავტორად, ისე ადრესატადანც სწორედ ეს საზოგადოება გვევლინება.¹¹ „მატიანე ქართლისაის“ ერთ-ერთ რომანში „არტიტული გადატრიალება“ (1993) ოთარ ჩხეიძე წარმოგვიდგენს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასა და ნაციონალისტური პოლიტიკის მხარდამჭერ ანტირუსულ მიტინგებზე შეკრებილ ხალხს. გამომსვლელთა და თვით პრეზიდენტის სიტყვებიდან ცხადად ჩანს, რომ იმ მოვლენებმა და მათდამი დამოკიდებულებამ, რის შესახებაც საბჭოთა პერიოდში ყველა ღუმდა, სწორედ ახლა ამოხეთქა. ტრავმული დუმლი გადაიზარდა მისი დამალვის უკიდურესი ემოციურობის სტადიაში. რომანი მოიცავს „თბილისის ომის“ მოკლე პერიოდს, 1991 წლის შემოდგომასა და 1992 წლის დასაწყისს და ორი სიუჟეტური ხაზი აქვს — ისტორიული და სასიყვარულო. ისტორიული ხაზის მთავარი პერსონაჟია საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.¹² იგი გახდა ლიდერი მოსახლეობის იმ დიდი ნაწილისა, ვისაც ანტირუსული განწყობა აერთიანებდა. 80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანთა დასაწყისში პრეზიდენტს უკავშირებდნენ რუსეთისაგან დამოუკიდებლობის და, მამასადამე, ბედნიერი მომავლის იმედს:

„ვიდრე არსებობს რუსეთის იმპერია, რა სახითაც არ უნდა იყოს, ვიდრე რუსის ჯარი დაბანაკებულია საქართველოშია, ლაპარაკი დამოუკიდებლობაზე ილუზიაა და მეტი არაფერი. არაფერი!.. არაფერი!.. ილუზიაა!.. ცდუნებაა გულბრყვილო ხალხისა. ცდუნებაა!.. მიეკუთვნოს საოკუპაციო ჯარის სტატუსი რიდეთის არმიებსა, შეწყდეს ოკუპაცია და ანექსია — შეწყდეს!.. აი ჩვენი პოზიცია, აი ჩვენი მოთხოვნები!.. სტატუსი!.. ოკუპაცია!.. ანექსია... სტატუსოკუპაციანექსიაოკუპაციასტატუსიანექსიასტატანექსისტატოკუპაციანექსიაოკუპაცია... უუუუუუ... უუუ... ა... ე... ო... უ... სსსსსსსსსს... ოკუპაცია... ანექსია... სტატუსი...“¹³

ოთარ ჩხეიძე თბილისის ცენტრში იმხანად მიმდინარე მღელვარე მოვლენებს აღწერს. მის ტექსტში აღბეჭდილი იმდროს ყველაზე პოპულარული ლოზუნგები იყო: „ზვიადი დამოუკიდებელი საქართველოა! ზვიადი ეროვნული სახელმწიფოა! ზვიადი! ზვიადი!“¹⁴ ტექსტში ზვიად გამსახურდია გამოყვანილია იმ თეატრის წამყვან მსახიობად, რომელსაც „საქართველო“ (თბილისი) ეწოდება. „თეატრის“ თემის¹⁵ შემოყვანა ოთარ ჩხეიძის ტექსტის თავისებურებას წარმოადგენს. „თეატრის სცენაზე“ წარმოითქმება ჩვენთვის საინტერესო სიტყვები და გამოდიან „მსახიობები“. ავტორს შემოჰყავს ეს თემა იმ ეპატაჟის, „არტიტულობის“ ხაზგასასმელად, რაც ხალხის შინაგანი თავგზაბნეულობის შედეგი გახლავთ, ხალხი, ერთი მხრივ, არ არის დარწმუნებული ქვეყნის მომავალში და სურს კიდევ უფრო მძაფრად გამოხატოს პროტესტი, მეორე მხრივ კი განიცდის მოთხოვნისა, როგორც იქნა, ამოანთხიოს სხვაზე დამოკიდებულების ფაშს დაგუბებული შეუარესებელი და ტკივილი.¹⁶ ტექსტიდან გამომდინარე, „მსახიობები“ ის პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწენი არიან, ვინც სცენაზე დგას, ხოლო „მაყურებელი“ ქვეყნის მოსახლეობაა, რომელიც თეატრის კი არა, სინამდვილის ნაწილს წარმოადგენს. ავტორ-მთხრობელის აზრით, „რეჟისორი“ რუსეთია, რომელიც საქართველოზე თავისი გავლენის შენარჩუნებითაა დაინტერესებული. მთავარი „მსახიობის“, გამსახურდიას¹⁷ რიტორიკა (პატრიოტიზმი, რომელიც, მისი წყალობით, ნაციონალიზმში გადაიზარდა) შეიძლება რუსეთის ძალმომრეობისაგან სამშობლოს გათავისუფლებამდე, ერის მიერ თვითიდენტობისა და მშობლიური ენის შენარჩუნებასა და დამოუკიდებლობის მოპოვებამდე დავიყვანოთ. რუსეთთან კავშირი პრეზიდენტისთვის იმ ტყვეობას¹⁸ უდრის, რომელსაც სულიერი ხრწნა მოაქვს (ილია ჭავჭავაძის თემა):

„საბჭოები მოგენატრებათ. რუსთა ტყვეობა მოგენატრებათ. იმათაც ეს უნდათ. ესა, ესა, მხოლოდ ეს უნდათ და ამად იღვნიან. თქვენც ამას ასდევთ: ზოგი რო ბრმადა, ზოგი რალაც სარფას მოელის. ისევ მოსკოვი დაგვადებს ტორსა. ჩავგებლუჯავს ისევე, როგორც აქამდისა. უარესადაცა. უარესადაცა. ეს მაინც ადვილად არ მოგვარდება: მთლად აიშლება საცოდავი სამშობლო ჩვენი. აიშლება. გადაირება. ძმა ძმას გასწორავს, მამა — შვილსა, დედა სუყველას დაავინყდება. მდინარეებში სისხლი ჩავა ნაკადულებად. ცეცხლი მოედება ტყესა თუ ველსა. ცეცხლი. ცეცხლი. ზვრებს ასჩეხავენ, მონგოლობა დაგვაინყდება, ბალებს დააქცევენ ხეხილისა თუ ციტრუსებისა, ძირით მოსთხრიან ჩაის ბუჩქებსა. ააფეთქებენ ხიდებსა, გზებსა, რკინიგზებსა, ბოძებსა ელდენისა და ელსადგურებსა ააფეთქებენ. ქარხნებს დაანგრევენ, ფაბრიკებს ზედ მიაყოლებენ. დაიტაცებენ ყველა ყველაფერსა და აღარც არავის აღარაფერი აღარ ექნება. აღარაფერი, აღარაფერი. გაიზიდება უცხოეთში, რაც გაგვაჩნია. ხალხიც უცხოეთს გაიხიზნება. აღარც რა შეგვრჩება ჩვენ უპოვართა, ჩვენ დუხჭირთა, ჩვენ უსასოთა, აღარც სახლკარი, აღარც სარჩო, სამოსიც აღარა. უხემ ბენვებს თუ წამოვიფარებთ, ღამე მღვიმეებს თუ შევავარებთ თავსა, დღიურ რო ისევ გარეთ გამოვიჭრეთ, ისევ ისე რო დავერიოთ ერთმანეთსა, წასართმევი რო აღარა გვექნება, დასანგრევი რო აღარა გვექნება, გასაზიდი რო აღარა გვექნე-

ბა, დავერიოთ და ვფლიტოთ ერთმანეთი, ვფლიტოთ და მოვსპობთ, რო ავუხდინოთ ოცნებანი გადამთიელთა, მტერთა ჩვენთა დაუძინართა, ავუხდინოთ: დაეპატრონონ მინასა ჩვენსა, საბოლოოდ დაეპატრონონ. დაეპატრონონ. დაეპატრონონ. თვითონ ვერ შესძლეს, აღისრულონ ჩვენის ხელითა. აი თუ რა გველის, აი თუ რა მოხდება თუ გადავდექი.“¹⁹

საქართველოს პირველ პრეზიდენტს მისი ჭკუის, განათლებისა და სანდომიანი გარეგნობისათვის განსაკუთრებით ქალები ეთაყვანებოდნენ, მაგრამ მათმა მხარდაჭერამ ხელისუფლებისათვის სათავეში ყოფნა ვერ გაუხანგრძლივა. საბჭოთა ხანაში გამსახურდია ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი დისიდენტი იყო, მაგრამ შიდა და საგარეო პოლიტიკას ვერ გაუმკლავდა. მთხრობელის სიტყვით, მან მოახერხა, თავისი უახლოესი მეგობრები და მომხრეები მტრებად ექცია, მტრები კი მოემრავლებინა. გარდა ამისა, მის გვერდით თანდათან სულ უფრო მეტი ისეთი ადამიანი აღმოჩნდა, ვისაც ბნელი, კრიმინალური წარსული ჰქონდა. გამსახურდიამ გააცნობიერა თავისი პასუხისმგებლობა ერის წინაშე და საკუთარი მისიის შესრულებას შეეცადა:

„მომითმინეთ. მე გადავდექი!!.. კეთილი!!.. კეთილი!!.. მაგრამ იცით: თუ რა მოჰყვება ჩემს გადადგომასა?.. ალბათ არ იცით. მე დაგიხატავთ თუ რა მოჰყვება: აფხაზობა გადაგვიდგება, დაგვაგინყდება სამარბლოი, აჭარა გაგვისხლტება, ქვემო ქართლი არ დაგვაგინყდეთ და სამეგრელოსაც ნუ ეხუმრებით, ნურც რო კახეთსა. რაღას უშველის ქართლი, ისედაც წელში განწყვეტილი, — მთლად საქართველო დაგველუპება.“²⁰

თბილისში რამდენიმე კვირას ტანკებისა და არტილერიის მონაწილეობით მიმდინარე სახელმწიფო გადატრიალებაზე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებიდან გაძევებით დასრულდა. ოთარ ჩხეიძემ ასახა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში რუსეთის ჩარევასთან დაკავშირებული ის რეფლექსია, იმჟამინდელ ქართულ საზოგადოებაში რომ სუფევდა. რომანში დიდ ადგილს იკავებს ავტორ-მთხრობელის კომენტარები და პერსონაჟთა საუბრები, რომლებშიც რუსეთის როლის განსხვავებული შეფასებანი ჟღერს: ზოგიერთი მკაცრად აკრიტიკებს რუსეთს ქართული ტერიტორიების ოკუპაციისათვის, ზოგი კი ნაკლებ აგრესიულადაა განწყობილი და კარდინალურ თვალსაზრისში ეჭვი შეაქვს. საზოგადოება გაიყო „რუსოფობებად“ და „რუსოფილებად“. საქართველოში რუსეთის როლის საკითხში ჩათრეულ იქნენ არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ რესპუბლიკის ყველა სოციალური ფენა. ოთარ ჩხეიძე მიმართავს მიტინგზე გამოსული „მსახიობის“ სახეს, რათა გამოკვეთოს, რომ მოსახლეობა სხვის მიერაა „მართული“ და ვერ სწვდება მოვლენების არსს, მაგრამ, ამასთან, აქტიურად გამოხატავს ისტორიულ მოვლენებში მონაწილეობის სურვილს. სწორედ ასეთია რომანის არა ისტორიული, არამედ სასიყვარულო ხაზის მთავარი პერსონაჟი: ლუო (ლუარსაბი), თბილისელი მსახიობი, რომელიც მიტინგზე პრეზიდენტის მხარდასაჭერად გდიდიდან (ზუგდიდიდან) დაბრუნდა. „მთლად საქართველომ რომ მიგატოვოთ, გდიდი მარადის თქვენთან იქნება“²¹, — ამბობს ლუო.

რუსეთის შესახებ საუბარს ლუო ავტობუსით თბილისისაკენ მიმავალი მგზავრებისაგან, „მაყურებლებისაგან“ ისმენს. ზოგიერთი მონაწილე ქვეყნის გასაჭირის მიზეზს კომუნისტური ხელისუფლების დამხობასა და გამსახურდიას გაპრეზიდენტებაში ხედავს:

„მე თუ მკითხავთ,“ ზურგთუკან გაისმის, „ყველაფერი იმისი ბრალია, თავიანთ ადგილებზე რო არ დასტოვა ხალხი.“ (...)

„ვინ ხალხი?!“ ქალს უკვირს, სწორედ იმ პირველ თაყვანისმცემელსა, „კომუნისტები?!“ თუ კომუნისტების ნებიერი ინტელიგენცია?!“

„ემშაკები!!.. ეშმაკობით რო მოიპოვეს თავიანთი მდგომარეობა და ცოცხალი თავით რო არ დასთმობენ“. ხმა აღარა ჰყოფნის, ალბათ გაათენა.

„რას ჰქვიან, არ დასთმობენ?!“ მაშ არაფერი არ იცვლება ამ ქვეყანაზე?!“ ესეც ქალია, ოღონდ სხვა ქალი.

„ააააააარაფერი!..“ ხმა აღარ მოსდევს ან თავიც არა აქვს ლაპარაკისა.“²²

საბჭოურ პერიოდს უკავშირდებოდა არა მხოლოდ „უძრაობის“ ხანის კეთილდღეობა, არამედ საქართველოს კულტურული აყვავებაც. ლუოს დედის მეზობელი ეკა ამბობს, რომ რუსეთის წყალობით საქართველოში თეატრი და ხელოვნება გაიფურჩქნა. ლუარსაბს არ სურს ამის გაგონება, იგი რუსეთის მომხრე ქართველებს თვითიდენტობის დაკარგვაში ადანაშაულებს:

„რითია მერე ეს ცუდი?!“

„ცუდი იმითია, რო საქართველო არ არის.“

„ვინრო ნაციონალიზმით შორს ვერ წავალთ.“

„სად უნდა წავიდე?!“ დავეციოთ ჩვენს ქერქშია, ჩვენს მიწაზედა და ნუ გადავგვარდებით. ნუ გადავგვარდებით!.. სად ვინ ტაშს დაგიკრავს, რისი მაქნისია, — ტაშს ყველას უკრავენ. ეს გართობაა და მეტი არაფერი. ნუ გადავყვებით გართობასა და ნურც ცრუკულტურისნობას ნუ აყვებით. აი ეს ამღვრეული ენა, უკვე ბუნებრივად რო გვეჩვენება, ნიშანია გადაგვარებისა.“

„ლუო, შენგან მიკვირს, ეს ჰო უბრალოდ, ასე ვთქვათ, ეტიკეტია.“

„უბედურებაც სწორედ ეგ არის...“²³

ტაში და პირფერობა ხელს უწყობდა „მეგობრობას“ და „ცენტრის“ მიერ ქართული ხელოვნების მხარდაჭერას. ლუოს ისიც პირფერობად ეჩვენება, როდესაც ქართველი ინტელიგენცია საუბარში რუსულ სიტყვებს ურთავდა, ანდა რუსულად საუბრობდა, რაც სხვა ქართველებს შედარებით მაღალი სოციალური სტატუსისა და განათლების ნიშნად მიაჩნდათ. ლუოს აზრით, საქართველო რუსეთმა თავის გასართობად აქცია: გვყავს ის, ვინც თამაშობს (რუსეთი) და ის, ვისაც ეთამაშებიან (საქართველო). ორი ურთიერთსაპირისპირო აზრის გვერდით (საქართველოში რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შესახებ და ქვეყნის განვითარებაში მისი წვლილის შესახებ) პირველ ორ რომანში ასევე აისახა ის უიმედობა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებას უკავშირდება. ლუოსთან საუბარში გდიდის პრეფექტი ამბობს, რომ დამოუკიდებლობის გარეშე ხანგრძლივი არსებობის შემდეგ ქართველებმა დაკარგეს თავდაჯერებული აზროვნებისა და გადაწყვეტილებათა მიღების უნარი. მისი სიტყვებიდან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ქართველებს ცხადად მხოლოდ ის წარმოუდგენიათ, რომ რუსეთთან ერთად ყოფნა აღარ სურთ; ეს ფანტაზიაა, ხოლო ახალი პარტნიორი, ვინც სტრატეგიულ მხარდაჭერას შესთავაზებს, ჯერჯერობით არ ჩანს, რეალური დამოუკიდებლობის მოპოვების იმედი კი ჯერაც ეფემერულია:

„დავვიოთ!.. მაღე აღარ იქნება აღარც ხინკალი, აღარც ლუდი“, ვილაცა ამბობს, „აღარც გამკეთებელი აღარ იქნება, აღარც მჭამელი, აღარც დამლვეი“.

„მაშ რა იქნება?!“

„იდეები!.. ახალი დემოკრატიზმი!.. რუსეთი იდეებს არ გამოგვილევს...“

„ისევე რუსეთი!..“

„ისევე რუსეთი!..“²⁴

ასეთივე შიში იკვეთება რომანში „თეთრი დათვი“:

„რუსები პურს მაინც გვაჭმევდნენ!..“

„შავ ქვას გვაჭმევდნენ!..“

„შავ ქვასაცა გვტაცებდნენ!..“

„მაინც გზა არა გვაქვს იმათს იქითა!..“

„არ გაგვიშვებენ თორემ!..“

„ჰო გაგვიშვებს?“

„გაგვიშვებს არა, ტოროლა!..“²⁵

დამოუკიდებლობის მიუწვდომლობის ძველ შიშს ახალიც დაემატა: დამოუცნობი მომავლის შიში: „ეს თიხაც დაგვაკარგვინესო, — ნუხდა ირინეი, ხელოვნებაცაო, რუსებმაო და კომუნის-

ტებმაო, სულიც ამოგვხადეს და ახლა ცივილიზაციას გვპირდება დასავლეთით. რა ცივილიზაცია იქნება ესა, ანთუ ჩვენ რანი ვიქნებითო.“²⁶ რუსეთს მიენერება იმპერიულ და საბჭოურ ხანათა არეულობისა და შიდა დაპირისპირებების „რეჟისორის“ როლი. „ხალხიდან“ ნასროლ სიტყვებში ისმის ერის ამოწყვეტაში დადანაშაულება. რუსეთი აგრესორის როლს ასრულებს:

„ჩვენა ვართ, ჩვენა, იგივენი ვართ, ერთი სულისანი, ერთი ხორცისანი, ერთი რამ გვინდა, ერთი რამ გვასულდგმულებს და ვჟღეღტ ერთმანეთსა, ვჟღეღტ, — აი თუ რა ყოფაში ჩავუყრივართ რუსსა!.. ორი საუკუნეა ამ ყოფაში ჩავუყრივართ, ორი საუკუნეა გონება ვერ მოგვიკრეფია.“²⁷

მომიტირებთა სიტყვების საპირისპიროდ მთხრობელი დანაშაულის მონანილებად ქართველებსაც აცხადებს: „ნორჩი [სახელმწიფო]!.. ერთხანს უძლიერესი, ახლა ნორჩი, გატეხილი ბოროტი მეზობლის წყალობითა და მისივე ღვიძლიმღვიღების მეოხებითა.“²⁸

ქართველთა სისუსტე ისაა, რომ ქვეყნის შიდა განხეთქილებათა გამო „ძლიერ მეზობელს“ ვერ უმკლავდებიან. ავტორ-მთხრობელის გარდა „მატიანე ქართლისაის“ კიდევ ერთ რომანში „თეთრი დათვი“²⁹ ამ პოზიციას გამოთქვამს ზვიად გამსახურდიაც. რომანში მიმდინარე მოვლენებიც „თბილისის ომსა“ და აფხაზეთს ეხება. მეორე რომანის მთავარ პერსონაჟს, ფილოსოფოსსა და მწერალს, ბაადურ რიკოთელს ქვეყნის მეორე პრეზიდენტზე, ედუარდ შევარდნაძეზე შეიარაღებული თავდასხმა იმის გამო ბრალდება, რომ აფხაზეთის ომში მემამბოხეებთან ტყვედ ჩავარდნილი შემთხვევით შეხვდა ზვიად გამსახურდიას (1992-93 წლები). ზვიად გამსახურდიას აზრით, თამარ მეფის დროს ქართველები ბევრად მეტნი იყვნენ, ვიდრე ინგლისელები ელისაბედის დროს, და ხალხს დღევანდელზე ბევრად მეტი მესაძლებლობანიც ჰქონდა. ძმათა შორის მტრობას შინაგანი უთანხმოება აღვივებდა, რაც დიდად ახარებდა „თეთრ დათვს“, რუსეთს, რომელიც ხალხებსა და ტერიტორიებს ეთამამება:

„ჩვენი უბედურება ყოველთვის ის იყო, ჩვენივე შეილები რო უდგნენ მხარში მოსისხარათა ჩვენთა. ის იყო. ის იყო. ჩვენ ყოველთვის ერთმანეთს ვებრძოდით და მტერი ხარობდა. ცხენისწყალის აქეთ ჩვენა ვართ, იქით — თქვენა, ფოთში — რუსია, ენგურზე — რუსი, შუაქართლშიც რუსი ჩამდგარა, ჩვენ უნდა ვღვაროთ სისხლი ერთმანეთისა, ცხენისწყალში უნდა ვაქციოთ, რუსმა რო იხაროს. რა არის ესა?..“ „ორი საუკუნეა „ორი რუსეთის თეორიით“ გვასუნთქებენ. ის ამითი სარგებლობს. მერე როგორა!.. მსოფლიოს თვალს უხვევს. ასევე უხვევდა, ასევე უხვევს. გაერო თვითონა ზუჭავს თვალებსა, ოლონდ დათვი არ გაგვიბრუნდესო. ის შიში მოსდევთ, ისევე ისა, — სტალინის დროინდელი. ფრთხილობენ ისევე: დათვი ვათამაშოთო... [...] თვითონვე თამაშობს დათვი, ანთუ ათამაშებს აქ აბსუბებსა, იქ ოსებსა და მოაქვს თავი ჩაგრულთა მოსარჩლედა. პოლიტიკა!.. რა ღირსეული რამ არის ღირსეულთა ხელში და რა სიბილნეა, ბილნთა ხელში.“³⁰

ისევე, როგორც „არტიტულ გადატრიალებში“, აქაც, უკვე ყოფილი პრეზიდენტის მონოლოგებში, ავტორი ქვეყნის ბედის გამო მის გულისტკივილს ასახავს. „თეთრ დათვში“ მწერალი წარმოგვიდგენს უკვე დაბერებულ, დაავადებულ, დაღლილ ყოფილ პრეზიდენტს. ბაადურ რიკოთელთან მოულოდნელი შეხვედრისას გამსახურდია წარმოთქვამს მონოლოგს, რომელშიც ამკარად ჩანს შიში ქვეყნის მომავლის გამო, შიში იმისა, რომ მძლავრმა მეზობელმა შეიძლება დაასახინროს და გაანადგუროს საქართველო:

„— სამშობლო, — ამბობს გამსახურდია ისე, თითქოს აგერ, მის წინ კუბოში იწვეს, — ახლა კი ნამდვილად მომიწევს მისი დატოვება. ფოთი დაკარგეს... ფოთის გარეშე კი ყველა გზა მოჭრილი გვაქვს. უკვე თბილისში ვიქნებოდით, მან კი ფოთიც ლანგრით მიართვა, ახლა თბილისიც დაკარგულია! ახლა ისინი დროებით შეურიგდებიან ჩემს მომხრეებს, მერე კი გასრესენ, მოლაღატეებად გამოაცხადებენ, დაამახინჯებენ. თვით რწმენას დაამახინჯებენ, გესმის, სამშობლოს რწმენას!“³¹

რუსეთი ზვიად გამსახურდიასა და მისი მრავალი მომხრის გულისტკივილის მიზეზად იქცა. პრეზიდენტს არ ესმის, თუ რატომ უყვარდა და უყვარს რუსეთი ხელოვნების ზოგიერთ მოღვაწეს: „რამ შეაყვარათ ასე ეს რუსები შენგელაიებსა, ასე, ასე, ასე მაინც რამ შეაყვარათ? ან ამ მახარაძეს თავისი სოფიკოთი, რამ შეაყვარათ?“³² საქართველოს კულტურული და ისტორიული ფასეულობანი მხოლოდ რუსეთს უკავშირდებოდა. გამსახურდია ქართველი ინტელიგენციის ნაწილის აზრს გამოთქვამს: მათი ხალხის ღირებულებანი უცხოტომელთა დიდებას ემსახურებოდა, რაც მათში გაზილიანებასა და ტკივილს იწვევს:

„მაინც დიდებას ესწრაფვიან ეს თვალბედაჭყეტილი რუსებიო. ჩვენში ეგულებათ საყრდენი დიდებისა. მოჰყავთ. უჩვენებენ. აგერა მტკვარიო, ჯერ კიდევ ჰეროდოტე რო მოიხსენიებსო; აგერა „მცირიო“ ლერმონტოვისა, გარმა წყარო პუშკინისაო, აგერა მთანმინდა გრიბოედოვისაო, — ჩვენა ვართ, ჩვენი იყო, ჩვენი იქნებო. აბსურდია. სიცრუეა. ისედაც სიცრუეა. სიცრუის სიცრუე აბსურდია აბსურდისა. რა ენაღვლებათ: ჭამენ, ნთქავენ, ერთობიან, — ჩვენა ვთამაშობთ, ეგენი ერთობიან, ჩვენ წელბზე ფეხს ვიდგამთ, ეგენი ნთქავენ. ნთქავს დასავლეთიცა, თუმცა ასეთი ღორები მაინც არ არიან.“³³

პრეზიდენტის აზრით, საქართველო „თეთრი დათვის“ „სათამაშო“ და თუკი ამ „სათამაშოს“ თათებიდან გამოაცლიან, ის დამარცხებული ძირს დაემხოება: „აღსდგება კავკასია, ძრნოდე რუსეთო — ჟანდარმო ევროპისა, ხორველავ კავკასიისა — ძრნოდე!.. მე ვხედავ ცისკარსა აღდგომისა, აღმოსავლეთით უკვე შეფერადა, ვხედავ!“³⁴ — ამბობს გამსახურდია. ეროვნული ლიდერის აზრით, რუსეთი საქართველოს საკუთარი დიდების დემონსტრირებისათვის იყენებს. სწორედ დამოუკიდებლობის დაკარგვისა და გამუდმებული მორჩილების შიში, რომელმაც, ილია ჭავჭავაძის თქმით, ერის „გულში“ „სამარე“ გათხარა, საუკუნუნახევრის შემდეგ, მისი გამოთქმის პირველი შესაძლებლობისთანავე აისახა ოთარ ჩხეიძის რომანებში.

ახლოების დაკარგვა, გაჭირვება და ტრავმა



ინდივიდუალური ტრავმის ისტორიულ დროსთან ერთი-ერთი მართების თემა ასევე გამჭოლია „მატიანეს“ ყველა რომანში. იმ ინდივიდთა ამბები, ვინც „დანაკარგის საზოგადოებას“ შეადგენს და ვისზეც ისტორიულმა ცვლილებებმა იქონია გავლენა (ომები, ეკონომიკური კრიზისი, სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შეცვლა, რაც, „კულტურული ტრავმის“ თეორეტიკოსთა აზრით, მატრავმირებელ როლს თამაშობს, რადგან კარდინალურად ცვლის საზოგადოების ცხოვრების ჩვეულ წესს) აისახა რომანში „თეთრი დათვი“, თუმცა ავტორის ყურადღების არეში კვლავაც რჩება პოლიტიკური მოვლენები და ფიგურები: ედუარდ შევარდნაძე, ზვიად გამსახურდია, ბორის ელცინი. ოთარ ჩხეიძე ქვეყანაში გაბატონებულ ქაოსს აგვიწერს: სოფლები შიმშილობენ, დედაქალაქი სიცივისაგან ითოშება. პურის ჯიხურებთან გაუთავებელი რიგებია. პროდუქტები (პური, შაქარი) ტალღებით გაიცემა. ხალხს აერთიანებს საერთო გასაჭირი, შიმშილი, სიცივე, პროდუქტებისა და ელექტროენერჯის უქონლობა, უიმედობა. რომან „თეთრი დათვის“ პერსონაჟები ისტორიულ ცვლილებათა მსხვერპლნი ხდებიან. ესენია ბაადურ რიკოთელი და მისი ოჯახი, ასევე სამხედროს ქვერივი მედეა. ბაადურ რიკოთელს, აფხაზეთის ომის მონაწილეს, რომელსაც გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა, უგონოდ ყოფნისას ომის მოვლენები ახსენდება. ზმანებების სახით წარმოუდგება აფხაზეთიდან დაბრუნების სურათები: ომნაგებული დემობილიზებული ქართული ჯარი ტოვებს სოხუმს. ბაადური უგონო მდგომარეობაშიც კი განიცდის იმ უმძაფრეს სასონარკვეთილებას, რაც მასა და სხვა მეომრებს დაუფლათ, როდესაც „კამაზის“ საბარგულში მსხდომნი ერთად მიემგზავრებოდნენ აფხაზეთიდან. ეს სასონარკვეთილება გამოიწვია ედუარდ შევარდნაძის

უეცარმა ბრძანებამ, დაეტოვებინათ აფხაზეთი მაშინ, როდესაც ომი არსებითად უკვე მოგებული იყო. დამარცხებას შევარდნაძის უსამართლო პოლიტიკით გამოწვეული იმედგაცრუებაც დაემატა. ავტორს შემოაქვს ტექსტში ის ინფორმაცია, რომლის შესახებაც ცხელ კვალზე ბჭობდა მთელი ქართული საზოგადოება: ქართველი მხედართმთავრები არაფერს წყვეტდნენ, ბრძანებებს სახელმწიფოს მეთაური გასცემდა, იგი კი გამუდმებით ეთათბირებოდა კრემლს და მისგან უშუალო ბრძანებებს იღებდა. „თეთრი დათვი“ თამაშობდა.

ბრძოლის ადგილებიდან შინმიმავალი ჯარის გარდა ბაადურს კიდევ ერთი სურათი წარმოუდგება: ეს ძალზე ნელა მიმავალი ქალია, რომელსაც ერთ ხელში ბავშვი ჰყავს აყვანილი, მეორეში ტოპრაკი უჭირავს, კიდევ ერთი ბავშვი რომ ეკონინალება. ქალი უღონო და თვალცრემლიანია, იგი აფხაზეთში დაბრუნებას ცდილობს. დაბრუნება კი შეუძლებელია. სასონარკვეთილი კვილის ფონზე ჩაესმის უკან მიმავალი მამაკაცის ხმა: „სადაღა ნახვალ? იქ მიცვალებულების გარდა აღარავინ დარჩა.“ ომმა მხოლოდ ეს ქალი როდი განირა, რაც კი ებადა, ყველაფერი მიეტოვებინა და უგზოუკვლოდ ეხეტიალა. ამ ქალის სახით ოთარ ჩხეიძე გვიხატავს ისტორიისა და გამოუვალ გარემოებათა მსხვერპლს.

ომის ტრაგედიას უკავშირდება კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალის, მედეას, ბედი, ვისი მეუღლეც ბაადურის თანამებრძოლი იყო და ომში დაიღუპა. მედეა ფეხმძიმედაა, როდესაც მეუღლის დაღუპვის ამბავს რიკოთელისგან შეიტყობს, რომელიც უბრუნებს მას მეუღლის საქონლინო ბეჭედს, პირადობის დამადასტურებელ საბუთებსა და ქორწინების ფოტოსურათს. ქალის თვალში ბაადური ყველაზე უფრო საძულველ ადამიანად იქცევა, რადგანაც სწორედ მას მოაქვს მისთვის სამწუხარო ამბავი. მედეა ბაადურზე ახდენს თავისი უბედურების პროექცირებას და ტრავმას ვერა და ვერ უმკლავდება, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცი მზრუნველობასა და მხარდაჭერას არ აკლებს.

ოთარ ჩხეიძე აგვიჩვენებს უდანაშაულო ობიექტზე ფსიქოლოგიური ასოცირების გადატანის მექანიზმს და ბაადურის ხელით ეხმარება მსხვერპლს ტრავმის დაძლევაში. ბაადური პატივს მიაგებს მეგობრის ხსოვნას და მის ქვრივს, რითაც შეუძლია, ეხმარება. მედეაზე ზრუნვა მას ღირსების საქმედ მიაჩნია. ის ჩუმ-ჩუმად უხდის ბინის ქირას, მიჰყავს სამშობიაროში, მაგრამ მედეაზე მზრუნველობა ქალის მხრიდან აშკარა სიძულვილს აწყობდა, მეტიც: ბაადური თვითონაც ხდება ძალადობის მსხვერპლი. როდესაც სამშობიაროში მიდიან, თბილისის ცენტრში მემამოხეთა გავრეპული ბრბო მანქანას დაესხა თავს, დაუშინეს ქვები, მთლიანად ხელკეტები, ფარები. ოთარ ჩხეიძე გვიხატავს სულისშემძვრელ სცენას, სადაც ხალხის ყვირილს ერწყმის კვილი მშობიარე ქალისა, რომელსაც ქუჩაში მყოფნი ერთურთს ხელიდან ხელში გადასცემენ. მწერალს შემოაქვს სიუჟეტში ომის დროს ქვეყნად ადამიანის მოვლინების თემა, რითაც სურს ხაზი გაუსვას დაბა-



დების საიდუმლოს ხელშეუხებლობას. მედეა ქალაქის ცენტრში მშობიარობს, მოქალაქენი მას ბრბოსა და გამძვინვარებული გვარდიელებისაგან საკუთარი სხეულებით იცავენ. ერთადერთი, რაც მას მშობიარობის აგონიის ჯოჯოხეთში ჩაესმის, არის სიტყვა „ბიჭია!“³⁵ გაჭირვება და უსახლკარობა აიძულებს მედეას, შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ეძიოს: ჯერ გადაწყვეტს, ბავშვი რიკოთელის მეუღლეს დაუტოვოს, თვითონ კი სპეციფიკურ სამუშაოზე სტამბოლში მიემგავრება, შემდეგ ქურდობას აბრალბენ და აპატიმრებენ, მერე დიდი ხნით ქრება, ბოლოს დაბრუნდა და თავის ქმედებას შექმნილი ვითარების გამო დანაშაულის განცდით ხსნის:

„მოვედი პატიების სათხოვნელად... ნავედი, გადავიკარგე, რადგან... ასე აღარ შემეძლო. ჩემი არსებობით მეტად ველარ შეგავინოვებდით! (...) იცით? მძულდით. მძულდით და ამას საკუთარ თავს ვერ ვპატიობ. იმწუთიდან შემძულდით, როცა ჩემი კარი შემოაღეთ და ყოველგვარი იმედი წამართვით.“³⁶ (...) თქვენ გამოჩენასთან ერთად ჩემი ცხოვრება კომმარად იქცა! თქვენზე გაფიქრებაც კი მზარავდა, თქვენი დანახვა კი სულაც გაუსაძლისი იყო ჩემთვის... მაგრამ უნდა გითხრათ... ამიტომაც მოვედი. მიყვარხართ. მორჩა, ვთქვი... არასოდეს დამავინწყდება ის ყველაფერი, რაც ჩემთვის გააკეთეთ, — უთხრა მედეამ ბაადურს და წავიდა.“

ბაადურ რიკოთელი გზად სამშობიაროში სასტიკად დაზარალდა: იგი მანქანიდან გადმოათრიეს, სცემეს და დასახინჩრეს; გამოჯანმრთელების შემდეგ ბევრს ფიქრობს თემებზე: „ხალხი და ბრბო“ და „ინტელექტუალური ბრბო“, რის შემდეგაც „ადამიანთა“ ძებნას იწყებს და მათ ქართულ სოფელში პოულობს. იქ არაერთხელ შეეჩხება სამაჩაბლოს კონფლიქტზე მინიშნებას: რიკოთელმა მოისმინა ახალგაზრდა ბიჭის ამბავი, რომელიც რუსმა ჯარისკაცებმა გააკოჭეს და ცოცხლად დანვეს, საკუთარი თვალთ ნახა ბიჭი, რომელმაც ომში ფეხი დაკარგა, და მისი საცოლე, ვინც ამის გამო უხერხულობას განიცდიდა. გლეხები ასევე ხდებიან პოლიტიკურ კონფლიქტთა მსხვერპლი. ოთარ ჩხეიძე აღწერს გვალვას ქალაქ ცხინვალში, რომელიც საქართველომ ასევე დაკარგა; აქ მოსავალი იმის გამო არ მოვიდა, რომ მოსახლეობას წყალი ვადაუქეტეს.

საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთ შედეგად მოსახლეობის უკიდურესი გაღარიბება იქცა. პ. შტომპკას მიხედვით, ეკონომიკური კრიზისები, ფულადი რეფორმები (მაგალითად, 1991 წელს სსრკ-ში ჩატარებული ფულადი რეფორმა ძალზე უარყოფითად აისახა მოსახლეობის მდგომარეობაზე) „კულტურული ტრავმის“ წარმოქმნის მიზეზებია. ოთარ ჩხეიძე გვიხატავს იმ ხანდაზმულ ადამიანთა სახეებს, ვინც ცხოვრების დიდი ნაწილი სსრკ-ში გაატარა და ისტორიულ გარემოებათა მსხვერპლი გახდა. გაჭირვების მტკივნეულ მხარეს მწერალი წარმოგვიდგენს რომანის „არტისტული გადატრიალება“ იმ სცენაში, სადაც აღწერილია მოხუცებულთა თავშესაფარში ლუოს შეხვედრა მედეასა და ხნიერ მსახიობ ბატონ დიომიდესთან. მოხუცი ქართველი მსახიობისათვის საბჭოური ხანა მშვიდი და სვეკეთილი იყო, ხოლო დამოუ-

კიდევლობის მოპოვებისათვის ბრძოლა ხალხს სტაბილურობა წაართვა. დიომიდე დარდობს, რომ წარსულისაგან აღარაფერი დარჩა და სიკვდილს ნატრობს:

„მოვიდეს გაბრიელ მთავარანგელოზი, აი მე მზადა ვარ. (...) გაბრიელთანაც რო საქმე სახვეწური გაგახდება, რაღა ხარ მერე?!“³⁷

ლუოს დედაც მისტირის ძველ დროს. არ მოსწონს ის „თავისუფლება“, რომელმაც ქვეყანა გაალატა. რათა შიმშილით არ ამოხდეთ სული, ადამიანები იძულებულნი არიან, მთელი დაგროვებული ქონება გაყიდონ. ლუოს დედაც ასე იქცევა: ძველებურ ჭალებს ყიდის: მისი ბინის ჭერი ისეა ჭალებით დახუნძლული, გეგონებათ, გამოფენა-გაყიდვააო:

„ღმერთო, დაგვიფარე!.. ვიცინით, ვიცინით და ვტირით: ნუ თუ ამისი ღირსები ვიყავით!.. ამას ველოდით?!. ეს გვინდოდა?!.“

„გარდამავალი...“

„ჩვენში ყველაფერი გარდამავალია. მდგრადი არ გვინახავს არაფერი.“³⁸

გაჭირვება ლუოსაც შეეხო, მსახიობი უმუშევარია, მაგრამ ბოლომდე ინფანტილურ ადამიანად რჩება, ამიტომაც იმ შემოქმედთა წრისადმი მიკუთვნებულობას იმიზეზებს, ვისაც მატერიალური ღირებულებანი არ აინტერესებს:

„მე ჰო ხელოვანი ვარ...“

„იმდენია ახლა ხელოვანი, მზრუნველი რო აღარ ეყოფა...“³⁹

„ყველა ხელოვანი არ არის ხელოვანი“. (...)

„რაც უნდა იყოს, ფული არა გაქვს. მეც არა მაქვს ფული. (...) ჭალების მეტი ჩვენ აღარაფერი აღარ გაგვანია. მე უკვე წამიცდა ხელი. მემკვიდრე შენა ხარ. შენთვის უნდა შეიკითხა. ახლა შენ იცი. თუ გაიმეტებ...“⁴⁰

ოთარ ჩხეიძის მიერ ჩამოთვლილ სოციალურ პრობლემებს მიეკუთვნება არა მხოლოდ უმუშევრობა, გაჭირვება და სანოვავის არნახული სიძვირე, არამედ ელექტროენერჯის არარსებობაც. დამნაშავედ აქაც რუსეთი გვევლინება:

„ბნელა ბაადურის ბინაში. სანთლები მოუტანეს. არ ანათებს. ბნელოდეს. ბნელა თბილისში. მთლად საქართველოში ბნელა. ფულს თუ გადაუხდით, რუსეთი მოგვცემს სინათლესაო. ფულს თუ გადაუხდით, თურქეთიც მოგვცემს სინათლესაო. რაღას გადაუხდით, ორივემ გახინა, რაც რამ გაგვანდა. ბნელა დერეფანში. საქართველოში ბნელა. ბრბო. ხალხი. ერი. ენა. სახელმწიფო.“⁴¹

რომანის „თეთრი დათვი“ მთავარი პერსონაჟი, ფილოსოფოსი ბაადურ რიკოთელი იმ დილემას ახმინებს, რომლის წინაშეც ქართული საზოგადოება აღმოჩნდა: ეროვნული იდენტობის შენარჩუნება თუ სამომავლო მონობის სანაცვლოდ მიღებული მატერიალური ღირებულებანი.

ეროვნული „იდეოლოგია“ დაკარგვის შიში

„მატიანე ქართლისასი“ კიდევ ერთი რომანი „ბერმუდის სამკუთხედი“ (2000) აღწერს პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობისა და ახალი ეროვნული სახელმწიფოს შენების ხანას (XX საუკუნის 90-იანთა დასასრული და XXI-ის დასაწყისი), როდესაც აუცილებელი გახდა საკუთარი არსის წვდომა და შემდეგი კითხვების დასმა: „ვინ ვართ?“ „როგორ შევიცვალეთ?“ და „როგორი გავლენა მოახდინა საბჭოთა პერიოდმა ჩვენზე და საქართველოს ისტორიაზე?“

რომანში აღწერილი საზოგადოება ორ ნაწილადაა გაყოფილი, — პირველი ვერ მოერგო ახალ დროებს და კვლავაც სვეტილ და საბჭოურ ცხოვრებას მისტირის, მეორე კი, პირიქით, საკუთარი ადგილი სწორედ ახალ სამყაროში მონახა (ავტორის აზრით, ეს ის ადამიანები არიან, ვინც სულიერის ნაცვლად მატერიალურ ფასეულობებზეა ორიენტირებული). მწერალი რომანის მთავარი პერსონაჟის პირით სცემს პასუხს მის მიერვე დასმულ მთავარ კითხვას. ეს პერსონაჟი გიზო კორძელია, იგივე გივი კორძელაშვილი — სახეობა „ახალი ქართველის“, რომელიც ახალი ისტორიის ორმა პერიოდმა

შვა. პოსტსაბჭოური დროისაგან მან პრამატულობა და მოვლენათა წინასწარი გათვლის უნარი გაითავისა: გიზო ოცნებობს, რომ საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობა გამოიყენოს და საქართველო ტურიზმის ქვეყნად აქციოს. მაგრამ საბჭოურმა დრომ მასში მენტალობის ბაზისური პლასტი ჩადო, ეროვნული თვითიდენტობა განუზავა და რუსეთს დაუკავშირა. ოთარ ჩხეიძე გვიამბობს, გიზომ, როგორც არაერთი ქართველი ინტელიგენტური ოჯახის შვილმა, საშუალო განათლება ქართული სკოლის რუსულ სექტორში მიიღო, უმაღლესი კი — რუსეთში; სწორედ ასე იქცეოდნენ XIX საუკუნის უგანათლებულესი ქართველებიც. რუსული განათლების გავლენამ ქართველს სამშობლოს განცდა შეუცვალა: გიზო მხოლოდ იმ ღირსშესანიშნაობებს ხედავს, რომლის შესახებაც რუსულ სახელმძღვანელოებში წაუკითხავს, ანუ ხედავს საქართველოს რუსული კულტურის პრიზმაში: გოგირდის აბანოები იმით იყო ცნობილი, რომ იქ პუშკინია ნამყოფი, ხოლო მთაწმინდის პანთეონი — იმით, რომ იქ გრიბოედოვია დაკრძალული. დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად გიზო მაინც ყველგან გრძნობს რუსეთის სიახლოვეს: „რუსეთი ისევე აქ იჯდა, რუსებში აღარა, — ქართველებით იჯდა. რუსეთს მისტიროდა ჯერ კიდევ ბევრი“.⁴² ავტორ-მთხრობელი პასუხობს შეკითხვას: „რატომ გადაგვარდა ქართველობა?“ თუმცა იმედს იტოვებს, რომ ქართველები XXI საუკუნეშიც შეძლებენ ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას, რადგან მასში ჯერ კიდევ ცოცხალია მისი ქვეყნის გარეშე ძალის, რუსეთის მიერ მართვის წინაშე შიში:

„ძალღონე თუ მეყო, კიდევ თუ ჩავუჯექი რომანსა, მივუბრუნებდი ძველ თემებსა, — რაც უნდა დამენერა, რაც ვერ მოვასწარი. მოვლენებს მივდევდი. მოვლენები სწრაფად იცვლებოდა. მე ვერ ვასწრებდი. გამოტოვება მიხდებოდა ბევრი რამისა. იცვლებოდა თუ არც არაფერი იცვლებოდა. ადამიანი იგივე გახლდა: თავის თავსვე იმეორებდა. რაღაცას სცვლიდა. იადვილებდა ცხოვრებასა. მეტს გაიგებდა, შეგნებით ვერაო, ვერ შეიგნებდა მეტს ვერაფერსა: იგივე რჩებოდა. იმეორებდა იგივესა: შურსა. ლალატსა. სიძულვილსა. სიყვარულსაც იმეორებდა. მაგრამ სძლევდა რო სიძულვილი, უფრო სიავეს იმეორებდა. თავმოებურებულს XIX საუკუნისაგანა XX საუკუნის დადგომას შეჰხაროდა; განამებული XX საუკუნისაგანა XXI ელოდებოდა, ისევე ნატვრითა, ისევე იმედითა, შვების იმედითა. და აი ესეცა -ეს XXI-ცა, ეს ახალი ათასწლეულის დასაწყისიცა. შუშუნები ანთო ახალწლის ღამესა და ჩაჰქრა. ეს იყო და ესა. ასე იყო და ასევე დარჩა. ასევე იქნება. ადამიანი იგივე იქნება: იგივე შურითა, იგივე აღმატების წყურვილითა, ერთიმეორეზე აღმატებისა: ოღონდ მე ვიყო, სამშობლო ესე თუნდაც ისევე სხვას ემონოსო, თუნდაც წარღვნას გადაჰყოლიაო. და ეგება ამიტომაც მიჯობდეს, მივუბრუნე გამოტოვლი თემებსა: თუ რატომ გადაგვარდა ქართველი კაცი და როგორ გადაგვარდა. XX საუკუნეში რო გადაგვარდა, მანამდის ისე არ გადაგვარებულა. ახლაც ის მოსდევს. ახლაც ის საფრთხეა...“⁴³

„ბერმუდის სამკუთხედი“ ოთარ ჩხეიძე გულისხმობს იმ ისტორიულ ვითარებას, რომელშიც საქართველო მოექცა: საბჭოური/რუსული წარსული — ორიენტაცია კაპიტალისტური/პროამერიკული მომავლისაკენ — უღმობელი ქართული სინამდვილე: სამ ნაწილად გახლეჩილი ქვეყანა (საქართველო, სახაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და ხალხი, რომელმაც XX საუკუნის ტრაგედიები გამოიარა.

მთავარი პერსონაჟის ანტიპოდად გვევლინება ხნიერი ქართველი ქალი დუდა, რომელიც საბჭოურ წარსულს იმიტომ მისტირის, რომ მას თავის ახალგაზრდობასა და სათაყვანებელ კონსერვატორიას უკავშირებს. დუდა წარსული ეპოქისა და გაქრობის ზღვარზე მყოფი ინტელიგენციის განსახიერებაა. იგი სასონარკვეთილად ცდილობს, გარეგნულად მაინც შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ქართული ინტელიგენცია ჯერაც ცოცხალია. ავტორი არ უტოვებს მომავლის შანსს არც

გიზოს, როგორც „ახალი“ ქართველის ტიპს, არც დუდას, როგორც ძველი ინტელიგენციის წარმომადგენელს: ორივე კვდება. ზედაპირული მსჯელობისა და შეხედულებათა მქონე გიზოს თანამედროვე ქართული ყოფიერების „ბერმუდის სამკუთხედში“ გზა აებნევა, შემდეგ კი ავტოკატასტროფაში ილუპება. ხოლო დუდა ბუნებრივი სიკვდილით კვდება, წარსულს ბარდება. რჩება ის ქვეყანა, რომელიც გიზომ რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ იხილა: „გადამწვარ-გადაბუფული“ მინა და ხანძრის „ფერფლით დაფარული“ ხალხი. ავტორ-მთხრობელის აზრით, მისი ქვეყანა „საკაჟეთად“ იქცა. ქართული ენისა და ქართველი ადამიანის გაქრობის საფრთხე ჯერაც დიდია.

„მატიანე ქართლისაის“ კიდევ ერთი რომანია „2001 წელი“, რომელიც 2002 წელს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა, 2003 წელს კი წიგნადაც გამოიცა. აქ მწერალი ყურადღებას უთმობს შევარდნაძის ხანის საქართველოში მიმდინარე მწვავე სოციალურ მოვლენებს, რომლებმაც, ყველაფერთან ერთად, ქართულ მენტალობაშიც შეიტანა ცვლილებანი: ტრეფიკინგი და ნარკოტიკებით ვაჭრობა.⁴⁴ იმ დროის რეალობას შეეჩვენა რომანის მთავარი გმირი უშანგი,⁴⁵ ახალი, არასაბჭოური ფორმაციის ბიზნესმენი, რომელმაც გადაწყვიტა, თავისი ბიზნესი კანონის დაურღვევლად წარემართა. პატიოსანი ბიზნესის წარმართვის გადაწყვეტილებას მისი იდუმალი მოტაცება და გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ ასეთივე იდუმალი დაბრუნება მოჰყვა. რომანის სიუჟეტი ლალატის, ცრუ ფიცებისა და ნაძირლობის კრიმინალურ-ფსიქოლოგიური გორგლის გახსნას ემყარება. მას შემდეგ, რაც უშანგი ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება, იგი ამოიცნობს ამ მოვლენასა და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ არაერთ კრიმინალურ სქემას, რითაც გასაჭირში ჩავერდნილ მრავალ ადამიანს დაეხმარება.

თვით უშანგის სიტყვებსა და მთხრობელის კომენტარებში ისმის შეფარული ბრალდება რუსეთის მისამართით, რომელიც ხელს უწყობდა ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობას,⁴⁶ ქართულ საზოგადოებაში სისასტიკის,⁴⁷ უზუნოების, უიმედობისა და ლაჩრობის გაბატონებას. ზნეცემულობის, დემორალიზაციისა და განუკითხაობის დაძლევის შემოთავაზებული გზების მიუხედავად: „რეფორმა გადაარჩენს საქართველოს!“ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს!“ „სპორტი გადაარჩენს საქართველოს!“ — ოთარ ჩხეიძემ მთხრობელის პირით გადმოგვცა ის გამოუვალ ვითარება, რაც XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში სუფევდა.

„პუშკინი“ — „რუსული იარაღის“ ნიღაბი და დროის „მსხვერპლი“

ოთარ ჩხეიძის რომანებში ხდება საქართველოში პუშკინის როლის გადაფასება. თუკი „ბერმუდის სამკუთხედში“ „პუშკინი“ მოიხსენიება, როგორც „საბჭოთა“ ქართველის მენტალობის შემადგენელი ნაწილი, რადგან ის რუსულ კულტურაზეა „გაზრდილი“ და საკუთარ ქვეყანას მის პრიზმაში ხედავს, „2001 წელში“ „პუშკინმა“ უფრო მასშტაბური სახე მიიღო — ესაა იმ „სხვისა“ თუ „უცხოს“ სახე, რომელმაც ქართველი ერი გააერთიანა და ამბივალენტურ ფიგურად იქცა: ერთი მხრივ, იმპერიულ მწაგვრელად, მეორე მხრივ, დიდ კულტურაში ქართველთა შემომყვანად. ოთარ ჩხეიძე გვიამბობს, რომ „პუშკინის“ გამოჩენასთან ერთად ჩაისახა ქართული „მსხვერპლმწიროვის“ პირველი შემთხვევები, მანამდე მიჩუმათებული და XX საუკუნის დასასრულს გამოაშკარავებული.

პუშკინის ძველი თბილისის ცენტრში 1892 წელს დაიბადა. ე. გ. ვაიდენბაუმის წერილში „ა. ს. პუშკინის ძველი თბილისში“ ვკითხულობთ, რომ თბილისის პოლიცემისტერმა ლ. ა. როსინსკიმ 1890 წლის 15 თებერვალს ჩააბარა ქალაქ თბილისის უპრავს პუშკინის ძველისათვის შეგროვებული 2281 მანეთი და 05 კაპიკი. განმარტება „პირადი ხელმოწერით“ იმას გულისხმობს, რომ ფული ნებაყოფლობით გროვდებოდა კერძო პირთა მიერ. XIX საუკუნეში პუშკინის სახისადმი კეთილგან-

წყობას თანამედროვეობაში თავსმოხვეული უცხოის განცდა და სხვისაგან გათავისუფლების სურვილი უპირისპირდება. კავკასიაში პუშკინის როლის შესახებ ავტორ-მთხრობელის მსჯელობაში იკვეთება, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ XX საუკუნის ბოლოს საქართველოში პუშკინი იმპერიის ემისრად მოიაზრება, ვისაც დაპყრობილი ტერიტორიის „თვალთვალი“ ევალება; მეორე მხრივ, ისიც „განიცდის“ იმ ქვეყნის მძიმე პერიოდს, რომლის თვალთვალაც დაევალა. ამასთან, ოთარ ჩხეიძე დიადი კულტურის სიმბოლოს იმ „ჯოგს“ უპირისპირებს, რომელიც მის წინაშე აღმოჩნდა, რითაც გამოკვეთს რუსეთის განმანათლებლურ როლს:

„ჯოგი იდგა. დიდი ჯოგი. პუშკინი უცქერდა. დუმდა შადრევანი იმ პარკში, ნაბადივით რომ ბურავდა პუშკინს. ქალაქს წყალი აკლდა. ელექტროენერგიაც. ვილას ახსოვდა შადრევანი? სადღესასწაულოდ თუ ჩართავდნენ? მაგრამ დღესასწაულებისათვის ვილას ეცალა? ან პუშკინისთვის... დადგეს ოდესღაც... როცა რუსული იარაღის დიდების მუზეუმი გახსნეს, ისიც მაშინ დადგეს... როცა კი იარაღით რაიმეს დაიპყრობდნენ, მაშინვე დარაჯად პუშკინს დადგავდნენ. რუსები, ცხადია. როცა მთავარი მოედნიდან ლენინი წაათრიეს, პუშკინიც მოხსნეს და ჯართში უპირებდნენ ჩაბარებას. ლენინი გადაადგინეს. პუშკინი დაინდეს. პოეტია მაინც! ჰოდა, იდგა. და იდგა მის წინ ავტომობილთა ჯოგი.“⁴⁸

ციტირებული ნაწყვეტიდან გამომდინარე („დუმდა შადრევანი იმ პარკში, ნაბადივით რომ ბურავდა პუშკინს. მაგრამ დღესასწაულებისათვის ვილას ეცალა? ან პუშკინისთვის...“) „პუშკინს“ ნაწილობრივ შეიძლება დავუკავშიროთ პოლიტიკურ ცვლილებათა „მსხვერპლის“ სახე, რადგანაც მის ბედს პოლიტიკური წყობის მოთხოვნებიდან გამომდინარე სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ანიჭებდნენ. პოსტსაბჭოთა ხანაში, როგორც უკვე ვახსენეთ, „პუშკინი“ ასოცირდებოდა იმპერიის ემისართან, რომელიც აღმოსავლეთისაკენ მიიწევდა „მისთვის“ დამახასიათებელი შიშით, რადგანაც უკვე იწვინა დარტყმა სპარსეთში (აჯანყება თეირანში, რომლის დროსაც მოკლულ იქნა ა. ს. გრიბოედოვი) და ავღანეთში (1979-89 წლები ომი). დაპყრობილ ტერიტორიებზე „მისი“ დგომა რუსეთის საბაზოვისა და „იმპერიისათვის“ მიკუთვნებულობის ერთგვარ მანიშნებლად ითვლებოდა:

„პუშკინი დაჰყურებს. იმპერატორის ჯაშუში. იმპერატორმა მოაკვლევინაო. აიხირეს რუსმა კომუნისტებმა. თავიანთ ავანგარდში რო ჩაენერათ. პუშკინი. ჩასწერეს კიდევაცა: ისევე უნდა შემოემტკიცებინათ კავკასია. სპარსეთსაც უნდა გადასწვდნოდნენ ისევე. თურქეთსაცა. ავღანეთსაცა. სპარსეთიდანვე დაფრთხა ესა — პუშკინი. გზად რომ შემოეყარა გრიბოედოვი. — თავმოჭრილი თეირანში. დაფრთხა. დაფრთხა. პუშკინი. რას იზამ. ადამიანია ადამიანი. შიშიც ადამიანურიია. აგიტანს შიში ერთხელ მაინცა. გულადიც იყო. შეუპოვარიცა ლომივითაო თუნდაცა. ვეფხვივითაო თუნდაცა. აგიტანს შიში. ადამიანური. და თანაცაო: ეგება რო პეტერბურგში ერჩინა თავმოჭრაი, თეირანში თავმოჭრასაო. პუშკინსაო. მაღლობელიც გახლდა იმპერატორი: სპარსეთი თუ ველარაო. კავკასია ჰო შემოუმტკიცა. პუშკინმა. შემოუმტკიცა. შეუმაგრა. ვერ შეუსისხლბორცა. რას იზამ. მეტი არ მოუხერხდა. მაინც მაღლობელი დარჩა იმპერატორი. მაინცა. მაინცა“.⁴⁹

რუსეთის სიახლოვის ამგვარი დასტურის ქართული საზოგადოების ნაწილისათვის გამაღიზიანებლის როლს ასრულებდა, კულტურული მეგობრობა კი „რუსული იარაღის“ ნიღაბს, დაპყრობათა ფარსა და საყრდენს წარმოადგენდა. მთხრობელი ქართველ ინტელიგენციას მოუწოდებს, თვალი გაახილოს, რუსული კულტურის მოჩვენებითი კეთილგანწყობის ქვეშაირიტი სახე დაინახოს და შეიგნოს, რომ „ბოროტი მეზობელი“ თავის დამპყრობლურ, ჯერ კიდევ მ. ს. ვორონცოვის მიერ ოსტატურად ნაცად განზრახვებს ვუაღიერებელი სახით ახორციელებდა: „როცა კი იარაღით რაიმეს დაიპყრობდნენ, პუშ-

კინს დაუყენებდნენ დარაჯადა.⁵⁰ მთხრობელი ფრიად ირონიულად ლაპარაკობს რუსეთში ხელისუფლების გამოცვლის შედეგად (ბ. ელცინის ხანა პუტინის მმართველობით იცვლება) რუსეთ-საქართველოს შესაძლო ახალ ურთიერთობებზე და რუსეთთან დიდი „ჩარჩული“ შეთანხმების შესახებ, რაშიც ხალხს საჯაროდ არნმუნებს ედუარდ შევარდნაძე:

„ისევ მოსკოვი ეპატრონებოდა თბილისსა. ისევა. ისევ მოსკოვი ათანხმებდა თბილისს იმათთანა. თან შესჩიოდა ყველას ცალცალკე: შესჩიოდა ყველას ერთადაცა: აი რა დღემი ვარ. რა ურჩი რამ არის. უჩემოდ თქვენ მაგას ვერ მოურიგდებიო. იქ ის შესჩიოდა, აქ ეს დამჭმელი ყველა სახისანი, ყველა, ყველა, ყველა სახისანი შევედრებოდნენ პრეზიდენტსა: გვიხსენი მაგათი ზრუნვისაგანაო. მასკვიტიანთაო. გვიხსენი. გვიხსენ. ბოლოსდაბოლოსაო. გიხსენითო. ალვისილიყო რიხითა პრეზიდენტი, ისევ იმ რიხითა, გაუნელელებლეთა. დავდებთ ჩარჩო ხელშეკრულებასა. ჩარჩოსა. ჩარჩოსა. ჩარჩოსაო. რუსეთთანაო. რაღა თქმა უნდა. ყველაფერი იქ მორიგდება. ყველაფერიო. ყველაფერიო. ჰო დავდეთ დიდი ხელშეკრულება. დიდიო. დიდიო. დიდიო. რუსეთთანაო. რაღა თქმა უნდა. რატიფიკაციაც მოვახდინეთო. ჩვენ მოვახდინეთ. იმათ არაო. ის ელცინი გახლდათ. ახლა პუტინია. განუმარტავდა პრეზიდენტი. პუტინი პუტინია. ელცინი არ არისო. განუმარტავდა პრეზიდენტი. დაუზარებლად განუმარტავდა.“⁵¹

რომანი „2001 წელი“ და, მაშასადამე, „მატიანეს“ ერთი რკალიც მთავრდება „განთიადის“ სურათით, რომელიც ლიტერატურაში „ალორძინების“ სიმბოლოდ გვევლინება. ავტორისეული აღწერის თანახმად, დრო, თავისი ბნელი და ნათელი ფერებით, „განთიადით“ უნდა დასრულებულიყო.

1. Alexander J. Toward a Theory of Cultural Trauma. Cultural Trauma and Collective Identity, edited by Jeffrey Alexander, Ron Eyerman, Bernhard Giesen, Neil Smelser. Berkeley, California: University of California Press, 2004. P.1.

2. Штомпка П. Социальное изменение как травма. Социс, 2001, №1, стр. 10-11.

3. იქვე.

4. Штомпка П. Социальное изменение как травма. Социс, 2001, №1, стр. 8.

5. იქვე.

6. იქვე, გვ. 12.

7. დისერტაციაში: Ц. Киланава «Формирование грузинского национального дискурса: маркирование моделей Российской империи и грузинская национальная самоидентификация в грузинской литературе конца XVIII — XIX вв., стр. 24-25.

8. И. Чавчавадзе, Записки проезжего, Кавказиони, 9 6, 1989, стр. 37-48.

9. Казбеги, А. Эльберд. Литературная Грузия, 2003 г., стр. 68-88.

10. Семёнова, В. Травмированная память как ресурс формирования коллективной идентичности: случай бывших афганцев. стр. 63-87

11. In: Feldman A. Political Terror and the Technologies of Memory: Excuse, Sacrifice, Commodification, and Actuarial Moralities// , , pp. 58-73. Victoriano F. Fiction, Death and Testimony: Toward a Politics of the Limits of Thought, Discourse, 25.1&2, Winter & Spring 2003, pp. 211-230.

12. მისი პოლიტიკის ძირითადი ლოზუნგი იყო „საქართველო ქართველებისათვის!“

13. ო. ჩხეიძე. „არტისტული გადატრიალება“, 1993, „ლომისი“, თბილისი, 2002, გვ. 64.

14. გვ. 64.

15. შექსპირისეული თემა: „მსოფლიო თეატრია!“

16. სხვა ერის მხრიდან დათრგუნულობის ის ტკივილი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე აღწერს „მგზავრის წერილებში“.

17. სისხლით ინტელიგენტი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟი.

18. „ტყვეობის“ თემა არაერთხელ გაუღერებულა ქართულ ლიტერატურაზე, რაც ზემოთ უკვე ვახსენეთ.

19. ო. ჩხეიძე. „არტისტული გადატრიალება“, 1993, „ლომისი“, თბილისი, 2002, გვ 311-312.

20. იქვე, გვ. 311.

21. ო. ჩხეიძე. „არტისტული გადატრიალება“, 1993, „ლომისი“, თბილისი, 2002, გვ 83.

22. ო. ჩხეიძე. „არტისტული გადატრიალება“, 1993, „ლომისი“, თბილისი, 2002, გვ 16-17.

23. ო. ჩხეიძე. „არტისტული გადატრიალება“, 1993, „ლომისი“, თბილისი, 2002, გვ 94.

24. ო. ჩხეიძე. „არტისტული გადატრიალება“, 1993, „ლომისი“, თბილისი, 2002, გვ 123.

25. „თეთრი დათვი“, გვ. 29.

26. იქვე, 310.

27. „თეთრი დათვი“, გვ. 280.

28. იქვე, გვ. 451

29. ოთარ ჩხეიძე „თეთრი დათვის“ სახით რუსეთს მოიაზრებს.

30. გვ. 184-185.

31. გვ. 183.

32. გვ. 184.

33. „თეთრი დათვი“, გვ. 168-169.

34. გვ. 187.

35. მედია მას დაღუპული მეუღლის სახელს, გიორგის დაარქმევს. მართლმადიდებლურ სამყაროში ეს სახელი მუდამ გამარჯვებასთან ასოცირდება.

36. ქალი მეუღლესთან შეხვედრის იმედს გულისხმობს.

37. ო. ჩხეიძე, „არტისტული გადატრიალება“, 1993. „ლომისი“, თბილისი, 2002, გვ. 105-106

38. ო. ჩხეიძე, „არტისტული გადატრიალება“, 1993. „ლომისი“, თბილისი, 2002, გვ. 107-108.

39. ამბობს ლუოს დედა.

40. ო. ჩხეიძე, „არტისტული გადატრიალება“, 1993. „ლომისი“, თბილისი, 2002, გვ. 109.

41. „თეთრი დათვი“, გვ. 388.

42. ო. ჩხეიძე, „ბერმუდის სამკუთხედი“, „ლომისი“, თბილისი, 2001, გვ. 10.

43. ო. ჩხეიძე, „ბერმუდის სამკუთხედი“, „ლომისი“, თბილისი, 2001, გვ. 2.

44. იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ხელისუფლების ყველა ინსტანციის უკიდურესი კორუმპირებულობა.

45. ეს „თეთრი დათვის“ პერსონაჟის, ბაადურ რიკოთელის ბიძაშვილია. რიკოთელის არყოფნისას მის ოჯახს ეხმარებოდა. ო. ჩხეიძეს უყვარს წინა რომანების პერსონაჟებთან დაბრუნება და მათი პორტრეტის უფრო დაწვრილებით გამოსახვა.

46. „ყველაფერში რუსები არიან დამნაშავე და, ვიდრე თავს არ დაგვანებებენ, ჩვენში სიმშვიდე არ დამყარდება. რასაც ვჩაღლით, ყველაფერს ჩვენსავე საზიანოდ ვჩაღლით. რუსები კი ხარობენ. სისინებენ. ან ეს ტყვეობა რა არის, ან ეს ნარკოტიკები? ან იარაღით ეს ვაჭრობა?! რას მოვიგებთ, ან რას შევიძენთ, ანკი, ვის რას დაუტოვებთ? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. სიკვდილი ყველაფრის ბოლოა. ყველაფერი სიკვდილით მთავრდება. სიკვდილის პირას ყველა ინანიებს. ინანიებს სიხარბეს. სხვას არაფერს. ყური დაუგდეთ. სიკვდილის პირას მისვლა ყველას ხვედრია. ყველამ თავისას მიაყურადოს. ინანიებს მდიდარიც და უპოვარიც. ნანობს მფლანგველიც — იმას, რომ ყველა ხარბია. რომ შური ყველას აბრმავებს. ამას ვერც თქვენ, ვერც ჩვენ ვერ აღმოვფხვრით. ან „ჩვენ“ და „თქვენ“ რამ გაგვყო? განა ერთნი არ ვიყავით? იქვე, გვ. 416.

47. „— ასე მაინც რამ გაგვაბოროტა? — იკითხა ზეინაბმა, — რუსეთის ოკუპაციის ორასმა წელიწადმა, — მიუგო უშნანგიმ. — ამაზე მეც მიფიქრია, — თქვა ზეინაბმა, — ორასწლიანი რუსული ოკუპაცია გვქონდა გადასატანი. ესეც მიფიქრია: ეგებ უფრო იოლადაც გადავიტანდით, მანამდე ამდენი ჭირ-ვარამი რომ არ დაგვტყდომოდა თავს: სპარსები, ოსმალები, მონღოლები, არაბები, ბიზანტიელები, რომაელები, არგონავტები, აფრიკელები... აფრიკელებმაც ხომ ჩვენ ზურგებზე გაიარეს, რათა ევროპაში დასახლებულიყვნენ. და ლეკები?!“ „2001 წელი“. გვ. 105.

48. „2001 წელი“, გვ. 59.

49. „2001 წელი“, გვ. 66.

50. „2001 წელი“, გვ. 157-158.

51. „2001 წელი“, გვ. 157-158.

ელისო ბაკურაძე

რას მღეროდა სახლი

(შახვედრა მერაბ კოსტავას მუზეუმში)

„ხემიანი საკრავები თავიანთი ფორმითა და შინაარსით ადამიანის, ვითარცა მიკროკოსმოსის ჭეშმარიტ ხატს ანუ იმადგიანის წარმოდგენენ. მათი ხატოვანი კორპუსები ადამიანის ტანის ასოციაციას უზღვევენ კიდურების გარეშე. მათი მრავალნაკვთიანი ფორმები მხატვრის მიერ ჩამოქნილ ჰგვანან უფრო, ვიდრე კონსტრუქტორის განსჯითი აზროვნების ნამოქმედარს. ხემიან საკრავთა თავი კი, სიმთა სამაგრი მოქლონებით, თავისებური სიმბოლოა ადამიანის აზროვნებისა, რომელიც თავად არის სამაგრი და მარეგულირებელი გრძნობათა და ლტოლვათა ქაოსისა“.

ვისაც 2012 წელს გამოცემული, საქართველოს ეროვნული გმირის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი — „აზრები, გამონათქვამები, შეგონებანი“ არ წაუკითხავს, მას, რა თქმა უნდა, გაუჭირდება ამ ჩანაწერის ავტორის გამოცნობა. ან, შესაძლოა, ფელინიზე მიიტანოს ეჭვი, რომლის გენიალურ ფილმშიც „ორკესტრის რეპეტიცია“ თითოეული ინსტრუმენტი ადამიანივით, ქალივით და კაცივით ახასიათებს საკუთარ თავს, ფორმასა და შესაძლებლობებს...

აბა რა (არცაა გასაკვირი), ასე ხატოვნად და არაორდინარულად მხოლოდ რეჟისორები, მხატვრები და მწერლები ხედავენ სამყაროს და არა დისიდენტები, რომელთა მთელი სასიცოცხლო ენერჯიაც ფანატკურადაა მიმართული ერთადერთი მიზნისაკენ — მოახდინონ რეჟიმის შეცვლა და საკუთარი სამშობლოს გათავისუფლება.

საქართველო ამ მხრივაც გამონაკლისია. თანამედროვეთაგან ჩეხი ვაცლავ ჰაველის გარდა, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეტი არც არავინ მახსენდება დისიდენტებს შორის მეცნიერი, მწერალი და მუსიკისმცოდნე...

ზემოთმოტანილი ციტატა კი მერაბ კოსტავას ეკუთვნის. ეს ინფორმაცია სწორედ ამ ჩანაწერით მიხდოდა და მენყო და არა ტრადიციულად.

არადა, ტრადიციისამებრ მაისის თვეში (იგი ხომ 26 მაისსაა დაბადებული) მერაბ კოსტავას მემორიალურმა სახლ-მუზეუმმა უკვე წესადქცეულ შეხვედრებზე ამჯერად საპატიო სტუმრებად ორი გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე — ბატონი **როსტომ ჩხეიძე** და ქალბატონი **მაკა ჯობაძე** მიიწვიან.

ეს ესაა შენევეტილ მაისის წვიმაში თბილად ანათებდა ხასხასა მწვანეში ჩაფლული მერაბ კოსტავას პანია, თეთრი სახლი. ძველი თბილისური ეზოებისათვის დამახასიათებელი ხის რიკულებიანი აივანი ნელ-ნელა ივსებოდა ნაცნობ-უცნობი სახეებით. ვინ იცის, ზოგიერთს, ნეტარხსენებული, იმედებითა და ოცნებებით სავსე ჟამიც ახსენდებოდა, როცა ქვეყნის უპირველეს ჭირისუფლებთან ერთად იკრიბებოდნენ და უკეთესი მომავლის სტრატეგიულ ამოცანებს გეგმავდნენ ამ სახლში.

ამასობაში კი სახლ-მუზეუმის დირექტორი, ქალბატონი **ციცინო მაღლაფერიძე** სტუმრებს მერაბის ბინაში შეუძღვა.

დღეს უკვე იშვიათია ის განცდა, რომელსაც ეროვნული გმირის საცხოვრისი, საერთოდ, მუზეუმის ინტერიერი იწვევს. ძვირფასი ახლობლებივით შემოგვცქერა კედლებიდან მერაბ კოსტავას მშობლებისა და ნათესავების სურათები, თაროზე დალაგებული წიგნები და შავი საკონცერტო როიალი, რომელიც არაჩვეულებრივი მუსიკალური მონაცემების

მქონე მერაბისათვის საყვარელ ბიძას უჩუქებია. შეკრებილთაგან ვილცამ იმ საღამოს მერაბის გაკვირვებაც გაიხსენა, როცა მისთვის მიუნიშნებიათ, — შენ ასე ლარიბულად არ უნდა ცხოვრობდეო. — ლარიბი როგორა ვარ, მაქვს სახლი, კარი, ნიგნები და როიალი, მეტი რა უნდა ინატროს კაცმაო.

დიდი სულიერებისა და მასშტაბურად მოაზროვნე კაცები, ყველგან და ყველა დროში, მოკრძალებულად და მინიმალური მოთხოვნილებებით ცხოვრობენ. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი მეფეთა სადად მოწყობილი დარბაზები რომ არ შევანუხოთ, ამის თვალსაჩინო მაგალითები აგერაა, ჩვენ თვალწინ, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის წყალობით, ხოლო მხატვრებში ნიკო ფიროსმანის, ავთო ვარაზისა და თემო ჯაფარიძის პირადი ცხოვრებაცა თუ მათ მიერ დახატულ პერსონაჟთანა კაცებს სამუშაოდ და სააზროვნოდ ერთი ფინჯანი ლიმონიანი ჩაისი, ერთი ნაჭერი პურისა და ჭიქა არცის მეტი რომ არც არაფერი უნდათ.

ნეორეალისტური ფილმებისათვის დამახასიათებელი გრძნობათა სისავსისა და ნივთიერი სიხალვათის მშვიდი ნაზავით სუნთქავს მერაბის სახლიც. იმდენად ცოცხლად და გადამდებად, რომ მემორიალ-მუზეუმს ვერც დაარქმევ აქაურობას. აქ არაფერია გაყინული და გაჩერებული. აქ დრო ისევე ხელშესახებად მიედინება, როგორც ფრანგი იმპრესიონისტის სურათზე „კაფე არლეში“. აქ ნატამალიც კი არსადა ჩანს თანამედროვე ევროპული მუზეუმებისათვის დამახასიათებელი კომერციული ინტერესებისა, და... მერაბის სული ცოცხლობს და გრძელდება...

და აი, ქალბატონმა ციციმომ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ძვირფასი სტუმრები. და ვიდრე ქალბატონ მაკას გადასცემდა სიტყვას, შეკრებილთ შეახსენა იმ „არაჩვეულებრივი“ წერილის სათაური „ღვთისმშობლის ლიმილი“, რომელიც გამომცემლობა „ინტელექტი“ „ასი ლექსის“ პროექტით გამოცემულ მერაბ კოსტავას ლექსების კრებულს დაურთო და აღნიშნა: — არ მეგონა, მერაბის ბუნებას ასე ღრმად თუ ვინმე ჩასწვდებოდა და გახსნიდაო.

ქალბატონმა მაკამ მაღლიერებით მოიხსენია გამომცემლობა „ინტელექტი“, რომელმაც მწერალთა და ლიტერატორთა შორის სწორედ მასზე შეაჩერა არჩევანი. — მახსოვდა ზვიად გამსახურდიას ბრწყინვალე წერილი, მის მიერვე გამოცემული მერაბ კოსტავას პოეტურ კრებულზე, და იქნებ ამ ახალ კრებულს სწორედ ეს წერილი დაერთოს-თქო, ჩემი აზრი გავუზიარე გამომცემლობის დირექტორს. ბატონი კახა დამეთანხმა — ის მართლაც ძალიან კარგი წერილია, მაგრამ მაინც დროის კონტექსტში და დროის აქცენტებით შესრულებული. ჩვენ კი წლების მერე არა მხოლოდ დისიდენტ კოსტავაზე, არამედ პირველყოფლისა მერაბის პოეზიაზე გვინდა საუბარიო.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ, დანარჩენს მერაბის, როგორც პოეტის აღმოჩენით მოგვრილ სიხარულს და საგალობლების ინტონაციით გამთბარ მის რელიგიურ ლექსებს, საოცარ პოემებს ჩემთან ერთად თქვენც აღმოაჩენთო, — დასძინა ქ-ნმა მაკამ.

რაც შეეხება ურთიერთობას, სამწუხაროდ, ახლოს არ ვიცნობდი მერაბს, მაგრამ როგორც ბევრი ქართველი, ძალიან ახლობლად მივიჩნევდი. პირველად 80-იან წლებში ვნახე სვანეთში, კვირიკობაზე. არასოდეს დამავინწყებდა მისი ვაჟაკური ქედი, მონოლითური, ნაქანდაკევი სახის ნაკვეთი და ასე მჭექაურე და ასე საყვარელი შეძახილი: „მეგობრებო!“ ბორცვზე შემდგარს ცალ ხელში რახით გალიცილიცე-ბული ჯიხვის პანია ყანნი ეჭირა და საქართველოს უახლოეს გეგმებზე ესაუბრებოდა ჩემი კუთხის ხალხს. დიდიან-პატარიანად, ქალიან-კაციანად მთელი სვანეთი ეფერებოდა, ლოცავდა, კოცნიდა, ეხვეოდა. მეც მიხდოდა მასთან მისვ-

ლა, მაგრამ სიმორცხვე მბრკოლებდა. არასოდეს არვის გავუცვნივარ და ასე ფამილარულად როგორ გამოვეცნაურო, უხერხულია-თქო. ვინც არ ფიქრობდა და არ ანგარიშობდა, მიდიოდა და სიყვარულს უხსნიდა... მეორედ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წინ ვნახე, ქუჩაში რომ მოდიოდნენ ზვიადი და მერაბი...

ამის შემდეგ ამ მოვლებიდან ამონარიდის კითხვა ქალბატონმა მაკამ მისი ერთ-ერთი ახალი წიგნიდან „ჩაძირული დღესასწაული“ გააგრძელა, რომელიც ისევ „ინტელექტის“ მიერ გამოიცა პროექტით „ჩანაწერები“.

ქალბატონი ციციო, ვიდრე როსტომ ჩხეიძეს მოინვეს სასაუბროდ მის მოღვაწეობაზე გაამახვილებს ყურადღებას. მისი ბიოგრაფიული რომანები, პიესები, ესეები ისეთ დიდებულ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე როგორებიც იყვნენ ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, პავლე ინგოროყვა, გალაკტიონი, ილია ჭავჭავაძე, ოთარ ჩხეიძე, ვახტანგ ჭელიძე, არჩილ ჯორჯაძე, ალექსანდრე ბატონიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, მიხაკო წერეთელი, შიო არაგვისპირელი, ზვიად გამსახურდია... ნამდვილი საგანძურია ჩვენი მომავალი თაობებისათვის, აღნიშნა ქალბატონმა ციციომ და მადლობა გადაუხადა ბატონ როსტომს იმ დიდი ღვაწლის გამო — რითაც იგი წლების განმავლობაში როგორც ნაყოფიერი და სრულფასოვანი მწერალი, მეცნიერი, ესეისტი, რედაქტორი, გამომცემელი, ქართული კულტურის, ქართული მწერლობის უანგარო პოპულარიზატორი თავისი ტელეგადაცემებითურთ, მოყოლებული „ალიონის“ ტელეარხიდან, ვიდრე დღემდე, საპატრიარქოს ტელეარხზე „ერთსულოვნება“ დაუღალავად რომ ეწევა.

როსტომ ჩხეიძემ თავის მხრივ მადლობა მოახსენა მიწვევისათვის, და მანაც გულდანყვევით აღნიშნა, რომ მერაბთან მეგობრობა არ აკავშირებდა, ამდენად მოსაგონარიც ამ მხრივ ნაკლებად ჰქონდა. თუმცა ანაჩვეულებრივად ახსნა და ისაუბრა მერაბ კოსტავას ფერომენზე, რომელსაც ღმერთი, როგორც საჩუქრის ასწლეულებში ერთხელ იმეტებს მისი ხალხისათვის. როსტომ ჩხეიძე ასევე საგანგებოდ შეჩერდა მაკა ჯოხაძის წერილზე, „ღვთისმშობლის ღიმილი“, რომელიც პირველად ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა და აღნიშნა: — ქალბატონმა მაკამ ქართულ პოეზიას მისთვის ჩვეული სიღრმითა და არგუმენტირებული დამაჯერებლობით მერაბ კოსტავას რელიგიური პოეზია მთელი სისავსით აღმოუჩინაო.

ზვიად მიმინოშვილმა, მიესალმა რა მოწვეულ სტუმრებს, გაიხსენა მერაბ კოსტავასთან ერთად გატარებული ბედნიერი წლები და აღნიშნა, რომ ეს გახლდათ კაცი, რომელსაც უამრავ სიკეთესთან ერთად ადამიანური ურთიერთობების საოცარი ნიჭი ჰქონდა და სწორედ ამ ნიჭის წყალობით ჩავენერე მისი ახლო მეგობრების სიაშიო.

საქართველოს ეროვნულ გმირზე ასევე დიდი სიყვარულით ისაუბრა მოქანდაკე **მერაბ მეტრეველმა**, რომელსაც დამსწრე საზოგადოებამ მერაბ კოსტავას სახელობის პრემიის ლაურეატობა მიულოცა... სხვათა შორის, შავ როიალზე მდგარი მერაბ კოსტავას მცირე ზომის ბიუსტი სწორედ მის მიერ ყოფილა გამოქანდაკებული.

ქეთევან ცხვედიაშვილმა კი სკოლისა და უნივერსიტეტის წლები გაიხსენა, როცა „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადეს საპროგრამო ზუთხვით შენუსებულმა ვერაფრით აუღო ალლო. სამაგიეროდ, მხსენლად მეგობარი გოგონა მოევილინა, რომელმაც ამ ბინაში შეკრებებზე მოიყვანა; სადაც სისტემატურად საუბრობდნენ ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე, მუსიკაზე. ციკლურად განიხილავდნენ რუსთაველის უკვდავ პოემას და, — შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ზვიადისა და

მერაბის ახსნა-განმარტებებითა და კომენტარებით ვეზიარე ამ დიადი პოემით მოგვრილ სიხარულს, ამ კედლებში დავამთავრე „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიაო.

ძალიან ემოციური იყო ჭარმაგი ქალბატონის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის გამგის, **ნუნუ იოსელიანის** მოგონებები, რომელიც ამ ეზოში, მერაბის მეზობლად ცხოვრობდა და დღესაც ცხოვრობს. მან ასეთი რამ გაიხსენა — ერთხელ მამაჩემი ავად გახდა. აღარც ჭამდა, აღარც სვამდა, ვერაფერი გავუგეთ ვერც ჩვენ, ვერც ექიმებმა. ეზოში მერაბი შემხვდა და მომიკითხა, როგორ ხართო. მამაზე შევჩვიე — არაფერს პირს არ აკარებს, აღარ ვიცი, რა მოვუტანოთ. ხომ იცი, გამოცდილი მეთევზეა, ცოცხალი თევზი ახსენა და... ვლამარაკობ ჩემთვის, მერაბი კი მიიჩქარის დაღმართზე... მენყინა... ქვემოთ ზვიადი უცდის ვილისით... რალას მეკითხებოდა, თუ ასე ეჩქარებოდა-მეთქი, გავიფიქრე გულში. არ გასულა ერთი საათი და რას ვხედავ, კარზე მომადგნენ ორივენი — ზვიადი და მერაბი, ხელში ცოცხალი თევზით სავსე ვერცხლისფერი ვედროთი... აი, ასეთი იყო, — საყვარელი, ყურადღებიანი...

მეორე შემთხვევასაც გაიხსენებს: ერთ საღამოს, ფანჯრებს მიღმა როგორ სცემდნენ ასფალტზე დაგდებულ კაცს და როგორ ყვიროდა საცოდავი, მიშველეთ, მკლავნიო. კაციშვილი არ ჭაჭანებდა ირგვლივ. ყველა თავთავის სახლში შეიკეტა. ეს კიდევ, ვხედავ, პირდაპირი ფანჯრიდან გადახტა. მის გამო შემეშინდა. კარგა ხნის მერე უკან მობრუნებულს ვუსაყვედურე: — რა მიგარბენინებდა, ხიფათს რომ ეძებ სულ... — ბა, რა მექნა, მიშველეთო, გავიგონე, კაცი ყვიროდა და არ მეშველა? — ისე ალაღად იკითხა, შემრცხვა...

დიდხანს აღარ შეგანყენო, მაგრამ ერთი მინდა გავიხსენო... ეს ის პერიოდია, ნარკომანები რომ მომრავლდნენ ქალაქში, ისე მომრავლდნენ, შპრიცებს პირდაპირ ქუჩაში ყრიდნენ, რამდენჯერმე ჩვენს აღმართზეც ვნახე დაგდებულნი და გამწვანებულმა შევჩვიე მერაბს. ეზოში ვართ, მერაბს გვერდით სულ პატარა ირაკლი უდგას. უცებ ის თავისი ბუხუნა, ომხიანი ხმით ეკითხება შვილს:

— ირაკლი, ყველაზე მეტად ვინ მიყვარს მე?

— საქართველო, — დაუფიქრებლად პასუხობს წვრილი ხმით პატარა ირაკლი.

— ჰოდა, იცოდე, თუ ღირსეული კაცი არ გაიზრდები და არ გამოადგები შენს სამშობლოს, ჩემი ხელით წაგაცლი თავს.

მოგონებები გახანგრძლივდა, თითოეული მათგანი აქამდე უცნობ ახალ შტრიხს მატებდა ეროვნული გმირის სახეს.

ბოლოს ქალბატონმა ციციომაც მოაყოლა ხალისიანი თავგადასავალი: შუალამისას თუ როგორ ნავიდნენ სათევზაოდ ის და მერაბი.

საღამოს დასასრულს მსმენელთა ერთი გოგონა გამოეყო და ქალბატონ მაკას აკოცა — თამთა კოსტავა ვარო. — რომც არ გეთქვა, თამთა, თვალებით ისე ჰგავხარ მერაბს, თვითონ მივხვდებოდიო, — და ახლობელივით მიუაღერსა.

აღმოჩნდა, რომ საქართველოს ეროვნული გმირის შვილს, თამთა კოსტავას, სამუშაო არ გააჩნია. არადა, რა ბუნებრივი, მადლიანი საქმე იქნებოდა, სახელმწიფოს მისთვის ოფიციალურად გამოეყო შტატი, რათა სახელოვანი მამის კარმიდამოში ეტროლა და მუზეუმის სტუმრებსა და დამთვალიერებლებს როგორც შვილი და როგორც მასპინძელი, ისე დახვედროდა.

ციციონო მალაფერიძემ სტუმრებს — როსტომ ჩხეიძესა და მაკა ჯოხაძეს — კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა და იმედი გამოთქვა, რომ მათი ურთიერთობა და თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდებოდა...

წვიმდა... მწვანეში ჩაფლული თეთრი, ქათქათა სახლი მერაბ კოსტავას საგალობლებს მღეროდა...

ნინო ვახანია

ალდი — დაბადება სიკვდილისათვის

(გიორგი არაბულის პოემა-გვრინი)

**სიკვდილო, თუკი ადვილი ხარ,
ერთხელ შენ თვითონ რად არ მოკვდი,
თოვლივით მზეზე რად არ დასდნი?**

„ჩვენი მწერლობის“ ამა წლის 4 აპრილის ნომერში ახალგაზრდა პოეტის, გიორგი არაბულის პოემა დაიბეჭდა. თუმცა მოცულობით ნაწარმოები ვრცელი არ არის, მას პროლოგიც აქვს, ეპილოგიც, თავებიც და ქვეთავებიც. თემა პოემისა ერთია – სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული დაპირისპირება და ერთიანობა. პოემა-გვრინი უნოდებია ავტორს ნაწარმოებისთვის. „გვრინი“, სულხან-საბას განმარტებით, სამგლოვიარო ხმაა, ხევესურულში თურმე შრომის სიმღერას, მთიბლურს ნიშნავს. ამ ახსნას ადასტურებს „განმარტებითი ლექსიკონიც“. სიკვდილიც ხომ მთიბველია.

**ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს,
რასა სცელავს?**

ხალხის მსოფლმხედველობას (და შესაბამისად, ენასაც) ერთ სიტყვაში მოუქცევია სიკვდილისა და თიბვის ცნებები.

**სიკვდილო, კარგი მთიბველი ხარ,
ზამთარ-ზაფხულ და დღე და ღამ
სიცოცხლეს თიბავ რჩეულთასა...**

ასე, ერთ სიტყვაში, გვრინში, მოისმის სიცოცხლისა და სიკვდილის ხმები ერთდროულად, ამ სიტყვაშია შენივთებული ურთიერთსაპირისპირო გრძნობები, როგორც განუყოფელი ოქსიმორონი.

სხვათა შორის, სწორედ ცელია სიკვდილის სიმბოლო ამერიკელი მწერლის, რეი ბრედბერის მოთხრობაში „ცელი“ (ქართულად თარგმნა ასმათ ლეკიაშვილმა). ცელზე წარწერაა: „ჩემი მფლობელი — ქვეყნის მუფყა“. სიკვდილის ცელი შემთხვევით ჩაუვარდა ხელთ დრიუ ერიქსონს, მანამდე ამ იარაღს სხვა პატრონი ჰყავდა.. თუმცა შემთხვევითობა მეტისმეტად პირობითია. აქ უფრო კანონზომიერებად ითქმის. რადგან ჯონ ბურმა (ცელის უწინდელმა მფლობელმა) საკუთარი სიცოცხლის თავთავი მოჭრა და კიდეც მოკვდა, ცელს აუცილებლად უნდა დაეუფლოს ვინმე სხვა. სხვანაირად დედამიწაზე სიცოცხლე შეუძლებელია. დაირღვევა ჰარმონია. ეს „სხვა“ ამჯერად დრიუ ალმონდა. უკვირს დრიუს ყანის სიდიდე, თავთავების განლაგება, მოცელით თავთავის დაღობვა ნახევარ საათში... ამასთან, იმასაც ამჩნევს მთიბველი, რომ ძველის სანაცვლოდ სადღაც აუცილებლად ჩნდება და იზრდება ნორჩი, ახალი ჯეჯილი. დრიუ თითქოს საკუთარი სურვილით კი არა, ვიღაც უჩინარისა და ძლიერის ბრძანებითა და ნებით მკის ყოველდღე — დილიდან დაღამებამდე — ყანას, რომელიც მაშინვე ღებება და რომელსაც პრაქტიკული დანიშნულება (ოჯახის გამოკვება) არ გააჩნია.

დრიუ თანდათან ხვდება, რომ ცელის თითო მოქნევაზე ათასობით ადამიანი კვდება, რომ ეს სიკვდილის ცელია. მან იმის გარჩევაც კი შეძლო, რომელი თავთავი ვისი სიცოცხლეა.



გიორგი არაბული

ამიტომ არ მოჭრა ცოლ-შვილის სიცოცხლე, თუმცა უნებურად მოცელა სამი მეგობარი, დედა... საშინელი ხანძრის შედეგად ამოზუგვას სასწაულებრივად გადაურჩა დრიუს ცოლ-შვილი, მაგრამ ისე, რომ აღარც ცოცხლებში ეწერნენ და აღარც მკვდრებში. სუნთქავდნენ, მაგრამ ამქვეყნისა აღარაფერი ესმოდათ. აი, ცელის ძალა, — ფიქრობს შეშინებული დრიუ.. კაცს აღარ უნდა ასეთი ყანის მკა, უარს ამბობს მუშაობაზე, თუმცა სულ ორიოდ დღით.

ცელი თვითონ არ ეშვება, არამქვეყნიური ძალა აიძულებს დრიუს, შეუსვენებლად, გიჟურად იმუშაოს. ეს მისი მოვალეობაა, სიცოცხლეც ესაა. არც ამ ყანის არსებობა და არც მკის მიზანი არავინ იცის ამქვეყნად ცელის პატრონის გარდა. ერთის სიკვდილის შემდეგ მას სხვა ეუფლება და ასე უსასრულოდ. იცვლება, ისობა ადამიანთა სიცოცხლე და იქვე ჩნდება, იბადება ახალი ყლორტები, რათა მერე ისინიც მოიცელოს...

გალაკტიონის ფანტასმაგორიებში „მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი...“, „ცელი კივის“ და შემოდგომის მოახლოებას გვამცნობს. ცელი კივის ბრედბერის მოთხრობაშიც, თანაც ისე, რომ იცავს უზუნაეს წესრიგსა და კანონზომიერებას.

აქ კი, გიორგი არაბულის პოემაში „არაგვივით მღვრიე და მითივით ბუნდოვანია“ სიკვდილმყერილი ალდის სიზმრები. სწორედ ეს სიზმრები უნდა ვჩხრიკოთ, ესე იგი მთელ ლექსს მივადევნოთ თვალი და გულისყური, რადგან მთლიანად წანარმოება ალდის სიზმარი (და არამარტო ძილში მოლანდებული).

ნებისმიერი ავადმყოფობის შეყრა შეიძლება, მაგრამ სიკვდილის? თურმე — მისიც. როგორღაც, დიდი ხანია, ქართველი კაცი გაშინაურებია სიკვდილს. რომ ვერსად წაუვა, ხომ იცის და იცის. „ის ჩვენსკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერსად ავუქცევთ გზათაო“. თითქოს დაბადებითვე შესისხლბორცებული გაქვს ესეც: „სცდების და სცდების სიკვდილსა ვინ არ მოეგის წამისად...“ საუკუნეთა სიღრმეში შექმნილი ზღაპრებიც ერთხმად გვიდასტურებს, ცხრა მთას იქითაც რომ გადაიკარგო, სხვა ქვეყანაში, სხვა ქალაქსა თუ სიფელში გაიქცე, მაინც ვერსად წაუხვალ, ვერ დაემალები — იქ შეგხვდება, იქ გიყვლებს, სწორედ იქ, სადაც არ ელი, სადაც გაექეცი...

ალდის დაუბრუნდეთ, სიკვდილმყერილი ალდის.

„რწმენაბერნი“ ალდგომის გათენებისას მარტო ზის ფეხონში და ყაღვიონს აბოლებს სოფლის ერთადერთი მკვიდრი. ალდგომაც ხომ მიგვანიშნებს ღვთის სიახლოვეზე, სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვაზე. კიდევ უფრო ძლიერდება ეს განცდა, როცა თამბაქოს ბოლის ცაში ასვლას ლოცვას ადარებს პოეტი. თითქოს უბრალო თამბაქო კი არა, რაღაც უფრო

მეტია, საკმეველია, სანთელია, უსისხლო მსხვერპლია, კაცთა მიერ ცად შენიღული (ბარათშვილის ყვავილები გამახსენდა, „ვით გუნდრუქსა სამადლობელსა“, ცისკენ რომ აღკმევენ სურნელებას). შემნიღული კი უთუოდ კაცთა შორის რჩეული უნდა იყოს — ან აზრ-გონებით, ან გრძნობით, ან ფიზიკური ძალ-ღონით, ან დაკისრებული მოვალეობით, ან... ან... ან...

სოფლის პატრონი მარტო აღდია. სოფელი ვინ და ერთი კაცი. ეს ადამიანებით სავსე სოფელზეა ნათქვამი. თურმე იქაც ერთი, ერთადერთი კაცია სოფლის სახელის განმთქმელი თუ შემნარჩუნებელი. და სადაც ერთი ადამიანი ცხოვრობს, იქ ხომ იგია, მარტოდმარტო სოფლის და ქვეყნის ჭირისუფალი. მან საკუთარ თავზე უნდა აილოს ყველა საქმე, თვითონ უნდა გაუძღვეს ყველა საქმეობას. ვაჟას „ბახტრიონში“ სანათას, ამ მართლაც სულით ნათელ ქალს მამაკაცის მოვალეობა უტვირთია მხოლოდ იმიტომ, რომ ცოცხალი კაცი აღარ დარჩა სოფელში, ყველა მტერთან ბრძოლაში განყდა. აღდის სოფელში რაღა ხდება? მსგავსს ვერაფერს ვიგებთ თხრობიდან. სავარაუდოდ, უბრალოდ, დაცარიელებულა მთის სოფელი. უფრო იოლი ცხოვრება ურჩევიათ სხვათ. აღდილა დარჩენილა პატრონად, მომეგულად, შემნახველად. აღდისნაირი ადამიანები ღვთის რჩეულნი არიან. მან, მან უნდა აღასრულოს ღვთის სათნო და კაცის სარგო საქმეები. უნდა იცხოვროს, წინაპართა გზაზე უნდა იაროს ანუ უნდა ილოცოს, უნდა თიბოს, უნდა გამოხადოს არაყი, უნდა დააფრთხოს ქაჯ-ემშაკნი და, რა თქმა უნდა, უნდა მოკვდეს.

**აღდიმ უნდა გაითხაროს საფლავი,
აღდიმ უნდა ჩაიცვას ტალავარი,
აღდი უნდა მოკვდეს.**

სიცოცხლე სიკვდილის გარეშე ვინ თქვა და ღირსეული სიცოცხლის დაგვირგვინება ღირსეული, ლამაზი, ვაჟკაცური სიკვდილი უნდა იყოს, ყველა წესისა და რიგის მიხედვით შესრულებული სამგლოვიარო რიტუალი უნდა იყოს. ვერ დაელოდება აღდი ნადირობისას (ან სხვა დროს) შემთხვევით სიკვდილს, ვერც სიბერესა და უძღურებას დაელოდება, ცხადია. არა, უნდა გაითხაროს საფლავი, უნდა ჩაიცვას ტანსაცმელი და მზადმყოფი უნდა მოკვდეს. ამიტომ:

**როგორც ახალგაზრდა ქალი ჯვრისწერისთვის,
ისე ემზადება აღდი სიკვდილისთვის.**

ადამიანი დაბადებისთანავე რომ სიკვდილისკენ მიმავალ გზას ადგება, ეს ახალი და უცნობი არ არის არავისთვის. რანამსაც დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არის. ეს ხომ ასეა, მაგრამ ზოგი თუ გულმოდგინედ ემზადება სხვა საუფლოში გადასასახლებლად, ზოგს სულაც დავინწყებელი აქვს მარადიული ცხოვრება და მხოლოდ ამქვეყნიურს, წუთიერს შესტრფის და შეჭხარის. თუმცა იმ კაცს, ცელისმქნეველს ჯერ არავინ დარჩენია აქ. ამიტომ არ უნდა დაელოდოს აღდი სიკვდილის მოსვლას, არ უნდა დაელოდოს სიბერეს. „ვოი, რა უფერულია სიკვდილი ლოგინში“. არ უნდა შეეშინდეს, არ უნდა დალაჩრდეს.

* * *

მრავალნაირი სიზმარი იცის ადამიანურმა ყოფამ და მრავალგვარად ასახულა ის სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც. აღდისაც მოუვლინა ავტორმა აღსასრულის მანიშნებელი ზმანება. „საოცრისმყენეს ძალით იხილა საოცარი“. ჯერ მარტო ეს ერთი სიტყვა — „საოცრისმყენე“ (თანდართული განმარტება — ის, რა სიზმარს მოაღანდებს ადამიანს) მოგაგონებს მითოლოგიურ ჟამს. და მერე: სიკვდილი შინშივით ესტუმრება აღდის. ძალიან ახლობელი, ნათესავ-მოყვარე ყოფილა ეს სიკვდილი. ოღონდ ვინ უნდა შეასრულოს წესი? გარდაცვლილს ვინ გაუთხაროს სამარე? ვინ დაიტვიროს? ვინ განბანოს? ღამე ვინ უთიოს? ვინ არბენინოს სულის ცხენი? აქ ისევ ბარათაშვილი წამოაგონდება

მკითხველს, შავი ყორანი გამითხრის საფლავსო, რომ წინასწარმეტყველებდა; ილიას გაბრიელიც გაგვახსენდეს იქნებ („გლახის ნაამბობიდან“), ამოდენა დედამიწის ზურგზე დამტირებელი არა მყავსო, რომ წუხდა... მაგრამ მაინც სხვა, განსხვავებული დატვირთვა და საზრისი აქვს აღდის სამზადისს.

აღდი ხომ თვითონ არის სოფელიც. თანდათან ზოგადდება ლირიკული გმირის სახე. ყველა ადამიანი ცალკე სოფელია, ცალკე ქვეყანაა, ცალკე სამყაროა. მასთან ერთად იბადება და მასთან ერთადვე კვდება განუმეორებელი, ერთადერთი, სრულიად განსაკუთრებული. ყველა მარტოა ამქვეყნად საკუთარი თავისა და ღვთის წინაშე დარჩენილი. წუთისოფლის ვალი უნდა მოიხადოს ყველამ. „თვითონ“, „თვითონ“, „თვითონ“, — იმეორებს აღდი. ამ გზაზე ვერავინ ვერავის შეეხილება, ვერავინ ვერავის შეუმსუბუქებს ტვირთს იმიტომ, რომ ეს მარტო ხორციელად შესასრულებელი რიტუალი კი არ არის, არამედ შინგახი მზადება მარადიულობასთან პირისპირ შესაყრელად (აქ კი ყოველთვის მარტო, უმნედ, უმეგობროდაა დარჩენილი კაცი).

ახლა უნდა მოკვდეს აღდი და მოკვდეს სოფელი.

ერთობ დრამატული ვითარებაა. ნეტა იქით რაღა? საიდან მოდის სიკვდილი ან სად მივყავართ? ლოგიკურია, რომ უამრავჯერ წამოჭრილი და წამოსაჭრელი, პასუხგაუცემელი კითხვები აწუხებს პოემის პერსონაჟსაც. მინიდან ცამდე აწვდილ კიბეზე ასვლას ჰგავს აღდისთვის ღმერთთან მიახლება. ვის აწველოზნი მოლანდებიან ამ დროს, ვის — ქაჯ-ემშაკნი. თუ უკვე წასული ნათესავ-მოყვარე-მეგობრების სახით გვხვდება მარადიული ქვეყანა, არ ყოფილა სიკვდილი საშიში. სიკვდილისთვის დაიბადა აღდი, ისევე, როგორც სიკვდილისთვის იბადება ყველა ადამიანი.

**ყველაფერს ხავსი და ბალახი ედება ბოლოს,
სახლსაც,
იარაღსაც,
საფლავსაც,
სახელსაც.
ღვთის ნილია ყველა საქმეში,
ღმერთია უზენაესი ძალი და დიდება.**

ეკლესიასტეს მოთქმა-გოდება ახალი აღთქმის რწმენას შერწყმია. და რადგან ყველაფერი ღვთის ნებაა და სიკვდილს ვერსად წაუვალთ, ნეტა ლამაზი და ვაჟკაცური სიკვდილი მაინც გვხვდეს ნილად. აი, ისეთი, ხახმატელი ყირა ბაჩიქვაურის, ამლიონი დავით ჭოლიკაურის სიკვდილის მსგავსი. მკითხველმა იქნებ არც იცოდეს, ვინ არიან ზემოდასახელებული პიროვნებები ან რა სახელი დაუდგიათ აქ, მაგრამ ამის ცოდნა განა რას შემატებდა ჰეროიკულ განწყობილებას. ჩვენ იმათ სიკვდილს კი არა, იმათ სიცოცხლეს შევნატრით და განა რამ გაყო სიცოცხლე და სიკვდილი? „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შევნობს შენითა“, — კლასიკურ ფორმულაში ჩამოასხა ვაჟამ. ბრძენი ქართველი მოკეთე-გულშემატკივრის ოჯახს ასე ლოცავდა: ღმერთმა ნურც მკვდარი გამოგილიოთ და ნურც ცოცხალიო. თუ ვინმე ნათქვამს ვერ მიუხვებოდა, ბევრს არას ინაღვლიდა, მან ხომ ზუსტად იცოდა, რომ დალოცვა ეს არის თუ არის.

საკუთარი თავისთვის, როგორც უკვე მიცვალუბულისთვის, ფსალმუნის ნაკითხვას ჯერ კიდევ „აბოს ნამებში“ ვხვდებით. აბო ხედავდა თავის თავს გარდაცვლილს და ისე მიდიოდა, თითქოს საკუთარ ნეშტს მიაცილებდა და ასმეთვრამეტე ფსალმუნს ამბობდა. აბო ძალადობის მსხვერპლი გახლდათ, გიორგი არაბულის პოემის ლირიკული პერსონაჟი კი გარდაუვალის მოლოდინით (თუ გარდაუვალის სრული შეგნებით), ტრადიციის ყველა პუნქტის დაცვით, ნაბიჯ-ნაბიჯ, აუჩქარებლად (ისე, რომ არაფერი დაავინწყდეს, არაფერი გამორჩეს) ემზადება სიკვდილისთვის. „ბალად დაბადებული ბალადვე უნდა მოკვდეს“, — ეს აღდის სულიერი მდგომარეობაა. ძალზე

შთამბეჭდავია მისი სიმღერაც, სამფერი სუდარის ჩაცმაც, სანთლის დანთება და ლოცვაც, „სულის ცხენის“ გაშვებაც...

საფლავთგორას აუყვან ალდი სიკვდილზე ფიქრით, სიცოცხლეზე ფიქრით (ჯვრალ ქარჩხაძის იგი რომ ფიქრობს, რა რჩება ადამიანისგან სიკვდილის შემდეგ). ათავა ბილიკი და კიდევ მიხვდა ჭეშმარიტებას — ამქვეყნად შერცხვენილი სიცოცხლეა ნამდვილი სიკვდილი. ეს სათქმელად ადვილი და საქნელად ძნელი პირობა ორიგინალურად, მოკლედ და ტევადად აქვს გამოთქმული ავტორს. რასაც ამბობს, ნაბაძვა ან კეკლუცობა კი არ არის. კითხულობ და ხედები, რომ ყველაფერი თვითონ აქვს გულისგულში გამოტარებული. ამ ახალგაზრდა კაცს ბევრი უფიქრია სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ საკითხზე, უფრო მეტი, ვიდრე საკუთარ პერსონაჟს ათქმევინებს; ხედები, რომ თვითონაა ალდი და თან გენანება (ასეთი ახალგაზრდა — ბერკაცის აზრებისთვის) და თან გეძვირფასება (სწორედ ეს „კეთილი მოხუცებულები გონებისაი“). „სიკვდილისთვის დაიბადა ალდი“. ნეტა სხვები რილასთვის იბადებიან?

სიკვდილის პერსონიფიცირება უცხო არ არის არც სიტყვაკაზმული მწერლობისთვის, არც ხალხური შემოქმედებისთვის. ძნელია მკითხველის ემოცია გამოიწვიოს მრავალჯერ თქმულის კიდევ ერთხელ გამეორებით. რთულია, მაგრამ სწორედ ამას ახერხებს გიორგი არაბული სიკვდილის ცოცხალ ადამიანად, რეალურ პერსონაჟად წარმოსახვით და ეგრეთწოდებული ნაივური კითხვებით:

**რა ხნისაა სიკვდილი და რამდენი და-ძმა ჰყავს? ნეტავ, რა ჰქვია დედას სიკვდილისას, თუ იცის ტალავრის ქსოვა და ლოცვა შეშინებულისა? ნეტავ თუ დაჰლამებია მამას შეშაზე წასულს და თუ ჰლოდნებია სიკვდილი ცისპირის ტეხამდე? ...
სად მიდის სიკვდილი? სად სძინავ სიკვდილს?**

დატეხილი სტრიქონი დინამიურობას ანიჭებს ლექსს, მკითხველს ცოტათი სულის მოთქმის საშუალებასაც აძლევს, ცხადია, ინტერესის გაუნელებლად. მართლაც, ჩვენნაირი თუა, ჩვენ თუ გვავს, ჩვენსავით თუ ფიქრობს, ჩვენსავით თუ გრძნობს?... — ავტორის გულისთქმას თავისას ააყოლებს მკითხველი.

ნეტავ შეიძლებოდა სიკვდილი წინ გეჯდეს, არაყს ასმევდე და ბაღის სიცილს ასმენინებდე...

მცირე გადახვევა: ჩემი მეგობრის მამას, ასაკოვან, ჭარმაგ მოხუცებულს მისი მეგობარი (ალბათ, მისივე ტოლი) ესუბრებოდა, სიკვდილი ამდენ ხანს როგორ არ მოგაკითხავდა, მაგრამ, ეტყობა, როცა მოვიდა, შენ ყოველთვის შენებურად სუფრა გაუშალე, ღვინო დააღვინე, საუბრით შეიქცეე და მერე დანაყრებულსა და შეზარხობებულს შენი წაყვანა ყოველთვის დააყენებდაო.

ახლა ისევ პოემა.

კრებულში „მგოსანნი გლოვისანი“ ხმით დატირების ნიშნუშვია შეკრებილი — ხალხის ნიაღში შექმნილი და ხალხშივე გავრცელებული დატირება დის მიერ ძმისა, დედის მიერ შვილისა, სწორედის მიერ რჩეულისა და სხვა. პოემის ავტორი ხალხურ ნიშნუშვებს იყენებს და ისე წარმოიდგენს, როგორ დაიტირებენ ალდის. „ნეტავ სიკვდილსაც მისცა შვილიო, იმას სხვა სიკვდილ შამაჰყარაო“, — ყველა შვილმკვდარი დედის საფიქრალი და ჩუმი ნატვრაა გამჟღავნებული. ნეტავ დედაც მისცა სიკვდილს, მამაც, ძმაც, მეგობრებიც, — მიაღვენებს თავის ფიქრს მკითხველი საკუთარი გამოცდილების კვალობაზე.

პოემის თემა ძველია, ძველთაძველი და მარადიული, მაგრამ ავტორის შეგრძნება, განცდა, დამოკიდებულებაა ახალი.

ალდის სიზმარიც ისეთივე არსებულია, როგორიც რეალური სამყარო. შემოქმედის მიერ შექმნილი პერსონაჟიც რეალური ადამიანია, ოღონდ მისი გზა-სავალი თვით შექმნილზე, პოეტზეა დამოკიდებული. ალდის ლექსი და სიზმრები რომ დასასრულს მიუახლოვდა, ბევრი უფიქრია ავტორს, რით დავითავრებინა პოემა, როგორი ბოლო მოენახა ნაწარმოებისთვის. არ ვიცით, ეს „ბევრი“ რამდენია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სულ სხვადასხვანაირად წარმოიდგინა ეპილოგი, უტრიალა, ჩხრიკა, გონებაში გამოატარა... „ჩემს ხელში იყო მისი სიკვდილიც და ცოცხლად დარჩენაცო“, — გვითხრა („მთლად მე მეკუთვნის ქვეყანაო“, — ასე შეიგრძნობდა ვაჟა-ფშაველა). უტრიალა, უარა და ბოლოს მაინც სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა გმირი. ლექსში მოქმედება ლოგიკურად სიკვდილისკენ მიემართება, დასასრული კი თითქოს ალოგიკურად მობმია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. „მე გავიმარჯვე დღეს ამ ლექსითო“, — ტყუილად როდი ეამაყება შემოქმედს. მართლაც გამარჯვებაა, ნამდვილი გამარჯვება — და მარტო ალდის ცოცხლად დატოვება კი არა, არამედ მთელი პოემა თავისი საფიქრალ-საწინააღმდეგო და საოცარი დასასრულით, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაუსრულებელი დასასრულით. ლექსმწერლის საფიქრალს მკითხველის გულისთქმაც აჰყვება:

მაგრამ შენ, ალდი — სად წახვალ ამ ლექსის მერე? რომელ ბილიკს აირჩევ? როგორ დაეხსნები ლექსს? როგორ დაეხსნები სიკვდილს?

პოემაში გიორგი არაბულმა ასახა არა ის, რაც ნახა, არამედ ის, რაც იფიქრა, ესე იგი ახალი, საკუთარი (უკვე ჩვენიც) სამყარო, რეალობა შექმნა, რომელშიც მელანქოლიური და ხალისიანი (პეროიკულ-ამაღლებულიც) განწყობა ენაცვლება და ერწყმის ერთმანეთს და თავისებურ სილამაზეს ქმნის — ფორმის, აზრის, ემოციის ჰარმონიის სილამაზესა და მომხიბვლელობას.

ავტორი მოხდენილად იყენებს ფოლკლორს. საჭირო ადგილას, სწორედ შესაფერის აზრობრივ და პოეტურ კონტექსტში მოაქცევს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. ამითაც შეგვაგრძნობინებს მთის კოლორიტს, ასე ნაცნობსა და მონატრებულს ჩვენთვის. პოემა ურთიმოა და საუკეთესო მაგალითი ე. წ. თეთრი ლექსისა. როგორც ყველა ნაწერი, ესეც სარკესავით ირეკლავს თვითონ შემოქმედის სულს — ნაწარმოებში ხელშეახლება ჩანს ავტორის მდიდარი შინაგანი სამყარო. სიტყვა გიორგი არაბულისთვის მარტო საკომუნიკაციო საშუალება როდია, ის უპირველესად ესთეტიკური ფენომენია (ასეც უნდა იყოს ლექსმწერლისთვის, მაგრამ განა ყოველთვის, ყველა პოეტურ ნაწარმოებში ვხვდებით და ვგრძნობთ სიტყვის მუსიკას, სიტყვის სილამაზეს, სიტყვის რიტმს).

საერთოდ, ძნელია და საფრთხილო ახალგაზრდა კაცის ჯერ კიდევ პირველი ნაბიჯების შეფასება. არ იცი, რას მოიტანს მერმისი, როგორ განვითარდება პოეტის ნიჭი, რას შექმნის და რას დატოვებს სამომავლოდ... კიდევ ბევრი რამის გამო შეიძლება კრიტიკოსმა თავი შეიკავოს აღტაცების გამოთქმისგან მაინც. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გარკვევით უნდა ითქვას, რომ გიორგი არაბულმა პოემა-გვრინით ჩვენს სულიერ ცხოვრებას უკვე შეჰმატა ფასეული ქმნილება. სწორედ ამიტომ მისგან კვლავ მოველით ახალ, საეულისხმო, გამორჩეულ ნაწარმოებებს.

„ბოლოს როდის იყო, რომ ხევსურეთიდან მოსულ ხმაში სიცოცხლე ასე ძალუმად ფეთქდა“, — რიტორიკულად კითხულობს პუბლიკაციის მოკლე წინასიტყვაობის პროფესიონალი ავტორი. ზუსტად, ალბათ, ვერავინ გაიხსენებს და დაადგენს, ბოლოს როდის იყო, მაგრამ იმას კი აუცილებლად ვიგრძნობთ, თურმე როგორ მოგვანატრებია „მოიღონ ყვირილი ხორისა“.

მანონ ბულისკერია

ფრაგმენტში განცდილი მთლიანობა

დღეს, როცა თვალსაწიერი წარმოუდგენლად განვრცობილია და გაცილებით აქტუალურია ხელოვნების იმუნიტეტი, ყველა ჭეშმარიტი ხელოვანი თავის შემოქმედებაში ექსპანსიურია ალბათ და თითქოს არც ამ ექსპოზიციანზე უნდა იყოს გასაკვირი ფერებში გამჟღავნებული ემოციები, მაგრამ, როცა პარალელურად მიედინება მედიაცია და ხშირად ზღვარიც კი იშლება მათ შორის, ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სამყაროს შერწყმის თანამონაწილე ხდები... იზიარებ ავტორისეულ კონცეფციას და მთელი სისტემა (თუ მოვლენა!) ფოკუსში გამასხვორდება, რომელსაც პირობითად ფერში აღიქვამ და სავსებით შესაძლებელია, ეს სულაც არ იყოს ერთ-ერთი ძირითადი ფერებიდან...

ინტენსივობას არამარტო სინათლე (Ofthalmij Art Gallery-ს ჭერიდან უხვად რომ მოეფინება ტილოებს) მატებს „თორმეტ ფრაგმენტს“, არამედ გემოვნებიანი დამთვალეიერებლის წარმოსახვაც... გარკვეული ნიშნების ამონევა და გრაფიკის პერიოდული მონაცვლეობა, ნებით თუ უნებლიეთ, აბსტრაქციის წინაშე გაყენებს... ძალიან საგულისხმოა, რომ არათანაბარი იმპულსების მიუხედავად, რიტმი შენარჩუნებულია და დამაჯერებელ ტონალობასთან ერთად, სრულიად განსაკუთრებული კოლორიტი იქმნება.


სივრცესთან განსაკუთრებული მიმართება გამოიხატება თითოეულ „ფრაგმენტში“ და თვალსაწიერია ექსპოზიციანეც. გეომეტრიული ორნამენტი მხატვრის განსხვავებული, განსაკუთრებული ხელწერისა და მაღალი გემოვნების დასტურია. ზუსტად მიგნებული წერტილები თუ სამკუთხედები შრეებად განფენილ ფერებზე ქმნის ეფექტს... გრძნობ, ავტორთან უდავოდ გაკავშირებს უფაქიზესი სუბიექტური განცდა... არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი ხანი დაჰყო ამ განწყობამ მხატვართან, ტილოზე ის სამუდამოდ აღიბეჭდა და ახლა „Impression“ ნაწილობრივ შენიცაა, გაგყვება დიდი ხნით და ძალიან შორს, უფრო შორს, ვიდრე მეხსიერება, რადგან იმის იქითაც აუცილებლად ამოტივტივდება რომელიღაც „ფრაგმენტი“, როგორც ამონარიდი ჭეშმარიტი ხელოვნების ანამნეზიდან.

ფერებზე საუბარი ალბათ პირობითია, რადგან აღქმა მაინც ინდივიდუალურია, თუმცა აქცენტი, რომელიც ხელოვანმა შემოგვთავაზა, აუცილებლად გულისხმობს მთელ სიდიდეს, რომელთანაც თითქოს ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, სიბრტყეზე სიმეტრიულად განლაგებულ მინიშნებებს მივყავართ და ინტეგრალი წარმოუდგენლად შთამბეჭდავია.

მხატვარი არ ცდილობს ეფექტური გარეგნული ფორმებით მოიტანოს სათქმელი და განყენებული გააზრებით შესანიშნავად ახერხებს თორმეტი სხვადასხვა შინაარსის გაერთიანებას საგულისხმო იდეაში.

„ფრაგმენტებში“ არ იკითხება ესკიზები. პროცესში ხორც-შესხმულ ხელოვნებას კი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შეუძლია გაგრძობინოს საკუთარ თავში იმ რიტმთან ძალიან მიახლოებული რეზონანსი, რომელსაც შემოქმედი მუშაობის პროცესში ანგარიშს უწევდა...

ერთი შეხედვით, მხატვარი განსაკუთრებულ აქცენტს ფერებზე აკეთებს, თუმცა... არანაკლებ ხაზგასმულია გრაფიკა, „ფრაგმენტების“ მოცულობა, სიმეტრია... რა თქმა უნდა, ტონი რჩება ექსპონატის ძირითად ნიშნად, როგორც შრეებიდან ამონეული თანმიმდევრული მრავალფეროვნება, საბოლოოდ ერთ კონკრეტულ ფერში აღქმული, თუმცა გრადაცია აუცილებელი პირობაა, რადგან გია გუგუშვილის შემოქმედებას



გია გუგუშვილი

უსათუოდ მოაზროვნე, ინტელექტუალი გულშემატკივარი, შემფასებელი თუ დამთვალეიერებელი ჰყავს...

გამჭვირვალობა ალბათ არ უნდა იყოს მაღალი ხელოვნების უპირობო მახასიათებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში... როცა ემოციის მიღმა განცდილ სივრცეს და მას იქით რომელიღაც გრაფიკულ გამოსახულებას (რომელიც აუცილებლად თავის თავში მოიცავს არცთუ ისე კონკრეტულ სხვაობას) მიადევნებ გონებას, სწორედაც რომ სინათლე უწყვეტ ნაკადად გაედინება (თუ მოედინება!) და დიაგრამა ძალიან ეფექტურია. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც არანაკლებ მნიშვნელოვანია აღქმის ინდივიდუალური უნარი...

გია გუგუშვილის მეტყველი ფერწერა აუცილებლად მოქმედებს განწყობაზე, ხასიათზე და (ამ დროს) დიალოგი „ფრაგმენტებთან“ ადვილი სულაც არ არის... თუმცა გარკვეული ზუსტი მინიშნებები შლის ბარიერს. მინიშნება შეიძლება იყოს პოზიცია, გნებავთ — რაკურსი, ფორმაც კი, მაგრამ (რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს) არავითარ შემთხვევაში — ფიგურა...

ურთულესი ტექსტურა, რომელსაც აუცილებლად აღიქვამს არაპროფესიონალის თვალის, განსაკუთრებულად გამორჩეული ტექნიკით მიიღწევა ალბათ. მაესტრო არ ასაიდუმლოებს მუშაობის პროცესს, თუმცა, როცა ღიად და თითქმის ყველასათვის გასაგებ ენაზე ჰყვება, თუ როგორ მუშაობს ხელით (ხშირ შემთხვევაში), როცა ამბობს, რომ სუფთა ტილოზე ხატვას ვერ იწყებს და საბოლოოდ ვლზეულობით რამდენიმეშრიან (თუ ფენოვან!) „მსუყვე მონასმებით“ გაჯერებულ ტილოს, დიახაც რომ შენც შეჰყავხარ იმ უხილავ „ლაბირინთში“, რომელზეც არაერთხელ უსაუბრია და სადაც ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს...

„ფრაგმენტების“ ბოლომდე გამიფვრა ალბათ შეუძლებელია, თუმცა კონიექტურა ინტერესმოკლებული ნამდვილად არ არის, რადგან დასრულებულ ნახატზე თითქოს განგებ („განგებ“ იმიტომ, რომ ინტრიგა თვალსაწიერია!) დაჩნეული „ნაკანონები“ (მხატვარი ზოგჯერ რიტმს უწოდებს!) აუცილებლად ამრავალფეროვნებს დამთვალეიერებლის ფანტაზიას, თუმცა საბოლოო სიტყვა მაინც ავტორს ეკუთვნის, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს კონკრეტდება, მიმართულებას აუცილებლად თვითონ ირჩევს და, თუ ფებს აუნყოფს და მიჰყვები, უსათუოდ შეძლებ თორმეტივე ფრაგმენტის ერთ მთლიანში აღქმას, რაც ნიშნავს ხელოვნების მწვერვალზე რამდენიმე უცნაური ნუთის დაყოფას.

როცა პროფესიონალი გაძლევს საშუალებას ფრაგმენტულად შეეხოს მის შემოქმედებას, აღიქვა ის და შეაფასო, ან სულაც გაითავისო, თავისთავად ნიშნავს, რომ შემოთავაზებულ ეტაპს სრულყოფილად მოიაზრებს.

ხომ შეიძლება, რომ „ფრაგმენტების“ სხვა თანმიმდევრობა შემოეთავაზებინა მხატვარს?! უნდა დამეთანხმოთ, არც არაფერი დაშვებოდა. თუმცა... როცა უკვე საგამოფენო დარბაზის შუაგულში დგახარ და ცდილობ ექსპოზიციის პანორამულად დათვალეიერებას, რწმუნდები, რომ აქ თუნდაც ერთი, ფრაგმენტის“ გადაადგილება ყველაფერს შეცვლის, ეს

— გარკვეული სისტემით განლაგება — პარადიგმა, რომლი-
თაც შენმა გემოვნებამ უნდა „იხელმძღვანელოს“ და თანმიმ-
დევრული თუ იქნები, ეფექტი გარდაუვალია.

თვალსაჩინოა — თითოეულ „ფრაგმენტში“ დატეული სამყა-
რო მთლიანობაში ერთ სისტემად აღიქმება. მათი ურთიერთკავში-
რისა და, ერთი შეხედვით, თვალსაჩინო მიღმა დარჩენილი გარკ-
ვეული წესრიგის მიმანიშნებელი, უპირველეს ყოვლისა, ის ორგა-
ნული გეომეტრიული ორნამენტია, რომელიც გადაწყვეტილი გრა-
ფიკის პარალელურად ამ „პერიოდის“ ძირითადი მახასიათებელია.

მიუხედავად იმისა, რომ აუცილებლად არის ურთიერთკავში-
რი, გარკვეული წესრიგი „ფრაგმენტებს“ შორის და თვალსაჩინოა
კულტურული თანმიმდევრობაც, არსად იკვრება წრე. „გასვლა“
შეიძლება ნებისმიერი „სამყაროდან“, სისტემიდან... მხატვარი
ალტერნატივას გეთავაზობს — არჩევანის საშუალება გვაქვს,
მაგრამ არ არსებობს სხვა — მესამე... არჩევანი კი სრულიად და-
ფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ დამთვალეირებლის (თუ თა-
ნამშემომედის!) გემოვნებაზე — სიმეტრიას აღიქვამ შორიზონ-
ტალურად (ძირითად შემთხვევაში) ან ვერტიკალურად (იშვია-
თად)... ორივე მიმართულება და შესაბამისად „სწორი კუთხის“
აღქმა მხოლოდ ავტორს ხელენიფება და ამის იქით არანაირ მი-
ნაშენებას არ აკეთებს, რადგან „იდუმალება“ სწორედ ის სიტყვაა,
რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება „ფერებს“ და... უჩვეუ-
ლოდ ემოციური, საოცრად შთაბეჭდავია ლირიკა ფერებში...

პარადოქსია — სილუეტებს, რომლებიც სრული სინათლი-
სა და სრული სიბნელის ფერებში ემოციურად აღიქმება, თით-
ქოს ბუნდოვანება სძენს მკაფიო კონტურებს. მუქი და ღია ტო-
ნალობების თანაბარ დოზირებაზე თავისთავადი იმპულსები
კი პანაცეა ვერ იქნება, თუმცა ერთგვარი ხსნა ნამდვილად
არის, რადგან ვიზუალური დაკვირვების შემდეგ რეფლექსია
უპირობო გამოსავალია.

იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელია ფერების განსაზღვრა...
ლურჯი... უსასრულობაა ალბათ, დაუსაბამო და მარადიუ-
ლი... ცის ფერი... ყველაზე ნაკლებად შეხებადი... ფერი, რომე-
ლიც განონანსწორებს... ბოლოს და ბოლოს — ერთ-ერთი ძირი-
თადი ფერებიდან. ამდენად, ბუნებრივია, სწორედ ამ ფერთან
მიმართებაში ჩაიფიქრა მხატვარმა სიმეტრია, თუმცა... რო-
გორც ვთქვით, პროპორციები და გარკვეული წესრიგი თორმე-
ტივე „ფრაგმენტს“ აერთიანებს და (შეიძლება ამიტომაც!) ავ-
ტორმა არ მიიჩნია საჭიროდ თითოეულისთვის სახელის დარქ-
მევა. მისი ლექსიკა „ფრაგმენტებთან“ მიმართებით გენიალუ-
რად მარტივია — „ლურჯი“... „თეთრი“... „ნითელი“... „შავი“...

ენერგია, რომელიც „ფრაგმენტებს“ წარმართავს, წრეზე
მოძრაობს და შესაძლოა შეეცადო დააზუსტო „ნამყვანი“ ფე-
რი. ნითელი (ამ შემთხვევაში არააგრესიული!) ? იქნებ ლურ-
ჯი? იქნებ...

აღქმის განვითარება „ფრაგმენტიდან“ „ფრაგმენტამდე“ რო-
ცა კულმინაციას აღწევს, ფერთა ინტენსიური მეტყველება თით-
ქოს ხელშესახება, მისტიკა — საგრძნობი, თუმცა ამ შემთხვევა-
შიც „ირლევვა“ კანონზომიერება და აბსოლუტური სინათლის
ფერი შთანთქავს დანარჩენს... და ამჯერად უგულვებელყოფი-
ლია სიცივე და აღიქმება „თბილი თეთრი“. კამათი ამ თემაზე, რა
თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ეფექტზე არ ვკამათობ!

თუ არ განვავრცობთ, შეიძლება ითქვას — თორმეტი
ფრაგმენტი თანაზომიერი, პროპორციული განლაგებით ავ-
ტორისეული იდეის მიმართ, ქმნის ემოციურ სიმეტრიას, რო-
მელსაც მდგრადობას, სხვა დანარჩენთან ერთად, გეომეტრი-
ული ჩანართები და გრაფიკული შტრიხები უნარჩუნებს. თუმ-
ცა ეს მინიშნებანი სულაც ვერ იქნება ბალასტი, რადგან, შინა-
განი იმპულსების მიუხედავად, მთლიანი ექსპოზიცია საოცარ
სიმსუბუქეს განგაცდევინებს...

ნაცნობი უცნობი ბრანელი

25-26 ივნისს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტე-
რატურის ინსტიტუტში ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი
ლექსმცოდნეობის VIII სამეცნიერო სესია გაიმართა.

ქართული ლექსის კვლევა საქართველოში (ჩვენი პოეტური მემ-
კვიდრეობის ფონზე) აუცილებელი და საპასუხისმგებლოა, თუმცა
ცოტა თუ მოიძებნება მეცნიერი, რომელიც ამ მიმართულებით მუ-
შაობს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობა. ლექსმცოდნეობის
ყოველწლიური სესიაც, უპირველეს ყოვლისა, ქართული ლექსის
განვითარების ისტორიასა და მის კვლევას, ხოლო, მეორე მხრივ,
მეცნიერების ამ მიმართულებით დაინტერესების საუკეთესო მაგა-
ლითია.

სესიას კიდევ ერთი მიზანი აქვს — ერთმანეთს შეახვედროს
მეცნიერთა ძველი და ახალი თაობა, რომლებიც მოისმენენ სხვადას-
ხვა ნაზრევს, გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას, ეს კი
ხელს შეუწყობს მეცნიერული აზრის არა მხოლოდ ერთი ადამიანის
გონებაში არსებობას, არამედ სხვათათვის გაზიარებასაც.

სესიაზე საინტერესო სტატიები იქნა წარმოდგენილი. მკვლევარ-
ებმა პოეტის შემოქმედების მრავალ შტრიხზე ისაუბრეს, რაც გრა-
ნელის პოეტური მემკვიდრეობის სხვა თვალთ დასახვის საფუძე-
ლადაც შეიძლება იქცეს. ეს დასკვნა რამდენიმე მაგალითის მიხედ-
ვითაც შეგვიძლია გამოვიტანოთ. წარმოგიდგინებ კონფერენციაზე
ნაკითხულ სამეცნიერო სტატიათა მცირე ნაწილს:

**ზაზა აბზიანიძე — „უცნობი ტერენტი“,
ლევან ბრეგაძე — „სადაც“ და „ვიღაც“ ტერენტი გრანელის
შემოქმედებაში“,**

**ზოია ცხადაია — „ტერენტი გრანელის პოეზიის ძირითადი
ასპექტები“,**

თამარ ბარბაქაძე — „ტერენტი გრანელის ვერსიფიკაცია“,

**ზეინაბ სარია — „ორსტროფიანი კომპოზიციები ტერენტი
გრანელის პოეზიაში“,**

**ნათია სიხარულიძე — „გალაკტიონი და ტერენტი გრანელი
(ზოგიერთი რამ პოეტურ სიდიდეთა თანაფარდობის გამო)“**

ნუნუ ბალავაძე — „ტერენ-
ტი გრანელის ერთი ლექსის
(„შენს გაქცევას“) მეტრიკა და
სემანტიკა“,

**მურად მთვარელიძე —
„სიგიჟე, როგორც ხსნა“.**

სესიაზე მიწვეული იყო ტე-
რენტი გრანელის ცხოვრებისა
და შემოქმედების მკვლევარი
ლერი ალიმონაკი. სამეცნიერო
სესიის დასკვნით ნაწილში ბა-
ტონმა ლერიმ ალიმონაკმა ისა-
უბრა **თემაზე „ტერენტი გრანე-
ლი და მისი თანამედროვენი“**,
რამაც პოეტის შემოქმედების
არაერთი ასპექტით დაინტერე-
სებული მკითხველის დისკუსია და დიდი ინტერესი გამოიწვია.

ლექსმცოდნეობის სესიები ლიტერატურის ინსტიტუტში ყოველ
წელს ტარდება. ამ ტრადიციას საფუძველი ფილოლოგის მეცნიე-
რებათა დოქტორის, პროფესორ **თამარ ბარბაქაძის** ძალისხმევით
ჩაეყარა. ყოველი სესია ერთ რომელიმე პოეტს ეძღვნება და მის
ფარგლებში არჩეული პოეტის შემოქმედებას სიღრმისეულად იკვ-
ლევენ კომპლექსური მეცნიერები. კონფერენციაში მონაწილეო-
ბენ ლიტერატურათმცოდნეობის ფაკულტეტის მაგისტრანტი და
დოქტორანტიც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან
საკვლევი მასალა ძალიან ბევრი და მრავალფეროვანია; ახალ თაო-
ბას საშუალება ეძლევა თავისი წვლილი შეიტანოს ამ კვლევებში და
პროფესიული გამოცდილებაც მიიღოს.

ლექსმცოდნეობის სესიები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ
მათი მეშვეობით სრულად ვეცნობთ ქართველ პოეტთა შემოქმე-
დებას და აღმოვაჩენთ ბევრ საინტერესო სიახლეს მათ შესახებ. სე-
სიების დასრულების შემდგომ წარმოდგენილი ნაშრომები ცალკე
კრებულადაც გამოიცემა და ხელმისაწვდომი ხდება ქართული პოე-
ზიით დაინტერესებული პირებისთვის.



გამომცემლობა „ბრატანუში“ ამზადებს ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ახალ გამოცემას მაია ცერცვაძის ახალი, ვრცელი, შევსებული კომენტარებით. გამოცემას, რომელსაც წინარე კომენტარებთან ერთად ბოლოდროინდელი ისტორიულ-ლიტერატურულ კვლევები უდევს საფუძვლად, წინ უძღვის პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და საახლობლო წრის შესწავლისადმი მიძღვნილი მკვლევარ-კომენტატორის სტატიების ციკლი და ნ. ბარათაშვილის კერძო წერილების რეპუბლიკაცია ქართულ სამეცნიერო-სალიტერატურო ჟურნალებში: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი (გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის წერილები მაიკო ორბელიანის, ალექსანდრე სავინაშვილისა და ბარბარე სავინაშვილებისადმი), „ამერ-იმერი“, „ისტორიანი“, „საგურამო“... აღნიშნულ კვლევებში დადგენილია, დაზუსტებულია და/ან განსხვავებულად წარმოდგენილია წერილებში ამა თუ იმ ანთროპონიმით მოხსენიებული მრავალი ისტორიული პირის ვინაობა, ცნობები მათი დაბადება-გარდაცვალების, ქორწინების, ოჯახის წევრების, ნათესავ-მეგობრების და ნეკროპოლის შესახებ, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფაქტები. ვრცელი შენიშვნები ეძღვნებათ იმ პირთ და ფაქტებს, რომლებიც შედარებით ნაკლებადაა ცნობილი საზოგადოებისათვის, ხოლო მეტად ცნობილ პირთათვის დამონმებულია სათანადო ლიტერატურა და მოხმობილია ამონარიდები, მათი პორტრეტები კი სახასიათო შტრიხებითაა გამდიდრებული.

„ჩვენი მხარე“ მკითხველს ვთავაზობთ ერთ რეპუბლიკაციას ამ ციკლიდან.

მაია ცერცვაძე

„ქორნილი საპეტრეპავლოზოდ გვიქნება“ — ერთი ნოველათაგანი ბარათაშვილისა

ნიკო ბარათაშვილის კერძო წერილები ისე იკითხება, როგორც მერიმეს ნოველები: რამდენი გრძნობა, რამდენი სიღრმე, გონებაბახვილობა.

იოსებ გრიშაშვილი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“

„ამ წერილებზე უკეთეს ავტობიოგრაფიას ბარათაშვილი ვერ დაწერდა“ — აღნიშნავს პოეტის ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე ვახტანგ კოტეტიშვილი თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“. ჭეშმარიტად. პოეტის კერძო წერილებმა ფასდაუდებელი მასალა მისცა მის ბიოგრაფოსებს და რედაქტორ-გამომცემლებს. ნ. ბარათაშვილის წერილების კომენტარებზე თავის დროზე იმუშავებს და თვალსაჩინო კვალი დატოვებს ბარათაშვილოლოგიაში ქართველმა მეცნიერ-ლიტერატორებმა — პეტრე უმიკაშვილმა, დავით კარიჭაშვილმა, სამსონ ფირცხალავამ, გიორგი ლეონიძემ, პავლე ინგოროყვამ, ივანე ლოლაშვილმა, აკაკი განერუელიამ... ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და ბიოგრაფია-შემოქმედების შესწავლა გრძელდება დღესაც (რ. ჩხეიძე, თ. ჯოლოგუა, ლ. ნანიტაშვილი, ა. არაბული, თ. გვანცელაძე, გ. ჯავახიშვილი, ქ. გიგაშვილი, მ. ნინიძე, ც. ბარბაქაძე...). ამავე მიზანს ისახავს წინამდებარე რეპუბლიკაციაც ზაქარია ორბელიანთან გაგზავნილი ნ. ბარათაშვილის ერთი წერილისა. იგი სხვა საგულისხმო ამბებთან ერთად პოეტის უფროსი დის — ეკატერინე ბარათაშვილის — ქორნილის ხატოვან აღწერას ეძღვნება.

წერილის ტექსტი იბეჭდება ბოლო აკადემიური გამოცემის — XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I. ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოღაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. „უნივერსალი“, თბილისი, 2011 წ. — მიხედვით.

ზაქარია ორბელიანისადმი¹

უთარილო²

უსაყვარლესო ძმაო ზაქარიავ! მომილოცავს პოლკოვნიკობა! ³ შენი წიგნი რომ მომივიდა, იმის მეორეს დღეს „ინვალიდებში“⁴ ეწერა. მე ახლა ჩქარად ლენარლობის იმედიცა მაქვს. მაგრამ ამისთვის უთუოდ უნდა დაღესტანში იმსახურო, თუნდ მაგ ადგილშიც არა. და მერმე იცი, რა ვიფიქრე შენთვის? — კასპის ობლასტის ნაჩალნიკობა! ვინ იცის! მე კი კარგად მაქვს დაცდილი წინასწარ თქმა! ⁵ „Этo бyдeть гoрaздo сyщeствeннee.“

კატოს,⁶ ერთი თთვეც არის, ჯვარი დავენერეთ. კარგი ქორნილი გარდვიხადეთ. მეორეს დღესვე წაიყვანეს კატო. ერთი ღამე და მეორე დღეს სადილათ ქაიხოსრო მუხრანსკისას⁷ ვიყავით. კარგად დაგვიხვდა. იქიდან ახალგორს⁸ წავიდით. ოძისს⁹ რომ მივახლოვდით, სადაც ბიძინა ერისთავი¹⁰ სდგას, ლევან ერისთავი¹¹ თავადებით, აზნაურებით, და იმერეთის [მ]გალობლებით მოგვეგება. ჩვენთან იყვნენ მანანა¹² თავის ქალით,¹³ მაიკო,¹⁴ ყაფლან,¹⁵ მიხაკო,¹⁶ ალექსანდრე სუმბათოვი¹⁷ — მეჯვარე. რა დაბინდდა, შევედით ახალგორს. სასახლე¹⁸ ჭრანებზე იყო გაჩახახებული, მიედანინ — მაშხალებით; ამ დროს ახალი არქიერი ნულუკიძე,¹⁹ კატოს

დედამთილის²⁰ ძმა, აქ იყო და მგალობლები იმისნი იყვნენ. დეკანოზი შემოსილი და ჯვარით მოგვეგება გალაგნიქს²¹ კარებში. დაჰკრეს ზურნას, სათარას²² სიმღერა (თანა გვქცვანდა), თოფის სროლა და ხალხის ქდევა და ყვირილი საუცხოოო სანახავს წარმოადგენდა. ამასთან მთვარიანი ღამე და მშვენიერი მდებარეობა! სასახლეში რომ შევედით, და ყაფლანქმა²³ ქუდი მოიხადა და შეხედა ზალას, ერთი გულით წამოიძახა: *Ду!*... — *Этo двoрeцъ?*²⁴ ბევრი გვიცინია.



რასაკურგელია, მეორეს დღეს, პატარძლის ჩვეულებისამებრ, კატო ქვეშაგებში ინვა, მესამე დღეს ადგა. შზითევი გაშინჯეს, მაგრამ, ზაქარიავ, მრთელს ქართლში გაითქვა,²⁵ თუარემ მანანა გეტყვის, როცა ნახავ. მეოთხე დღეს ნიშნები მოართვეს დედამთილმა, მაზლებმა²⁶ და მულეებმა²⁷ და რძალმა.²⁸ კარგი ნიშნებიც იყო. არქიერი ეზოში იდგა, კარავში, ჭანდრებს ქვეშ. იმ დღეს ამობანდა კატოს სანახავად, დალოცა და ერთი ოქროთ მოჭედული ღვთისმშობლის ხატი აჩუქა. ხუთი დღე და ღამე სულ შექცევამი ვიყავით. მამუკაც²⁹ აქ იყო და ძალიან გამოხარულა. მერმე მე და მამუკა გორს გადავედით, იქ დაგვხვდნენ ელენე,³⁰ მანანა,³¹ რომელიც ორის დღის წინათ ჩვენზედ წავიდა, მელანია³² და ბევრნი სხვანი. ნათლობა ჰქონდათ ელიზბარის³³ სახლებში, ესტატე ერისთავის³⁴ შვილისა.³⁵ იქიდან ატენში³⁶ გადავედით. კნიაზი³⁷ ძალიან კარგად დაგვიხვდა, სულ შუშურები³⁸ გვასვა. ერთის ლექსით, კარგად გავატარეთ დროება, მრთელი ორი კვირა.

მე და მამა³⁹ ალევობას⁴⁰, რომ ამ თთვის თხუთმეტს იყო, ვენვივინით კატოს. მანანა⁴¹ და ელენე⁴² გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხოო ჯვარობა იყო. ახალგორიდან თორმეტი ვერსტია⁴³ მაღალს მთაზედ. ქალები ცხენებით, სანვიმრებით, ქოლგებით, დიდის ამალით, ოსურის სიმღერით ავედით სალოცავად. ის ღამე და მეორე დღეც იყო მშვენიერი. ძალიან მხიარულობა იყო. ცოტა წამოსვლის დროს მანანა ავად გახდა და იმან ცოტად დაგვიშალა მხიარულება.

ზაქარიავ, სწორეს გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში სანატრელს ოჯახშია. ძმების უმაგალითო თანხმობა, სიმდიდრე სახლისა და უფალობა! ამასთან რევაზ⁴⁴ ზედ აკვდება, ლევანისა⁴⁵ ხომ სულა კატო და დავით⁴⁶ ხომ

იმის ნებეირობაშია. მე ეს მიამა, რომ მტერი ვერ გაიხარებ[ეს]. თუ ღმერთი გვადიხრებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ,⁴⁵ ილია,⁴⁶ გიორგი,⁴⁷ მამუკა,⁴⁸ უნდა ვეწვივინეთ ამ შემოდგომაზე, რომ ლაზართი გავენიოთ. მართალია, სანადირო არ არის ყოვლის გუარისა.

ბევრი ვიცინეთ გრიგოლის⁴⁹ წიგნზედ. მანანას⁵⁰ წაუკითხე. ილიას⁵¹ წიგნი მოვიდა. ჩერვლონში⁵² არიან სულ ყველანი და ამ თთვის გასვლამდინ, მგონია, მოვიდნენ. მთავარმმართველსაც⁵³ ამ სამ დღეზედ მოელიან! ლუარსაბის⁵⁴ ცოლი ანნა⁵⁵ ძალიან ავად არის, საწყალი! სხვა ამბავი აქ ახალი და ასვენო არა არის რა.

მშვიდობით. ღმერთსა ვთხოვ შენს კვალად და კვალად ბედნიერებას.

შენი მარადის ერთგული თ. ნ. ბარათაშვილი

ზაქარიავ! ამ შენ გამომგზავნილს თოფსა თავის შესაფერი ერთი წყვილი დამბაჩაც უნდა, თვარემ ობოლსავით დარჩენილია და ამისთვის კაბინეტში ვერ გამიმართავს.

დამავიწყდა: ივან კარლიჩი⁵⁶ გარდაიცვალა. სალომე⁵⁷ კარგი ქვრივი დარჩა. სულ ყოველი თავის საცხოვრებელი ამას უანდერდა **ЗАКОННЫМ АКТОМ**.⁵⁸ თუ გიორგი⁵⁹ ნახო, ჩემ მაგიერად იდი მოკითხვა.

(შესამე გვერდზე ჩამატებულია):

იაკი[ნ]ტემ⁶⁰ ამ წიგნის წერაში ასე მითხრა: ჩემ მაგიერ მოკითხვა მისწერო და ასე შეუთვალე, რომ ცალკე წიგნისათვის არა მცალიან, ბევრი საქმეები მაქვსო. აქ არის სასამართლოში სოვეტნიკის თანამდებობაში დროებით დანიშნული.

(პირველ გვერდზე ჩამატებულია სხვა ხელით):

მეც მომილოცავს პოლკოვნიკობა.

შენი...

(შემდეგ გაურკვეველია).

შენიშვნები:

1. **ზაქარია ორბელიანი** — ზაქარია დიმიტრის (ზურაბის) ძე ორბელიანი (1806-1847), პოლკოვნიკი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა, დედის ძმა. სამხედრო სამსახური დაიწყო ცხენოსანი არტილერიის მე-8 როტაში, 1826 წელს იმავე არტილერიის ლეიბ-გვარდიაში გადაიყვანეს. 1828 წელს მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში, 1831 წელს იბრძოდა პოლონეთში. 1833 წლიდან კავკასიის გრენადერთა ბრიგადის პირველ ბატარეაშია, 1839 წელს ებრძოდა კავკასიელ მთიელებს, 1841 წელს მსახურობდა ჩრდილოეთ დაღესტანში, 1842 წელს გადაიყვანეს ყოფილ სამურის ოლქში, 1846 წელს დაინიშნა ანჰისსატის დეკანოზის აზნაურ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ასულ ქეთევანზე (1818-1895). გარდაიცვალა 1847 წლის 11 ივნისს ქოლერით დაღესტნის სოფელ ხოჯალმალქში. დარჩა ერთი შვილი ალექსანდრე (სანდრიკო) (1839-1856). დაკრძალულია ქაშუეთის ტაძარში.

2. ნერილის სავარაუდო დათარიღება — 1844 წლის 15 აგვისტოს შემდეგ — ეკუთვნის მარიამ ნინიძეს (იხ. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I. ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. ტომის რედაქტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქეთევან გიგაშვილი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ ნინიძე. „უნივერსალი“, თბილისი, 2011 წ. გვ. 267-68).

3. ზაქარია ორბელიანს პოლკოვნიკის ნოდება 1844 წლის აგვისტოში მიუღია. „ჩემო პოლკოვნიკო ძმაო ზაქარიავ! ზურაბიანნი ნავიდნენ წინა — ყაფლანის სიტყუა — მომილოცავს ხელმწიფის წყალობა“ — გახარებული სწერს გრიგოლ ორბელიანი ძმას 1844 წლის 26 აგვისტოს თემირხანშურადან (იხ. ვრ. ორბელიანი. წერილები. ტ. 1. 1832-1850. აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით. „სახელმწიფო გამომცემლობა“. თბილისი. 1936 წ. გვ. 99).

4. **„ინვალიდებში“** — იგულისხმება პოპულარული რუსული სამხედრო გაზეთი **«Русский инвалид»**. გამოდიოდა სანკტ-პეტერბურგში 1813-1917 წლებში (1813 წელს — კვირაში ერთხელ, 1814-

1815 წლებში — კვირაში 2-ჯერ, 1816 წლიდან — ყოველდღიურად). 1862 წლიდან იყო რუსეთის იმპერიის სამხედრო სამინისტროს ოფიციალური გაზეთი. დაარსდა ომებში დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახების და დინავალიდებული დასახმარებლად.

5. **Это budget гораздо существеннее** — ეს გაცვლებით არსებითი იქნება (წერილის რუსული ტექსტის თარგმანები ეკუთვნის პ. უმიკაშვილს (1834-1904).

6. **კატო** — ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილი (1821-1853), ნიკოლოზ ბარათაშვილის უფროსი და. საეკლესიო ჩანაწერების წიგნი გვაუწყებს: „დედათა საქის? 10. რიცხვი დაბადების დღისა? ვინ ვის დაებადა?, ვინ განათლა სახლი და მონათლა, რა სახელი დაერქვა ახალშობილსა? თვესა სექტემბერსა დაებადა თავადს მელიტონ ბარათოვს ქალი. სახლი გაუნათლა მღვდელმა ფერემ ფანოვმა, სახელი ეწოდა ეკატერინე და განათლულსა ზედა მისსა იმღვდელმოქმედა დეკანოზმა დიმიტრი ალექსიევმა. რიცხვი მონათვლის დღისა? ნოემბრის 1. ვინ იყვნენ მიმქმნელად ანუ ნათლიად? მიმქმნელა იყო ლუბერნატორის სვიმონიჩის მეუღლე ბარბარე“ (ი. ბალახაშვილი. „ბარათაშვილის ცხოვრება“. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი. 1967 წ., გვ. 74). ეკატერინე ბარათაშვილი 1844 წლის 19 ივლისს ცოლად გაჰყვა რევან ლუარსაბის ძე ერისთავს (1812-1881). საეკლესიო ჩანაწერში ვკითხულობთ: „1844 წელი. ივნისის 29-სა. პრაპორშჩიკმა თავად რევან ლუარსაბის ძე ერისთავმა ქართველთა სარწმუნოებისა და მაიორის თავადის მელიტონ ბარათოვის ასულ ეკატერინემ ქართველ სარწმუნოებისა, იქონიწეს პირველთა ქორწინებითა. იყვნენ თავდებნი: სასიძოს მხრით თავადი გივი ბარამის ძე ამილახვარი, თავადი ალექსანდრე ჩოლოყივი და სასიძოს მხრით თავადი ლუარსაბ ბიძინას ძე ქსნის ერისთავი, თავადი დავით ერისთავი“ (იხ. ი. ბალახაშვილი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი. გვ. 75-76). კატერინეს ეყოლა შვილები: ელენე (1845-1892), ნადეჟდა (1847-?), ფემია (1849-?) და ნიკოლოზი (კოლა) (1850-1915), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ილია ჭავჭავაძის მეგობარი. ნიკოლოზ ერისთავმა წამოიწყო ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა, რომელიც 1922 წელს გამოვიდა მისი ქვრივის, პოეტისა და ქველმოქმედის ეკატერინე მიხეილის ასულ თამარშვილს (1857-1937) ხელშეწყობითა და ხარჯით. ეკატერინე ბარათაშვილი-ერისთავისა დაკრძალულია მეუღლის გვერდით სოფელ ოძისის ეკლესიაში. „მის ქვაზე შემდეგი წარწერაა: „ქუშხე მოღისა ამის დედაზე არს თავადი რევან ლუარსაბის ძის ერისთავის მეუღლე ეკატერინე ასული თავადის მელიტონ ბარათოვისა, შობილამ კვ-სა (28) წლისა, გარდაცვალებული ამიერ სოფლით ჩყნ (1853) წელსა მარტის კ-სა დღესა“. შემდეგ იგივე რუსულად. (იხ. „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი“. შედგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო სოლომონ ხუციშვილმა. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემა. თბილისი. 1961 წ. გვ.25).

7. **ქაიხოსრო მუხრანსკისას** — სავარაუდოდ, თავადი ქაიხოსრო ბაგრატიის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი (1799-1857), პრაპორშჩიკი. 1830 წელს დაქორწინდა ბარბარე ალექსანდრეს ასულ აბესაძეზე (ჩანს 1830-1851 წწ). ქაიხოსრო ბაგრატიონ-მუხრანელი ნახევარძმა ეკატერინე ბარათაშვილის მავლის ლევან ერისთავის (იხ.კომ. 11) პირველი მეუღლის ქეთევან ბაგრატიის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელისა (1807-?)

8. **ახალგორი** — დაბა ახალგორის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს ქსნის ხეობაში, ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდინარე ქსნის მარცხენა სანაპიროზე. გვიანფეოდალურ ხანაში ახალგორი ქსნის ერისთავების რეზიდენცია იყო. ახალგორში შემორჩენილია XVII საუკუნის სამი ხუროთმოძღვრული ანსამბლის ნანგრევები.

9. **ოდისი** — სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტში, მჭადიჯვრის თემში.

10. **ბიძინა ერისთავი** — ბიძინა რევანის ძე ერისთავი (1800-1876), რევან გიორგის ძე ერისთავისა (1757-1813) და მეფე ერეკლე II-ის ქალის ანასტასია ბატონიშვილის (1763-1838) ვაჟი, პრაპორშჩიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. დაქორწინებული იყო თამარ იოსების ასულ მელიქიშვილზე (1806-1867).

11. **ლევან ერისთავი** — ლევან ლუარსაბის ძე ერისთავი (1805-?), რევან ერისთავის უფროსი ძმა, პრაპორშჩიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. პირველად დაქორწინდა ქეთევან ბაგრატიის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელზე (1807-?), მეორედ — თამარ გრიგოლის ასულ ჩოლოყაშვილზე. 1832 წლის მასალებში, მის მიერ მიცემულ ჩვენებაში ვკითხულობთ: „მქვიან ლევან, მამი ჩემისა სახელი არის ლუარსაბ, ჩი-

ნი მაცხს პრაპორიკობა. მე ვარ ოცდა ხუთის წლისა. ცოლიანი ვარ ჯვარდანერილი მუხრან ბატონის ბაგრატის ქალზე სამი ვაჟი მყავს პატარები, დედა მყავს და ორი უხასკო ძმები. მე მყავს ყმა და მამული გორის უეზდში და დუშეთის უეზდში ას ოთხმოცი კომლი დამარჩა და ას სამოცი კომლი ჩამომართვეს, წლის შემოსავალი რაც დამჭირდებოდა და ფულათ არ ჰქონდა გადაჭრილი ჩემის ყმიდამ და მამულიდამ ვცხოვრობდი. მე აღვიზარდე ჩემს მშობლებთან. მე ვიყავ ნინაპირველათ რომ ყიზილბაშიში ომი იყო მაშინ ლენარალ მაიორ დავიდოვთან და ვიმსახურე ოთხი თვე, მასუკან ვიყავ გრაფ პასკევიჩთან ოსმალის ომში, ყარსისათვის მომეცა პრაპორიკობა და ახალციხისათვის ჩეთვერთი სტეპენი ანა ზახრაბროსტი მასუკან ოსებში ვიყავ პაზოლში ლენარალ რეინკაფთან და ვიმსახურე და არ დავჭრილვარ. არა ვყოფილვარ არც პეტერბურხს და არც მოსკოვს. ქრისტიანობრივის მოვალეობით დავიარები მე ეკლესიაში და ყოველწლივ მიმიღია წმინდა საიდუმლო” (იხ. გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტომი I. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ტფილისი. 1935 წ. გვ. 350). „სამსახურის გარეშე მყოფი თავადი ლევან ერისთავი, დაჭერილი იქნას ციხეში ექვსი თვის განმავლობაში და მერე დარჩეს საქართველოში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ”. — ვკითხულობთ სამხედრო მინისტრის მიმართვაში როზენისადმი (გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტომი III. „საბჭოთა საქართველო”. თბილისი. 1976 წ. გვ. 429).

12. მანანა — მანანა მირმანოვის ასული ერისთავი-ორბელიანი-ისა (1807-1870), დავით იოანეს ძე ორბელიანის (1801-1830) მეუღლე, სილაშაზით განთქმული ქალი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ჰქონდა ლიტერატურული სალონი (მანანა ორბელიანის შესახებ იხ. ი. ბალახაშვილი. „მანანა ორბელიანი”, თბილისი, 1941 წ., აგრეთვე თ. ჯოლოჯუა. „შეთქმული ქალები (მანანა ორბელიანი)”. ჟურნალი „ქართული მწერლობა.” 6, ივნისი, 2010 წ.)

13. თავის ქალი — იგულისხმება ანასტასია დავითის ასული ორბელიანი (1825-1907), მანანა მირმანოვის ასულ ორბელიანის (1807-1870) ქალიშვილი. ცოლად გაჰყვა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, ქვრივ თავად ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინს (1801-1857), რომელიც ქუთაისში სასიკვდილოდ დაჭრა სვანების მთავარმა კონსტანტინე დადემქელიანმა. დაქვრივების შემდეგ გადასახლდა ყირიმში, იალტაში, ქუჩუკ-ლაშაბათში, დამკვიდრდა გარდაცვლილი ქმრის მამულში და სიკვდილამდე იქ ცხოვრობდა. შვილი არ ჰყოლია. იშვილა თავისი ბიძაშვილი, იაკობ (კონა) ერისთავის (1817-1896) ასული ელენე თარხან-მოურავი (1852-1922). ყირიმში ააშენა ევროპული (გოტიკური) სტილის სასახლე. მისდევა ქვემოქმედებას. გახსნა პატარა, კომფორტული საავადმყოფო, რომლის მედპერსონალს თავად ინახავდა. დაკრძალულია ყირიმშივე, კარის ეკლესიის გვერდით. იქვე მარხია ელენე თარხან-მოურავიც. თანამედროვეთა გადმოცემით დედას ბევრად ჩამოუვარდებოდა სილაშაზით (A. Зиссерман, 25 лет на Кавказе., СПб 1879). 1851 წელს ანასტასია ორბელიანი დაუხატავს საქართველოში პეტერბურგიდან ჩამოსულ მხატვარს ლევ ლაგორიის (1827-1905). აკვარელით შესრულებული ეს პორტრეტი ინახება შოთა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. „სანდომიანი სახის ახალგაზრდა ქალი სავარძელში ზის თავისუფალ პოზაში. მოხუცებული აქვს მოვარდისფრო მოსახსნამი, რომლის ტონიც ჰარმონიულ გამას ქმნის ქალის დიდრონ შავ თვალებთან. პორტრეტი მე-19 საუკუნის შუა ხანების ტრადიციული მანერიითა დაწერილი” (თ. ფერაძე. „რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში” (XIX საუკუნე). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1964წ. გვ. 67).

14. მაიკო — მაიკო (მარიამ) ქაიხოსროს ასული ორბელიანი (1816-1849), სილაშაზით გამორჩეული ქალი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი, მისი წერილების ადრესატი. ნიკოლოზის დედა ფეც-მია (1801-1849) და მაიკოს მამა ქაიხოსრო (1792-1851) იყვნენ ბიძაშვილები, ძმების ზურაბ (დიმიტრი) (1766-1827) და გიორგი (?-1819) ორბელიანების შვილები. მაიკო ორბელიანი დანიშნული იყო ნ. ბარათაშვილის სიყრმის მეგობარსა და თანაგიმნაზიელზე ლევან მელიქიშვილზე (1817-1892), მისგან ჰყავდა შვილი ივანე (1842-1877) (დაწვრილებით იხ. ი. ბალახაშვილი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი”. „ლიტერატურა და ხელოვნება”. თბილისი. გვ. 243-252).

15. ყაფლან — ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი (1813-1878), ცნობილი თავადი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი, დედის ბიძაშვილი, გრიგოლ ორბელიანის უახლოესი მეგობარი, კოლორიტული პიროვნება, პოდპორუჩიკი. ყაფლან ორბელიანს ჰქონია კარგი ხმა და უნარი ლექსებისათვის ხმების შეწყობისა. მას ხმები მუერჩევიან ნ. ბარათაშვილის ლექსთა უმრავლესობისათვის („სული ბოროტო”, „საყურე”...), ცოლად ჰყავდა ჯერ ნინო თამაზის ასული ქობულაშვილი (1817-1839), რომელიც მშო-

ბირობას გადაჰყვა, ხოლო შემდეგ ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი (1824-1892) (ყაფლან ორბელიანის შესახებ იხ. გიორგი აბზიანიძის წერილი „ყაფლან ორბელიანი — ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის პერსონაჟი” „ლიტერატურის მატანიე”. 1-2 1940წ. გვ. 466-473). დაკრძალულია კუმისის სამების ტაძარში. იქვე დაკრძალული არიან მისი მეუღლეები და ჩვილშვილი წლის ასაკში გარდაცვლილი ვაჟიშვილი დავითი (1845-1862). მათი საფლავის ეპიტაფიები გამოაქვეყნა ივანე ლოლაშვილმა (იხ. „ექსპედიცია კუმისში სამების ტაძრის ნეკროპოლის აღსაწერად”. ი. ლოლაშვილი. „ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან”, „მერანი”, 1980. გვ. 104-5).

16. მიხაკო — მიხეილ (მიხაკო) ქაიხოსროს ძე ორბელიანი (1814-1846), მაიკო ორბელიანის ძმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის თანატოლი, მეგობარი, თანაგიმნაზიელი. 1836 წელს მიიღო ოფიცრობა, 1838 წელს — პორუჩიკობა. ცხოვრების ბოლო წლები გაატარა სამხედრო სამსახურში დალესტანში, სადაც ვასილ ბუბუთაშვილის ადიუტანტად მსახურობდა და სადაც გარდაიცვალა აღდგომა დღეს, ცხენიდან გადმოვარდნილს. დაკრძალეს იქვე პატივით. მისი სიკვდილის და დაკრძალვის ამბებს გრ. ორბელიანი უყვება თავის ძმებს ზაქარიას და ილიას და რძალს ქეთევან ორბელიანს დალესტინიდან გამოგზავნილ წერილებში (იხ. გრ. ორბელიანი. წერილები. „სახელმწიფო გამომცემლობა”. 1937წ. ტ. 2. გვ. 121, 123; ი. ბალახაშვილი. „ბარათაშვილის ცხოვრება”. „ლიტერატურა და ხელოვნება”. თბილისი. 1967. გვ. 266-267). მიხეილ ორბელიანი წერდა ლექსებს, ეპიგრამებს. მისი ერთ-ერთი ანაკრეონტული შინაარსი უსათაურო („ქეიფთა ლხენას”) გ. ლეონიძემ გამოაქვეყნა „ლიტერატურის მატანიეს” 1-2 ნიგნში 1840 წელს. ქართულ ხელნაწერებში შემორჩენილია მისი სხვა ლექსებიც, მათ შორის პასუხი ერთ ავტორდაუდგენელ ლექსზე — „არაფერია, არაფერია, მეტად ძველია თქვენი ლექსია”.

17. ალექსანდრე სუმბათოვი — სავარაუდოდ, ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი (1801-1847), შტაბს-კაპიტანი, ცოლად ჰყავდა სოფიო გიორგის ასული ბაგრატიონ-მუხრანელი (1809-1847).

18. სასახლე — უნდა იგულისხმებოდეს ქსნის ერისთავთა სასახლე ახალგორში — XVII საუკუნის დასაწყისის ხუროთმოძღვრული ანსამბლი.

19. ნულუკიძე — სავარაუდოდ, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი სოფრომ ნულუკიძე, რომელსაც 1821 წლის 19 ნოემბრის ბრძანებით შექმნილი იმერეთის ეპარქიის მმართველობა ჩააბარეს რუსეთის იმპერატორის ნება-სურვილით და რომელსაც რუსეთის სინოდმა არქიეპისკოპოსის ნოდედა მინაჩტა. სოფრომი იმერეთის ეპარქიას 1845 წლამდე განაგებდა.

20. კატის დედათილის — მარიამ ფარნაოზის (ფარნას) ასული ნულუკიძე ჩანს (1817-1852).

21. სათარა — სახელგანთქმული მომღერალი, ხანენდე, წარმოშობით ირანის აზერბაიჯანიდან. დაიბადა არდებელით მე-19 საუკუნის 20-იან წლებში. ბავშვობიდანვე ჰქონდა მისწრაფება სიმღერისაკენ. თავდაპირველად სასულიერო საქმიანობას შედგომია, მაგრამ ორიოდ წლის შემდეგ თავი მიუწებებია და სიმღერების შესრულება დაუწყია. ზეიმებსა და ქორწილებში ასრულებდა საადის, ჰაფეზის, ფიზულის და სხვათა მულამებს, თასნიფებსა და ყაზალებს. რამდენიმე წელიწადი შაჰ მუჰამედ მირზას სასახლეში ყოფილა, სადაც მისი ნიჭით მოხიბულ შაჰს მიუწვევია. 19-20 წლის სათარა თბილისში ჩამოსულა. ის ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო მეგობარი ყოფილა. მას სათარა შეხვედრებსა და ზეიმებზე დაჰყავდა. „ყოველ ლხინზე სათარას მოიყვანდა” (პოეტის დის ბარბარე ვეზირიშვილის ნაამბობიდან. იხ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ტფილისი, 1922 წელსა). სათარა სიმღერის დროს დაირას ან დოღს არ ხმარობდა, ჩაუჯდებოდა თავის დასტას და ჯოხით ხელში თავისი ტკბილი ხმით აჯადოებდა მსმენელს. მის გამოსვლებს ეხსრებოდნენ თბილისში მცხოვრები რუსი და იტალიელი მუსიკის მოყვარულები და თავიანთ კონცერტებზე ინვედენენ. ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა საქველმოქმედო საღამოებში. ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალი ფირუდინ შუშინსკი ერთ-ერთ წერილში სათარას შესახებ წერს: „აზიურ სიმღერებში და კერძოდ სათარას სიმღერაში იმალება რაღაც პირველყოფილი სილაშაზე ხმის ჭრელებით, რომელთაც ვერ მიუდგება ვერავითარი მუსიკალური გასაღები. ამ ჭრელებში, გოდებაში, ქვითინსა და სიხარულში არის რაღაც დამატყვევებელი, სულში ჩამბედომი, რაც ალაგ ზნებს ადგილობრივ მკვიდრთ” (ფ. შუშინსკი. ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება”, 1968, 2, გვ. 61. ციტირებული ნიგნიდან ალ. ბარნოვი. „ძველი თბილისის მუსიკოსები”. „ხელოვნება”, თბილისი, 1974. გვ. 16). ქალაქის ერთ-ერთ ქარვასლაში სათარას სიმღერაზე ცნობის ვხვდებით თბილისში 1837-55 წლებში გამოცემულ საგუბერნიო გაზეთ „Закавказский Вестник“-ის 1845 წლის 10-ის ერთ-ერთ წერილში. წერილში აღწერილია ცერემონია თბილისში 1845 წლის 18 აპრილს კავკასიის მეფისნაცვლის, გრაფ მიხეილ ვორონცოვისა და მისი

მეუღლის სახეიმო დახვედრისა, რომელიც მათთვის ქალაქის ვაჭართა წრეს გაუმართავს: „შადრევის მარჯვენა მხარეს ისხდნენ სპარსელი მუსიკოსები და ტამბურინების რიტმული ცემისა და ჩანგურის ხმის ფონზე ცნობილი სპარსელი მომღერალი, შაჰის კარზე სახელგანთქმული სათარა ასრულებდა სიმღერას აღმოსავლელი პოეტის საადის ლექსზე, რომლის დასაწყისი დაახლოებით ასე ითარგმნება: „მართლაც შენა ხარ ჩემს წინაშე, თუ ის, ოცნება? არა, არ მჯერა მე იმისა, რომ ბედმა ასე გამანებებოს“. სათარა დაუსხატავს ცნობილ რუს მხატვარს გრიგორი გაგარინს (1810-1893), რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა მე-19 საუკუნის შუა ხანების საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. მისი სურათი „სახალხო მომღერალი სათარა ტფილისში“ ამჟამად სანქტ-პეტერბურგის რუსულ მუზეუმში ინახება. რუსმა მწერალმა, გაზეთის „Закавказский Вестник“ რედაქტორის მოადგილემ იაკობ პოლონსკიმ (1819-1898), რომელიც 1846-1851 წლებში თბილისში ცხოვრობდა და რომელმაც თავის შემოქმედებაში ასახა ქართული თემატიკა, 1851 წელს სათარას უძღვნა ლექსი „Сатар“:

Сатар! Сатар! твой плач гортанный –

Рыдающий, глухой, молящий, дикий крик -
Под звуки чянуур и трели барабанной
Мне сердце растерзал и в душу мне проник.
Не знаю, что поешь; - я слов не понимаю;
Я с детства к музыке привык совсем иной;
Но ты поешь всю ночь на кровле земляной,
И весь Тифлис молчит - и я тебе внимаю,
Как будто издали, с востока, брат больной
Через тебя мне шлет упрек иль ропот свой.
Не знаю, что поешь - быть может, песнь Кярама,
Того певца любви, кого сожгла любовь;
Быть может, к мести ты взываешь - кровь за кровь -
Быть может, славишь ты кровавый меч Ислама -
Те дни, когда пред ним дрожали тьмы рабов...
Не знаю, - слышу вопль - и мне не нужно слов!

სათარ! სათარ! გოგებაჲ შენმა...

სათარ! სათარ! გოგებაჲ შენმა, ღრმა კავშიანმა, კვნესა-მუდარამ, ყრუ, ველურმა ამოძახილმა, ხმაშენყობილმა ჭიანურის და დოლის ჰანგთან, გული გამიპო, გამიგლიჯა, სული შემიძრა. ვინ იცის, რას მღერ — ეგ სიტყვები შენი არ მესმის, სხვაგვარ მუსიკას სიყმანვილით მე ვარ ჩვეული, მწუხრით ცისკრამდე წამომჯდარი ბანზე იმღერი და მეც ყურს გიგდებ, გაყურულა მთელი თბილისი. თითქოს შორეულ მაშორიდან მე ძმა სწეული შენით მაგონებს გულისწეხილს, საყვედურს მითვლის. ვინ იცის, რას მღერ — იქნებ ამბავს შენ კიარამის, მეხოტბის იმავ სიყვარულის, რამაც დანაცრა, იქნებ შესხმასა შურისგების — კბილი კბილის ნილ, იქნებ დიდებას სისხლიანის ხმლისა ისლამის, დროების, ოდეს მის წინაშე ძრწოდნენ ყოველნი. ვინ იცის! მესმის ეგ ვაება უსიტყვოდ ლამის. სათარ! სათარ! გოგებაჲ შენმა, ღრმა კავშიანმა, კვნესა-მუდარამ, ყრუ, ველურმა ამოძახილმა, ხმაშენყობილმა ჭიანურის და დოლის ჰანგთან, გული გამიპო, გამიგლიჯა, სული შემიძრა.

(ზაია ცერცვაძის თარგმანი)

სათარას შესახებ იხ. მ. ცერცვაძე. „სათარასათვის ღმერთს ზმა მიუცია“ — ჟურნალი „ისტორიანი“. 6 (42), ივნისი, 2014წ. გვ. 20-22;

- 22. ფუ...—это дворець? — ფუ...—ეს სასახლეა?
- 23. მიუხედავად ოჯახის უსახსრობისა, ეკატერინე ბარათაშვილისთვის მიღებული მზითველი გოგებაჲთა. მზითველის განყოფილებაში დიდი მონაწილეობა მიუღიათ მის ბიძებს ზაქარაის და გრიგოლს. შემორჩენილია ნ. ბარათაშვილის მშობლების ეფემიასა და მელიტონის 1844 წლის 15 აპრილის წერილები ზაქარია ორბელიანისადმი, რომელიც იმხანად სამხრეთ დაღესტანში მსახურობდა. აღნიშნულ წერილებში ისინი ოჯახის მიძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ყოფნის გამო ფულად შეშენობას სთხოვენ მათ ამ საქმეში. ეფემია სწერდა ზაქარაიას: „ჩემი ქალი კატო გა-

ვათხოვე, შენი დისწული მივეცი რევაზ ერისთავისშვილს, აპრილის ექვს დღეზედ როგორც რიგი არის, თუმცა ქორწილიც უნდოდათ, მაგრამ მე მზათ არ ვიყავ და ამისათვის დარწა, რომელიც უნდა მივეცი ასი თუმანი ფულად და ასი თუმნის მზითველი. სქამალღებთ მაშურებენ ჯვარის წერას, როგორც ღმერთი შეგვეწვევა ისე უნდა მოვხებოთ ჩვენი საქმე... ძმარ, ჩემი დაბრკოლება მოუშაადებლობა არის, რასადროს მზათ ვიქნევი ჯვარს დაინერს. ეხლა შენ იცი, ძმარ, რალა ჩემი მოწერა გინდა, უნდა შეენიო. ეგების გრიგოლს მანდუდამ შეატყობინო ეს ამბავი... შენმა ვაზ-დამ, ზაქარაივ, დიახ კარგი საქმე მოხდა. ყველას უკვირს. მაინც მიზეზი შენა ხარ ამ საქმისა და თუ ღმერთიც შემენია და ჩქარა დავაბოლოვე. ამ წიგნის პასუხს ჩქარა მოველი შენგან. შენი და ეფემია კნინა ბარათაშვი-სა“. იმავეს სთხოვდა ცოლისძმას მელიტონიც: „ძმარ, კატუა გავათხო-ვეთ და ჯვარსაც საამალღებოდ ვწერთ... აბა, ხომ ჰპირდებოდი, დროც ეს არის თუ მოგვაშველებ რასმეს. ხომ იცი ჩემი მდგომარეობა როგორც არის, შენმა ვაზდამ დიდად გაჭირვებაში ვარ ეხლა ამ შემთხვევისთვის, შენგან ტყუილი არ მნამდა და ეხლა ჩემზედ აღასრულე... თუ დროზე მო-მეშველები კატუას მზითვისთვის შენ იცი, თუ არა და გაჭირდება საქმე. შენი მელიტონ ბარათოვი“ (ი. გრიშაშვილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლების წერილები. „ლიტერატურული ნარკვევები“. „სახელგამი“. თბილისი. 1957. გვ. 491-92). ზაქარია ორბელიანი მართლაც დახმარება დის ოჯახს: „ზაქარაიას და ეკატერინეს (იგულისხმება მელიტონის დისშ-ვილი გიორგი სავინაშვილი — მ.ც.) კარგი საქორწილო გამოეგ ზავნათ. ზაქარაია ინერება, რომ გ[რიგოლ]მა სულ ბლუჯეულად იცისო. — ქსატომ შემოვიტოვალა: ახლა შენ იციო, ევეც დიდ-კაცობა, ესეც შემთხ-ვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ ერთია: თუნდ შენსა ჯიბეში და თუნდ ჩემს ჯიბეშიო“ — ნ. ბარათაშვილი იმავე წლის 23 მაისის წერილი-დან გრ. ორბელიანისადმი. „დიდი ამბები გადახმდა ჩემის ქალის გათხო-ვებაზედ, ღვთის მონყალებით კარგი მზითველი მივეციო, რაც ჩემისთანას თავადის შვილს შეეფერებოდა, ასი თუმნის თამასუქი გამოვართვი ერთი წლის ვადით, მაგრამ, ძმარ, თუ ეს თამასუქი არ ყოფილიყო, საქმე ავათ მიდიოდა. ძმარ ჩემი სიცოცხლეც. ასეთ დროს მომივიდა შენგან ფული, შენმა სიცოცხლემ, ის ოცი თუმანი ასი თუმნის ალავას მოვიხმარე. იმდენი სიცოცხლე მოწოდეს, ზაქარაივ, რამდენი კატოს ნაყვანაზე შენა ვანტ-რობდა, მალ-მალ მეტყოდა ჩემი კატო — ნეტავის ერთი ზაქარაიას ნახვა მღირსებოდა“ (ციტირებულია წიგნიდან: ი. ბალახაშვილი. „ნიკოლოზ ბა-რათაშვილი“. „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი. 1967. გვ. 77).

- 24. მაზღებმა — იგულისხმებიან რევაზ ერისთავის ძმები: ლე-ვან (იხ. კომ. 1) და დავით (იხ. კომ. 44) ერისთავები.
- 25. მუღებმა — იგულისხმებიან რევაზ ერისთავის დები: ანას-ტასია ლუარსაბის ასული ერისთავი (1809-1886), რომელიც 1827 წელს ცოლად გაჰყვა გივი ბარძიშის ძე ამილახვარს (1810-1877), შემდეგ კი დავით ეგნატეს ძე თუმანიშვილს (1783-1827), და მარიამ ლუარსაბის ასული ერისთავი (1816-?), ენისეული თავადის, 1832 წლის შეთქმულების მონაწილის დავით ივანეს ძე ჯორჯაძის (1810-1866) მეუღლე.
- 26. რძალმა — იგულისხმება ეკატერინე ბარათაშვილის რომე-ლიმე მაზლის ცოლი.
- 27. მამუკაც — მამუკა (მაკარ) თამაზის (თომას) ძე ორბელიანი (1800-1871), თავადი, გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულებისა და კავკასიური, რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-თურქეთის (1828-1829) და ყირიმის ომების (1853-1856) მონაწილე, ცნობილი მო-ჯირითე და სახელგანთქმული ვაჟკაცი. სწავლობდა თბილისის კე-თილშობილთა სასწავლებელში. სამსახური დაიწყო 1816 წელს მენ-13 ლიბ გრენადერთა ერევნის კარაბინერთა პოლკში. 1829 წელს მონა-წილეობდა მილიციაში განვევის წინააღმდეგობაში, რისთვისაც პასუ-ხისგებაში მისცეს, მაგრამ გაამართლეს. მამუკა ორბელიანმა უნებუ-რად საბედისწერო როლი შეასრულა ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვ-რებაში. 1844 წლის 21 დეკემბერს ის დაინიშნა ელიზავეტპოლის (უძ-ველესი ქალაქი განჯა) მაზრის უფროსად და თავის თანამემნედ მიიწ-ვია პოეტს. ნიკოლოზ ბარათაშვილმა იქ გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი თვეები. მამუკა ორბელიანი დაქორწინებული იყო თა-ვად გიორგი ერისთავის (სენატორის) (1760-1863) და გაიანე ბატონიშ-ვილის (1780-1820) ასულ ქეთევანზე (1808-1897). მისი ქალიშვილი ალექსანდრა (1835-1914) ცოლად ჰყავდა ლევან მელიქიშვილს (1818-1892), ნ. ბარათაშვილის თანაგმიზიხელსა და უახლოეს მეგობარს. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში.
- 28. ელენე — ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი, მეტსახე-ლად „ცაკალი“ (1815-1888), თავად ზაქარია გიორგის ძე ერისთავის (1814-1850) მეუღლე. ცხოვრობდა ორბელიანების უბანში, ატლან-ტებიან სახლში, სასტუმრო „გრანდ ოტელის“ გვერდით, ამჟამინდე-

ლი გიორგი ათონელის 31-ე ნომერში (ელენე ორბელიანის შესახებ იხ. მ. ფოფხაძე. „ელენე ორბელიანი-ერისთავისა“ გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. 2007წ. 10-11. გვ.37-47 29-36).

29. მანანა — იგულისხმება მანანა მირმანოვის ასული ერისთავი-ობრელიანისა (იხ. კომ. 12).

30. მელანია — მელანია შანშეს ასული ერისთავი (1808-1836). ელიზბარ ერისთავის და. გათხოვილი იყო კოლეჯის მრჩეველ, თბილისის პოლიცემისტერ ანდრეი იაკობის ძე მელნიკოვზე (?-1836). ელისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავის (1864-1949) გადმოცემით, მელანიას „მზითვეში გაატანეს სახლი ვეზარხოსის მოედანზე“ (საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. 13257). მელანია ერისთავი და მისი მეუღლე მონაწილეობდნენ 1832 წლის შეთქმულებაში. მათი სახლი, სადაც ბინა ედო ელიზბარ ერისთავს, შეთქმულთა ერთგვარი შტაბი გახდა. მელანია ერისთავი ერთ-ერთი სოლომონ რაზმაძის მიერ თბილისში გაცხონობა მძევნიერ ბანკონათა მარაქის წევრთაგან, რომელთაც პოეტის ზმებით ასხენებს თავის ლექსში „დიანას მეჯლიში“ (იხ. თ. გოგოლაძე. „დიანას მეჯლიში“ — კოდირებული ტექსტი. „კრიტიკიუმი“. 6 2002 წ. გვ.98-101). მელანია ერისთავზე იხილე აგრეთვე თ. პაპავა. „ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება“ წიგნიდან „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“. თბილისი, 1990წ., გვ.71-73). შეთქმულების საგამოძიებო კომისიის მასალებში ნახსენებია მისი უწლოვანი გოგონა, რომელიც 1832 წლის 4 ნოემბერს გარდაცვლილა (იხ. გ. გოზალიშვილი. „1832 წლის შეთქმულება“. წინასიტყვაობა, მასალები, კომენტარები. ტ. 2 „მერანი“, თბილისი, 1970წ., გვ. 387) და სხვა შვილები.

31. ელიზბარის — ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი (1810-1871), პოდპოლკოვნიკ შანშე (რუსული საბუთებით: პავლე) იესეს (ალაბაბას) ძე ერისთავის (1765-1831) ვაჟი. დედის მხრიდან მეფე ერეკლე II-ის შთამომავალია. დედამისი ელენე იოანეს ასული ორბელიანი (1785-1817) შვილიშვილია ბატონიშვილ თამარ ერეკლეს ასულისა (1749-1786), მისი ვაჟის, სარდლისა და ქართლის სახლთუხუცესის იოანე დავითის ძე ორბელიანის (1765-1808) ქალიშვილი. 1823-30 წლებში ცხოვრობდა პეტერბურგში, სადაც ჯერ კერძო პანსიონში, შემდეგ საარტილერიო სასწავლებელში სწავლობდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პოდპორუჩიკად მსახურობდა კავკასიის გენერალთა არტილერიის მესამე ასეულში. მამის სიკვდილის გამო სამსახურს თავი ანება და გორში გადასახლდა. პეტერბურგში ყოფნის დროს ელიზბარ ერისთავი იულონ ბატონიშვილის ძემ დიმიტრიმ შეთქმულებაში ჩააბა და მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი შეიქნა. შეთქმულების საგამოძიებო კომისიამ ელიზბარ ერისთავი მეორე ჯგუფის დამნაშავედ ანუ ისეთ პირად სცნო, ვინც იყვნენ შეთქმულების წამომწყები და სხვებსაც უბიძგებდნენ შეთქმულების და თვით აჯანყებისაკენ“. გადასახლეს ფინეთში, სადაც ჯერ კრონშტადტში, შემდეგ კი შტელსინგფორსში (დღევანდელ შტელსინგში) რიგით ჯარისკაცად მსახურობდა. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ კულტურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას იწყებს. იგი დამკვიდრებული წევრია და ყოფიანის მიერ დაარსებული „სტუდიისის კერძო ბიბლიოთეკისა“, იხსენიებს აგრეთვე ერთ-ერთ ინიციატორად ეროში ჟურნალ „სინათლის“ დაარსებლისა. ელიზბარ ერისთავი ზრუნავდა აგრეთვე ჟურნალ „ცისკარზე“ და გორის მაზრაში მის გავრცელებაზე, რისთვისაც გ. მამაცაშვილთან ერთად რედაქტორის მადლობაც დაუმსახურებია. 1840-იანი წლებიდან სახელმწიფო სამსახურშია. 1969 წელს გორის მაზრის უფროსია. კარიერას ასრულებს პოლკოვნიკის ჩინით. სამსახურიდან გასულს გენერალ-მაიორის ხარისხი ებოძა. 1848 წელს მენარმეობას მიჰყო ხელი — ძმასთან დიმიტრისთან ერთად ატენის მახლობლად სოფელ ღვარებში დააარსა შუშის ქარხანა, რომლის პროდუქცია თბილისში იყიდებოდა. 1845 წელს ელიზბარ ერისთავი დაქორწინდა ქეთევან ერისთავზე (1826-1906), შალვა ერისთავისა (1798-1849) და ეკატერინე ორბელიანის (1802-1877) ასულზე. ქეთევანი პოეტისა და კოზლოვის „შემულის“ მთარგმნელის რევაზ შალვას ძე ერისთავის (1828-1899) და და ამავე დროს ნათესავი და ახლო მეგობარია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომელმაც მას უძღვნა ლექსი „ქეთევან“. ელიზბარ ერისთავი 1871 წელს გარდაიცვალა, გორში. დაკრძალეს იქვე, გორის საკრებულო ტაძრის, ე.წ. „საბოროს“ გალავანში. ამჟამად მისი საფლავი დაკარგულია. ელიზბარ ერისთავის უმცროსი ქალიშვილის ელისაბედის გადმოცემით იქვე დაუკრძალავთ მისი მეუღლეც: „დედაჩემი რომ გადაიცვალა 1907 წელსა აქ[ქ] თბილისში[ქ] წავასვენეთ გორში[ქ] იქ უნდა დავეკრძალა მამაჩემთან[ქ] სადაც ბიძა ჩემი რევაზი[ქ] ბეზარჩემი ეკატერინე ასლანის ასული ორბელიანისა იყო დასაფლავებული სობორის ახლო. მაქ[ქ]რამ ძალიან ვნანობ[ქ] რომ იკორთათი არ წავასვენეთ ჩემ[ქ] მამა[ქ]-პაპის სასაფლაოზე[ქ] ეხლა იმათი საფლავის ნიშანიც

არსა[ქ] არის“ (საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. 13263).

32. ესტატე ერისთავის — ესტატე მირმანოვის ძე ერისთავი (1810-1882), მანანა ორბელიანის ნახევარძმა, რევაზ შალვას ძე ერისთავის (1828-1899) სიმამრი, პრაპორშჩიკი. ცოლად ჰყავდა ეკატერინე ლუარსაბის ასული სუმბათაშვილი (1820-1847).

33. შვილისა — უნდა იგულისხმებოდეს ესტატე ერისთავის ქალიშვილი ანა (1844-1920), დაბადებული 1844 წლის 5 ივლისს, შემდგომ მიხეილ გივის ძე ამილახვრის (1833-1883) მეუღლე.

34. ატენში — ატენი, ქალაქი ფეოდალურ საქართველოში, ატენის ხეობაში, მდინარე ტანას ორივე ნაპირზე, ახლანდელი გორის მუნიციპალიტეტის ატენის სოფლის საკრებულოს ტერიტორიაზე. XIII-XVII საუკუნეებში ატენი მნიშვნელოვან ქალაქად რჩებოდა, მაგრამ დაღესტნელ ფეოდალთა განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად XVIII საუკუნისათვის დაკნინდა და სოფლად იქცა.

35. კნიაზი — იგულისხმება ცნობილი გენერალი გიორგი იესეს ძე ერისთავი (1760-1863), სენატორად წოდებული, რუსეთის ომების აქტიური მონაწილე. ქართლში მას გიორგი კნიაზს, „დიდ კნიაზს“ ან შემოკლებით „კნიაზს“ უწოდებდნენ. გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით, წერდა ლექსებს. თავრიზის აღების შემდეგ მისცეს სენატორობა საქართველოში ცხოვრების უფლებით. შემორჩენილია მისი მისაღმება გიორგი XII-ისადმი იმპერატორ პავლე I-ისაგან (1754-1801) სამეფო რეგალიების მიღების გამო, რომელიც პლატონ იოსელიანმა რუსულად გამოაქვეყნა «Русская старина»-ში 1894 წელს. დასაფლავებულია იკორთაში.

36. შუშურები — მკვლევართა ნაწილის აზრით შუშის სასმისი (იხ. ნ. ბარათაშვილი. თხზულებანი. სიმფონია-ლექსიკონითურთ ავთანდილ არაბულის, თეიმურაზ გვანცელაძის და ამირან ლომთაძის რედაქციით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1996წ. გვ. 194).

37. მამა — მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი (1795-1860), თავადი. მელიტონის მამა ნიკოლოზი (?-1803 წლის შემდეგ) დაახლოებული პირი იყო ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარზე. იგი ირაციებოდა ამაღლაში, რომელიც 1803 წელს რუსეთში, ბელგოროდში გადასახლებულ მარიამ დედოფალს გააყოფეს. ნიკოლოზს თან ახლდნენ ოჯახის წევრები, მათ შორის მელიტონიც, რის გამოც მას ჩინებულად სცოდნია რუსული ენა (ქართულის გარდა სცოდნია სომხური და თურქული ენებიც). მელიტონმა დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. 1810 წლიდან 13 წლის მანძილზე მუშაობდა თარჯიმნად საქართველოს მთავარმართებლის ტორმასოვის კანცელარიაში. 1811 წელს, როცა ტორმასოვს ახლდა ახალციხის ექსპედიციაში, მას ებოძა პრაპორშჩიკის ჩინი. 1812-13 წლებში, როგორც თარჯიმანი, თან ახლდა მაშინდელ მთავარმართებელს მარკოზ პაულუჩის (1779-1849) კახეთის აჯანყების საწინააღმდეგო ექსპედიციაში, მიუღია მონაწილეობაში ზრძოლებშიც. მელიტონი მსლებლად გააყოფეს აჯანყებაში მონაწილეობისათვის პეტერბურგში გადასახლებულ გრიგოლ ბატონიშვილს. 1813 წელს მან მიიღო პოდპორუჩიკის, 1816 წელს — პორუჩიკის, ხოლო 1820 წელს — კაპიტნის ჩინი. 1824 წელს დაინიშნა განჯის პოლიცემისტრად და ოლქის უფროსად. 1829-1832 წლებში მონაწილეობას იღებდა თავადაზნაურობის საქმეებში, მონაწილეობდა ქართული მილიციის ორგანიზებაში და ლექებზე ალაზან-გალმა ლაშქრობაში. 1832 წელს უბოძეს მაიორობა და დაუნიშნეს პენსია. 1832 წლის 17 დეკემბერს აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშლად 1833-35 წლების პერიოდისათვის, 1835 წლის 27 დეკემბერს ხელახლა აირჩიეს ამ თანამდებობაზე, იმავდროულად არჩეულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის მარშლის პირველ მოადგილედ. მელიტონი განათლებული კაცი ყოფილა, კარგი მცოდნე ქართული ლიტერატურისა, მჭევრმეტყველი, კეთილი, მეტად სტუმართმოყვარე და გულუხვი, გამოირჩეოდა სიფიცხითა და გულზვიადობით. ხელგამოწლი ცხოვრების წესმა გააღწია და ვალეებში ჩააგდო. მთავრობისადმი სიკეთესადმი ყოფილა განწყობილი, 1832 წლის შეთქმულებაში არ მონაწილეობდა. თანამედროვეთა გადმოცემით მასა და პოეტ შვილს შორის მაინცდამაინც კეთილგანწყობილი დამოკიდებულება არ ყოფილა. 1837 წლიდან მელიტონი, რომელიც ადრეც ავადმყოფობდა, ლოკინად ჩავარდა. ცოლად ჰყავდა ეფემია ზურაბის (დმიტრის) ასული ორბელიანი (1801-1849). გარდაიცვალა ხაშურის რაიონში, სოფელ ოსიაურში, სადაც დაქვრივებული მამა თავის ქალიშვილს ბარბარე ვეზირიშვილისას სტუმრობდა. დაკრძალულია იქვე (დახვრილებით მელიტონ ბარათაშვილის შესახებ იხილე პ. ინგოროყვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი. „მერანი“, თბილისი, 1969წ. და ი. პალაბაშვილი. „ბარათაშვილის ცხოვრება“. ლიტერატურა და ხელოვნება“ თბილისი. 1967წ; აგრეთვე ც. ბარბაქაძე. „სად განისვენებს ნიკო-

ლოზ ბარათაშვილის მამა? „ახალი ქართული გაზეთი“, №74, 17 ოქტომბერი, 1998 წ.

38. ალევობას — რელიგიური დღესასწაული, რომელიც იმართებოდა ქსნის ხეობაში, ძველ ისტორიულ სოფელ ალევში. იქაური მაღალ მთაზე აგებული VIII-IX საუკუნის დარბაზული ტიპის ე.წ. ოქროსკარიანი სამების ეკლესია მდიდარი და განთქმული სალოცავი იყო ალმოსავლეთ საქართველოში. ალევობა 15 (27) აგვისტოს იმართებოდა.

39. მანანა — იგულისხმება მანანა მირმანოვის ასული ერისთავი-ორბელიანისა (იხ. კომ.12).

40. ელენე — იგულისხმება ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი (იხ. კომ. 28).

41. ვერსტი (რუს. верста), ვერსი, სიგრძის ძველებური რუსული ერთეული, უდრის 1,06 კილომეტრს..

42. რევაზ — რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავი (1812-1881), თავადი პრაპორშჩიკი. დაქვრივების შემდეგ 1856 წლის 12 თებერვალს მეორედ იქორწინა მართა ნიკოლოზის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელზე (1836-?). ნიკო ბური, რომლის ალალი მამიდაც იყო მართა ბაგრატიონ-მუხრანელი, თავის მემუარებში იხსენებს: „14 წლის ლამაზი მართა განსაკუთრებით მოეწონა ვორონცოვის მეუღლეს და ერთხელ ნაიყვანა თავის ნადიმზე. ნადიმზე ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება მართამ მოახდინა. მისმა შესანიშნავმა სილამაზემ მიიპყრო იქ მყოფი თელი ახალგაზრდების ყურადღება. მაგრამ მართას ასეთმა მოწონებამ მამამისი საგონებელში ჩააგდო, — პაპაჩემს სიძედ გარდა ქართველისა, არავინ უნდოდა, ამიტომ მან მართას გათხოვება დააჩქარა და ცოტა ხნის წინათ დაქვრივებულ თავად რევაზ ერისთავს გაატანა ცოლად. რევაზი ძალიან მდიდარი, მაგრამ საცოლზე თითქმის 40 წლით უფროსი (რევაზ ერისთავი მეუღლეზე 24 წლით იყო უფროსი — მ.ც.), მეტისმეტად ეჭვიანი კაცი გამოდგა. რევაზმა ახალგაზრდა ცოლი ჩაკეტა თავის თეთრ სასახლეში; ეს სასახლეც ისეთივე ლამაზი და სვეტებიანი იყო, როგორც თბილისში არჩილ მუხრანელის (იგულისხმება არჩილ თეიმურაზის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი (1824-1862-მდე), მართას სიძე, მისი უფროსი ძის, სალომეს (1825-?) ქმარი — მ.ც.) სახლი; ის მდინარე ქსნის ნაპირზე მდებარეობდა, საცხოვრებელი ადგილებიდან სრულიად განცალკევებულია. რევაზის პირველი ცოლი ეკატერინე პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის მკვიდრი და იყო, რომელთანაც ხშირად და დიდხნობით სტუმრობდა ხოლმე პოეტი“ (ნიკო ბაგრატიონი. „ბურებთან“. მოგონება. თარგმანა და შენიშვნები დაურთო რაუფელ გვეტაძემ. „საბჭოთა მწერალი“. თბილისი. 1951. გვ. 18). მეორე ქორწინებიდან რევაზ ერისთავს შესძენია შვილები: თამარი (1859-?), არჩილი (1860-?), ანასტასია (1862-1880წ.-ის შემდეგ), სოფიო (სონია) (1865-?) (ახალგაზრდი გიორგი ანდრიას ძე კობიაშვილის (1860-?) მეუღლე) და ივანე (1868-?).

43. ლევანისა — იგულისხმება ლევან ლუარსაბის ძე ერისთავი (იხ. კომ. 11).

44. დავითი — დავით ლუარსაბის ძე ერისთავი (1814-1889). პოდპორუჩიკი. სახელმწიფო მრჩეველი. პირველად (1845) იქორწინა სალომე შალვას ასულ ერისთავზე (1826-1854), მეორედ (1858) — ანა გრიგოლის ასულ ბებუთოვანზე (1839-1918).

45. გრიგოლ — გრიგოლ ზურაბის (დემიტრის) ძე ორბელიანი (1804-1883), გენერალ-ადიუტანტი, პოეტი, ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა (დედის ძმა), მეფე ერეკლე II-ის შთამომავალი, შვილიშვილის შვილი (დედამისი ხორეშანი (1786-1833) ელენე ერეკლეს ასულის (1753-1786) ქალიშვილი იყო). სწავლობდა კეთილმოხილთა სასწავლებელში, შემდეგ საარტილერიო სკოლაში. მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ, რუსეთ-სპარსეთის (1826-28) და რუსეთ-თურქეთის (1828-29) ომებში. დაპატიმრებული იყო 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. 1859 წლიდან თბილისში მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლად მუშაობდა. პოეტურ ნიმუშებთან ერთად უაღრესად საინტერესოა მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელიც უხვ მასალას იძლევა ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრებისა და თვითონ ავტორის პირადი ცხოვრების შესახებ. დაკრძალულია ქაშუეთის ტაძარში.

46. ილია — ილია ზურაბის (დემიტრის) ძე ორბელიანი (1815-1853), გენერალ-მაიორი, გრ. ორბელიანის უმცროსი ძმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა (დედის ძმა) და თანშეზრდილი. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. 1842 წელს 8 თვე აუტანელ პირობებში ტყვედ ჰყავდა შამილს, რომლის დროსაც განსაცვიფრებელი სიმტკიცე გამოიჩინა და რომელმაც შთააგონა ნ. ბარათაშვილის თავისი შედგენის „მერანის“ დაწერა. 1840 წელს დუქოს ჰქონდა ბიძამისთან, ნიკოლოზ ბარათაშ-

ვილთან. ი. ორბელიანი იყო გრენადერთა პოლკის უფროსი, მონაწილეობდა ყირიმის ომში (1853-1856), სადაც სასიკვდილოდ დაიჭრა ბაშ-კადიკლართან. გრაფ ვორონცოვს ილიკო ორბელიანი ძალიან ჰყვარებია. ალ. ორბელიანის გადმოცემით „ილია თავის ყიზილბაშურ ხასიათით, რასაც უნდა, იმას არიგებდა ვარანცოვთან“ (www.lib.ge). ილია ორბელიანი. „რუსების დასი ქართველები ჩემზედ“ („ალ.იბ.გე). ილია თან ახლდა ვორონცოვს დარლოს ექსპედიციაში და სხვადასხვა ცნობების თანახმად ამშვიდებდა სარდალს უკანდახევის მძიმე წუთებში. „შენი დიდი მკებარია ღრაფ ვორონცოვი...სადილზე სულ შენს ვაჟკაცობას მიამბობდა ღრაფი, ერთის სიტყვით შენი სახელი გამოვიდა მეიდანზედ“ — გახარებული სწერდა გრიგოლ ორბელიანი ძმას 1845 წლის 6 აგვისტოს თემირ-ხან-შურიდან (გრ. ორბელიანი. წერილები. „სახელმწიფო გამომცემლობა“. 1936წ. ტ. 1. გვ. 116). ზისერმანის გადმოცემით იგი ყოფილა „ჭკვიანი და ერთობ სიმპათიური ყოველმხრივ შემკული ადამიანი“ (А. Зисерман, 25 лет на Кавказе., СПб 1879). რუსი გენერლისა და სამხედრო პედაგოგის ნიკოლოზ ისაკოვის (1821-1891) დახასიათებით ილია იყო „მარჯვე, მაღალი, ლამაზი და გაბედული ოფიცერი“ (Н. Исаков. Кавказские воспоминания. «Русская старина», 1917г.) 1852 წელს ილია ორბელიანი იქორწინა ბარბაღე ილიას ასულ ბატონიშვილზე (1831-1884), ცოლ-ქმარს ეყოლა ტყუპი ვაჟი, რომელთაგან ერთი მაშინვე გარდაიცვალა და მამასთან ერთად დაკრძალეს ქაშუეთის ტაძარში. ილია ორბელიანის დარჩა შვილი გიორგი ორბელიანი (1853-1924), შემდგომ გენერალ-მაიორი, ნ.ბარათაშვილის ნემტის ჩამოსვენების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

47. გიორგი — გიორგი (რუსულ წყაროებში იხსენიება იგორად) დემიტრის ძე საგინაშვილი (1792 ან 1800-1844), ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი, მარიამ (მაია, მამო) ნიკოლოზის ასულ ბარათაშვილის და აზნაურ, კაპიტან დემიტრი ზაქარას ძე საგინაშვილის (?-1834) ვაჟი. პოდპოლკოვნიკი, სამხედრო სამსახური დაიწყო 1816 წელს 21-ე საარტილერიო ბრიგადაში ფოიერვერკერად, 1818 წლიდან იუნკერია. 1820 წელს გადაიყვანეს კარაბინერთა მე-7 (შემდგომ ერევნის გრენადერთა) პოლკში. 1821 წელს დაწინაურდა პრაპორშჩიკად, 1825 წელს — პოდპორუჩიკად. 1826-28 წლებში მონაწილეობს სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში. 1828 წელს აბას-აბადთან და ერევანთან ბრძოლებისთვის დაწინაურეს პორუჩიკად. შემდეგ მონაწილეობს თურქეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში, ყარსის იერიშიში, რისთვისაც დაჯილდოვდა წმ. ანას მე-4 ხარისხის ორდენით. 1829 წელს ახალციხესთან გამოჩენილი მამაცობისთვის მიიღო წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენი ბავთით, ხოლო ბაიბურეთის იერიშისთვის 1830 წლის 27 იანვარს დაწინაურეს შტაბს-კაპიტანად. 1830 წლიდან განუწყვეტლივ მონაწილეობს კავკასიელ მთიელებთან ბრძოლაში. აულ გიმრისა და საერთოდ 1832 წლის კამპანიისათვის მიიღო წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენი ბავთით. 1837 წელს მიენიჭა კაპიტნის, 1839 წელს — მაიორის წოდება და დაინიშნა ერევნის პოლკის მე-3 ბატალიონის უფროსად. 1841 წელს მონაწილეობდა გურიის აჯანყების ჩაქრობაში. ამავე წელს დაჯილდოვდა წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით. 1842 წელს ზაქარია ორბელიანთან ერთად მსახურობდა დაღესტანში, სამურის რაზმში პოლკოვნიკ მოსე ზაქარას ძე არლუთინსკი-დოლაგორუკოვის (1798-1855) ხელქვეითად და იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. 1843 წელს მიიღო პოდპოლკოვნიკობა. გარდაიცვალა 1844 წლის 30 ნოემბერს. გიორგი საგინაშვილი ბარათაშვილის წერილის ადრესატის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე დემიტრის ძე საგინაშვილის (1808-1870) ძმაა.

48. მამუკა — იგულისხმება მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანი (იხ. კომ. 27)

49. გრიგოლის — იგულისხმება გრიგოლ ზურაბის (დემიტრის) ძე ორბელიანი (იხ. კომ.45).

50. მანანას — იგულისხმება მანანა მირმანოვის ასული ერისთავი-ორბელიანისა (იხ. კომ.12).

51. ილიას — იგულისხმება ილია ზურაბის (დემიტრის) ძე ორბელიანი (იხ. კომ. 46).

52. ჩერვლონში — ჩერვლიონაია, სტანიცა ყოფილ თერგის ოლქში (ამჟამად ჩენქეთში, შიოლკოვსკის რაიონში), თერგის მარცხენა ნაპირზე, სადგური, რომელთანაც რკინიგზით შეერთებულია ქ. ყიზლარი.

53. მთავარ-მართებელსაც — იგულისხმება ალექსანდრე ივანეს ძე ნეიდვარტი (1784-1845), ინფანტერის გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი და ჯარების კორპუსის სარდალი 1842-44 წლებში. სამხედრო სამსახურში შევიდა 1798წ. 1812-14 წლებში იბრძოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში. 1831 წელს მონაწილეობას იღებდა პოლოეთის აჯანყების ჩაქრობაში. შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში იწვინია დამარცხება, რის გამოც თანამდებობა დატოვდა და კავკასიიდანაც გაემგზავრა. ნეიდვარტის საუკეთესოდ მიჩნეული კარინ-

ლორდ ბაირონი

ორი თავი „დონ ჟუანიდან“

ნინათქაა მამქსა, მჰჰვიღა და
მარკა თავეზისათვის

კატურა შესრულებული აქვს გენერალ-მაიორ პლატონ ივანეს ძე ჩელიშვილს (1804-1859), რომელიც მე-19 საუკუნის ორმოციან წლებში მსახურობდა ქართულ გრენადერთა პოლკში და რომლის კარიკატურებიც დაბეჭდილია „ლიტერატურის მატიანის“ 1-2 ნომერებში.

54. ლუარსაბი — ლუარსაბ (იოველ) იოანეს ძე ორბელიანი (1793-1835), მაიორი (1833), პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის (1886-1846) ცოლისძმა. სწავლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში. იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, საგამომძიებლო კომისიაში III კატეგორიის დამნაშავედ მიიჩნია, ანუ იმ პირად, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა შეთქმულებაში და მომხრე იყო აჯანყებისა. მას საქართველოში დარჩენა და პატიმრობიდან გათავისუფლება გადაუწყვიტეს.

55. ანა — ანა თამაზის (თომას) ასული ორბელიანი (1796-1844), ლუარსაბ ორბელიანის მეუღლე, მამუკა ორბელიანის (იხ. კომ. 27) და, ცნობილი სილაბაზით. გრ. ორბელიანი 1882 წელს ეკატერინე ჭავჭავაძის (1816-1882) გარდაცვალებასთან დაკავშირებით თავის ბიძაშვილის ტასო ოგლობულის (1831-1884) გულდაწყვეტილი სწერდა: „...ესრეთნი იყვნენ: ანა, მანანა, მიაა, ჩვენი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინა გრიბოედოვისა, მისი და სოფიო, ჩუენი მაიკო, ყაფლანის ელენე, მართა ერისთავისა და მრავალნი სხუანიცა! აბა, ეხლა თვლით გადაავლე ჩუენს საზოგადოებას, ვინ არიან ამათი მაგიერი? — ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო“. ანა ორბელიანის სილაბაზეს აღნიშნავს ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანიც (1802-1869): „მე იმისი მსგავსი მშვენიერი ქალი არ მინახავს“ (მ. ბერძინვილი. „მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივის ისტორიისათვის“. ტ. II. „მეცნიერება“, თბილისი, 1983წ. გვ. 152).

56. ივანე კარლინი — ივანე კარლის ძე დეპნერი (?-1844 წ.) თბილისელი ექიმი, საექიმო სამმართველოს შტაბ-მკურნალი, კარის მრჩეველი, მკურნალობდა ა.ს. პუშკინის თანამგზავრს კავკასიაში ნ. ბ. პოტოცკის (დაახ. 1810-?).

57. სალომე — სალომე თარხნიშვილი, ივანე კარლის ძე დეპნერის (?-1844წ.) მეუღლე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, სასამართლოს მრჩეველის, კაპიტან დიმიტრი ზაქარიას (ზაზას) ძე თარხნიშვილის (1774-?) ქალიშვილი.

58. ЗАКОННЫМ АКТОМ — კანონიერი აქტით. ი. კ. დეპნერს თბილისში, მჭედლების მოედანზე (მდებარეობდა ახლანდელი პუშკინის ქუჩის გაგრძელებაზე ბარათაშვილის ქუჩის კუთხიდან ორბელიანის მოედნის სკვერის პირდაპირ) ჰქონდა ორსართულიანი, დიდი სახლი. ამ სახლში 1831-32 წლებში ცხოვრობდა პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) ოჯახი. იმხანად ალ. ჭავჭავაძე მტკვრის მარცხენა მხარეს, რიყის მიდამოებში, ავლაბის ხიდის მახლობლად იმეზებდა საკუთარ სახლს. თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით დეპნერის სახლში ოთახები მისი სიკვდილის შემდეგაც ქირავდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მან თავისი ქონება ცოლს უანდერძა, მისმა ძმამ ეს ანდერძი სადავო გახადა. ამ საქმეზე 1845 წელს ოფიციალური მიმოწერა წარმოებდა (დეპნერისა და მისი მემკვიდრეობის შესახებ იხ. ი. ბალახაშვილი. „გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე“, „საბჭოთა საქართველო. თბილისი. 1966წ. გვ. 142-143). დეპნერის სიკვდილს ეხმაურება გრ. ორბელიანი ქეთევან ორბელიანთან (1818-1895) გამოცხადებულ წერილში: „მართლა ივანე კარლინი მომკვდარა, სანყალა? — ერთ სურვილს უხაროდეს, კარგი ქვერბი?“ (იხ. გრ. ორბელიანის წერილი ქეთევან ორბელიანისადმი. 1844წ. 27 აგვისტოს. თუმირხანშურით. გრ. ორბელიანი. წერილები. ტ. 1. 1832-1850. აკაკი განურელიას რედაქციით და შენიშვნებით. „სახელმწიფო გამომცემლობა“. თბილისი. 1936წ. გვ. 100). რატომ ხუმრობდნენ ნ. ბარათაშვილი და გრ. ორბელიანი ამ საკითხზე და ვინ იყო ქვერბი სალომე თარხნიშვილით დაინტერესებული პირი, გვერჯერობით გაურკვეველია.

59. გიორგი — იგულისხმება გიორგი დიმიტრის ძე საგინაშვილი (იხ. კომ. 47).

60. იაკობე — იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი (1805-1878), აზნაურის, ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი სოლომონის ძე ალექსი-მესხიშვილის (1779-1862) ვაჟი, ნ. ბარათაშვილის ბიძის ზაქარია ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანის (1806-1847) ცოლისძმა. 1821 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და იქვე დაინიშნა მასწავლებლად. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მთარგმნელად, თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში, ახალციხისა, ქუთაისისა და თელავის მაზრების უფროსებად, თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარის მმართველად. 1862 წელს გახდა ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი. 1847 წელს თანხა შესწირა ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლისათვის. დაკრძალულია სამთავისის ტაძარში.

მომდევნო ორ (მეშვიდე და მერვე) თავში გამოყენებული დეტალები იზმაილის ალყისა და ვალეხულია ფრანგული ნაშრომიდან, რომლის სათაურიცაა „რუსეთის ახალი ისტორია“. დონ ჟუანისათვის მიწერილი რამდენიმე ამბავი მართლაც მოხდა; ვთქვათ, ბავშვის გადარჩენისა, რაც ნამდვილად გადახდა თავს პრეტოც დე რიპელიეს, იმ დროისათვის ახალგაზრდა მოხალისეს რუსეთის არმიაში, შემდგომ ოდესის დამფუძნებელსა და მეოხს, სად მის სახელსა და ღვაწლს მუდამ მოწინებთ იხსენიებენ.

ნახავთ, რომ ამ თავების რკალში ორიოდ სტროფი შეეხება ან გარდაცვლილ მარკო ლონდონდერის, ოლონდ მის აღსასრულად-და დაწერილი. ამ პიროვნების ოლიგარქია მასთან ერთადვე რომ არ მომკვდარიყო, ამ სტროფებს დაემატებოდა; ისე კი, დარწმუნებული ვარ, ვერც მისმა სიკვდილმა და ვერც მისმა სიცოცხლემ ხელი ვერ უნდა შეუშალოს იმათი აზრის თავისუფლად გამოხატვას, ვის დამონებასაც ლამობდა მთელი სიცოცხლე. ეგებ კეთილი კაციც გახლდათ პირად ცხოვრებაში, ეგებ არცა, მაგრამ ამას საჯარო ცხოვრებასთან რა კავშირი აქვს?! რაც შეეხება გლოვას მისი გარდაცვალებისა გამო, საამისოდ საკმაო დრო დარჩება, როს ირლანდია დაასრულებს მისი გაჩენის დღის წყევლას. მე, მილიონში ერთი, მას, როგორც მინისტრს, მივიჩნევდი ყველაზე უფრო დესპოტური განზრახვისა და ყველაზე სუსტი ინტელექტისად მათ შორის, ვინც ჩაგრავდა ქვეყანას. ალბათ ნორმანთა დაპყრობიდან პირველად მოხდა, რომ ინგლისს შეურაცხყოფდა მინისტრი, ვინც (სულ ცოტა) ინგლისურად ვერ ლაპარაკობდა, და რომ პარლამენტი იტანს მისის მალაპროპოსი ენით კარნახს.

რა შეიძლება ითქვას, თუ როგორ მოკვდა: ალბათ თუ ლატაკი რადიკალი, უოდინგტონისა ან უოტსონის მსგავსი, ყელს გამოიჭრია, სადმე გზაჯვარედინზე ჩაფლავდნენ და ჯოხს დაურჭობდნენ, მაგრამ მინისტრი დახვეწილი შეშლილი გახლდათ, სანტიმენტალური თვითმკვლეელი, მან მხოლოდ „საძილე არტერია“ გადაიჭრა (დაილოცოს განსწავლულობა!) და ჰა, იხილეთ! სამედიკო-ვიარო პროცესია საბატოსკენი, და სახობო დიტიორამბიცი ალველინება“ გაზეთებისგან, და ოფიციალური პირი სიტყვას წარმოთქვამს, გარდაცვლილის სისხლიან ცხედართან (ანტონიუსი იყო ღირსი ასეთი კეისრისა), გულისგამანჯრილებელ და უგვან ჟარგონზე შეთქმულთა გადაგვარებული ჯგუფისა, ყოველივე ღირსეულისა და უმანკოს წინააღმდეგ რომ ილაშქრებენ. ნესკანონით, ასეთი სიკვდილის გამო დამნაშავედ ან გიყად უნდა შერაცხილიყო და ორივე შემთხვევა პანეგირიკის საგნად არ უნდა ქცეულიყო. სიცოცხლეში რაც იყო, მთელმა მსოფლიომ იცის, და ნახევარი მისოფლიო იგრძნობს უახლოეს წლებში, როცა მისი სიკვდილი გახდება „ზნეობრივი გაკვეთილი“ ევროპისათვის. ნუგეზად მანაც იქცევა ერებისათვის, როს შეიტყობენ, რომ მათი მჩაგვრელი სწუხან და ეგებ სამართლიანად განსაჯონ თავიანთი საქციელი კაცობრიობის სამსჯავროს წინაშე. დაე აღარაფერი გვსწოდეს ამ კაცის შესახებ და დაე ირლანდიამ გადაასვენოს თავისი გრატანის² ფერფლი ვესტმინსტერის საწინააღმდეგო და კაცობრიობის მოყვარემ მოსვენოს ამ პოლიტიკის ვერტერისაგან.

რაც შეეხება სხვა პრეტენზიებს, „დონ ჟუანის“ უკვე გამოქვეყნებულ ნაწილს რომ შეეხება, თავს ვოლტერის ამ ციტატებთ ვინუგეზებ: „სირცხვილმა დაუტევა კაცთა გულები და თავი შეაფარა ტურჩებს... რაც უფრო გადაგვარდება ზნეობა, მით უფრო ფხიზელი ხდება ენა; გვეჯერა, რომ ლინგვისტურად აღვადგენთ იმას, რაც ზნეობრივად დავკარგეთ.“³

ეს რეალობა და სწორედაც შეეფერება დაქვეითებულ და ფარისევლურ მასას, გაფუხრულს თანამედროვე ინელიურ თაობაში, და ერთადერთი პასუხია, რასაც იმსახურობენ. სიტყვა „მკრეხელი“ მეტად გახშირდა და გამრავალმნიშვნელოვნდა; მას უწოდებენ რა-

დიკალს, ლიბერალს, იაკობინელს, რეფორმატორსა და ამისთანებს, დაქირავებულნი ჩასძახიან ყურებში ყოველდღიურად მათ, ვინც ყურს მიუგდებენ, და ხელგამლით მხოლოდ ისინი დებულობენ, ვისაც ახსოვთ, პირველად თუ ვის უწოდეს. სოკრატე და ქრისტე სიკვდილით დასაჯეს ვითარცა მკრეხელნი და ასე მოექცნენ მრავალთ, ვინც გაბედა და წინ აღუდგა ხშირსა და უგვიან მოხსენიებას ღვთისა და ადამიანის გონებისა. მაგრამ დევნა ვერც გაგამართლებს და ვერც გაგამარჯვებინებს; „ბეჩავი ურწმუნო“, როგორც უწოდებენ, შესაძლოა უფრო ბედნიერი იყოს საკანში, ვიდრე მის დამგობობაგან ყველაზე თავმომხონე. დევნილის აზრებთან არაფერი მესაქმება, ეგებ მართალია ან ეგებ ტყუის, მაგრამ იტანჯა და ტანჯვა რწმენისათვის უფრო მეტ მოხალისეს შესძენს დეიზმს, ვიდრე ჰეტეროდოქსიის მაგალითი შესძენდა სასულიერო პირებს ქრისტიანობას, სახელმწიფო მოღვაწის თვითმკვლელობა შეეწევა ჩაგვრას, ან უხვად დაფინანსებული მკვლელობანი მოუტანს რამეს იმ უღვთო ალიანსს, მსოფლიოს რომ შურსცხეფს სახელით „წმინდა“! არ მსურს ჩაენიხლო თავლაფდასმულნი ან მიცვალებულნი; მაგრამ კარგი იქნებოდა თუ მიმდევრები იმ კლასისა, საიდანაც ეს პიროვნებანი გამოდიან, ცოტა შეაუსტებენ ხობტას და გადარჩებანი ცოდვას ორპირობისა, ფუჭიქვეყნებისა და თავკერძობისა და... თუმც ამჯერად ეს ვიკმაროთ.

**თავი მეექვსე
ქალის სამოსალები**

„კაცთ ბედის ჩარხი ზღვის ტალღების მიმოქცევას ჰგავს: თუ ზე-ამავალს პირს მოექცე,“⁴ დანარჩენი ხომ იციო, და უმრავლესობა შევხვედრივართ დროდადრო; ბოლო-ბოლო ასე გვგონია, თუმც მხოლოდ მცირეოდენთ თუ უგრძენიათ საჭირო წამი, ვიდრე დაიგვიანებდნენ. მაგრამ, უეჭველია, ყველაფერი უკეთესობისაკენ მიდის...

და ამის საუკეთესო დასტური ბოლოსაა: და თუ უარესობისაკენ უქცევია პირი, ხანდახან შეკეთება ესაჭიროება.

ზღვისა ტალღათა მიმოქცევა ქალთა ცხოვრებაშიცაა, რაც მოქცევისას, ღმერთმა უწყის, საით მიგვიძღვის; ეს ნავიგატორები უნარბილი ზღვაოსანნი არიან, მათი რუკები უნგრძელს დინებებსაც ასახავს და თვით იაკობ ბიომეს სქემებიც კი, იმ უცნაური ქარბორბალებით, ვერ შეედრებათ; კაცები თავით განსჯიან ამას თუ იმას, ხოლო ქალები, ზეცამ თუ იცის, რას იზრახავენ გულით!

და მაინც, თავანუელი, ქედმოუხრელი, მაღლითმხედველი გულბეიაზი, ახალგაზრდა, ლამაზი და გამბედავი, ბედის სასწორზე შეაგდებდა ტახტსაც, მსოფლიოსაც, სამყაროსაც, ოღონდაც ჰყვარებოდათ, ვითარ თვით სურდა, და ვარსკვლავთაც კი გადარეკდა ციდან, ოღონდ თავისუფალი ყოფილიყო ქარბორიათი ამდელვარებული ზღვის ტალღებით... თუმც ასეთი ეშმაკი გახლდათ (ერთადერთი რომ ყოფილიყო), მრავალ მანიქველს ერთად გაასაულებებდა.

ტახტები, ქვეყნები და ამისთანანი ისე ხშირად ემხოზიან მდაბალ ამბიციათა გამო, რომ ოდეს ვნება იმავეს სჩადის, ვინცებთ ან ბოლობოლო მივუტევებთ სიყვარულის გაელვებას. ანტონიუსი რომ ჯერაც გვახსოვს, დაპყრობათათვის კი არ შემოგვიინახავს მისი სახელი, არამედ აქტიუმიანათვის, კლემენტარს თვალთა გამოისობით რომ დათმო, რაც კეისრის ყველა გამარჯვებას გადანდის.

ორმოცდაათი წლისა გახლდათ და ორმოცი წლის დედოფლისათვის აღესრულა; ნეტა თხუთმეტი და ოცი წლისანი ყოფილიყვნენ, რადგან ამ ასაკში სიმდიდრეც, სამეფოებიც, მსოფლიოც თავშექცევისა...

მასხოვს, როს, თუმც ბევრი არაფერი გამაჩნდა დასაკარგი, თავაზიანობის სამსხვერპლოზე მივიტანე, რაც მომეპოვებოდა — გული; ნუთისოფელი გაილია და მეც ჩემი წილი მსხვერპლი გავილე; სოფელი ვეროდეს ამინაზლაურებს უმანკო გრძნობებს, რაც წარხდა, წარხდა სამარადისოდ.

ასეთი იყო ყმანვილის „წვლილი“ და „ქვრივის“ წვლილის მსგავსად შესაძლოა მოგვიანებით აინონოს, თუ ახლა არა;

თუმც ასეთი რამ იწონება თუ არა, ვისაც ჰყვარებია ან უყვარს, იცის, რომ ცხოვრებაში ამას ვერარა შეედრება.

ღმერთი სიყვარულიაო, გვარწმუნებენ, და სიყვარული ღმერთია ან იყო, ვიდრე დედამიწის შუბლი შეიჭმუნებოდა ცოდვებითა და ცრემლებით მათი, ვინც... მაგრამ ქრონოლოგია თარიღებით ინტერესდება.

ჩვენი გმირი და მესამე გმირი ქალი ისეთ ყოფაში დავტოვეთ, უხერხული რომ უფრო ეთქმის, ვიდრე უჩვეულო, რადგან ჯენტილმენებმა ხანდახან ხიფათში ჩაიგდონ თავი იმ უიღბლო ცდუნებისათვის, აკრძალულ ქალს რომ უწოდებენ; სულთნებს მეტად სძულთ ამგვარი ცოდვა, და არ ეთანხმებიან ბრძენ რომაელს, გმირსა და სტოელ კატოს, სენტენციათა მოყვარულს, ვინც ცოლი თვისი მეგობარს თვისას ჰორტენზიუსს მიაქირავა.⁵

ვიცი, უსაზღვროდ ტყუოდა გულბეიაზი; ვალიარებ, ვნუხვარ და ვგობო; მაგრამ მძულს გამონაგონი სიმღერაშიც კი, და სიმართლე უნდა ვთქვა, თუნდ გამკიცხოთ.

გონება სუსტი ჰქონდა, ვნება კი ძლიერი და ფიქრობდა, ჩემი ბატონის გულში (და ადანაშაულებდა კიდევ) ადგილი აღარ მომექცებო, რადგან სულთანნი ორმოცდაცხრამეტისა გახლდათ და ათასხუთასი ხარჭა ესვა.

კასიოსავით „ართიმეტიკოსი“ არა ვარ, მაგრამ „ნიგნური თეორიით“ ისე ჩანს, რომ თუკი ქალური სიზუსტით შევაჯამებთ და დავუმატებთ მისი უდიდებულესობის წლებსაც, მშვენიერი დედოფალი შეცდა გამოფიჭვისა გამო; რადგან თუ სულთანნი თანაბრად მოექცევა ყველა თავის სატრფოს, მას მხოლოდ ათასმეხუთასე წილი ერგება გულისა; გულისა, რისი დაპყრობაც დედოფალს ესაჭიროება.

შემჩნეულია, რომ ქალბატონები მომჩივანნი არიან და სამსჯავროს საქმეებშიც ჩახედულნი, და მაშინაც კი, ოდეს რელიგიური არიან, რაც აორმაგებს, მათი აზრით, კანონდარღვევას, ალყაში გვაქცევენ ჩვილებითა და აღმასრულებლებით, ერთმანეთს მიენყოფა ტრიბუნალის სხდომები, როს ეჭვი შეეპარებათ, ვილაცამ წილი მოითხოვა იმაში, რის — კანონის ძალით — ერთადერთი მემკვიდრენიც ჩვენ გახლავართო.

და თუ ასე ხდება ქრისტიანულ ქვეყნებში, ნარმართებიც ჰბაძავენ, თუმც ნაკლები ნარმატებით, და სურთ რომ საქმეები საკუთარ ნებაზე ნარმართონ, აი, თუნდ, რასაც მეფენი „ზვიად დამოკიდებულებას“ უწოდებენ, და ის უფლებანი, ქორწინების დამცველნი რასაც იცავენ; როს ქმრები უმადურად ექცევიან, ოთხი ცოლი ოთხჯერ მეტ პრეტენზიას წამოაყენებს, და ტიგროსიც ისეთივე ეჭვით აღივსება, ვითარცა ტემზა.

გულბეიაზი მეოთხე გახლდათ და ფავორიტი (ვითარ გაუნყეთ); მაგრამ აბა რა არის ფავორიტობა ოთხში?

პოლიგამიის საშინელება არამართო ცოდვაშია, არამედ გამაბუნებლობაშიც: ყველა ბრძენკაცის ერთ უბრალო ქალზე ქორწინდება, და მეტისათვის ფილოსოფია არ მოექცევა; და ყველა (გარდა მაჰმადიანთა) ერიდება საქორწინო სარეცელს „ვეარის სანოლში“.⁶

მისი უდიდებულესობა, კაცთა შორის უდიადესი — ისეთივე, ვითარცა ყოველი მონარქი, ვიდრე ხელთ ჩაუვარდებიან იმ მწუხარე, მშიერ იაკობინელ მატლებს, რომელთაც უსადილიათ ყველაზე დიდებული მეფითაც კი — უყურებდა და ტკეპბოდა გულბეიაზის მომხიბვლელობით, ელოდა შეგებებას საყვარლისა („შეგებებას მთებზე უმაღლესს“, საუკეთესოს მთელ მსოფლიოში).⁷

აქ კი უნდა განვასხვაოთ, რადგან, როგორც უნდა გვეჩვენებოდეს, კოცნა, ტკბილი სიტყვები, ხვეწნა-ალერსი დიდი არაფერია და ყოველივე ადვილად შეიძლება მორიგო ქუდივით ან მშვენიერი სქესის თავსაბურავივით, მოსართავად რომაა შექმნილ-შეკერილიო, მაინც თავზე მეტად გულს ატკბობს.

ოდნავ განითლება, მსუბუქი კრთომა, უწყინარი, ნაზი ქალური ნეტარება, თვალზე მეტად ქუთუთოთა მიერ გამჟღავნებული, განცდის დასამალად რომ გამზადებულან, ის საუკე-

თესო ნიშნებია (მოკრძალებული აზრით) სიყვარულისა, უმშვენიერეს ტახტზე, პატიოსანი ქალის გულში რომ დაბრძანებულია და აქრობს გადაჭარბებულ სიმბურვალესაც და სიცივესაც ხიბლისა.

რადგან მეტისმეტი სიმბურვალე ყალბია და ტყუის; თუ მართალია, რომ მისი ცეცხლი დიდად არ ათბობს, რადგან სიჭაბუკეშიც, ვფიქრობ, არავინ შეწირავს ყველაფერს ვნებას, რაც ნამდვილად დამღუბელი კავშირია, პირველსავე მყიდველს რომ მიეყიდება სამწუხარო ფასდაკლებით; ამავე დროს, მეტისმეტად ცივი ქალი სულელივით გამოიყურება.

ერთი ესაა, ცუდ გემოვნებას ვერ ვპატიობთ, რადგან ისე ჩანს, რომ მიჯნური, ფიცხი იქნება თუ მშვიდი, კმაყოფილებით ემონება ერთნაირ გზნებას, და ვნება გიზგიზებს, და თვით წმინდა ფრანცისკსაც კი სწვევია მონასტრულ თოვლიან ცხოვრებაში; * მოკლედ შეყვარებულთა ტომისათვის ჰორაციუსს უთქვამს, **Medio tu tutissimus** (საშუალო გზა ყველაზე უსაფრთხოაო).

„tu“ ზედმეტია, მაგრამ დარჩეს, ლექსი მოითხოვს, ანუ ინგლისური რითმა, და არა ძველი ჰეგზამეტრი; ბოლო სტრიქონში არც ხმაა და არც ხანი, უარესი რომ არ შეიძლებოდეს, ოქტავის ჟღერადობაში გადავარდნილი.

ვფიქრობ, არცერთი ლექსთანყოფა არ შეინყნარებს ვითარცა წესს, მაგრამ ჭეშმარიტება შეინყნარებს, თუ გადათარგმნი.

არ ვიცი, ვითარ შეასრულა მოვალეობა თვისი მშვენიერმა გულბეიაზმა, მაგრამ მიზანს მიაღწია, და წარმატება კი ბევრ რამეშია და არანაკლებ არა გულში, ვიდრე სხვა ნაწილებში ქალის კაბისა.

საკუთარი თავის სიყვარული კაცშიცაა და ამარცხებს ქალის ყველანაირ ხელოვნებას; ისინი ცრუობენ, ჩვენ ვცრუობთ, ყველა ცრუობს, მაგრამ მაინც გვიყვარს; და არცერთ სიქველეს, გარდა შიმშილისა, ჯერ არ დაუმარცხებია სიქველე ცოდვითაგან უარესისა... გამრავლებისა.

სამეფო წყვილი მოსასვენებელში დავტოვოთ: ტახტი საწოლი არ არის და შეუძლიათ დაიძინონ, და რაც ნებავთ, ის ნახონ სიზმრად სასიხარულო თუ სამწუხარო: თუმცა გაცრუებულნი სიხარულიც მწუხარებასავით ღრმია, კაცის ყოველდღიურობა რასაც გვიჩვენებს. ყველაზე ნაკლები მწუხარება მამინაა, ოდეს ვტიროთ; ესაა მწარე ყოველდღიურობის ერთმანეთს მიყოლებული წვეთები, რაც სულსაც გახვერტს (ვითარცა ქვას) წვრილმანი საზრუნავებით.

ანწხლი ცოლი, ურჩი ვაჟიშვილი, გადასახდელი ქვითარი, გადაუხდელი, გაპროტესტებული ან პროცენტდაკლებული; ჭირვეული ბავშვი, ძაღლის ავადმყოფობა, საყვარელი ცხენის დაკოჭლება ამხედრებისას, კუდიანი დედაბრის მიერ შედგენილი უსაძაგლესი ანდერძი, ხელცარიელს რომ გტოვებს, არადა დარწმუნებული იყავი, მარგუნებს რასმეო; ეს ხომ წვრილმანი საზრუნავია, და მაინც, იშვიათად მიწახავს კაცი, წონასწორობიდან რომ არ გამოჰყავდეს.

ფილოსოფოსი ვარ და ყველაფერს ავბურდავ! ქვითრებს, ცხოველებს, კაცო... ოჰ, არა! ქალობრიობას არა! ერთი გულიანი წყევლით ამოვანთხვე ჩემს ნალველს, და ჩემი სტოიკურობა უკან არაფერს დატოვებს, რაც ტკივილსა თუ ბოროტებას ინვევს და ჩემს სულს მთლიანად გონებას დაუთმობს; თუმცა რა არის სული ან გონება, მათი გაჩენა თუ გაზრდა, ვერაფრით გამიგია...

თავი მომბეზრეს!

და ახლა, ოდეს ყველაფერი დაინყველა, შვებას გრძნობს კაცი, როგორც ათანასიუსის წყევლის კითხვისას, რაც თქვენს ჭეშმარიტ მორწმუნეს ასე სიამოვნებს: ვეჭვობ, ვინმე უარესად მოქცეოდეს თავის მტერს მის წინაშე დაჩოქილს, ეს წყევლა ისეთი მჭევრია, სასარგებლო და ზუსტი, და ისე ამშვენებს ლოცვანს, ვითარცა ცისარტყელა მოწმენდილ ცას.

გულბეიაზსა და მის ბატონს ეძინათ.

ან ერთ-ერთს მაინც!...

ო, მძიმე ლამევ, როს მოლალატე ცოლები, ვინმე უცოლო რომ შეჰყვარებიათ, წვანან ჯავრიანნი და ოხრავენ სინათლისა გამო, ნაცრისფერ დილით ფანჯრის ბნელ ცხაურში რომ იპარება, ეს არის მათთვის რყევაც, რღვევაც, ამობრუნებაც, ლეღვაც და მინისძვრაც, რასაც მათი სარეცლის გამზიარების გაღვიძება შეუძლია.

ისინი ზეცის საფარველქვეშ არიან, მაგრამ სარეცლის საფარველქვეშაც, ოთხსვეტიანი და აბრეშუმისფარდისანი სარეცლისა, მდიდარ კაცთა და მათ პატარძალთა საკუთრებისა, რათა ჩანვნენ და თავი დაასვენონ ქათქათა თეთრ ზეწრებში, ბარდები „მოძრავ თოვლს“ რომ ეძახიან.

ჰო, ასეთი რამ ხდება დაქორწინებულთა ცხოვრებაში, გულბეიაზი დედოფალი გახლდათ, მაგრამ იმავ შავ დღეში შეიძლება ჩავარდნილიყო, გლეხკაცის ცოლიც რომ ყოფილიყო.

ღონ შუანმა კი, ქალის სამოსიანმა, გოგონათა გრძელ რიგთან ერთად თავი დაუკრა იმპერატორს და ყველა ჩვეულ ნიშანზე თავთავისი ოთახისაკენ გაეშურა, იმ გრძელი დარბაზებისაკენ ჰარემისა, სადაც ქალები ასვენებენ დახვეწილ კიდურთ; ათასობით გული ძვერს აქ სიყვარულისათვის, ვით გალიაში გამომწყვდეულ ჩიტს ენატრება ზეცაში აჭრა.

მე მიყვარს ალერსი და ზოგჯერ მწაღია გადავკეთო ტირანის სურვილი: „ნეტა კაცობრიობას ერთი კისერი ჰქონოდა, ერთი დაკვრით რომ გადაამეჭრაო“.

ჩემი ნადილიც ასევე ვრცელია, მაგრამ ნაზი და არა სასტიკი; ვფიქრობდი (ახლა კი არა, ყმანვილობისას): ნეტა ქალობრიობას ერთი ვარდისფერი ბაგე ჰქონდეს, რათა ერთიანად დამეკოცნა ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე-მეთქი.

როგორ მშურს შენი, ბრძარეუს! შენი ხელებისა, თავისა და ასეთივე ოდენობისა რომ გქონდეს ყველაფერი! მაგრამ ჩემი მუზა გოლიათსაც დაამარცხებს, თუნდ ტიტანთა მოდგმისას, პატაგონიის მინებზე მოარულს; ასე რომ, ლილიპუტს დავუბრუნდეთ და გაუძღვეთ ჩვენს გმირს სიყვარულის ლაბირინთებში, სად რამდენიმე სტრიქონის წინ დავტოვებთ.

იგი მშვენიერ ოდალისკებს¹⁰ გაჰყვავა, ნიშნის მოცემისთანავე შეუერთდა მათ მწკრივს; და თუმცა დიდ ხიფათში იგდებდა თავს, მაინც დროდადრო თვალს ვერ სწყვეტდა (თუმცა შედეგები ამგვარ ცელქობისა ყველაზე მძიმეა, რაც შეიძლება კაცმა გადაიხადოს ამ ზნეობრივ ინგლისში, სადაც ყველაფერი იბეგრება) მათ მკერდსა თუ გავას.

და მაინც, არ ავიწყდებოდა რომ გადაცმული იყო: მიუყვებოდა გრძელ დარბაზებს ოთახიდან ოთახში ეს ქალწულებრივი და სათნო რიგი, გვერდებზე საჭურისინი ჩამწკრივებულყვინენ, წინ მიუძღოდათ წესრიგის დამცველი ქალბატონი, ვერავინ კრინტს ვერ დაძრავდა მის დაუკითხავად ამ მსვლელობისას: მას „ქალიშვილთა დედას“ უხმობდნენ.

არ ვიცი, „დედა“ იყო თუ არა, ან ისინი თუ იყვნენ ქალიშვილები, ვინც დედად იხსენიება, მაგრამ ეს გახლდათ მისი ნოდება ჰარემში და ისეთივე შესაფერისი, ვითარცა სხვა ყოველივე; ასე მოგვითხრობს კანტიემირი ან დე ტოტი: ევალებოდა აეშორებინა ან გაექრო ყოველნაირი ცუდი მიდრეკილება ხუთას ყმანვილ ქალში, და მიეთითებინა, თუკი შეცდებოდნენ.

კარგი სინეკური იყო უთუოდ! და იოლად აუდიოდა საქმეს უკაცებოდ, მხოლოდ მისი უდიდებულესობა გახლდათ, ვინც მისი დახმარებით, აგრეთვე დარაჯთა, საკეტთა, კედლებისა და სხვათა და სხვათა მეოხებით, ახერხებდა უწინებლად შეენახა მშვენიერების ეს სამყოფელი იტალიურ მონასტერივით, სადაც, ეჰ, ვნება მრავლადაა, მაგრამ მარტოდენ ერთია სულის მოსათქმელი.

და რა არის ის?

სასოება, რა თქმა უნდა, რა საკითხავია?

მაგრამ განვავარძოთ:

ვითარ გაუწყეთ, ეს ლაზათიანი მწკრივი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილ ქალთა ერთი კაცის ნადილით, ღირსეული და ნელი სვლით, წყლის შროშანებით მიუყვებოდა წყაროსა

თუ ტბას, რაკილა წყარო ნელა არა დის, მიაბიჯებდნენ მოწყონითა და ქალწულებრივად.

მაგრამ მიაღწიეს თუ არა თავიანთ ბინებს, როგორც ჩიტები ან ყმანვილები, თუ სულაც ბედლამის მკვიდრნი, მიმოიფანტნენ მოქცევის ტალღებით, ან თუნდ ქალებივით, თავი რომ დაუღწევიათ ხუნდებისათვის (რაც ისედაც დიდად ვერ დააკავებთ), ან ბაზარზე გასული ირლანდიელებივით; დაცვა ჩამოშორდათ და თითქოს ზავი და თანხმობა ჩამოვარდნილიყოს მათ შორის, ინყეს სიმღერა, ცეკვა, კისკისი და თამაში.

საუბარი, ცხადია, ახალმოსულს შეეხებოდა; მის აღნაგობას, თმას, გამოხედვას, ყველაფერს; ზოგი ფიქრობდა, სამოსი დიდად არ უხდებო, ან საყურე რატომ არ უკეთიაო; ამბობდნენ, ჩვენზე ნორჩია და ყმანვილიო, სხვები ფიქრობდნენ, ჩვენი კბილააო; ზოგი მამაკაცურ ახოვნებას მიუთითებდა, ზოგიც მის მოკრძალებულობას აღნიშნავდა.

მაგრამ ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ის გახლდათ, მისი სამოსი რასაც მეტყველებდა, მშვენიერი ქალწული, ნორჩი და „ულამაზესი“, უბრწყინვალეს ქართველთაც რომ ტოლს არ დაუდებდა.¹¹

უკვირდათ, ნეტა გულბეიაში ასეთი სულელი როგორ არის, ისეთ მონას რომ ყიდულობს, ვინც წილს დაუდებს (როგორც კი მბრძანებელს მოყირჭდება თავისი ცოლი) ტახტსა და ძალაუფლებასა და ყველაფერში, რაც ამის მიღმააო.

მაგრამ გოგონათა ამ დასს ყველაზე მეტად ის ეუცხოვებოდა, რომ თუმც მისი სილამაზე შემაშფოთებელი იყო, პირველი დათვალეირების შემდგომ ყველამ შენიშნა ცოტაოდენი, სულ ნამცეცისოდენი ლაქები მათი ახალი ამხანაგის გარეგნობაში, და ვითარ წესია ნაზი სქესისა, გამორჩევის მერე, ქრისტიანის თვალი იქნება თუ წარმართისა, დაასკვნეს: უმახინჯესი ქმნილებააო.

და თუმც, რაც ყველას გვახასიათებს, მათაც ეჭვი მაინც ღრღნიდათ, მაგრამ ამ შემთხვევაში, რაკი არსებობს მონონება გაუცნობიერებლად და დაუდასტურებლად, მიუხედავად მისი გადაცმულობისა, ყველას რალაც იზიდავდა ჟუანისაკენ მაგნიტივით თუ ჯადოსავით, ან რაც გნებავთ დაარქვით, ამაზე არ წავიხიხებებით.

და ყველა რალაც ახალს გრძნობდა ახალი ამხანაგისადმი, სულ უფრო და უფრო გულითად მეგობრობას, უაღრესად წმინდას, რაშიც ყველა შეთანხმდებოდა და ყველა ინატრებდა: ნეტა ჩემი და იყოსო, — გარდა მცირეოდენთა, ვინც ასეთ ძმასაც არ დაინუნებდა, და შინ რომ ყოფილიყვნენ, ჩერქეზეთში, ფაშასაც ამჯობინებდნენ და ფადიშაჰსაც.¹²

მათგან, ვინც ყველაზე გულითად მეგობრობას გრძნობდნენ, სამნი იყვნენ — ლოლა, კატინკა და დუდუ, მოკლედ რომ გითხრათ და აღარ აღვწერო, უმშვენიერესნი მშვენიერთა შორის, თუმც სხვადასხვაგვარნი აგებულებითა და ელფერით, სხვადასხვა ხნისანი, სხვადასხვა ქვეყნიდან და სხვადასხვა კლიმატიდან; და სამივეს ძლიერ მოსწონდა ახალი ნაცნობი.

ლოლა შავგვრემანი იყო და თბილი, ინდოეთივით; კატინკა ქართველი გახლდათ — თეთრ-ყირმიზი, დიდ, ცისფერთვალეა, ნაზი ხელებითა და მკლავებით და ისეთი პანია ფეფებით, ვერც იტყოდი, თუ სიარულს შეძლებდა, უფრო დასრიალებს მინაზეო; აი დუდუს აღნაგობა კი უფრო შესაფერისი იყო სანოლში ჩასანვენად, დიდი გახლდათ, მოთენილი და ზანტი, მაგრამ ისეთი ლამაზი, ჭკუაზე შეგშიდა.

მძინარ ვენერას ჰგავდა დუდუ, თუმცა მზად იყო ძილი გაეფრთხო მათთვის, ვინც მის ღანვთა ტრანსცენდენტურ ფერს უყურებდა, მის ატიკურ შუბლსა და ფიდასის ცხვირს: მართლაც რომ ანგელოზთაგან ცოტაოდენს თუ ექნებოდა ასეთი ფორმები, ეგებ უფრო თხელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ მოინდომებდი რამე მოგეკლო, საგონებელში ჩავარდებოდი, რომელი ნაკვითი გავიმეტო.

არ იყო მკვირცხლი, მაგრამ მაინც სულს შეგიძრავდა საგანგაშო ძახილივით; თვალები არ უკამკაშებდა, და მაინც, ნა-



მხატვარი ბერდია არაბული

ხვერად დახუჭულნი, მნახველს გრძნობას უღვივებდნენ; ისე გამოიყურებოდა, თითქოს ახლახან გამოუკვეთავთ მარმარილოდანო, იღვიძებდა პიგმალიონის ქანდაკებასავით — ჯერაც იბრძოდნენ მოკვდავი და მარმარილო და მორიდებით ჩნდებოდა სიცოცხლე.

ლოლამ სახელი ჰკითხა ახალმოსულს.

— ჟუანა.

— ჰო, საკმაოდ კარგი სახელია.

კატინკამ სადაურობა ჰკითხა.

— ესპანეთიდან.

— მაგრამ სად არის ესპანეთი?

— ასეთ სისულელებს ნუ კითხულობ, ნუ აჩვენებ შენს ქართულ უცოდინრობას, სირცხვილია! — მკაცრად დატუქსა ლოლამ საბრალო კატინკა, — ესპანეთი კუნძულია მაროკოს სიახლოვეს, ეგვიპტესა და ტანჯერს შორის.

დუდუს არაფერი უთქვამს, გვერდით მიუჯდა ჟუანას და მანდილსა და თმაზე ეაღერებოდა; დაჯინებით უყურებდა და ამოიხარა, თითქოს შეებრაღა ეს კონტა უცხოელი, გადმოხვენილი, უმეგობრო და უმეგზურო, სუბტილად დაბნეული, ამდენი მახვილი თვალი რომ ამონებდა, ვითარც ხვდებიან ყველგან უიღბლო უცხოელთ, და მონყალე შენიშვნებს გამოთქვამენ მათი გარეგნობისა და სახის თაობაზე.

მაგრამ აქ ქალიშვილთა დედა მიუახლოვდათ და უთხრა:

— ქალბატონებო, დასვენების დროა და ვერ მომიფიქრებია, შენ რა გიყო, ძვირფასო, — უთხრა ჟუანას, ახალ სტუმარს, — შენს მოსვლას არ ველოდით და ყველა სარეცელი დაკავებულია; სჯობს ჩემი სანოლი გაგიყო, დილადრიან კი ყველაფერს მოვავარებთ.

აქ ლოლა ჩაერია:

— დედა, თქვენ ისედაც ცუდად გძინავთ და ვერ ავიტან, რომ ვინმე შეგაწუხოთ; მე წავიყვან ჟუანას; ორივე ისე გამხდრები ვართ, ერთს არც კი ვუდრით; უარს ნუ მეტყვით, მე ვიზრუნებ თქვენს ახალგაზრდა საპატრონოზე.

მაგრამ აქ კატინკა ჩაერია და თქვა:

— მეც მაქვს თანაგრძნობაც და სანოლიც.

და დასძინა:

— მარტო ძილიც მეგავრება.
 — რატომ? — წარბი შეიკრა მატრონამ.
 — მოლანდებათა გამო, — მიუგო კატინკამ, — ცხადად ვხედავ აჩრდილებს ოთხივე სვეტთან; და მერე საზარელი სიზმრები აღარ მასვენებს: ცეცხლთაყვანისმცემლები, გაიურები, ეშმაკები და ჭინკები.
 — შენსა და შენს სიზმრებს შუა, ვეჭვობ, ჟუანამ ზმანება იხილოს, — უთხრა ქალბატონმა.
 — შენ, ლოლა, ჯერჯერობით მარტო უნდა იწვე, მიზეზი აქ რა მოსატანია; ეს შენც გეხება, კატინკა; ჟუანას კი დუდუსთან დავაწვენ; დუდუ მშვიდია, უვნებელი, წყნარი და მორცხვი, არ შეაწუხებს და მთელ ღამეს ჭორაობაში არ გაატარებინებს. რას იტყვი, ბავშვო?

დუდუს არა მიუგია რა, რადგან მისი ნიჭი მდუმარებაში მყლავნდებოდა; ადგა, შუბლზე აკოცა მატრონას — ლოლამ და კატინკამ ორივე ლოყა დაუკოცნეს — და თავზიანი თავდაკვრით (თურქებმა და ბერძნებმა რევერანსი არ იციან) ხელი მოჰკიდა ჟუანას, რათა მოსასვენებლად წაეყვანა, იმ ორს კი განბილება დაუტოვა. ისინი მატრონას გადანყვებულბამ გაკაპასებით კი გააკაპასა, მაგრამ ენას კბილი მაინც დააჭირეს.

დიდი ოთახი გახლდათ (თურქულად ოდა ჰქვია) და კედლის გარშემო ჩარიგებულყო ტახტები, საპირფარეშო საგნები და ყოველივე და ძალზე ბევრი რამ, რაც მინახავს და შემოძლია აღწერო, რადგან მინახავს ყველაფერი, მაგრამ საკმარისია, ცოტა წუნს თუ შეიტანდით, ეს გახლდათ მდიდრულად მონყობილი დარბაზი, ყველაფრით სავსე, რაც ქალებს სჭირდებათ, ეგება რამე აკლდათ, მაგრამ ისიც იქვე იყო, ხელის განვადნაზე.

ვითარც გაუწყეთ, დუდუ მომხიბვლელი ქმნილება გახლდათ, მკვირცხლი არა, მაგრამ მიზანს ყოველთვის აღწევდა, მისი ხიბლი მეტად მონესრიგებული იყო, რასაც მხატვრები ვერ გადმოსცემენ, სცოდავენ პროპორციის წინაშე, ბუნების ნახაზის წინაშე, თავიდან თითქოს მოიხელთებენ გამომსახველობით სავსეს, ყალბი იქნება თუ ნამდვილი, რაც მოგვწუხსავს, და სულერთია, გვატკბობს თუ არა.

მაგრამ დუდუ იყო ნოყიერი მიწის ტკბილი ნაჭერი, სად ჰარმონია, სიმშვენიე და თანხობა, უხვი, ნაყოფიერი; მხიარულიც იყო — რაც ეგებ ბედნიერებას არა ჰგავს, მაგრამ უფრო პოეტურია, ვიდრე თქვენი მძაფრი გრძნობები და ამისთანანი, რასაც მავანნი „ამაღლებულს“ უწოდებენ. ნეტა კი მოესინჯათ.

მინახავს თქვენი ქარიშხლიანი ზღვები და ქარიშხლიანი ქალები, და მათი საყვარლები მეზღვაურებზე მეტად მეზრალვიან.

მაგრამ ფიქრიანი უფრო იყო, ვიდრე მელანქოლიური, და სერიოზული უფრო, ვიდრე ფიქრიანი, და წყნარი უფრო, ვიდრე სხვა რამ... უწინდური ფიქრები არ აწუხებდა, აქამდე მაინც, ბოლო-ბოლო. ყველაზე უცნაური ისაა, რომ თუმც მშვენიერი გახლდათ, ამის შესახებ არა უწყობდა, თუმც უკვე ჩვიდმეტისა სრულდებოდა, არ იცოდა, ქერა იყო, შავგვრემანი, დაბალი თუ მაღალი, საკუთარ თავზე აროდეს ფიქრობდა.

და ამიტომაც ნაზი და კეთილშობილი, ვითარცა ოქროს ეპოქის ადამიანი (როს ოქრო ჯერაც უცნობი იყო, უცნობთვისებებიანი; რაც ყველაზე შესაფერისად გადმოიცემა, „Lucus à non lucendo,“ არა იმით, რაც იყო, არამედ — რაც არ იყო; ეს ერთგვარი სტილია, ნიშანდობლივი იმ ეპოქისათვის, რომლის ერთობიც ეშმაკმა განალაგა, მაგრამ ვერ დაამკვიდრა: ალბათ „კორინთული ბრინჯაო“, შენაერთი ყველა ლითონისა და ყველაზე უტიფარი).

კეთილი მკითხველო!
 გასცდი ამ გრძელ ჩანართს: დროულად ვერ დავხურე, ჩემი ბრალია, და შეუტოლე ჩემი ნაკლი თუნდ შენსავე ნაკლს! ანუ შენც შეეცადე სწორად დააწყო სიტყვები, მაგრამ არა გასურს, მამ მოეშვი, და მეც მაგ დღეში ვარ.

დროა დავუბრუნდეთ თხრობას და ჩემი ამბავიც ასე გრძელდება:

ტკბილი დუდუ ყოველგვარი პრანჭიობის გარეშე უჩვენებდა ჟუანს თუ ჟუანას ყველაფერს ქალთა ამ ლაბირინთში და ყველა ადგილს აღუწერდა გასაოცრად მცირე სიტყვებით; მხოლოდ ერთი სიმბოლო შეიძლება გამოვიყენო და ესაა დაბნეულობა, რადგანაც უტყვი ქალი მდუმარე ქუხილია.

შემდეგ ახალ ქალწულს (ქალწულს ვამბობ, რადგან სქესი ჯერაც დაფარულიყო გარეგანი თვალისათვის, რამაც იხსნა იგი) მოკლედ აუხსნა აღმოსავლეთის ჩვეულებანი, უმანკოების კანონები, რომ რაც უფრო იზრდება ჰარემში, მით მკაცრდება ვესტალური მოვალეობანი თვითუფლები ულაამაზესი არსებისა.

და მერე ნაზად აკოცა ჟუანას; დუდუს უყვარდა კოცნა და ამას დანაშაულად არავინ ჩამოართმევს, რადგან კოცნა სასიამოვნოა, ოდეს უმანკოა, და ქალთა შორის სხვას არას ნიშნავს, რომ ახლოს არიან და მეტიც არაფერი. კოცნა (Kiss) ერთიმება ნეტარებას (bliss) და ვისურვებდი, ლექსისა არ იყოს, სხვაგანაც ცუდი არაფერი მოეტანოს.

და მერე სრულყოფილი უმანკოებით დაიწყო სამოსის გახდა, რასაც დიდი ამბავი არ სჭირდებოდა, რადგან ვითარცა ბუნების შვილს შეჰყვარის, დაუდევრად აღკაზმულიყო: და თუ შემთხვევით სარკეში მოჰკრავდა საკუთარ თავს მზერას, ემსგავსებოდა შვლის ნუკრს ტბაში არეკლილს, თავის ანარეკლს რომ მოჰკრავს მორცხვად თვალს ერთხელ და მერე მობრუნდება მზერის შესავლებად ბუნების ამ ახალი შვილისა.

და ნაწილ-ნაწილ მისი სამოსი იქვე გვერდით დალაგდა; მაგრამ მანამდე დახმარება ჟუანას შესთავაზა, ვინც გადაჭარბებული მოკრძალებულობით უარყო დახმარება, რაც სწორია და ასეც უნდა ექნა; მაგრამ ამ თავაზიანობამ დააზარალა, თითები დაჩხვლიტა იმ დაწყვეტილი ქინძისთავებით, რაც უთუოდ ჩვენ ცოდვათათვის გამოიგონეს სასჯელად;

ქალებს მაჩვზღარბად გადააქცევს, დაუფიქრებლად ვერ შეეხები. და მეტი საფრთხეცაა, ოჰ, დიახ! ვისაც ბედი არგუნებს, მე ვით მერგო ბედად სიყმანვილეში, ლედის მოახლედ რომ გადავიქცე, მთელი ჩემი ბიჭობა ჩავაქსოვე ეშმაკობაში, მასკარადისთვის რომ ვამზადებდი; ქინძისთავები ბლომად დავამარე, მაგრამ ვერ ვიტყვი, ყველა თავის ადგილას დამერგო.

მაგრამ ეს სისულელებია ბრძენკაცთათვის და მე კი უფრო მიყვარს სიბრძნე, ვიდრე მას ვუყვარვარ; ვცდილობ ფილოსოფიურად შევხედო უმეტეს მოვლენებს, ტირანიიდან მოყოლებული ხით დამთავრებული; მაგრამ უცალო, უმანკო ცოდნა ხელიდან მისხლტება.

რანი ვართ? საიდან მოვდივართ? რა იქნება ჩვენი საბოლოო არსებობა? რა არის ჩვენი აწმყო? ეს კითხვები უპასუხნოა, თუმც კი გამუდმებით გაისმის.

დარბაზში ჩქამიც არ ხმინებდა: შორიანლო სანათურები ბუფტავდნენ; მკლავზე ეძინათ მშვენიერ ბინადართ; სულელები რომ არსებობდნენ, აქ ისრიალებდნენ მკვირცხლი წესრიგით, აკლდამებს აქაურობაში გაცვლიდნენ და დაამტკიცებდნენ, რომ აჩრდილებსაც ჰქონიათ გემოვნება, და აღარ იბორიანლებდნენ ნანგრევებსა თუ გაცამტვერებულ ადგილებში.

ბევრი მშვენიერი იწვა ირგვლივ, ვით ყვავილნი სხვადასხვა ფერის, ფორმისა და ფესვის, ზოგ ეგზოტიკურ ბაღებში რომ ვხვდებით ხანდახან, მოვლილთა და ნალოლიავეებს, სითბოს ამოსაფრქვევად მზადყოფთ.

ერთს ჩაღისფერი თმა შეუკრავს მსუბუქად, ჩაძინებულს ნაზად დაშვება მომხიბლავი ნარბები, ვით მშვენიერი ნაყოფი ხეზე, ტუჩები გადახსნია და მარგალიტის კბილები მოუჩანს.

მეორეს ლოყანითელი სახე თეთრ მკლავზე დაუსვენებია და ყორნისფერი კულულები დაჰყრია ნარბებს ზემოდან, ნევს და სიზმრებს ხედავს ნაზი და ტფილი; და იღიმება სიზმარში, თითქოს მთვარემ გამოიხედა ღრუბლებიდან და სანახევროდ ახადა მანდილი მომხიბვლელ ნაკვთებს, ბუნდოვნად რომ იკვეთება ქათქათა საბურავში; მისი სილამაზე ღამის უცნობ საათს აკავებდა, რომელიც მორცხვად მიიბრძოდა სინათლისაკენ.

თვალში ნაცარს არ გაყრით, თუმც შეიძლება ასე მოგეჩვენოთ; ღამე იდგა, მაგრამ სანათებიც ხომ იყო, ვითარც ითქვა.

მესამის ფერმკრთალი გამომეტყველება მიძინებულ სევდაზე მიგვითითებდა, მღელვარე მკერდი კი იმ შორეულ ნაპირებზე, საყვარელსა და საგლოველზე; ცრემლი ნელა სდიოდა (მშვენიერ კვიპაროსზე ჩამონადენი ღამის ცვარ-ნამი) ხავერდოვან თვალთავან.

მეოთხე მარმარილოს ქანდაკებას ჰგავდა და ჩუმად იწვა, თითქოს არ სუნთქავდა, გაქვავებულიყო, თეთრი, ცივი და წმინდა, გაყინულ წყაროს ჰგავდა, ან თოვლიან მინარეთს ალპების მთებში, ან ლოტის ცოლს მარილადქცეულს, — ანუ რაც გნებავთ; ამ დახვავებული სიმღერებიდან ამოარჩიეთ ან ეგებ ქანდაკების დარი ქალი იკმაროთ.

და აი, მეხუთეც, ის როგორიღა? „ასაკოვანი“ ქალი, რაც ნიშნავს ხნიერს, არ ვიცი, რამდენი წლისა იქნებოდა, არ დამითვლია მისი წლები; იქ იწვა და ეძინა, არცთუ ისე მშვენიერი გახლდათ, ისე გამოიყურებოდა, კაცსაც და ქალსაც თაროზე რომ შემოდებენ, რათა იფიქრონ საკუთარ განვლილ გზასა და ცოდვებზე.

მაგრამ მთელი ეს ხანი ნეტა ვითარ ეძინა ან რა ესიზმრებოდა დუდუს? ვეროდეს გავიგებ, რაც უნდა ჩავეძიო და მძულს თუნდაც ერთი ყალბი მარცვლის ჩამატება.

და აი შუალამე ის იყო გადავიდა, როს მბჟუტავი სანათები კიდევ უფრო ფერმკრთალდებიან და ლურჯდებიან და აჩრდილები ბორიალობენ სასახლეში, ანუ ეჩვენებათ, ვისაც მათთან ურთიერთობა უყვარს, უეცრად დუდუმ წამოიკვილა.

და ისე ხმამალლა შეჰკვილა, მთელი ოდა შეიძრა და წამოიშალა; მატრონები, გოგონები, ისინიც, ვისაც არაფერი ეკითხებათ, მოხროვდნენ ოკეანის ტალღებზე, ერთიმეორის მიყოლებით, მთელ დარბაზში, აცახცახებულნი, გაოცებულნი და ვერაფერი გაეგოთ, და მეც ხომ ვერაფრით მივხვდებოდი თუ რას უნდა გაეღვიძებინა ასეთს მშვიდი დუდუ.

მაგრამ გაღვიძებული კი იყო და მისი სარეცლის გარშემო გაშლილი თმითა და მოშლიფეხულ-მოფრიალე ხალათებით, ხარბი თვალებით, აჩქარებით მოისწრაფოდნენ, მოშოვლებოდათ მკერდი, მკლავები, კოჭები და ჩრდილოეთის მეტეორებივით მოქროდნენ მზრუნველობითა და ცნობისმოყვარეობით აღვსილნი, და დუდუც შემფრთხილებულიყო — ანითლებული, შეშინებული, თვალგაფართოებული და აგზნებული.

მაგრამ უცნაური ის იყო და საოცარი დადასტურება თუ რაოდენ დალოცვილია ჯანსაღი ძილი; ჟუანა იქვე იწვა, ვით ქმარი წევს ცოლთან ახლო, და უმანკო სიამტკბილობით ხვრინავდა; არც ყვირილს შეურყევეა მისი ნეტარი ძილი, ვიდრე ჩასძახებდნენ და შეაჯანჯლარებდნენ და მერეღა გაახილა თვალები და დაამთქნარა ოდნავ განცვიფრებულმა.

და მაშინვე დაიწყო მკაცრი დაკითხვა, რასაც, რაკი ყველა ერთობლივ ლაპარაკობდა და დაუსრულებლივ, ვარაუდობდნენ, უკვირდათ, მოყოლას ითხოვდნენ, ერთმანეთში ურევდნენ ჭკვიანურსა და სულელურს და პასუხს ითხოვდნენ, ნათლად აგვიხსენიო.

დუდუ ჯერაც ვერ მოგებოდა გონს და ვერც „ბრუტუსივით ორატორობდა“, ამიტომ თავიდან ვერც ახსნა თუ რა მოხდა.

ბოლობოლო ამოთქვა, რომ ღრმა ძილში ესიზმრა, ტყეში მიდიოდა, „ულრან ტყეში“, ისეთში, სად დანტემ ჰპოვა¹³ საკუთარი თავი იმ ხნისამ, როს ყველა კეთილი ხდება; სიცოცხლის ნახევარგზის სახლში, სად ქალბატონნი სათნოების გვირგვინს ირგებენ, აღარ ემუქრებათ სიყვარულის განსაცდელნი; და ეს ტყე აღვსილიყო ტკბილი ნაყოფებით, ნაზარდი ხეებითა და განტოტილი ფესვებით.

შუაგულ ტყეში ოქროს ხე იდგა ვაშლისა, ნაყოფი ესხა ყველაზე შთამბეჭდავი ჯიშისა, მაგრამ ძალზე მალა და მიუწვდომლად; დუდუ უყურებდა და რაკი პირის ჩატკბარუნება სურდა, დასწვდა ქვებს, რაც კი მოხელა, რათა ესროლა და ჩამოეგდო ნაყოფი, მაცდურად რომ ეკიდა ტოტზე, ქანაობდა, მაგრამ ასე მალა.

და უეცრად, როს ყველაზე ნაკლებ ეიმედებოდა, ვაშლი ჩამოვარდა, მის ფეხებთან დაეცა და, ისლა დარჩენოდა, აეღო და ჩაეკბინა, და როგორც კი ნორჩი ტუჩები უნდა გაეხსნა ოქროს ვაშლის გემოს გასაგებად, ფუტკარი გამოფრინდა და გულზე უკბინა და... და ასე გაელვია შეშინებულს ყვირილით.

ეს ყოველივე ერთგვარი შეცბუნებითა და შეშფოთებით წარმოთქვა, სწორედ ისე, ცუდ სიზმარს ვით ჰყვებიან და ვერ აუხსნიან მათი ამაოებისა თუ მჭვრეტელური ნაპერწკალი.

ვიცი ზოგიერთი ზმანება, რომელნიც მართლა წინასწარმეტყველურად მოჩანს, ან ისეთი, ზოგს „უცნაურ დამთხვევად“ რომ მოსჩვენება, დღეს ვით სჩვენებათ ახსნა-განმარტება.

გოგონებმა, ვისაც ეგონათ, რალაც დიდი უბედურება მოხდაო, ვითარცა შიშგადატანილთ გვჩვენებია, უსაყვედურეს დუდუს ყალბი აგანგაშება, ტყუილად რომ გამოაღვიძა. მატრონამ, ვისაც თბილი ლოგინი მიატოვებინეს დუდუს სიზმრის მოსასმენად, კარგად შეაჯანჯლარა დუდუ, ვინც მხოლოდ ამიოხრა და თქვა:

ენუხვარ, რომ გაგაღვიძეთ.

— მსმენია ამბები მამლისა და ხარისა; მაგრამ ვაშლისა და ფუტკრისათვის ჩვენი გაღვიძება, მთელი ოდის წამოყრა ქვეშაგებიდან ოთხის ნახევარზე, გვაფიქრებინებს რომ მთვარე გაივსო და შენ ვერა ხარ კარგად, შვილო! ვნახოთ, რას იტყვის ხვალ მისი უდიდებულესობის ექიმი ამ შენს ისტერიულ სიზმარზე. საბრალო ჟუანა, ბავშვის პირველი ღამეა ამ კედლებში და ასეთი ნივილ-კივილი ატყდა! მეგონა, სჯობდა უცხო გოგონა მართო არ ნოლილიყო და ყველაზე მშვიდთან მიეუჩინე ადგილი, შენთან, დუდუ, მაგრამ ახლა კი უნდა გადავიყვანო და ლოლას ჩავაბარო, თუმც მისი სარეცელი არცთუ დიდია.

ამის გაგონებაზე ლოლას თვალები გაუბრწყინდა, საბრალო დუდუ კი თვალზე ცრემლმომდგარი სიზმრისა თუ საყვედურების გამო, შეევედრა:

— ეს ერთი მაპატიეთ და არასდიდებით აღარ გავიმეორებ.

და საბრალო და მავედრებელი კილოთი დასძინა:

— ჟუანას ნუ წაიყვანთ, სიზმრებით აღარ შევანუხებ.

პირობა დასდო, სიზმარს აღარასოდეს ვნახავ, ან ისეთს — ასე ვიკვილო; უკვირდა, ეს როგორ დამემართაო, რა სისულელეა ნერვებს აპყვე და ნება მისცე ჰალუცინაციას დაგიმორჩილოს, სასაცილო გაგახდოსო; მაგრამ სულმოკლეობამ სძლია, ივედრებოდა:

— მაპატიეთ, დავერევი ამ სისუსტეს ორიოდ საათში და გამოვკეთდები.

და აქ კი ჟუანა დიდსულოვნად ჩაერია და თქვა:

— სადაც ვარ, ძალზე კარგად გგრძნობ თავს, რასაც მეტყველებს ჩემი ღრმა ძილი, როცა ირგვლივ თითქოს განგაშის ზარები რეკდნენ; სრულებითაც არა მსურს მივატოვო ნაზი მეზობელი, ვისაც არაფერი დაუშავებია, გარდა იმისა, რომ სიზმარი ნახა „mal-à-propos.“

და ვიდრე ჟუანა ამას ამბობდა, დუდუ შებრუნდა და მის მკერდში ჩარგო სახე; კისერიღა მოუჩანდა, როგორც ვარდისფერი ბორცვი. ვერ გეტყვით, რატომ განითლდა, ვერც იმას ავხსნი თუ რამ დაარღვია მათი სიმშვიდე. ისლა შემიძლია, ფაქტები გამცნოთ, რაც ნამდვილია და მართალი.

ამრიგად, მშვიდობის ღამე ვუსურვოთ, ან, თუ გნებავთ, მშვიდობის დილა, რადგან მამალმა იყვილა და ნათელმა შემოსა აზიის მთები, და მეჩეთზე მთვარე გამოისახა, გრძელი ქარავანის სამზერზე, ცივსა და ნამიან სისხამს ნელიად რომ მოიკვლევდნენ გზას მთებში, ქვიან ქამარს რომ მიუყვება და აზიას ერტყმის, კაფიდან ქვევით, ქურთებამდე.

პირველ სხივზე ანუ დილაადრიან ადგა მოუსვენარი გულბეიაზი; და შეშფოთებისგან გაფთრებული აღიჭურვა მოსასახამით, მანდილით, ძვირფასეულობით. ბულბული, იგავის მიხედვით, გულში ღრმად ეკალგარჭობილი რომ გალობს, უფრო დაცულია ეკლისაგან, ვიდრე იგი, ვინც ვნებათა გამოისობით თავს კარგავს და ძალად იჩენს ჭირს.

ასეთია მორალი ამ თხზულებისა, ადამიანები რომ წვდებოდნენ მის ნამდვილ აზრს, მაგრამ ისინი დაუეჭვებლად ვერაფერს უყურებენ, რადგან ყოველ კეთილშობილ მკითხველს აქვს ნიჭი, ვერ დაინახოს, რაც მისი თვალთახედვის არეშია; კეთილშობილ მწერლებსაც სჩვევიათ ხმა აღიმართონ ერთმანეთის წინააღმდეგ, რაც ბუნებრივია, რაკი მოჭარბებით ქება-დიდებას სურვილი.

ადგა სულთანა ბრწყინვალე სარეცლიდან, უფრო ფაფუკიდან, ვიდრე სიბარიტებისაა, ვისაც ხმამაღლა ყვირილი სჩვეოდა, რადგან მათი ნაზი გრძობების პატრონი ვარდის ფურცლებსაც ვერ აიტანდნენ, ზედ რომ დასცემოდათ... სულთანას სილამაზის აღსაწერად ხელოვნება უძლურია, თუმცა ფერმკრთალი იყო გადატანილი ჭიდილის გამო, სიყვარულსა და სიამაყეს შორის რომ გაიმართა, და ისე შფოთავდა შეცდომისათვის, სარკეშიც არ ჩაუხედავს.

იმავე დროს, ცოტა მოგვიანებით, ადგა დიდი ბატონი, ბრწყინვალე მფლობელი ოცდაათი დიდებული სამეფოსი და მეუღლისა, რომელთაც სძულდათ. თუმცა ეს დიდად მნიშვნელოვანი არ არის იმ მხარეში იმათთვის მაინც, ვისი შემოსავალიც უზუნველყოფს შეავსონ თავიანთი საოჯახო ტვირთი და ორ ცოლზე არ დაანესონ ემბარგო.

ამაზე დიდად არასოდეს ჩაფიქრებულა, სხვა მსგავსი წვრილმანებისა არ იყოს, კაცი იყო და ლამაზი ქალები უყვარდა, რადგან სიამოვნება მოჰქონდათ მისთვის, ამისათვის ჩერქეზები არსებობდნენ, რათა თავი შეექცია დივანის შემდეგ; თუმცა უცნაური სიყვარული თუ მოვალეობა გაუჩნდა და მიეჩვივა ცოლის სილამაზით ტკობა-ტფობას.

და ადგა და აღმოსავლური ჩვეულებისამებრ განბანავათ შემდგომ ილოცა და სხვა ნესებიც შეასრულა, მიირთვა ექვსიოდე ფინჯანი ყავა და განმარტოვდა რუსთა ამბის მოსასმენად, ბოლო დროს სულ რომ იმარჯვებდნენ ეკატერინეს მმართველობით, ვის სახელსაც ვერაფერ არ გაფერმკრთალებია დიდება, როგორც უდავლად ხელმწიფისა და ბოზის.

მაგრამ, ო, დიდო კანონიერო ხელმწიფეო ალექსანდრ! ეკატერინეს შვილიშვილო, ნუ შეურაცხგყოფთ ბოლო ფრაზა, თუკი სმენას თქვენსას მოსწვდება — ჩვენს დროში ხომ რითმები დაფრინავენ და პეტერბურგამდეც აღწევენ და საშიშ ბიძგებს აჩენენ თავის უფლებების მაღალი ტალღები ყოველ მოსახვევში და ბალტიის ზღვის ღრიალსაც კი უერთდებიან — იყავი მხოლოდ ვაჟი მამაშენისა, ჩემთვის ეს სავესებით კმარა.

სიყვარულით გაჩენილებად რომ შეგვერაცხა მავანნი, ან მათი დედები ტიმონის, ამ კაცთმოძულის, ანტიპოდებად გამოგვეცხადებინა, სირცხვილი იქნებოდა, ან ცილისწამება ანდა რაც გნებავთ, უნოდეთ, ოღონდაც გაირითმოს; მაგრამ ადამიანთა წინაპრები ისტორიის სათამაშოა; და თუ ერთი ქალბატონის გადაცდომა მთელი შთამომავლობის ცოდვად უნდა იქცეს, მაშინ მაინტერესებს, ნეტა ვინაა საუკეთესო ჯიშისა?

ეკატერინესა და სულთანს რომ სცოდნოდათ მათი ნამდვილი საჭიროებანი, რაც მეფეებმა იშვიათად უწყინან, ვიდრე მძიმე გაკვეთილს ასწავლიდეთ, შეიძლებოდა დასრულებულიყო მათი მართლაც რომ უბედურების მომტანი ბრძოლა; სწორად რომ ეფიქრათ, შესაძლოა პრინციები და ელჩები დაეთხოვათ; ეკატერინეს გვარდია გაეშვა, სულთანს — ჰარემი, შეხვედროდნენ ერთიმეორეს და გაეზიარებინათ თუ რა სურდათ.

მაგრამ რაც უნდა ყოველიყო, მის უდიდებულესობას უნდა გაემართა საბჭოს ყოველდღიური სხდომა, რათა ღონე და საშუალება მოეძიებინათ თუ როგორ წარემართათ საომარი საქმენი ამ თანამედროვე ამაზონელსა თუ ბოზთა დედოფალთან; და ვერ ვიტყვით, რომ სიმძიმე მთელ ბოძებს დასწოლოდათ სახელმწიფოსი, მაგრამ აი იმით ზურგებს კი ცოტაოდენ ანუხებდათ, ახალი გადასახადი რომ მოელოდათ.

ამასობაში, რაკილა მეფე წავიდა, გულბეიაზი განმარტოვდა თავისი ბუდუარის მშვენიერ კუთხეში სასაუზმოდ თუ სასიყვარულოდ; ეს კოხტა ოთახი ცალკე იყო, მოშორებით,

მდიდრულად მორთული მხიარული განსვენებისათვის; მრავალი ძვირფასი ქვა ბრწყინავდა ჭერზე და ფაიფურის მრავალი ლარნაკი ავსებულები ყვავილებით ტყვეობის საათთა დამამშვენებლად.

მარგალიტი, პორფირი და მარმარილო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ ძვირფას კუთხეში; და მაგალობელ ჩიტთა ჭიკჭიკი მოისმოდა; ფანჯრებში ჩასმული ფერადი შუშები ანათებდნენ ამ ქვაბულს და ასხვაფერებდნენ თვითნებულ სხივს, მაგრამ რაც უნდა აღვწერო, მარტოდენ დავამახინჯებ ნამდვილ სურათს, ამიტომ აღარ დავწვრივებულა, ზოგადად მოვხაზოთ უმჯობესია და მკითხველის ცინცხალ ფანტაზიას მივანდოთ დანარჩენი.

აქ გულბეიაზმა მოიხმო ბაბა და მოითხოვა დონ ჟუანის მოყვანა და ამბავიც, თუ რა მოხდა მას შემდეგ, რაც სხვა მონებთან ერთად ნაიყვანეს — სად დაბინავდა; ყველაფერი ისე მოხდა თუ არა, ვით განზრახულიყო, და შენიღბვამაც თუ გაამართლა, დაბოლოს, სად გაატარა და როგორ ღამე დონ ჟუანმა, ამის გაგება ყველაზე მეტად სურდა გულბეიაზს.

ბაბა ცოტა დააბნია კითხვათა ამ გრძელმა კატეხიზმომ, რომელთა დასმაც უფრო ადვილი იყო, ვიდრე პასუხის გაცემა; უთხრა, ყველაფერი ვიღონე დავალების შესასრულებლად, მაგრამ იყო რალაც, რის დამალვასაც ისურვებდა, და ყოყმანი უფრო ამჟღავნებდა, ვიდრე ფარავდა ამბავს, ყურებს იფხანდა, რასაც უცილოდ მიმართავენ დაბნეული ადამიანები.

გულბეიაზი სულაც არ გახლდათ მოთმინების ქეშმარიტი ნიშში, არც სიტყვით უყვარდა ლოდინი და არც საქმით; სწრაფი პასუხები სჩვეოდა საუბრისას და როს გაოჩნება შეატყო ლულულად პასუხებში, ახალ-ახალი შეკითხვებით ჩააგდო საგონებელში, რამაც კიდევ უფრო დააკოჭლა ბაბას მეტყველება, და გულბეიაზის ლოყები აენთო, თვალთაგან ნაპერწკლები ყარა და ამაყი ცისფერი სისხლძარღვები დაებერა.

როს ბაბამ ეს სიმპტომები დაინახა, რაც, იცოდა, კარგს არას უქადდა, ურჩია: ნუ ბრაზობო, — და სთხოვა ბოლომდე მოესმინა; რაკილა ველარას იზამდა, უამბო, რაც მოხდა, ყველაფერი, რომ ჟუანი დუდუს ჩააბარეს, მაგრამ: ამ საქმეში მე არაფერ შუაში ვარო, — იფიცებოდა წმინდა აქლემის კუზს, ყურანს იმომწებდა.

ყველაფერი ოდის მმართველმა ქალბატონმა გადაწყვიტა, ვისაც ემორჩილება მთელი ჰარემი, და ჰარემის კარს გადააბიჯეს თუ არა, ბაბამ ველარა გაანყო, აქ შეწყდა მისი უფლებამოსილება, რალა უნდა ეღონა ამ საწყალ ბაბას, რამეს იზამდა და ისეთი ეჭვი განჩნდებოდა, შესაძლოა უარესი მომხდარიყო.

— იმედი მქონდა, — ამბობდა ბაბა, — ჟუანი არ გაცემდა საკუთარ თავს.

ცხადია, სწორად მოიქცეოდა, რადგან სულელური და დაუფიქრებელი ქცევა არა მხოლოდ საფრთხეს შეუქმნიდა, ტომარაშიც ამოაყოფინებდა თავს და ზღვაშიც მოისროდნენ. და ამის მერე მიადგა ბაბა დუდუს სიზმარს, რასაც უკვე ხუმრობა აღარ ეთქმოდა.

ეს ამბავი ფრთხილად აუწყა სხვა ამბებს მოდევნებით, ლაპარაკობდა და ეგებ აქამდეც დაეძრა ხმა, რალაც პასუხი რომ ეპოვა, მაგრამ ტკივილმა შეძრა გულბეიაზის წარბი, ლოყები აუგიზგიზდა, ყურებმა იკივლეს, ტვინი გადაუბრუნდა, თითქოს უეცარი დარტყმა ეგემოს, გული მსწრაფლ აუძგერდა ტკივილისაგან და სიცვიმ დილის შროშანივით გადააფიორა.

თუმცა გულყრები არა სჩვეოდა, ბაბამ იფიქრა, გონებას დაკარგავსო, მაგრამ შეცდა, მცირე ხანს გაგრძელდა ეს ენი-თალუნერელი ცახცახი, რის შესახებაც გვსმენია, უბრალო ადამიანთაგან ვისაც განუცდია, ცოცხალი არავინ გადარჩენილა... გულბეიაზმა კი ამ მოკლე აგონიითაც დაამტკიცა ის, რასაც თვითონაც ვერ იტყოდა და აბა მე ვით ვიტყვი.

იღგა ერთ ნუთს, ვით ტიფონი დგას თავის სამკაპზე, აგონიაში მყოფი და შთაგონებას ეძებდა გამძვინვარებულ, თითქოს ველური ცხენები ენოდნენ მისი გულის ძარღვებს და ნა-

წილ-წაწილ უგლეჯდნენ გულს; მერე და მერე შეანელეს სისწრაფე და ძალდატანება, სკამზე დაეშვა ნელა და განგაშითმოცული თავი მოცახცახე მუხლებში ჩარგო.

სახე აღარ უჩანდა; თმა გრძელ კულულებად ჩამოშლოდა მტირალი ტირიფივით, თითქოს მარმარილოს ჰგვის მისი სკამის ქვეშო, თუ სავარძელი სჯობს (რადგან მთლიანად დაბალი ოტომანური მუთაქებისაგან შედგებოდა), ბნელი უიმედო ტალღებივით ერხეოდა ტანი, თითქოს ნაპირს უნდა შეეხალოს და მილენ-მოლენოსო.

თავდახრილს გრძელი თმა ჩაშლოდა და საფარველზე უკეთ მალავდა მის ნაკვთებს; ოტომანური სამოსლიდან ცალი ხელი უჩანდა, თეთრი, თითქოს ცვილისა და ალუბასტრისა; მხატვარი რომ ვიყო და შემეძლოს შევავროვო, რასაც პოეტი ჩამოთვლის, ან სიტყვები ფერებად მექცეს! მათი შუქ-ჩრდილი გადმოსცემდა იმ მონახაზებს.

ბაბამ გამოცდილებით იცოდა, როდის ამოელო ხმა და როდის დაეჭირა ენისთვის კბილი; ახლაც სიტყვა კბილით ეჭირა, ვიდრე ვნება გადაივლიდა, რას გაბედავდა დაერღვია გულბეიაზის დეშილი ან მეტყველება. ბოლოს გულბეიაზი ადგა და მიმოსვლა იწყო ოთახში. ჯერ ჩუმად იყო, წარბები დაულაგდა, მაგრამ თვალბეიაზში შფოთი ედგა; ქარი ჩადგა, მაგრამ ზღვა ჯერ კიდევ ლეღავდა.

გულბეიაზი შედგა და თავი ასწია სალაპარაკოდ, მაგრამ დააყოვნა და კვლავ გააგრძელა სწრაფი სიარული; მერე შეანელა ნაბიჯი გრძნობის მოწოდისა გამო; ხდება, რომ გრძნობას აქსოვ თვითულ ნაბიჯში, როგორც აცხადებს სალუსტუსი თავის „კატალინაში“, ვისაც ვნებათა დემონები დევნიდნენ და ეს მის სიარულშიც ჩანდა.

გულბეიაზი შედგა და ბაბას მოუხმო:

— მონავ! მოიყვანე ის ორი მონა! — უთხრა ხმადაბლა, მაგრამ ისე, ბაბას სული კოჭებში გაეპარა, და მაინც არცთუ ხალისით, აცახცახებული შეევედრა (თუმც კარგად იცოდა, რაც უთხრეს) რომელ მონათა მოგვრას ბრძანებდა მისი უდიდებულესობა, რათა შეცდომა არ მოსვლოდა, ვით უკვე მოხდა.

— ქართველი და მისი კურო, — მიუგო მბრძანებლის ცოლმა და დასძინა, — ნავი გაამზადეთ საიდუმლო პორტალის მხარეს; დანარჩენი თვითონ იცი.

სიტყვები გაეჩხირა ყელში, თუმც უარყოფილი სიყვარულის გამო მისი სიამაყე მძვინვარებდა; ეს კარგად შენიშნა ბაბამ და თვითულ ბენვს დაიფიცებდა მუჰამედის წვერისა, რომ გულბეიაზი შეცვლიდა გაცემულ ბრძანებას.

— გისმენ და გემორჩილები, — ჰკადრა, — მაგრამ მაინც, სულთანავ, შედეგებზეც იფიქრეთ, ცხადია, შევასრულებ თქვენს ბრძანებას უკიდურესი სისასტიკით; მაგრამ ასეთმა სასჯელმა ვაითუ უბედურება მოიტანოს და თქვენი უდიდებულესობისთვისაც კი; თქვენთვის მოტანილ ზიანსა თუ განადგურებას კი არა ვგულისხმობ საქმის მოულოდნელი გამჟღავნებისას, არამედ თქვენს გრძნობებს. თუნდ ყველაფერი დაფარონ მბრუნავმა ტალღებმა, რომელნიც უკვე ბევრ გულს ფარავენ, სიყვარულით რომ ძგერდნენ ზღვის ბნელ უფსკრულებში... თქვენ გიყვართ ეს ახალი სტუმარი, ჰარემში შემოპარული ბიჭი, და ეს სასტიკი საშუალება რომ გამოვიყენოთ, მომიტვეთ თავხედობა, მაგრამ გარწმუნებთ, მისი სიკვდილი ვერ განგკურნავთ.

— რა იცი შენ სიყვარულსა ან გრძნობებზე?.. მახინჯო! წაეთრიე! — დაუყვირა გულბეიაზმა და თვალები დაუბრიალა... — და შეასრულე, რაც გიბრძანე!

ბაბა გაუჩინარდა, რადგან კარგად იცოდა, შეპასუხებას შეიძლება ის მოჰყოლოდა, ჯალათის მოყვანა ებრძანებინათ, და თუმც გულით სურდა ისე გაეძლოდა ამ საქმეს, ზიანი არავის შეხვედროდა, მაინც საკუთარი კისერი ამჯობინა სხვისას.

მიეშურებოდა დავალების შესასრულებლად, ბუზღუნებდა და ბურდღუნებდა, კაი-კაი თურქული გამოთქმებით ისენიებდა ყველა ქალს, განსაკუთრებით სულთანათ და მათ

ზნეს; მათ სიჯიუტეს, სიამაყესა და ჭირვეულობას, რომ არასოდეს იციან, რა სურთ, თუნდ ორიოდ დღით, თავიანთი უკვდავობის გამო შეიყრიან მრავალ ჭირს, რის გამოც ბაბა ყოველდღიურად ღოცავდა თვის ზომიერებას.

მერე კი უხმო თავის მოძმეთ დასახმარებლად, ერთი იმ წყვილის მოსაყვანად გაგზავნა, დაავალა, კარგად ყოფილიყვნენ შემოსილნი, თავიც დაევარცხნათ და მოეყვანათ სულთანასთან, ვინც კარგად გამოიკითხა მათი ამბავი და გაირკვა, რომ დუღუ უცნაურად მოიქცა და ჟუანი — სულელურად, და რომ ახლავდნენ უნდა მოსულიყვნენ.

აქ კი დავტოვებ თავიანთ სამზადისში მის უდიდებულესობასთან წარსადგენად, როს გულბეიაზი გულმონყალებას გამოიჩინდა ან ორივეს თავიდან მოიშორებდა, ვით მისი გვარტომის სხვა მრისხანე ქალბატონთ სჩვევიათ.

თმის ერთმა ბენვმა თუ ბუმბულმა შესაძლოა რალაც მოაგვაროს, მაგრამ არაფრით მგონია გამოვიცნო, თუ საით შეიძლება წარმართოს ქალური კაპრიზი.

ახლა მათ დავტოვებ კეთილი სურვილებით, თუმც მეექვსე კარგად ნაუვიდეთ საქმე ისტორიის ახალი გვერდის წერისას.

ბანკეტისათვის სუფრის ჭურჭელი ხანდახან უნდა გამოიცივლოს; და ვიმედოვნებ, ჟუანი თავს დააღწევს თევზებს, თუმც მისი ყოფა უცნაური ჩანს და უხიფათოს ვერაფრით დავარქმევთ, და რაკი ასეთი გადახვევანი შესაძლებელია, მუზა ოდნავ გადაუხვევს ომისაკენ.

თავი მეშვიდე იზმაილის ალყა

ჰოი, სიყვარულო!

ჰოი, დიდებავ!

რანი ხართ, ასე იშვიათად რომ გამოგვინათებთ? პოლარულ ცაზე არ დაიძებნება მეტეორი, ასე ტრანსცენდენტურად და უსწრაფესად რომ გაილეკებდეს. მიყინულნი და მიჯაჭვულნი ამ ცივ მიწაზედ ზე ვიხედებით, თქვენგან რომ ერთ-ერთის სანატრელი გამონათება ვიხილოთ; თვალს მოგვჭრის მრავალათასი ფერადოვნებით და მერე კი გვტოვებს ისევე გაყინულ-გათომილთ.

და ასეთივეა ჩემი ახლანდელი ამბავიც, აბურდული და ცვალებადი რითმებით, გალექსილი ჩრდილოეთის ციალი; ბერნ, ყინულოვან კლიმატში რომ გამოანათებს. ოდეს შევიცნობთ ყოველივეს ყველას შესახებ, მწუხარება გემართებს, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, ყველაფერზე სიცილიც არ არის დანაშაული — რადგან მინდა ბოლო-ბოლო გავიგო თუ რანი არიან ყველა და ყველაფერი — მარტოდენ სანახაობა?

ბრალს მდებენ...

მე...

ამ ლექსის დამწერს...

რაში...

არც კი ვიცი...

თითქოსდა ვამდაბლებდე ადამიანურ ძალებსა და სიქველეს და სხვა ყოველს და ბრალს მდებენ, ჰო, რა სიანჩხლით.

ღმერთო მიშველე! ნეტა რას ამხირებინა! იმაზე მეტი აბა რა ვთქვი, რაც არ უთქვამს დანტეს, ან სოლომონს და ან სერვანტესს, სვიფტს, მაკიაველის, რომშუკოს, ფენელონს, ლუთერს ან თუნდაც პლატონს; ტილოტსონს, ვესლისა და რუსოს? ვინც იცოდნენ, ეს ცხოვრება ჩირადაც რომ არა ღირს.

რა მათი ბრალია, ან რა ჩემი ბრალია, თუკი ასეა?

ჩემდათავად არც კატოს ვედრები და არც თუნდ დიოგენეს. ჩვენ ვცხოვრობთ და ვკვდებით და რომელი რომელს სჯობს, თქვენც არ იცით, ჩემი არ იყო.

სოკრატე ამბობდა: ის ვიცით, რომ არაფერი ვიცითო; რაოდენ სასიამოვნო ცოდნაა — ყოველ ბრძენკაცს ვირს უთანასწორებს წარსულში, ანმყოსა თუ მომავალში.

ეჰ, ნიუტონიც კი (ეს გონების გამოცანა) აცხადებდა: ყრმასავით დავეხეტები და ნიუარებს ვაგროვებ ჭეშმარიტების უდიადესი ოკეანის ნაპირზეო.

ეკლესიასტე ამბობს: ამოება ამოებათაო...

ყველაზე თანამედროვე მქადაგებელნიც ამასვე იმეორებენ ან გვიჩვენებენ ჭეშმარიტი ქრისტიანობის ნიმუშებით; მოკლედ, ეს ყველა იცის ან ძალზედ მალე შეიტყობენ; და მაშინ, ოდეს ყველა აღიარებს, არაფერი ვიცითო — წმინდანიც, ბრძენიც, მქადაგებელიც და პოეტიც — მე რატომღა უნდა გავჩერდე შიშით, აცა თავს არ დამესხან-მეთქი, და არ ვამხილო ცხოვრების არარაობა?

ძალღნო თუ კაცნო!.. სწორედაც რომ ქათინაურია თუ ძაღლებად მოგიხსენიებთ... უკეთესიცაა... შეგიძლიათ ნაიკითხოთ ან არ ნაიკითხოთ, რის გადმოცემასაც აქ ვცდილობ თქვენზე. როგორც მთვარე არ შერქრდება მგლების ყმუილზე, არც კაშკაშა მუზა მოგვაკლებს სხივებს თქვენი უქმი სიანჩხილისა გამო! და კვლავ მოავერცხლისფრებს თქვენს შავბნელ ბილიას.

„მძაფრი სიყვარული და დამაქცევარი ომები“...¹⁴ არ ვიცი, რამდენად კარგი საკითხავია, რასაც ვწერ და არც აქვს მნიშვნელობა; ერთი რამ აშკარაა — ხიფათი არ მეღის, ორივეს ვუმღერ, და ახლა ვაპირებ დავბომბო ქალაქი, ცნობილ ალყას რომ უძლებს ორივე მხრიდან გარემოცული, მიწიდან და ზღვიდან, სუვოროვის მიერ; თუ ინგლისურად ვთქვა — სუო-არუოაი, იგი, ვის ისე უყვარდა სისხლი, ვითარცა ოლდერმენს ძვლის ტვინი.

ციხე-სიმაგრეს იზმაილი ჰქვია და დუნაის მარცხენა შენაკადსა და მარცხენა ნაპირზე აღმართულა, აღმოსავლური გემოვნებით ნაგები, მაგრამ საუკეთესო ციხესიმაგრეა ანუ იყო, ბოლო-ბოლო ვიდრე დაანგრევდნენ, ჩვენ დამპყრობელთა ხუმტურიცაა, ზღვიდან ოთხმოციოდე ვერსტზეა და ირგვლივ ათასობით ვერსტს გადაჰყურებს.

ციხე-სიმაგრის შიგნით, მთელ გაყოლებაზე, დასახლება შეფენილა მაღლობის მარცხენა მხარეს, და მომგებიანი განლაგებით თავს დაჰყურებს ქალაქს; სწორედ ამ ადგილას, მაღლობის ირგვლივ, ბერძენებმა რამდენიმე სიმაგრე ააგეს, რათა შეეზღუდათ იმათი ეცხბლი, ვინც აქ გამაგრებულიყო, და მტერს შეშველებოდნენ.

ეს გარემოება წარმოდგენას გვიქმნის ვილაც ახალი ვაუზანის¹⁵ დიდ ნიჭიერებაზე; თვითონ ქალაქი ჩაღრმავებულიყო, ვით ოკეანე, იმაზე უფრო მაღალ კედლებს შორის, ვინემ ზედ ჩამოკიდებას ისურვებდი; დიდი სიფრთხილე იყო მაშინ საჭირო (გთხოვთ მაპატიოთ საინჟინრო გადახვევა), არც მონესრიგებული გახლდათ აქაურობა, არც ქუჩები — მოკირწყლული, მიწიშენებასაც ვერ იპოვნიდით, ცენტრალური ქუჩა არ გაგვაჩნიაო.

ქვის ბასტიონი ერთყა, ვინროთხემიანი, კედლები ისეთი სქელი, ვითარ წესია; ორი ბატარეით ალჭურვილიყო cap-a-pie¹⁶ ჩვენი წმინდა გიორგის სიმაგრესავით; ერთი კაზემატებში განთავსებულიყო და მეორე — საზარბაზნე სადგომებზე და დუნაის ნაპირს გვარიანად იცავდა; ამავდროულად ოცდაორი ზარბაზანი ჩამორიგებულიყო ქალაქის მარჯვენა მხარეს, მყარ იარუსებზე, ცხენიან კაცს ორმოცი ფუტით რომ აჭარბებდა.

მაგრამ მდინარის მხრიდან ქალაქი სრულიად გახსნილიყო, რადგან თურქებს ვერაფრით დაარწმუნებდი, რუსების გემი გამოჩნდებო; ასე სჯეროდათ, ვიდრე თავდასხმას ინგევდნენ, როს უკვე გვიან იყო რაიმეს გამოსწორება.

დუნაიში ფონით ვერაფრით გადახვალთ, იმედოვნებდნენ, და აჰა, იხილეს მოსკოველთა ფლოტილია და ისლა დარჩენოდათ, „ალაჰ, ბისმალაჰ“ ეყვირათ.

რუსები მზად არიან შესატყვად, მაგრამ ვაი, ომისა და დიდების ქალმერთნო! რა ჩამომათვევინებს იმ უკვდავ კაზაკთა სახელებს ანდა მათ საქმეთ? აფსუს, თუ დავინყებას მიეცემიან!

თვით აქილევსიც კი არ ყოფილა ისეთი მტკიცე და შიშის-მომგვრელი, როგორც ეს ახალი და ბრწყინვალე ხალხი, რომელთა სახელებსაც არაფერი აკლიათ წარმოთქმის გარდა.

და მაინც ჩამოვწერ რამდენიმეს, უფრო იმიტომ, ჩვენი ევფონია გავამდიდრო: იქ იყვნენ სტროგენოფი და სტროკონოფი, მეკნობი, სერჯ სვოვი, არსენიევი თანამედროვე საბერძნეთიდან, და ჩიჩაკოფი და როგენოფი და ჩოკენოფი და სხვანიც, დანყვილებულნი თორმეტი თანხმონით; და მეტსაც მოვიძიებდი, რომ გავრჯილიყავ და ჩამენერა; მაგრამ დიდებას (ახირებულ კახასს), მგონი, ყურიც აქვს, გარდა საყვირისა.

და ვერ შეძლებს ჰარმონიულად დანყოს ლექსი ამ მოსკოვეური სახელებით; და მაინც, ზოგიერთი ღირსია მოხსენიებისა, ვითარცა ალთქმის მიმცემი ქალწულია დასაფასებელი; ტკბილი სიტყვები ლონდონდერის პატივსაცემადაც კი ილულულეს გაუთავებლად; რუსთა გვარები კი ბოლოვდება „იშკინ“, „უშკინ“, „იფსკჩი“, „უსკი“; და ამათ უნდა დავმატოს რუზამუფსკი, შერემეტოფი და ჩრემატოფი, კოკლოპტი, კოცლობსკი, კურაკინ და მუშკინ-პუშკინ,¹⁷ ყველა მარჯვედ ხმარობს იარაღს, ათვალწუნებით უყურებს მტერს და ჭრის და ჩეხავს ხმლებით, არც მაჰმადს უყიდებიან და არც მუფთის, მარტო დოღზე გადასაჭიმად თუ გამოადგებათ მათი ტყავი, თუკი პერგამენტი გაძვირდა და ვერაფერი მოიხელთეს.

მათში ერივნენ უცხოელნიც სახელოვანნი, სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული მოხალისენი, ვინც თავთავისი ქვეყნისათვის კი არ იბრძოდნენ, არამედ გენერლობის მიღწევა სწყუროდათ; ქალაქში გასეირნებაზეც არ ამბობდნენ უარს, და მეტი რა ნებათ მათი ხნის ყმანვილკაცთ?! მათ შორის რამდენიმე ინგლისელიც გახლდათ ქვეყნის გულიდან, თექვსმეტი ტომსონი ერქვა და ცხრამეტს — სმიტი. ჯეკ ტომსონი და ბილ ტომსონი; დანარჩენებს „ჯემი“ ერქვათ, დიდი ბარდის სახელი;¹⁸ არ ვიცი, ჰქონდათ თუ არა ნოდება და გერბი, მაგრამ ასეთი ნათლია კი ჰყავდათ საზოგადოებაში წარსადგენად.

სმიტთაგან სამნი პიტერები იყვნენ; საუკეთესო კი მათ შორის შეტევასა თუ დაცვაში ის იყო, სახელგანთქმული „ჰალიფაქისის სასოფლო სახლებში“; მაგრამ ამჟამად ხომ თათრებთან მსახურობდა.

დანარჩენნი იყვნენ ჯეკები და ვილები და ვილები და ბილები; მაგრამ როს ვამბობ, უფროსი ჯეკ სმიტი ქამბერლენდის მთებში დაიბადა, და მამამისი პატიოსანი მჭედელი იყო-მეთქი, იმის თქმა მინდა, რომ ეს ვიცი იმ სახელის შესახებ, სამი სტრიქონი რომ იმყოფინა ცნობაში „შექსმიტის“, მოლდოვას დასავლეთში მდებარე სოფლის ალების შესახებ, სადაც დაეცა იგი და ბიულეტენმა კი უკვდავჰყო.

ნეტა გამაგებინა (რა თქმა უნდა მარსი ღმერთია და უნდა ვადიდოთ) ბიულეტენში მოხვედრილი კაცის სახელი თუ რამეს შველის ტყვიას — მოხვედრილს მის სხეულში? ვიმედოვნებ, ეს მცირე შეკითხვა ცოლვად არ ჩამომერთმევა, რადგან ეგებ მე ერთი ხეპრე ვინმე ვიყო, მაგრამ ეს შექსპირიც რომ იმავეს ათქმევინებს თავის პიესებში, რასაც მრავალნი იმონმებენ, ვითარცა სიბრძნეს?!

აქვე იყვნენ ფრანგები, გალანტური, მხიარული ყმანვილკაცები; მაგრამ ჩემი დიდი პატრიოტიზმი ნებას არ დამრთავს ჩამოვთვალო მათი გალური სახელები და დიდების დღენი; სჯობს ათი ტყუილი ვთქვა, ვიდრე ერთი სიმართლე; ასეთი სიმართლე ღალატია — სამშობლოს ღალატია; და ღალატი კი საძაგლობაა, საძაგლობა — ფრანგების დასახელება ინგლისურ ენაზე, გარდა იმ შემთხვევისა, ოდეს უჩვენებ, თუ როგორ უნდა უმტროს ჯონ ბულმა ფრანგებს მშვიდობის ჟამს.

რუსებმა ორი ბატარეა დადგეს იზმაილის ახლო კუნძულზე და ორი სამიზნეც წინ წასწიეს; პირველი ქალაქის დაბომბვა შეეძლოთ, საჯარო და კერძო სახლთა დანგრევა, რას ინალვლიდნენ, ლატაკებს თუ რა დაემართებოდათ. ჰო, მართალია ქალაქი წინ გადაშლილიყო, ამფითეატრივით, თვითეული სახლი კარგი სამიზნე იყო ხვრელის გასატანად.

მეორე სამიზნეს შედეგად უნდა მოეცინა საერთო დაბნეულობა, თუ თურქთა ფლოტილიას შეუტევდნენ, იქვე რომ იდგა ყურეში, მშვიდად ლუზაჩაშევილი: მესამე მოტივი იყო შეეშინებინათ და კაპიტულაციაზე დაეყოლიებინათ; ეს ფანტაზია ხანდახან შეიპყრობთ ხოლმე მეომართ, მანამდე, სანამ ბულდოგებად თუ ფოქსტერიერებად გადაიქცეოდნენ.

დასაგმობი ჩვეულება, გვეზიზღებოდა, ვისაც ვებრძვით, რაც საზოგადოდაა გავრცელებული, გახდა მიზეზი ჩიჩიკოფისა და სმიტის სიკვდილისა; ერთ-ერთი იმ გმირი „სმიტისა“, ვინც დაგვაკლდება იმ ცხრამეტეიდან, რომელიც ბოლოს „ფიტს“ (შუაგული) გაუვრითმეთ; და ეს გვარი ისეა გავრცელებული „სერსა“ და „მადამს“ შორის, რომ გვგონია, სულ პირველი „ადამი“ იყო, ვინც ამ გვარს ატარებდა.

რუსული ბატარეები დიდად ვერ დაიკვებნინდა, რადგან ნაჩქარევად განელაგებინათ; მიზეზი იგივეა, ოდეს ლექსის მუხლი მოიკოჭლებს და არცხვენს ლონგმენსა და ჯონ მარეის, და ახალი წიგნები მსწრაფლ არ იყიდება, ვითარცა მათ გამოცემულთ ჰგონიათ, უნდა იყიდებოდესო.

ასევე შეიძლება თავი შევიკავოთ, თუ რა ამბავს ვუნოდოთ „მკვლელობა“ და რას — „დედება“.

მათი საინჟინრო უფიცობა იყო, აჩქარება თუ დაუდევრობა, არც ვიცი და არც მადარდებს, ეგებ მოიჯარებმა სიხარბით სული გაჰყიდეს და კაცთაკვლის ხარჯზე გამდიდრება მოინდომეს, ერთი რამ ცხადია — იქ განლაგებული ბატარეები არ ვარგოდა; ან მიზანს აცდენდნენ, ან მათ არ სცდებოდათ ყუმბარები, და დიდად ამიტომაც შეავსეს დალუპულთა სიები.

სამსუხაროდ, მანძილი ვერ გამოთვალეს სწორად და ამით საზღვაო ბროლაში იზარალეს; სამი ქვემეხებიანი გემი დაკარგეს მანამდე, ადგილამდე სანამ მიაღწევდნენ; პატრულები ძალზე ადრე ანთეს და ამ მოუქნელობას რალა ეშველებოდა; შუაგულ მდინარეში იფეთქეს; ცისკარი იყო, მაგრამ თურქებს ეძინათ, ვითარ სჩვეოდათ.

შვიდ საათზე ადგნენ, როგორც იქნა, და იხილეს, რუსული ფლოტილია უახლოვდებოდათ; ცხრა გადარჩენილი წინ მოინევდა, ორას მეტრზე მოსდგომოდნენ იზმაილს და ზარბაზნებიდან უშენდნენ; ამას პასუხი მოჰყვა, უნდა გითხრათ, დააყარეს მუშკეტებიდან და კარტეჩი და მრავალი ხვრელიც გაუჩინეს ტყვიის ზომისა.

ექვსი საათი შეუსვენებლივ უძლებდნენ თურქულ ცეცხლს, ხმელეთიდან თავისი ბატარეებიც რომ ეშველებოდა, და დიდხანს თოფის სროლის შემდეგ დაასკვნეს, მხოლოდ დაბომბვას არ შეუძლია ქალაქის დამორჩილებათ, და ნიშანი მისცეს უკან დახევისა. ერთი გემი აუფეთქდათ და ერთიც, მეჩჩზე გარჩენილი, თურქებმა წაანიალეს.

მუსლიმანებმაც დაჰკარგეს გემებიცა და ხალხიც; მაგრამ ოდეს იხილეს, მტერმა პირი იბრუნაო, თავზეხელაღებული ჩასხდნენ ნავებში, დაედევნენ და ფიცხელი ცეცხლი გაუხსნეს რუსებს, მთავარ გემზეც კი მოინდომეს ასვლა, მაგრამ ეს სურვილი ვეღარ აუსრულდათ, გრაფმა დამასმა¹⁹ უკანვე ჩაჰყარა წყალში უნესრიგო პარტყა-პურტყით, გაზეთ „პელმელს“ ვითარც სჩვევია.

„რომ შემეძლოს“ (ამბობს ისტორიკოსი) „გადმომეცა ყველაფერი, რაც რუსებმა იმ დღეს მოიმოქმედეს, ვფიქრობ, მრავალი ტომიც არ ეყოფოდა, და მრავალი რამ დამრჩებოდა სათქმელი“.

ამიტომაც არას ამბობს და მხოლოდ ქებით მოიხსენიებს რამდენიმე უცხოელს, პრინც დე ლინეს,²⁰ ლანჟერონს და დამასს, დიდ სახელებს, ბედისწერა რომელთაც სწყალობთ.

აი, აქ შეიძლება ვიხილოთ თუ რას ნიშნავს სახელგანთქმულობა: აბა ამ სამი „მამაცი კავალერიდან“ რომელზე იტყვის უბრალო მკითხველი, ოდესმე უარსებია ან არსებობსო (ეგებ ახლაც ცოცხლები არიან, რა ვიცი)?

ცნობილობა ან მოდის ან არა; ბედისწერა, უნდა ვაღიაროთ, სახელგანთქმულთაც ათამამებს. მართალია პრინც დე

ლინის მემუარები სანახევროდ იხსნის მას დაინწყების საკლიტურთაგან, მაგრამ აქვე არიან ვაჟკაცები, ვინც იბრძოლეს ომსა შინა ისე მამაცურად და ღირსეულად, ვითარც ოდესმე გმირებს უბრძოლიათ, მაგრამ ჩამარხულან ოქმებში და მათი სახელები იშვიათად ამოტივტივდება, თუკი ოდესმე ელირსათ. ასე რომ, კარგი სახელიც შეიძლება დაინწყებას მიეცეს და გაჰქრეს დაუმსახურებლად; მთელი ბოლოდროინდელი ბრძოლებიდან, დავნაძღვევით, ცხრა სახელსაც ვეღარ გაიხსენებთ გაზეთებიდან.

მოკლედ, ამ ბოლო შეტევისას, თუმც დიდებული რამ გახლდათ, აღმოჩნდა, რომ ვილაცამ სადღაც რალაცა დააშავა და ადმირალმა რიბასმა²¹ (ცნობილმა რუსულ ამბებში) ძალზე მწარე-მწარე შენიშვნები გამოთქვა; მას შეეპასუხნენ ახალუხლებიც და მხცოვანნიც და ხანგრძლივი დავა-კამათიც გაიმართა; აქ უნდა გავჩერდე, თორემ თვითეული მეომრის სიტყვა რომ გავიმეორო, ვაითუ მკითხველმა ვეღარ მოითმინოს და სულაც გამეექცეს.

იყო ერთი კაცი, თუკი მხოლოდ კაცი იყო. არა, მისი კაცობა კი არ არის საეჭვო, ჰერკულესი არ გახლდათ, ისეთი ზომებით შემკულიყო, საქმლის მოუნელებლობა გაუხდა ბოლო სნეულებად, ოდეს დაქანცული და დაუძლურებული მოკვდა ხის ძირას, იმ დაულოცავ მინაზე ამწვანებული მხარისა, რომელიც მანვე გადაბუგა და მკალივით გადაუარა.

გახლდათ იგი პოტიომკინი, დიადი არსება იმ დროში, ოდეს მეფობდა მკვლელობა და გარყვნილება; წოდებებსა და ვარსკვლავებს ქება-დიდებაც მოსდევს, მაგრამ მისი დიდება სანახევროდაც კი არ უდრიდა მის მამულებს. ეს ყმანგილი ექვსი ფუტის სიმაღლე გახლდათ და შეეძლო რუსეთის იმდროინდელი სუვერენის ფანტაზიის აფორიაქება, ვინც კაცებს ისე ზომავდა, ვით თქვენ კოშკთა გაზომვა გჩვევიათ.

და როს მოვლენები ჩაიხლართა, რიბასმა შიკრიკი აფრინა პრინცთან და მანაც ისე მოაგვარა საქმენი, ვითარ სჩვეოდა; არ ვიცი, ვით ნარადგენდა თხოვნას, მაგრამ მოკლე ხანში დასტური ხელთ ეპყრა. ამასობაში, ბატარეები სროლას განაგრძობდნენ და ოთხმოციოდე ყუმბარა გაიგზავნა დუნაის ნაპირზე და პასუხიც გაისმა.

და მცემეტე დღეს, როს ჯარის ნაწილი გადასხეს საალყოლ, შიკრიკმა ახალი ამბავი მოიტანა ახალ შთაგონებათათვის და გაზეთების გულგასახარად და დილეტანტთათვისაც ომის საქმეში — გაცხადდა, რომ მეთაურად დანიშნულიყო ომის მოყვარული ფელდმარშალი სუვაროფი.

პრინცის წერილი ამავე მარშლისადმი სპარტელის შესაფერი გახლდათ, და ერთი მიზანი უნდა დაესახა, რაც კეთილშობილ გულს ენდომებოდა: დაეცვა თავისუფლება, ქვეყანა, კანონიერება. მაგრამ აქ ხომ ძალაუფლების წყურვილი ბატონობდა, წარბანეული, ტაშის მოყვარული და აზრის მოკლედ გამოთქმის მოყვარულიც, და ასეც სწერდა:

— ყველაფერი იღონე იზმაილის ასალებად.

„იყავნ ნათელი! თქვა ღმერთმა, და იქმნა ნათელი!“ „იყავნ სისხლი!“ თქვა კაცმა და ეს იყო ბეჭედი ღამის (რადგან დღე არ არის მისი საზომი) ამ გადაგვარებული შვილისათვის ნებართვის მისანიჭებლად, და ერთ საათში მეტი ბოროტების ჩადენა შეუძლია, ვიდრე ოცდაათ ნათელ ზაფხულს — მისი გამოსწორება, თუნდაც ისეთი საამო იყოს, ედემის ხილი დაამწიფოს, რადგან ომი არამარტო ტოტებსა ჭრის, არამედ ფესვებიანადაც თხრის.

ჩვენი მეგობარი თურქნი ხმამაღალი „ალაჰებით“ რომ აღნიშნავდნენ რუსთა უკანდახევას, ცდებოდნენ, ეშმაკმა დალახვროს; ცოტას თუ შეუძლია თავი შეიკავოს და არ დაიჯეროს, რომ მტერი მარცხდა (ანუ დამარცხდა, თუკი გრამატიკის უცოდინრობას დამიყინებთ, გაცხარებისას რომ მავინყდება); მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ თურქები ძალზე ცდებოდნენ, ღორები რომ სძულდათ, მაგრამ ბეკონის გადარჩენა კი სურდათ.

რადგან მეთექვსმეტე დღეს ჭენებით მოახლოვდა ორი მხედარი, ერთხანს შორიდან კაზაკებს ჰგავდნენ, ვიდრე მოახლოვდებოდნენ თვალსაწიერში. მცირე ბარგი მოეგდოთ ზურგზე, ორიოდ პერანგი თუ ექნებოდათ თან, მოაჭენებდნენ უკრაინულ ცხენებს, და როს ისე მოახლოვდნენ, გარჩევა შეუძლებოდა, აღმოჩნდა, რომ ეს წყვილი სუვოროვი და მისი მხლებელი გახლდათ.

„დიდად ხარობს ახლა ლონდონი!“²² იტყვის რომელიღაც უბრიყვესი, ოდეს ლონდონში გრანდიოზულ ილუმინაციას მოაწყობენ, რაც ჩვენი ილუზიონისტი ჯონ ბულის ოცნებათაგან ყველაზე დიდი ჰალუცინაციაა; და როს ქუჩები სასეა ფერადი სანათურებით, ის ბრძენი (ვთქვათ, ჯონი) კეთილგონივრულად დათმობს ქისას, სულს, აზრსაც და უაზრობასაც, და კმაყოფილებას განიცდის უზარმაზარ პეპელასავით.

უცნაურია, რომ კიდევ ერთხელ „იბრმავებს თვალებს“, რადგან ისედაც დაბრმავებული აქვს; ის ერთხელ მიცემული ფიცი ემპაქისთვისაც კი აღარაფრად ღირს მას შემდეგ, რაც ჯონს აღარცერთი აღარაფერში არგია. ვალს ქონებას ეძახის, გადასახადებს — სამოთხეს; შიმშილი, გამხმარი და გაძვალეზული, პირში მისჩერებია და ვერაფერი გაუწყვია, ან ფიცუსულობს, ცერერამ მომივლინაო.

მაგრამ ამბავს დავუბრუნდეთ:

დიდად ხარობდნენ ბანაკში! ხარობდნენ რუსები, თათრები, ინგლისელები, ფრანგები, კაზაკები, ვისთვისაც სუვოროვი მანათობელი შუქურა გახლდათ, ბრწყინვალე შეტევას რომ მოასწავებდა; ან ჭაობიდან გამყვანი ძაფის გორგალი — ჩასაჭიდებლად; მოფარფატე შუქი გახლდათ, ავად თუ კარგად ყველა რომ მისდევდა, ვინც კი ხედავდა.

მართლაც ყველაფერი შეიცვალა; გაჩნდა ერთუზიანობა და მონონება, ბანაკი და ფლოტი დიდი სიხარულით და მისალმებით აღივსო, ყველა კარგ ილბალს წინასწარმეტყველებდა. დააზუსტეს ზარბაზანთა სასროლი მანძილ-მიზანი, ააგეს კიბეები, გამოასწორეს ნაკლოვანებანი, შეკრეს კონები და მოაწესრიგეს ყველაწიერი მანქანა.

ასეა, ოდეს გამბედავი გონება ბრბოს ერთი გზით წაიყვანს, ვითარ ქარი აღლევებს წყალს, ან ჯოგი ეძებს წინამძღოლ ხარს; ან გომია მიუძღვის ბრმას, ან წინამძღოლს მიჰყავს ჟღერტულით შეგროვებულ ფრინველთა გუნდი საკვებისაკენ.

ასეთია დიდ ადამიანთა გავლენა პატარებზე.

მთელი ბანაკი სიხარულით გუგუნებდა; გეგონებოდათ, ქორწილში მიდიანო (ვფიქრობ, ეს მეტაფორა მოსწრებული უნდა იყოს, რადგან ქორწილსაც განხეთქილება მოსდევს): და ერთი ბიჭიც აღარ დარჩენილიყო აღალში, ვისაც შიში და ფორიაქი მგზნებარებით არ შეცვლოდეს.

და რატომ?

იმიტომ, რომ ერთი ახირებული პერანგისამარა, კაფანდაბრა ბერიკაცი მოვიდა და სათავეში ჩადგა.

ასე იყო.

მკვირცხლად ემზადებოდნენ; პირველმა დანაყოფმა სამ მწკრივად დაიკავა თავისი პოზიცია და ნიშანსლა ელოდა, მტერს რომ ძეგრებოდა; მეორეც სამი მწკრივისაგან შედგებოდა და სახელის მოხვეჭის წყურვილით იზიდებოდა მკვლელობის მორევისაკენ, მესამე ორი მწკრივისაგან შედგებოდა და ზღვიდან უტყვედა.

ახალი ბატარები განალაგეს და შედგა მთავარი საბჭოც, სად სუფევდა ერთსულოვნება, ასერიგად უცხო სათათბიროთათვის, მაგრამ ხანდახან მოხდება და ყველა სიძნელე დაიძლევა, დიდება იწყებს ამობრწყინებას, რადგან როს სუვოროვმა გადაწყვიტა მისი მოპოვება, თვითვე ასწავლიდა ახალწვეულთ ხიშტის ხმარებას.²³

ეს რეალობაა, რომ იგი, მხედართმთავარი, პირადად წვრთნიდა ახალწვეულთ და ამაში ფანტავდა დროს, კაპრალის მოვალეობას ასრულებდა; ისეთებს ხდიდა, სალამანდრე-ბივით ცეცხლი რომ უნდა ეყლაპათ და წარბიც არ შეეხარათ.

ასწავლიდა თუ როგორ უნდა ამძვრალიყვნენ კიბეზე (იაკობის კიბე კი არ გეგონოთ) ან როგორ გადაეყლაპათ თხრილი.

თვითვე აკეთებდა ფიჩხის კონათაგან ტიკინებს, ჩალმას ახურავდა, თურქულ ხმლებსა და ხანჯლებს აჭერინებდა და ჯარისკაცებს აიძულებდა ხიშტებით მიეტანათ იერიში მათზე, თითქოს ნამდვილი თურქებიაო: და ოდეს კარგად გაიწვრთნებოდნენ ამ მოჩვენებით სცენებში, შეაფასებდა, რამდენად ღირანო, რაზეც ბრძენკაცნი ჩაიცინებდნენ და წაიოხუნჯებდნენ.

იგი პასუხს არ გასცემდა, ქალაქს კი აიღებდა.

შეტყვის წინა სალამოს მთელი ბანაკი განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მკაცრი სიმშვიდე ჩამონოლილიყო, რასაც ძნელად თუ ჩანვდება კაცი; მამაკაცები, ვინც გადაწყვეტენ, განყდეს, სადაც წვრილიაო, ჩუმად არიან და ელიან, რა მოხდება; ოდნავი ზუზუნი ისმოდა; ზოგი სახლსა და მეგობრებზე ფიქრობდა, სხვები საკუთარ ყოფას ჩაღრმავებოდნენ და იმასაც, თუ წინ რა ელოდათ.

სუვოროვი განგაშს მოეცვა, ზომავდა, უკირკიტებდა, ბრძანებდა, ხუმრობდა, ფიქრობდა.

ეს გახლდათ უთუოდ საოცარზე უფრო საოცარი კაცი; გმირი, მასხარა, ნახევრად დემონი, ნახევრად კაცი, ივედრებოდა, არიგებდა, ილანძლებოდა, ტანზე იხევდა, ხან მარსი იყო, ხან მომუსი, ხან ქარიშხალი ტყის გადამბუგი და ხანაც მუნდირში გამოწყობილი არლევინი.

შეტევამდე ერთი დღით ადრე ვარჯიშისას, როს ეს დიდი დამპყრობი კაპრალის როლს ასრულებდა, რამდენიმე კაზაკმა, ქორებივით რომ უტრიალებდნენ ბორცვს გარშემო, შებინდებისას ადამიანთა ჯგუფი ნახა. ერთმა იცოდა მათი ენა, კარგად თუ ავად, და ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი გაუგეს, მაგრამ ხმის გამო იყო, მეტყველებისა თუ ქცევისა, მიხვდნენ, ჩვენი დროშის ქვეშ არი ნაბრძოლიო.

ამიტომ, მისი თხოვნისამებრ, იგი და მისი ამხანაგი მსწრაფლ შტაბში მიიყვანეს. მუსლიმურად ეცვათ, მაგრამ იოლად მიხვდებოდით, მასკარადია და მეტი არაფერი მათი თათრული იერიო, და ამ თურქული სამოსის ქვეშ მოჩანდა მათი ქრისტიანობა, რაც ხშირად გამოსჭვივის შიგნიდან გარეთ და ძნელია, შეცლომა მოგივიდეს.

სუვოროვი პერანგისამარა ჩამდგარიყო ყალბუხთა შორის და ავარჯიშებდა, დასძახოდა, ხუმრობდა, იგინებოდა უხალისოდ და ასწავლიდა მკვლელობის კეთილშობილ ხელოვნებას; რადგან მიაჩნდა, რომ ადამიანური თიხა მხოლოდ და მხოლოდ ტალახი იყო, ეს დიადი ფილოსოფოსი წარმოთქვამდა მაქსიმებს, რაც მეომრებს უმტკიცებდა, სიკვდილი იგივეა, რაც პენსიაო.

სუვოროვმა დაინახა ეს საზოგადოება კაზაკებისა და მათ მსხვერპლთა, მობრუნდა და დააცქერდა წარბადაშვებული, გამჭრიანი თვალით:

- საიდან მოდიხართ?
- ბოლოს კონსტანტინოპოლს ვიყავით ტყვედ, ახლახან გამოვიქეციით, — ასე მიუგეს.
- რანი ხართ?
- რაცა ვართ, ესა ვართ.

მოკლედ იცვლებოდა სიტყვა-პასუხი, რადგან ვინც პასუხობდა, იცოდა, ვისაც ელაპარაკებოდა, და სიტყვებს არა ხარჯავდა.

- თქვენი სახელები?
- მე მქვია ჯონსონი და ჩემს მეგობარს ჟუანი; ორი დანარჩენი ქალია, მესამე კი არც ქალია და არც კაცი.
- სარდალმა თვალი გადაავლო ჯგუფს და თქვა:
 - მსმენია შენი სახელი, მეორე კი ახალია; დანარჩენი სამის აქ მოყვანა უაზრობაა, მაგრამ მაგას ჯერ თავი დავანებოთ; ვფიქრობ, ნიკოლაევის ნაწილში გამიგონია შენი სახელი?
 - სწორედაც რომ.
 - ვიდინთან იბრძოდი?
 - დიახ.
 - შეტევას უძლოდი?

- ვუძღვლი.
- მერე?
- ვერაფერს გეტყვი.
- გარღვევისას ნინა რიგებში იყავი?
- ისეთი დედალიც არ გახლდით, სხვებს მივყოლოდი.
- მერე რა მოხდა?
- ტყვია მომხვდა და ზურგზე დავეცი, და მტერს ტყვედ ჩავუვარდი.

— შეგიძლია შური იძიო, ალყაშემორტყმული ქალაქი ორჯერ უფრო ძლიერია, ვინემ ის, სადაც დავჭრეს. სად იმსახურებ?

— სადაც მიბრძანებთ.

— ვიცი, გასურს ჩაგრულთა იმედი იყო, და უსათუოდ დაუნდობელი იქნები მტრისადმი იმ ჭირის მერე, რაც გადაგხდენია. ამ ყმანვილკაცზე რას მტყვი, რისი შემძლეა უწვერული ნიკაპითა და დახეული სამოსით?

— იცით რა, გენერალო, თუ იმდენივე ნაკლი ექნება ომში, რამდენიც სიყვარულში აქვს, უკეთესი იქნება თუ შეტევას წინ გაუძღვება.

— ასეც იქნება, თუკი გაბედავს. უჟანმა თავი მდაბლად დაუკრა ამ ქათინაურზე, სუვოროვმა კი განაგრძო:

— ბედისწერამ ისე განსაზღვრა, რომ შენი ძველი ნაწილი მენიწავე უნდა იყოს შეტევისას ხვალ, ანუ ამაღამ; რამდენიმე წმინდანს შევთხოვე, გუთანი და ფარცხი გადაატაროს იმას, რაც იზმაილი იყო, და ვერც ამაყად წამომართულმა მეჩემმა შეუშალოს ხელი. მაშ დიდებისაკენ, ყმანვილებო!

აქ შებრუნდა და, თითქოს მქადაგებელი მოსულიყოს რეზერვიდან, ისე დამოძღვრა ყველა კლასიკური რუსული ენით, რათა აენთო დაპყრობისა და ფულის ჩაჩხრიალების იმედით (მქადაგებელი, ვისაც ამქვეყნიური ყველაფერი სძულდა, გარდა მოგებისა) და ბრძანა ამოეხოცათ ქრისტიან იმპერატორ ეკატერინეს არმიისათვის წინააღმდეგობის გამწვევი წარმართები.

ჯონსონმა გამოცდილებით იცოდა, რაკი ამდენი დრო დახარჯა მასთან საუბარში, უკვე სუვოროვის ფავორიტად ითვლებოდა, გაბედა და მიმართა, თუმც ისეთი აქცენტით, რომ გააოცა.

— ვალიარებ, ვალად მაძევს მოკვდე ნინა რიგებში; მაგრამ უფრო წვრილად ხომ არ მიგვითითებდით თუ სად დავდგეთ და რა მოვალეობა შევასრულოთ მე და ჩემმა მეგობარმა?

— სწორია! დაკავებული ვიყავი და დამავინყდა. ჰო, შენს ყოფილ ნაწილს შეუერთდები, ახლა მზადყოფნაში უნდა იყოს. ეი! კაცყოფ, — უხმო პოლონელ შიკრიკს, — წაიყვანე თავის პოსტზე, ნიკოლაევის ნაწილს ვგულისხმობ; ეს უცნაური ყმანვილი ჩემთან დარჩეს; კარგი ბიჭი ჩანს. ქალები ალაღში გაგზავნეთ, ან სწულთა კარავში.

მაგრამ აქ უკვე სცენა გათამაშდა, ქალბატონები, როგორც ჩანს, ამ ახალი შემობრუნებისათვის არ იყვნენ მზად, თუმცა ჰარემის განათლება ჰქონდათ, რაც უეჭველად ყველა დოქტრინაზე უფრო ჭეშმარიტია, და ევალეობად უტყვი მორჩილება, ახლა უეცრად თავი ასწიეს, ანთებული თვალებიდან ცრემლები ჰყარეს, ხელები აღმართეს, აკრიახდნენ ქათმებივით და ფრთებიც აფართხუნეს ამ ორი დანინაურებული ვაჟკაცის გარშემო, რომელნიც ალაზევა უდიადესმა იმ სარდალთა შორის, ვისაც ოდესმე გაუფსია ჯოჯოხეთი მოკლული გმირებით, აუკლია და მწუხარებაში დაუნთქავს ქვეყნები თუ მხარეები.

ოჰ, ბრიყვი მოკვდავნი! ვერაფერს გარგებთ გაკვეთილები!

ოჰ, ძღვევამოსილო დაფნავ! შენი ერთი ფოთოლისათვის, შენი წარმოსახვითი უკვდავების ხისათვის სისხლი და ცრემლი ერთვის მღელვარე ზღვას.

სუვოროვმა, ვისაც ვერც ცრემლი შეძრავდა დიდად და ვერც სისხლი შეარხევივინებდა წარბს, ერთი გადახედა თმაგამლილ და ლოყებდახოკილ ქალთა ქოთქოთს და სულ მცირე გრძნობა გამოხატა; რადგან კაცის გული მაინც იძვრის ჩვეულებისამებრ, თუნდაც ხელობით ყასაბი იყოს; ოდნავი სიბრალული გმირებსაც კი ეწვევათ და ასეთი გახლდათ სუვოროვი.

და უთხრა ტკბილი ყალმუხური ხმით:

— ჰეი, ჯონსონ, რა ეშმაკად მოგიტრეფია აქ ქალები? მათ არაფერი მოაკლდებათ და ალაღში მშვიდობით იქნებიან და მხოლოდ იქ შეიძლება იყვნენ დაცულნი. ვითომ არ იცი, რომ ასეთ ბარგს კარგი არაფერი მოაქვს, ჰადაჰა, ქორწილი მოიტანოს წელიწადში ერთხელ; არ მიყვარს ცოლებიანი წვევამდელები.

— ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, თქვენო აღმატებულებავე, — მიუგო ბრიტანელმა მეგობარმა, — ესენი ჩვენი ცოლები არ გახლავთ, სხვისნი არიან. იმდენად მაინც ვიცნობ სამხედრო წესსა და მოძმე ჯარისკაცებთან სამსახურს, რომ საკუთარი ცოლი არ მოვიყვანო ბანაკში; განა არ ვიცი, რომ ვერაფერი შეაწუხებს გულს შეტევისას ისე, როგორც ბანაკში დატოვებული პატარა ოჯახი. ეს ქალბატონები კი თურქეთიდან გახლავთ, მხლებელთან ერთად დაგვეხმარნენ გამოქცევაში და მერე ჩვენთან ერთად გამოიარეს ათასი ხიფათი და დავიდარბა. მე ნაჩვევი ვარ ამგვარ ცხოვრებას, ამ საბრალოთათვის კი ძნელი გადასატანი იყო, ამიტომ გთხოვთ, თუ გინდათ თავდავინყებით ვიბრძოლო, უბრძანოთ, თავაზიანად მოეპყრან.

ამ დროს ორი საბრალო გოგონა, თვალცრემლიანი, ისე გამოიყურებოდა, თითქოს ველარ ენდობიან თავიანთ დამცველებს; და მართლაც რომ დარდზე უფრო მეტად გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ბერიკაცს, ველურს უფრო, ვინემ ბრძენს, ახირებულად ჩაცმულს, მტვერში ამოგანგლულს, ყილგის ამარას, რაც არც ისე სუფთა ჩანდა, და უფრო შიშისმომგვრელს, ვიდრე ოდესმე ნანახი სულთნები.

ამკარაა, ყველაფერი ეკიდა მისი წარბის შეხრაზე, და ამის ამოკითხვა გარშემო ყველას თვალბეჭდში შეიძლება, ვინც ამას შეჩვეოდა; ღვთაებასავით იყო; სულთანს, მთელი თავისი ბრჭყყილა თვლებით, იმპერიული ფარშევენგით რომ დადიოდა (ეს გახლავთ სამეფო ფრინველი, რომლის დიადემაც კუდშია) და ძალაუფლებას ასხივებდა, საეჭვოა ამდენი ძალაუფლება ჰქონოდა, ასერიგად დაწურული და მომართული.

მათი უკიდურესი მღელვარება რომ იხილა, ჯონ ჯონსონი, თუმც კი ნაკლებ ერკვეოდა აღმოსავლურ გრძნობებში, შეეცადა მცირედ ენუგეშებინა ისინი, ვითარც შეიძლო; დონ უჟანმა კი, ვინც უფრო მგრძობიარე გახლდათ, დაიფიცა, გამთენიისას აუცილებლად მოგიანახულებთ, თუნდა მთელი რუსეთის არმია ძირს დაეფინოსო.

და უცნაურია, რომ ამან ცოტა შეგება მოჰგვარათ, რადგან მდებარეს უყვართ გაზვიადებანი.

მერე კი ცრემლმორეულნი, ოხვრითა და მსუბუქი კოცნით დამშვიდებული ქალები წავიდნენ და მოთმინებით უნდა დალოდებოდნენ არტილერიის ნასროლის აცდენასა თუ მოხვედრას, რასაც ბრძენნი შანსს, ღვთის წყალობასა თუ იღბალს უწოდებენ (გაურკვეველობა მრავალთაგან ერთი მადლთაგანია კაცობრიობის საკუთრებათა შორის); ამ დროს კი მათი ძვირფასი მეგობრები იღჭურვებოდნენ, რათა დაენვათ ქალაქი, რომელსაც მათთვის არა დაეშავებინა რა.

სუვოროვი მხოლოდ მთლიანობაში აღიქვამდა მოვლენებს, იმდენად დიდი გახლდათ, დეტალებისათვის სად ეცალა, სიცოცხლეს გროშადაც არ ადებდა და ერის გლოვა ქარის ზუზუნად ეჩვენებოდა, არ ადარებდა არმიის დანაკარგები (ოღონდ წარმატებისათვის მიეღწია); აბა რა შეგება მოჰგვარეს გლოვით ცოლმა და მეგობრებმა ტანჯვაში მყოფ იობს? ამიტომ რაში ადარებდა სუვოროვს ორი ქალის მოთქმა? არც არაფერში.

დიდებისათვის ეშაღებოდნენ, უნდა დაეუბნებინათ და გაეცამტვერებინათ ისე საშინლად, ვით ილიონი, მაგრამ ჰომეროსს არ უნახავს თუ რარიგ ნაყავს ქვემეხი; პრიამოსის ვაჟის მოკვლას კი არავინ აპირებდა, სააღყო კიბეებს ამზადებდნენ; ყუმბარები, დოლები, თოფები, ბასტიონები, ბატარეები, ხიმტები, ტყვიები მიიმე სიტყვებია და ნაზ მუზას ყელში ეჩხირება. ო, მარადიულო ჰომეროს!

შენ შეგიძლია მოხიბლო ყველა ყური, თუნდაც გრძელი; შენი პოეტური მკლავით დაიმორჩილო ეპოქები, წუთისოფე-

ლი; დაიმორჩილო იარაღი, რასაც ადამიანი უკვე აღარ იყენებს, რადგან თოფისნამაღია აღმოჩენილი ზიანის მისაყენებლად, თუმცა უფრო ნაკლები ზიანი მოაქვს, ვინემ რომელიმე სამეფო კარი ისურვებდა, ახლა რომ ერთიანდებიან ახალგაზრდა თავისუფლების შესაშფოთებლად; მაგრამ თვით თავისუფლებას ვერ ჰპოვებენ ტროაში.

ო, უკვდავო ჰომეროს!
ახლა ალყა უნდა დავხატო, სადაც გაცილებით მეტი ადამიანი დახოცეს სასიკვდილო მანქანებით და ელვისებრი ცეცხლით, ვინემ შენს ცნობარშია იმ საომარი კამპანიის შესახებ.

და მაინც ისე, ვით ყველა დანარჩენმა, უნდა ვაღიარო, რომ შენთან გაჯიბრება ისეთივე ამოა იქნება, ვით ღელის შეჯიბრება ოკეანესთან.

და მაინც ჩვენ, ახლებს, და შენ ერთი სისხლი გვიდუღს, თუ პოეზიაში არა, არსებითად მაინც.

ფაქტი კი სიმართლეა დიდად სასურველი! რითაც მუზა ალგვანერინებს თვითეულ მოქმედებას, თუმცა რაღაც თხელი ქვედა საფუძველიც უნდა არსებობდეს.

მაგრამ ქალაქს სადაცაა შეუტყვევნი; დიადი საქმე აღესრულება...

როგორ უნდა გადმოვცე?
უკვდავ გენერალთა სულელებო! ფეხუსი გიყურებთ, რომ შეაფერადოს თვისი სხივები თქვენი ღვანლით.

ო, დიადო ბიულეტენებო ბონაპარტესი!
ო, ნაკლებ დიდებულ გრძელო სიავ მოკლულთა და დაჭრილთა!

ლორნიდეს აწრდილო, რა გულადად იბრძოდი, როს ჩემი საბრალე საბერძნეთი გარშემორტყმული იყო ისე, ვითარცა ახლა!
ო, კეისრის კომენტარებო!

მითხარით რამე, დიდების აწრდილნო (თუ არადა, დავიბენი)!
თქვენი მშვენიერი, წარმავალი, ფერმკრთალი მწუხრის ათინათი ერწყმის მუზას.

როს მეომრულ უკვდავებას „ფერმკრთალს“ ვუნოდებ, ვგულისხმობ, რომ ყოველ ეპოქაში და ყოველ წელს და თითქმის ყოველდღე, სამწუხაროდ, გამოირჩევა რძენაწყენი გმირი, და ოდეს ვაჯამებთ კაცობრობის ძვირფას მონაპოვარს, აღმოჩნდება, რომ ეს დიდად გამოჩენილი ვაჟბატონი ყასაბი ყოფილა, და ამჟამად კი თავბრუს ახვევს ახალგაზრდობას.

მედლები, ნოდებები, აქსელბანტები, ბაფთები, ამოქარგულობანი, ალისფერი, უკვდავი ნივთებია უკვდავი კაცისათვის, ისევე ვით მენამული — ბაბილონელი მეძავისათვის; ყმანვილებისათვის უნიფორმა იგივეა, რაც მარაო ქალისათვის; ერთი ლაჟღაჟა პაჟიც კი არ მოიძებნება, თავს სახელ-დიდების ეტლში რომ არა ხედავდეს. მაგრამ დიდება დიდებაა; და თუ გინდა გაიგო თუ რა არის... ღორს ჰკითხე, ქარი რა არის-თქო!

ბოლო-ბოლო ხომ გრძნობს და ეგებ ვინმემ თქვას, ვხედავო, რადგან მის წინ ღორივით დარბის; და თუ ეს მარტივი წინადადება გეუხერხულებათ, ვთქვათ, ბრიგივით ან შხუნასავით მისრილებს მის წინ-თქო, ან...

მაგრამ დროა ქება დავასრულოთ, თორემ ჩემი მუზა დაილა. მომდევნო ქება დედოზარივით ხმამაღლა დარეკავს, თითქოს სოფლის სამრეკლოდან აფხიზლებდეს ხალხს.

ყური მიუგდე! ცივი, ბნელი ღამის სიჩუმიდან ისმის თუ როგორ გროვდებიან არმიის რაზმები! შეხეთ! ბინდით შებურული ჯგუფები ჩუმად მიიპარებიან სააღყო კედლისა და აზღარბული სანაპიროს გასწვრივ რაღაც იარაღსხმულ მდინარესავით; რიჟრაჟი მოიბრძვის, ვარსკვლავები ჯერაც ჭიატობენ სიბნელეში უცნაური გვირგვინივით...

ცოტაც და ჯოჯოხეთის კვამლი გამოახვევს უფრო ბნელ საბურველში.

ამჟამად აქ შევისვენოთ... ვითარცა მაშინ, იმ შიშისმომგვრელი შესვენებისას სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, როს გადავსებულიყო გულები ათასობით კაცისა, უკანასკნელი ამოსუნთქვა რომ დარჩენოდათ!

ნამიც და ყველაფერი გაცოცხლდება! მარში! შეტევა! შეძახილები ორივე სარწმუნოებისა! ურა! და ალაჰ!..
კიდევ ნამიც და სასიკვდილო მოთქმა შეერევა საბრძოლო ღრიალს.

ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

შენიშვნები:

1. რიჩარდ ბრინსლი შერიდანის პიესის, „მეტოქენი“ (1775), პერსონაჟი, რომელიც არამართო ბევრს ლაპარაკობს, არამედ ყოველთვის არაზუსტად, მცდარად იყენებს სიტყვებს, გამოთქმებსა და ტერმინებს.
2. ჰენრი გრატანი (1746-1820) — ირლანდიელი პოლიტიკოსი, ვინც მოითხოვდა ირლანდიის პარლამენტის დამოუკიდებლობას XVIII საუკუნეში. ეწინააღმდეგებოდა შერითების (იუნიონის) აქტს 1800 წლისა, რამაც შეაკავშირა ირლანდია და დიდი ბრიტანეთი. მოგვიანებით იძულებული შეიქნა გამხდარიყო გაერთიანებული პარლამენტის წევრი ლონდონში.
3. ნერილი მუსიე ერატოსაგან მუსიე კლოკპიტრს, ლენდგრევიის (თავადის) კაპელანს (1759). ეს ციტატი მთელი „დონ ჟუანის“ ეპიგრავად გამოდგებოდა; მასში მოჩანს თუ რა ყურადღებით კითხულობდა ბაირონი ვოლტერს.
4. იხ. შექსპირი, „იულის კეისარი“, მოქ. iv, სცენა iii (აქ და ქვემოთაც გამოქვეყნებული კომენტარები ლორდ ბაირონს ეკუთვნის).
5. კატომ თავისი ცოლი მარცია თავისივე მეგობარ ჰორტენზიუსს დაუთმო; მისი გარდაცვალების შემდგომ კი უკანვე წამოიყვანა. ამ საქციელისათვის რომაელები დასცინოდნენ, ვინც იხილეს, რომ მარცია ჰორტენზიუსის სახლში ღარიბ-ღატაკი შევიდა, კატოს ლოგინს კი ძვირფასეულობით მოკაზმული დაუბრუნდა (პლუტარქე).
6. ცნობილი ჰეროფორდშირული საწოლი, თორმეტი კვადრატული ფუნტის სიდიდისა.
7. იხ. უოლტერ სკოტის „უივერლი“.
8. „ერთ დღეს წმინდა ფრანსისმა, მეტისმეტად რომ შეანუხა ხორციელმა ვნებებმა, სამოსი გაიძრო და დაუნდობლად გაიბთრა თავი; მერე კი საოცარ რწმენით აღვსილი თოვლში ჩანვა. ეშმაკი დამარცხდა, მაშინვე განემორა და წმინდანი გამარჯვებული დაბრუნდა სენაკში“. იხ. ბატლერი, წმინდანთა ცხოვრებანი.
9. კალიგულა, იხ. სვეტონიუსი. „ხალხზე გაბრაზებულმა, ცირკის თამაშებში მონაწილეების მხარე რატომ დაიჭირესო, წამოიყვინა: ნეტა რომაელ ხალხს ერთი კისერი ჰქონდესო“.
10. ჰარემის ბინადარი ქალები.
11. „საქართველოს, სამეგრელოსა და ჩერქეზეთის ურთიერთ-მეზობელ კლიმატებში ბუნებამ გააჩინა, ბოლოსდაბოლოს ჩვენი თვალთახედვით, სილამაზის ნიმუში: კიდურების მოყვანილობით, კანის ფერით, ნაკვების სიმეტრიითა და გამომეტყველებით; კაცნი მოქმედებისათვის არიან შექმნილნი და ქალნი — სიყვარულისათვის“. გიბონი.
12. ფადიმაში თურქეთში ნოდებაა უმაღლესი მმართველისა.
13. „უსიერ ტყეში ამ ცხოვრების ნახევარ გზაზე, ანაზდეულად გამოვფხიზლდი გზადაკარგული.“ — დანტე ალიგიერი „ჯოჯოხეთი“.
14. არასწორი ციტატა ედმუნდ სპენსერის „ფერია დედოფლიდან“. უნდა იყოს: „მძაფრი ომები და ერთგული სიყვარული“.
15. სებასტიან ლა პრესტრე დე ვაუბანი 1633-1707, სახელგანთქმული ფრანგი სამხედრო ინჟინერი ლუი XIV-ის კარზე. მან შემოავლო საფრანგეთს სიმაგრეების ჯაჭვი.
16. cap-a-pie — აქ: თხემით ტერფამდე.
17. ბაირონი არასწორად იმონებებს რუსულ გვარებს, ეგებ შეგნებულადაც კი.
18. ჯეიმზ ტომსონი, 1700-48, სკოტლენდელი პოეტი.
19. როჟე დე დამასი, 1765-1823, ფრანგი გენერალი, იბრძოდა რუსეთის არმიამი რევოლუციის წინააღმდეგ.
20. პრინცი შარლ ჟოზეფ დე ლინე 1735-1814, ფრანგი ფელდ-მარშალი, მწერალი.
21. ხოსე პასკუალ დომინგო დე რიბასი 1749-1800, იტალიური წარმოშობის გენერალი რუსეთის არმიამი; რუსები უნოდებდნენ იოსიფ ნიკოლაევიჩ დერეიბასს; ქალაქი ოდესა მისი დაარსებულია.
22. ვარაუდობენ, რომ რობერტ საუთი იგულისხმება.
23. სუვოროვი მართლაც პირადად ასწავლიდა.

უილიამ შექსპირის რიჩარდ მესამე

უილიამ შექსპირის ისტორიულ ქრონიკაში „მეფე ჰენრი მეექვსე“ გლოსტერის მთავარი, მომავალი მეფე ინგლისისა, რიჩარდი თავის მონოლოგში ამგვარად გვაცნობს თავს: **„ტრფობამ უარყო მე ჯერ კიდევ დედის მუცელში და რომ მე მისგან არ მრგებოდა რაიმე წილი, მყიფი ბუნება მოისყიდა ქრთამით, რომელმაც სრულად დამიჭნო ეს მარჯვენა გამხმარ ნერგივით, შურით აღსავსე აღმიმართა ზურგზე გორაკი, სად სიმახინჯე ბუდობს მუდამ ტანის მქირდავი, უსწორმასწოროდ გამომაბა მრუდე ფეხები და ისერიგად აღმიმართა ყოველი ასო, რომ ქაოსს ვგავარ ან დათვის ბელს ჯერაც გაუტლევს“.**

ასეთი შემზარავი შესახედაობით დააჯილდოვა შექსპირმა რიჩარდ მესამე — პირისხლიანი ტირანი, დიდოსტატი ავკაცობისა და ორპირობისა. ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო, ამბობდნენ ძველი რომაელები და, შესაბამისად, მახინჯ სხეულში უნდა ჩაბუდებულიყო მახინჯი სული, რათა წარმოექმნა თავისებური ჰარმონია და შექსპირმაც ამ პარადოქსულ ფორმულას ერთგულად შეასხა ხორცი: **„მამ თუკი ზეცამ ტანი ასე დამიმახინჯა, დე ჯოჯოხეთმა გამიმრუდოს სულიც მის მსგავსად“** — წარმოთქვამს რიჩარდი.

საბჭოთა ისტორიკოსი მ. ბარგი თავის წიგნში „შექსპირი და ისტორია“ წერს, რომ საუკუნეთა მანძილზე რიჩარდ მესამე ყველაზე დემონური პიროვნების განსახიერება იყო ინგლისის ისტორიაში. ეს გარემოება, მნაშვანელოვანნილად, შექსპირის დამსახურებაა. ინგლისელ მკითხველსა და მაცურებელს თავი რომ დავანებოთ, სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ენებზე, ათეულობით თაობა ეცნობა შექსპირისეულ რიჩარდს, შეძრწუნებული მისი ვერაგობითა და ცინიზმით, გაუგონარი სისასტიკითა და სატანური გულცივობით, არნახული პირობითობით, ლეთისა და კაცთა კანონების მიმართ აგდებული დამოკიდებულებით. მკითხველთა და მაცურებელთა ამგვარი „ისტორიული განათლება“ აგერ ოთხი საუკუნის მანძილზე გრძელდება. მ. ბარგი ირონიულად დასძენს, რომ კაცმა შეიძლება საერთოდ არ იცოდეს ისტორია, კერძოდ — ინგლისის ისტორია, მაგრამ მშვენივრად მოეხსენებოდეს რიჩარდ მესამის სახელი და საქმით, რა თქმა უნდა, შექსპირის ნყალობით.

ზემოთ დამონმებულ მონოლოგში საკუთარ ფიზიკურ ნაკლებად დაწვრილებითი აღწერის შემდეგ, ბუნებისაგან უზომოდ დაჩაგრული რიჩარდი გვიზიარებს თავის ოცნებას: **„მამ, თუ არ მაძლევს ეს ცხოვრება მე სხვა სიამეს, თუ არა მას, რომ მბრძანებელი გავხდე სხვებისა, მოვადრეკინო ქედი თვალად ჩემზე უკეთესო, გვირგვინზე ნატვრას მე გავიხდი ციურ სავანედ, ხოლო ამ ყოფას ჯოჯოხეთად მივიჩნევ, ვიდრე სამეფო ჯილა სხივოსანი არ დამიმშვენიებს ამ უბადრუკ თავს, ხორცდარღვეულ ტანზე გამობმულს“.**

ოცნებას მოსდევს მომავალი მოღვაწეობის გულდასმით შედგენილი პროგრამა: სისხლიანი ნაჯახით ხელში უნდა გაიკაფოს გზა სამეფო გვირგვინის მოსახვეჭად, პირზე ღიმილით მოკლას მოყვასი თვისი; მშვენიერება უნოდოს იმას, რაც სულს უნამლავს, აფრქვიოს ყალბი ცრემლები და ა.შ. **„გადავამეტებ ქამელეონს ფერისცვალებით“**, — იქაღნის იგი და ბევრითად ასრულებს ნათქვამს. რიჩარდი მონაწილეობს ედვარდ ლანკასტერის მკვლელობაში (**„კიდევ ფართხლებ? აჰა, მორჩი მაგ მანჭვა-გრეხას“**), მერე სასწრაფოდ მიემუხრება ტაუერში (**„ლონდონს გასწავს გამალებით და, როგორც ვატყობ, მალე გამართავს ტაუერში სისხლიან ნადიმს“**, — ამბობს კლარენსი), საკუთარი ხელით კლავს ჰენრი მეექვსეს. ამასობაში დგება ძმების ჯერი: **„მე ძმა არა მყავს, არა ვვა-**

ვარ არც ერთ ძმათაგანს და სიყვარულმაც, ტუტუცნი რომ ღვთიურად სახვენ, დაისადგუროს მათ გულში, ვინც ურთიერთს ჰგვანან, ხოლო ჩემგან კი, დე შორს იყოს: მე მხოლოდ მე ვარ. მიფრთხილდი კლარენს, შენ მზის შუქზე გამოსვლას მიშლი და იცოდე, რომ გაგიტენებ ოდესმე შავ დღეს“.

როდესაც დანგრეულია სახელმწიფოს ჯანსაღი ცხოვრების საფუძვლები, როდესაც დათრგუნულია სამართალი და ქვეყანა მოუცავს განუკითხაობასა და ქაოსს, გახრწნილებასა და ფარისევლობას, მაშინ ილბალი და გამარჯვება ემხრობა ყველაზე მძლავრს, ყველაზე გაქნილსა და ყველაზე სინდისგარეცხილს. ასეთია რიჩარდი და მისი დევიზი კი ასე უღერს: **„ჩვენი სინდისი არის მუშტი, ჩვენი კანონი არის ხმალი“.**

გზა სამეფო ტახტისაკენ მოფენილია გვაგებით. რიჩარდს არც სააქაო მართლმსაჯულება ამბნებს და არც საიქიო სასჯელი. თამამად, გამომწვევად ერკინება ადამიანებსაც და განგებასაც. გადაწყვეტი ბრძოლის წინ სასონარკვეთა შეეპარება სულში, მაგრამ მაინც გულგრილია მოსალოდნელი სიკვდილისა და იმქვეყნიური განაჩენისადმი. და ამაყად წარმოთქვამს: **„თუ ცას ვერ ავალო, ჯოჯოხეთში მაინც შევცვივდეთ“.**

ბოროტება სესხულობს სიტყვებს სიკეთისაგან, თითქოსდა დიდებული სამოსელი იყოს, რომელიც თავისუფლად შეიძლება მოირგოს ტანზე უღირსმა და თავისი მჭევრმეტყველებით მონუხსოს მსმენელი, სიმათლის ნიღბით შეამკოს სიცრუე და თვალეში ნაცარი შეაყაროს გონიერსაც და უგუნურსაც, სიტყვას დაუკარგოს ოდინდელი ფასი და ეჭვქვეშ დააყენოს არსებობა ჭეშმარიტებისა ამ ცოდვილ დედამინაზე.

კიდევ ერთხელ ვათხოვოთ ყური რიჩარდ მესამეს, რომელიც საბედისწერო ჟამს ასე მიმართავს თავის ლაშქარს: **„ეს გაიხსენეთ, თუ ვის ებრძვით: ურცხვ მანანალებს, გამორეკილებს მათის ქვეყნით, ნუნკ გლეხუჭებსა, ბრეტანის ჭუჭყსა პირზე ქაფად მოტივტივებულს, გადმონთხეულსა მოზებრებულ სამშობლოს მიერ, გამომეტებულს დასალუპად, განსაწირავად. მშვიდად გეძინათ, აღგიშფოთეს მათ მკვნივება; ჰფლობით მამულებს, მშვენიერს ცოლნი გვირდებ გესხათ, მათ სურთ წართმევა მამულისაც, ცოლთა შემნიკვლაც. ვინ უძღვის მათ წინ? საცოდავი ვილად, ბედკრული, გამოკვებული ბრეტანს დედიჩვენის ნყალობით, რძით გაჟღენთილი; ის, რომელსაც თვის სიცოცხლეში თოვლის სიცივე არ უგრძენია ფეხის კოჭს ზევით. გავრეკოთ ცემით ზღვას იქით ეს მათხოვარანი, გავგავოთ ცოცხით ეს დაფლეთნი საფრანგეთისა, ქუჩის გლახანი, თავგასულნი დამამულებლობით, რომელთ სიცოცხლე ისერიგად მოზებრებიათ, რომ უნდა თავი ჩამოეღრწოთ საბრძოლო თავზე შიმშილით, თუ ამ გიჟურს საქმეს არ აპყოლოდნენ! თუ მართლა ბედად გვინერია სხვისგან დაპყრობა, — დეე დაგვიპყროს ხალხმა მაინც, და არა ამ ბუშთ, ბრეტანით მოსულთ, რომელნიც მათ ქვეყანაშივე მამაჩვენებმა სცემეს, სტყეპეს, გაანადგურეს და დაუტოვეს სამახსოვროდ ცოდვის შვილები! ჩვენს ქვეყანაში ამათ უნდა იხარონ მერე? ესენი დანვენ ჩვენს ცოლებთან, ქალნი მოვტაცონ?“**

განა ღირსი არ არის ამ სიტყვების მოქმელი, სულით და ხორცილთა რაინდი, ომებში გამოცდილი და გამოწვრთნილი, რომ გამარჯვების ქალღმერთმა თავისი სიყვარული აჩუქოს და უკვდავება მიანიჭოს, მაგრამ, ვაგლახ, ბედი აღარა სწყალობს აღზევებულ არამზადას და გაგანია ბრძოლაში ცხენს რომ მოუკლავენ, ქვეითი იბრძვის და სასომიხილი ხმამალლა, მთელი ქვეყნის გასაგონად ნატრობს: **ოჰ, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევო!**

ხოლო არაერთხელ ნაგვიკითხავს და მოგვისმენია კიდევ ეს უნიადაგო ქადილი, აღტკინებული სიტყვების მოზავება, ჩვევად გადაქცეული ბაქიბუქი და დასასრულ — არნახული და არგავონილი დემაგოგია, შავზე რომ აცხადებს, თეთრიაო; სიცრუეს რომ ნათლავს ძლევაგოსილ ჭეშმარიტებად და სამარცხვინო დამარცხებას სახელოვან გამარჯვებად გვისალებს.

და ჩვენ ტაშს ვუკრავთ, გაბრუებულნი და მონამღულნი უსაზღვრო ძალაუფლების ჯადოსნური შარმით.

ნეტარ არიან ბრმანი და ყრუნი, უენონი და უენებელნიო — ნუთუ არავის უთქვამს? მოთმინებითა შენითაო — ეს ხომ უთქვამთ და დიდება თქვენსა მოთმინებასაო, რომ მოგვსწრებოდა, უსათუოდ გვეტყოდა „დავითიანის“ შემოქმედი.

კალამი გაგვეტყა და დროა დავუბრუნდეთ რიჩარდ მესამეს. აბა შექსპირი რის შექსპირი იქნებოდა, ერთი პანანკინტელა სანთელი არ აენთო კუნაპეტ წყვდიადში, ნუთით მაინც არ შებრალებოდა კაცის ტყავში გამოხვეული ურჩხული და ჩვენც თვალითაგან მოულოდნელი და გაუმართლებელი ცრემლი არ გამოეწურა.

გენიოსის კალამს საამისოდ „ამერიკის აღმოჩენა“ არ დასჭირვებია. წარბუხურელად, დაუეჭვებლად, როგორც საკუთარი ყურით მოსმენილს, ისე გადმოგვცემს მთავარი გმირის შინაგან მონოლოგს, რომლის მსგავსი არაერთი შეუქმნიათ წინამორბედებს და მიუხედავად ამისა, ყოველთვის ახლებურად ჟღერს, ყოველთვის გვიზიდავს ავტორის მიერ პერსონაჟის სულში წვდომით, აღბეჭდილი რომ არის დამაჯერებლობით და, იმავდროულად... დაუჯერებლობით.

დიახ, დაუჯერებელია ამგვარი თვითგვემა ავკაცისა, ამგვარი თვალის გასწორება მწარე სიმართლისათვის, ამგვარი ცოდვათა მონანიება და სინაფელი აღსარებისა.

ეს ბრძოლამდე წარმოთქმული შინაგანი მონოლოგია — ლოგიკური შედეგი შემზარავი სიზმრისა, სადაც მისივე მსხვერპლთა სულები მოველინებიან და ძილს უფროთხოვენ, გაელვიძება და იწყება აღსარება მარტოდშენილისა: „სხვა ცხენი-მეთქი! შემისვით აი ეს წყლულიც... ისოს, ღვთის ძეც, შემიბრაღე! თურმე მეზმანა... ჰოი, ლაჩარო სინდისო, როგორ მანუხებ! — ლურჯადა ბჟუტავს ეს სინათლე... შუალამეა... მაკანკალებს და ცივს ოფლს მასხამს წვეთ-წვეთად ტანზე. ვისი მეშინის? ჩემივე თუ?! სხვას ვერვის ვხედავ. რიჩარდს რიჩარდი უყვარს ხომა, მე ხომ მევე ვარ! არის ვინმე აქ კაცისმკვლელი? არა... ჰო, მე ვარ... უნდა გავექცე... ვისა? ჩემს თავს? რატომა ვითომ, რომ ჩემს თავზე დე! რათა? მისთვის რომ ცოტაოდენი სიკეთე რამ მახსოვს ჩემგანვე? ოჰ, არა, არა, მე უფრო მძულს ჩემივე თავი ჩემგან ნაქმნართა საზიზღართა საქმეთა გამო! ავაზაკი ვარ? რად ვიქნები? არა, ვტყუი მე, სულელო, კარგი სიქვი შენს თავზე... ნუ, თავს ნუ იქებ... თითქოს ათასი ენა ებას ჩემს სინდისსა, რაც სათითაოდ თუმც მომიტხრობს სხვადასხვა ამბავს, ყველა ერთად კი ავაზაკსა მიწოდებს და მსჯის! ფიცის დაგმობა საშინელი, უსაშინლესი, უსაზარდასი კიდევ უფრო უწყალო კაცთკვლა, ყველა ცოდვები გარდასული

ზომას და წონას, — ერთად იყრიან სამსჯავროს წინ თავს და ბლავიან: „დამნაშავეა, დამნაშავე“... სრულად დავიბენ... არცერთ არსებას არ ვუყვარვარ: როცა მოვკვდები, — არ დავნანდები არავისა; ან რათ დავნანდე, როცა მე თვითონ ვერას ვპოვებ ჩემში დასანანს!“

ეს შინაგანი მონოლოგი რაოდენ შორსა დგას ცხოვრებისეული სინამდვილისგან! მაგრამ ეს ხომ ხელოვნებაა, დიდი ხელოვნება, სადაც ტყუილი და მართალი იდეალური დოზებით შეზავებიან ერთიმეორეს.

აი, ასეთია შექსპირისეული რიჩარდ მესამე, მაგრამ როგორც ბოლო ხანებში ირკვევა, შექსპირს დაუმახინჯვებია ღვთივკურთხეული მეფის როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი პორტრეტი.

სინამდვილეში როგორი იყო ეს ავკაცის სიმბოლოდ შერაცხული კაცი?

ზემოსხენებული მ. ბარგი შენიშნავს, რომ მეცნიერებამ, სამწუხაროდ, გაცილებით ნაკლები იცის რიჩარდ მესამეზე, ვიდრე შექსპირის მკითხველმა თუ მაყურებელმა. მკვლევარის აზრით, მეცნიერებისათვის სანდოდ ვერ ჩაითვლება ის საისტორიო წყაროები, რომელთაც ეყრდნობოდა დიდი ინგლისელი დრამატურგი, ვინაიდან XVI საუკუნეში ტიუდორები და მათი დამქაშები საფუძვლიანად გაისარჯნენ, რათა სამარადისოდ გაეტეხათ სახელი რიჩარდ მესამისათვის.

ინგლისელი ისტორიკოსი ე. ჩითჰემი აღნიშნავს, რომ რიჩარდის სახე გააშავეს მისი ილბლიანი მეტოქის — ჰენრი VIII-ის მეფობის ხანაში და ინგლისურ ქრონიკებში ჩამოყალიბებული მრუდე პორტრეტიდან შექსპირმა ურჩხული შექმნა. დიახ, შეხედულება რიჩარდზე, როგორც პირსისხლიან ავკაცზე, ჯერ კიდევ შექსპირამდე არსებობდა. ამ მხრივ, ყველაზე ცნობილ ნაშრომად ითვლება გამოჩენილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწისა და მწერლის ტომას მორის თხზულება „რიჩარდ მესამის ისტორია“, სადაც რიჩარდის მაგალითი მოტანილია იმ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემის — ტირანის პრობლემის გასაშუქებლად, იმ ტირანისა, რომელიც სისხლიან ბოროტმოქმედებათა ფასად სამეფო ტახტს ეუფლება.

მ. ბარგი სავსებით სამართლიანად ასკვნის: „რასაკვირველია, ისტორიული რიჩარდის ანგელოზად წარმოდგენა შეუძლებელია, მაგრამ ამასთან ერთად დადგა დრო, რომ დემონური ბუნება, რომლითაც ტრადიციამ რიჩარდ მესამე შეამკო, ლეგენდის კუთვნილებად მივიჩნიოთ და ისტორიას კი დავუტოვოთ სახე იმპულსური ადამიანისა, არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკოსისა, გულადი, პატივმოყვარე და უღმობელი უზურპატორისა, რომელიც თავისი სასტიკი საუკუნის ღვიძლი შეილი იყო“.

საყდრისს

ნინო მიქიაშვილს

უფლის ხელით ანაგები მთაზე ორი საყდარი, საოცარი სანახები, თამარ მეფის სადარი.

მტრის მახეთა შემმუსვრელი სულიერი სავანე, ოქროს წყარო შეუსმელი, ოქროვანი სამარე.

აქეთ — ვინმე ავსულები, ავი სიტყვის მცემელნი...

იქით — წმინდა ასულები და გრაალის მცველები.

არის სისხლით დასაცავი მინიერი საუნჯე, — საქართველოს განძსაცავი, საქართველოს საქურჭლე!

და ვით ქალი სანატრელი მზეზე ბრწყინავს საყდრისი, ჩვენი ოქროს საფარველი, ჩვენი ოქროს სანმისი.

თინათინ მღვდლიაშვილი



ნინო მიქიაშვილი და ვახტანგ ბახტაძე